

ასტრიდ ლინდგრენი

ყაჩაღის ასული  
**რონია**



# ასტრიდ ლინდგრენი

## ყაჩაღის ასული რონია

შვედურიდან თარგმნა  
თამარ ჩიქოვანმა

|

ქარიშხლიან ღამეს მოევლინა რონია ქვეყანას. ქარი მძვინვარებდა, კოკისპირულად წვიმდა და საშინელი ჭექა-ქუხილისგან ყურთასმენა აღარ იყო. მატისის ტყეში ყველა არსება სოროებსა თუ სამალავებში შემძვრალიყო. მხოლოდ ბოროტი, ველური ვიტრები, რომლებსაც ელვა და მეხი ყველაფერს ერჩივნით, დაფრინადნენ ყაჩაღთა ბუნაგის გარშემო, მატისის ციხის ირგვლივ და შემზარავად ყიოდნენ.

ლუვისი საწოლში იწვა და მშობიარობდა, ძალიან რომ შეაწუხა ვიტრების ხმამ, მატისს უთხრა;

— დააფრთხე და გაყარე ეს საზიზღარი ველური ვიტრები, თორემ ისეთი გნიასია, ჩემი სიმღერაც კი არ მესმის, მე კი სიწყნარე მჭირდება! ლუვისი თან მღეროდა და თან ბავშვს აჩენდა, ასე გაცილებით უადვილდებოდა მშობიარობა, დარწმუნებული იყო, ბავშვი, რომელიც დედის სიმღერით მოევლინება ქვეყანას, აუცილებლად მხიარული და ბედნიერი გაიზრდებაო,

მატისმა მშვილდ-ისარს დასტაცა ხელი, სათოფურიდან რამდენჯერმე გაისროლა და ვიტრებს შეუძახა:

— დაიკარგეთ აქედან, ველურო და საზიზღარო ვიტრებო, მე ხომ ამაღამ შვილი უნდა შემეძინოს, ნუთუ ამდენს ვერა ხვდებით!

— ჰო, ჰო, ჰო, მატისს ამაღამ შვილი უნდა ეყოლოს, — აყვილდნენ ვიტრები, — წარმოგვიდგენია, ჭექა-ქუხილის ბავშვი რა გალუული და მახინჯი იქნება, ჰო ჰო, ჰო!

გაბრაზებულმა მატისმა ისარი მოიმარჯვა და პირდაპირ იმათ დაუმიზნა. მაშინ საზიზღარი ვიტრები უარესად აყვილდნენ, ახარხარდნენ და გაავებულნი შორს, ხეების კენწეროებისკენ გაფრინდნენ.

იმ დროს, როდესაც ლუვისი იწვა, მღეროდა და ბავშვს აჩენდა, მატისი კი ველურ ვიტრებს აფრთხობდა, ყაჩაღები დიდ დარბაზში ცეცხლს შემოსხდომოდნენ, ვახშამს შეექცეოდნენ და ვიტრებზე არანაკლებ ხმამაღლა ხორხოცებდნენ. რაღაცით ხომ უნდა შეექციათ თავი, ვიდრე ზემოთ, პატარა ოთახში, ბავშვი დაიბადებოდა. თორმეტივე მოუთმენლად ელოდა პატარა არსების ამქვეყნად მოვლინებას. მათი ყაჩაღური ცხოვრების მანძილზე მატისის ციხეში პირველი ბავშვი იბადებოდა!

ყველაზე მოუსვენრად სკალე-პერი იყო.

— მე უკვე ბებერი ვარ, — ჩიოდა იგი, — მალე მოვათავებ ჩემს ყაჩაღურ ცხოვრებას, რა ბედნიერებაა, რომ ჩვენს ციხეში ახალი არსება იბადება! წარმოგიდგენიათ, ახალი პატარა ყაჩაღი! ეგებ, ინებოს ღმერთმა და ციდას გაზრდას, ყაჩაღთა ახალ მეთაურსაც მომასწროს!

სიტყვის დამთავრება ძლივს მოასწრო სკალე-პერმა, რომ კარი გაიღო და დარბაზში სიხარულისგან გაბრწყინებული მატისი შემოვარდა, ყირა გაჭიმა და გიჟივით აღრიალდა: შვილი შემეძინა! არ გესმით, რას ვამბობ? შვილი შემეძინა!

— გოგოა თუ ბიჭი? — იკითხა სკალე-პერმა თავისი კუთხიდან.

— ყაჩაღის ასული, ყველაზე მშვენიერი! — ისევ იყვირა მატისმა. — აი, ისიც!

მაღალ თაღებიან კარებში ლუვისი გამოჩნდა, ჩვილით ხელში. დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა.

— ყველაზე დიდ კათხებში ჩამოასხით, — ბრძანა მატისმა, ლუვისის გოგონა ჩამოართვა და ყაჩაღების წინ ამაყად ჩამოატარა.



-შეხედეთ, შე-  
ხედეთ, რა  
ლამაზია! აი,  
ყაჩაღთა ცი-  
ხეში დაბადე-  
ბული ყველა-  
ზე ლამაზი  
ბავშვია.მატი-

სის ქალიშვილი წყნარად იწვა მამის მკლავებში და თვალეზღაპრე-  
ტილი შესცქეროდა მას.

— დარწმუნებული ვარ, ამ ბავშვს, - მატისმა ისევ ამაყად დახედა  
შვილს, -- უკვე ესმის რაღაც-რაღაცეები, მათალია, ჯერ ბევრი არა,  
მაგრამ მაინც საკმაო.

— რა უნდა დაარქვათ? -- იკითხა სკალე-პერმა.

— რონია, -- თქვა ლუვისმა, - დიდი ხანია გადავწყვიტე.

— ბიჭი რომ გაჩენილიყო? - გაუკვირდა სკალე-პერს.

ლუვისმა წყნარად და მშვიდად გახედა მოხუც ყაჩაღს.

— რახან გადავწყვიტე, რომ ჩემს შვილს რონია უნდა რქმეოდა,  
ამიტომაც სწორედ რონია გაჩნდა, — თქვა მან და მატისს მიუბრუნ-  
და.

— გინდა, ახლა მე ავიყვანო?

მაგრამ მატისს ამის გაგონებაც არ სურდა, ჩვილი ხელში ეჭირა  
და აღფრთოვანებული ათვალეერებდა მის ნათელ თვალებს, პაწა-  
წინა პირს, შავ ბუსუსებს თავზე, ერთი ციდა, უმწეო ხელებს და თან  
სიყვარულისა და სიამაყისგან ბრწყინავდა.

— შენ, ეი, პაწაწინა არსებავ, იცი თუ არა, შენი ციცქნა ხელებით  
ჩემი გული რომ გიჭირავს, - ნაზად უთხრა მატისმა შვილს, - მე ამის  
ახსნა არ შემიძლია, მაგრამ ასეა, - დაუმატა მერე დაფიქრებულმა.

— ცოტა ხნით დამაჭერინე, რა? -- შეეხვეწა სკალე-პერი.

მატისმა ისე ფრთხილად ჩაუგორა ჩვილი მკლავებში, გეგონებო-  
დათ ოქროს კვერცხს აწვდისო.

– აი, ხელში გიჭირავს ყაჩაღთა მომავალი ბელადი, რომელსაც ასე ელოდი. ფრთხილად, არ დაგივარდეს, თორემ იცოდე, მოგკლავ.

სკალე-პერმა თავისი უკბილო პირით შესცინა პატარას.

– როგორი მსუბუქია! -- განცვიფრდა იგი და რონია რამდენჯერმე შეათამაშა ჰაერში. შეშინებულმა მატისმა გოგო ხელიდან გამოსტაცა.

– აბა რას ელოდი, ჩერჩეტო! -- აყვირდა გაბრაზებული, - ღიპიან და წვერებიან ყაჩაღს ხომ არა?



უცებ ყველასათვის ნათელი გახდა, რომ მატისის გულის მოსაგებად პატარას ძალზე სათუთად და ფრთხილად უნდა მოჰყოლოდნენ, ცივი ნიავიც კი არ უნდა მიეკარებინათ მისთვის, ყველანი ახალშობილის ქება-დიდებას მოჰყვნენ. არა მარტო იმიტომ, რომ მატისის გული მოეგოთ, –გოგონა მართლაც ძალიან საყვარელი და მომხიბლავი იყო. ყაჩაღებმა არაერთი უზარმაზარი ლუდის კათხა გამოცა-

ლეს რონიას პატივსაცემად. მატისი სიხარულისგან ფეხზე აღარ იდგა, დროდადრო თვალი თავის მკლავებში გატრუნული არსებისკენ გაურბოდა და ნაზად უღიმოდა

— წარმომიდგენია, ბორკა როგორ გამხეცდებოდა, ამ ამბავს რომ გაიგებს, ჩაიცინა მატისმა, — იჯდეს ახლა თავის საზიზღარ ბუნაგში და შურისაგან კბილები აღრჭიალოს. აუ,რა ხმები გაისმება ბორკას ტყეში! ალბათ, ველური ვიტრები და მაჯლაჯუნებიც კი ყურებს დაიხშობენ. დამიჯერეთ, ასე იქნება.

სკალე-პერიმ თავი დაუქნია და ჩაიხიოხიოთა:

— აბა რა! რაღა თქმა უნდა, ბორკა გაცეცხლებული იქნება, მატისს მემკვიდრე გაუჩნდა, ბორკას კი არავინა ჰყავს თავისი საქმის გამგრძელებელი! ამიტომ, მისი ძლიერებაც ჩიბუხის კვამლს გაჰყვება!

— დიახაც! დაეთანხმა მატისი, — ნამდვილად ასე იქნება, წყალი არ გაუვა, ბორკას შვილი არ ჰყავს და, ალბათ, არც ეყოლება.

თვალის მომჭრელმა ელვამ გაანათა არემარე და საშინელი გრუხუნი გაისმა, ისეთი შემზარავი ხმა იყო, მატისის მამაცი ყაჩაღებიც კი დაფრთხნენ და გაფითრდნენ, ხოლო სკალე-პერი თავის კუთხეში მიიყუჟა. რონიამ წამოიტირა. ამან მატისი მეხის გავარდნაზე მეტად დააფრთხო.

— ჩემი შვილი ტირის - აყვირდა იგი, - რა უნდა ქნას კაცმა, როცა ბავშვი ტირის?!

ლუვისი წყნარად მიუახლოვდა ქმარს, გოგონა გამოართვა და ძუძუ პირში ჩაუდო. რონია დაწყნარდა და ერთიჯ აღარ წამოუტირია.

— ო, როგორ დაგვეცხო! - ჩაილაპარაკა სკალე-პერმა, როცა თავადაც ცოტა დამშვიდდა, - დალახვროს ეშმაკმა, ნამდვილად მეხი ჩამოვარდა! მე მოვკვდე, თუ ვტყუოდე!

მეორე დილით ყველა დარწმუნდა, სკალე-პერი რომ არ ტყუოდა. მეხი მართლაც ჩამოვარდნილიყო და მაღალ მთაზე აღმართული მატისის ციხე სახურავიდან ღრმა ჯურღმულამდე შუაზე გაეპო.

— რონია, საინტერესოდ იწყება შენი ბავშვობა, ნახე, რა დიდი მუხი ჩამოვარდნილა! -უთხრა ლუვისმა შვილს, როცა ჩვილით ხელში უზარმაზარი ნაპრალის პირს მიადგა და გადამწვარი შემოგარენი მოათვალიერა. მათისი დაჭრილი მხეცივით ღრიალებდა. განა შეიძლება, მის მამა-პაპეულ, ძველისძველ ციხეს ასეთი საშინელება დასტყდომოდა თავს?



მაგრამ მათისს არ სჩვეოდა დიდ ხანს ცუდ გუნებაზე ყოფნა. ამიტომ აძჯერადაც მალე მოძებნა გამოსავალი.

— ძალიან კარგი. ახლა ამდენი მიხვეულ-მოხვეული დერეფანი და ძველი სარდაფი აღარ გვექნება შესამოწმებელი! გახსოვთ, ერთხელ სკალე-პერი ციხის შემოვლაზე რომ წავიდა და ოთხი დღე აღარ დაბრუნებულა?

ამის გახსენება სკალე-პერს სწორედაც რომ არ უყვარდა. დღემდე ვერ მიმხვდარა, რა დაემართა. მას ხომ მხოლოდ მათისის უზარმაზარი ციხის ზომები აინტერესებდა. უნდოდა, ყველა ტალანი შემოევლო და ყველა კუთხე-კუნჭული მოეთვალიერებინა. გასავათე-ბულმა და ცოცხალ-მკვდარმა ძლივს გამოიგნო გზა სვეტებიანი

დარბაზისაკენ. კიდევ კარგი, ყაჩაღები ისე ღრიალებდნენ და უსტვენდნენ, რომ სკალე-პერმა შორ მანძილზე გაიგო მათი ხმა, თორემ, ალბათ, ვერასოდეს გამოაღწევდა სამშვიდობოს.

— მთელ ციხეს მაინც არასოდეს ვიყენებდით, - თავი დაიმშვიდა მატისმა, - ჩვენ ძველებურად ვიცხოვრებთ ჩვენს ოთახებსა და დარბაზებში, საბედნიეროდ, კოშკის დიდი დარბაზი ჩვენს მხარეს მოხვდა, ეს კი გადასარევიან! გულდასაწყვეტი მარტო ის არის, რომ ტუალეტის გარეშე დავრჩით. დალახვროს ეშმაკმა! ტუალეტი ნაპრალის მეორე მხარეს დარჩა და ძალიან მეცოდება ყველა, ვისაც თავის შეკავება მოუწევს, ვიდრე ახალს გავმართავთ.

ეს საკითხიც მალე მოაგვარეს და მატისის ციხეში ცხოვრება ძველებურად გაგრძელდა. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ერთი ახალი ბინადარი შეემატათ, ციცქნა გოგონა, რომელმაც, ლუვისის აზრით, მატისი და მისი ყაჩაღები საოცრად გულჩვილნი და ღმობიერნი გახადა. ეს ერთგვარად უხდებოდათ კიდევ ყაჩაღებს, მათს უხეშსა და თავნება ბუნებას. ცოტა უჩვეულო სანახავი კი იყო, თორმეტი ყაჩაღი და მათი ბელადი პატარა გოგონას როგორ სიყვარულით დასტრიალებდნენ თავს. რონიამ ხოხვა დაიწყო, სვეტებიან დარბაზს გარშემო უვლიდა და ყაჩაღები ისეთი ალტაცებით დასდევდნენ უკან, გეგონებოდათ, ამ ქვეყნად ამაზე დიდი საოცრება არ არსებობსო. ცოტა ხანში რონიამ უფრო ყოჩაღად დაიწყო ხოხვა და ხოხვისას ისე სასაცილოდ იხმარდა მარჯვენა ფეხს, რომ ამის შემხედვარე ყაჩაღების ალტაცებას საზღვარი არა ჰქონდა.

— ყველა ბავშვი სწავლობს ხოხვას, - აღნიშნა ერთხელ ლუვისმა, ამაში განსაკუთრებული არაფერია, ამიტომ ნამდვილად არ ღირს, რომ მამამისმა ყველაფერი დაივიწყოს ამქვეყნად და მთელი დღეები უკან სდიოს.

— თქვენ იმდენს იზამთ, რომ ბორკა მატისის ტყეშიც დაიწყებს ყაჩაღობას, - ბრაზობდა ლუვისი, როცა აჩაღები უდროოდ დროს შემოცვივდებოდნენ ხოლმე სახლში მხოლოდ იმიტომ, რომ ენახათ თუ როგორ მიირთმევდა საჭმელს რონია ძილის წინ.

მაგრამ მატისს არაფრის გაგონება არ სურდა.



— ჩემო რონია, ჩემო პატარა მტრედო! - აყვირდებოდა იგი, როცა რონია ხოხვა-ხოხვით გაექანებოდა კარებში გამოჩენილი მამისკენ. შემდეგ კი, თავისი ყაჩაღებით გარშემორტყმული, დაისვამდა გოგონას მუხლებზე და ფრთხილად ატყევედა. ყაჩაღები თვალს არ აშორებდნენ და დიდი ინტერესით შეჰყურებდნენ ამ სანახაობას. მოუხეშავი მატისი ნახევარ სატმელს მაგიდაზე ღვრიდა; ხოლო როცა რონიამ კოვზს ხელი აშკრა და ფაფა მატისის გაბურძენულ წარბებს თოვლივით დაედო, ყაჩაღების აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. ისეთი ხორხოცი ატეხეს, რომ რონია შეშინდა და ტირილი მორთო, მაგრამ მალევე მიხვდა, რაღაც სასაცილო ჩავიდინეო და კიდევ და კიდევ გაიმეორა, ყაჩაღები სიამოვნებისაგან იკრიჭებოდნენ, ხოლო მატისი, მართალია, წუხდა, მაგრამ არ იმჩნევდა. იმდენად დიდი იყო ყაჩაღების და რონიას სიხარული, რომ თავის წუხილს არაფრად აგდებდა.

სხვა ყველაფერი კი, რასაც რონია აკეთებდა, მატისის აზრით, მოწონებას და აღტაცებას იმსახურებდა. თვითონ გოგონას ხომ დედამიწის ზურგზე ბადალი არა ჰყავდა. ლუვისმაც ბევრი იცინა ფაფაში ამოგანგლული მატისის დანახვაზე.

— მატის, ჩემო კარგო, შენი შემხედვარე ვინ დაიჯერებს, რომ ახლომახლო ტყეების ყველაზე მამაცი და მრისხანე ყაჩაღი ხარ! ახლა რომ ბორკას შენი თავი დაანახა, სიცილით მოკვდებოდა!

— ბორკას მზე მალე ჩაესვენება, — წყნარად თქვა მატისმა. მაგრამ მისმა მშვიდმა ხმამ მაინც ვერ დაფარა ღრმად მიმალული რისხვა.

ბორკა მატისის ძველისძველი მტერი იყო. მთელი თაობები მტრობდნენ ერთმანეთს: ბორკას მამა და ბაბუა - მატისის მამასა და ბაბუას; მათი ბაბუის ბაბუები და იმათი ბაბუებიც კი მტრები იყვნენ ერთმანეთისა. საუკუნეების მანძილზე შუღლი იყო ჩამოვარდნილი ყაჩაღთა ორ ოჯახს შორის. მატისისა და ბორკას წინაპრები უხსოვარი დროიდან ყაჩაღობდნენ და თავზარს სცემდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, ცხენით, ეტლებითა თუ ურმებით რომ უწევდა უდაბურ

ტყეში გავლა— ღმერთო, შენ დაიფარე ის ადამიანი, ვისაც ყაჩაღთა ჭიშკრის გავლა მოუწევს! — ამბობდნენ იმ მხარის მცხოვრებნი.

„ყაჩაღთა ჭიშკარი“ ღრმა ხეობაში გამავალ ვიწრო გზას ერქვა. მარჯვენა ფერდობზე შეფენილ ტყეში ბორკა ბინადრობდა, მარცხენა მხარეს კი მატისის საბრძანებელ იყო.

ყაჩაღები მუდმივ მზადყოფნაში იყვნენ, სამალავებში ისხდნენ და საკბილოს ელოდნენ. მშვიდობიანი მოსახლეობისთვის არანაირი მნიშვნელობა არა ჰქონდა, ბორკას ყაჩაღები გაძარცვავდნენ თუ მატისისა. მაგრამ თავად მატისისა და ბორკასთვის კი ეს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი გახლდათ. ხანდახან, არც თუ ისე იშვიათად, ყაჩაღები ერთმანეთსაც ესხმოდნენ თავს და ძარცვავდნენ. ეს განსაკუთრებით მაშინ ხდებოდა, როცა ყაჩაღთა ჭიშკარში თითო-ოროლა მგზავრილა გაბედავდა გავლას.

ყოველივე ამის შესახებ რონია მ არაფერი იცოდა. ის ხომ ჯერ ძალზე პატარა იყო. არც ის იცოდა, რომ მამამისი მრისხანე ყაჩაღი იყო და არემარეს თავზარს სცემდა. რონიასათვის მატისი ბანჯგვლიანი და მხიარული არსება იყო, რომელიც იცინოდა მღეროდა, ყვიროდა, შვილს აჭმევდა და უსაშველოდ ანებივრებდა. არა რონიას ძალიან მოსწონდა მატისი! თუმცა, გოგონა დღითიდღე იზრდებოდა და სამყაროში სულ ახალ-ახალ აღმოჩენებს აკეთებდა. დიდხანს ეგონა რონიას, რომ მთელი ქვეყანა მხოლოდ მისი სვეტებიანი დარბაზი იყო. ო, როგორ უყვარდა ეს პირქუში დარბაზი პატარას, აქ არაფრისა ეშინოდა! საათობით იჯდა ხოლმე რომ დიდი ხის მაგიდის ქვეშ და გირჩებითა და ქვებით თამაშობდა, რომლებითაც მატისი ამარაგებდა. სვეტებიანი დარბაზი მართლაც რომ მშვენიერი ადგილი იყო პატარა ბავშვისთვის, კარგად თამაშობდა, ერთობოდა და ბევრ ახალ რამესაც იგებდა. რონიას ძალზე უყვარდა საღამოობით ბუხრის წინ შეკრებილი ყაჩაღების სიმღერის მოსმენა. გატრუნული იჯდა ხოლმე მაგიდის ქვეშ და უსმენდა, სანამ ყველა სიმღერის ტექსტი ზეპირად არ ისწავლა. მერე და მერე თვითონაც აწყებოდა ხოლმე და თავის და თავის წკრიალა ხმას ყაჩა-

ლების ბანს მოხდენილად უწყობდა. ამის შემყურე მატისი ბედნიერებისგან აღარ იყო, ამაცობდა თავისი არაჩვეულებრივი, გადასარევი ბავშვით! არადა, რა ზღაპრულად მღეროდა რონია!

რონიამ ცეკვაც ისწავლა. როდესაც განსაკუთრებით კარგ ხასიათზე იყვნენ, ყაჩაღები სვეტებიან დარბაზში ჩამოუვლიდნენ ხოლმე. ასეთ დროს რონიაც მათთან ერთად ცეკვავდა და ბუქნავდა. ყირაზზეც ისე ოსტატურად დგებოდა, არავის ტოლს არ უდებდა და, რა თქმა უნდა, ამის შემხედვარე მატისის აღფრთოვანებას საზღვარი არა ჰქონდა. როგორც კი ყაჩაღები სულის მოსათქმელად ჩამოსხდებოდნენ და კათხებში ცივ ლუდს ჩამოისხამდნენ, მატისი მაშინვე შვილის ქება-დიდებას მოჰყვებოდა.

— ასეთი საოცარი ბავშვის მნახველი არა ვარ! ისეთი მშვენიერია, როგორც პატარა ვიტრა, ისეთივე მოხერხებულია, ჭკვიანი და შავთმიანი, არა, ხომ მეთანხმებით, რომ ასეთი გადასარევი ბავშვი მეორე არ არის ქვეყანაზე?!

ყაჩაღები თანხმობის ნიშნად თავს უქნევდნენ, რონია მაგიდის ქვეშ და ქვებითა და გირჩებით იჯდა და თამაშობდა, განსაკუთრებით მაგიდის გარშემო შემომსხდარი ყაჩაღების ტყავის ჩექმებით თამაში უყვარდა. ვითომ თხები იყვნენ. ეს უწყინარი ცხოველები რონიას გომურში ენახა, როცა ლუვისთან ერთად მოსაწველად ჩადიოდა ხოლმე.

აი, ეს იყო იყო რონიას მთელი ცხოვრებისეული გამოცდილება. მას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, თუ რა ხდებოდა მამისეული ციხეკოშკის გარეთ. ერთ მშვენიერ დღეს კი, თავად მატისი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ რონია გარეთ უნდა გაეშვა. მართალია, ძალიან ეძნელებოდა, მაგრამ რას იზამდა, ასე იყო საჭირო.

— ლუვის, - მიმართა მან ცოლს, - დროა, ჩვენმა შვილმა ნახოს, რა ხდება მატისის ტყეში, გოგონა გარეთ უნდა გაუშვათ.

— აჰა, კიდევ კარგი, მიხვდი! - გაიღიმა ლუვისმა. - მე თუ მკითხავ უკვე კარგა ხნის წინ უნდა გაგვეშვა!

ასე რომ, ამიერიდან რონიას შეეძლო თავისუფლად ენავარდა ტყეში, მაგრამ ჯერ მამამისის გრძელი დარიგებანი უნდა მოესმინა:

— გაუფრთხილდი ველურ ვიტრებს, მაჯლაჯუნებს და ბორკას ყაჩაღებს, - დაიწყო მატისმა.

— როგორ მიხვდე, რომელია ველური ვიტრა, რომელი- მაჯლაჯუნა და საერთოდ, ვინ ვინ არის? ან ბორკას ყაჩაღი ვინაა? - გაოცდა რონია.

— მიხვდები! - უთხრა მატისმა.

— აჰა! - ჩაილაპარაკა გოგონამ.

— ფრთხილად იყავი, ტყეში გზა არ დაგებნეს, - განაგრძო მატისმა.

— როგორ მოვიქცე, გზა თუ დამებნა? - დაინტერესდა გოგო.

— სწორი გზა უნდა ეძებო! - აუხსნა მამამ.

— აჰა! - ისევ ჩაილაპარაკა რონია.

— ფრთხილად იყავი, მდინარეში არ ჩავარდე, - ისევ განაგრძო მატისმა.

— როგორ მოვიქცე, მდინარეში თუ ჩავვარდი? - იკითხა რონია.

— უნდა გამოცურო! - უპასუხა მატისმა.

— აჰა! - თქვა რონია.

— და ბოლოს, ფრთხილად იყავი, ეშმაკის ყბაში არ მოადინო ზღართან-ურჩია მამამ

„ეშმაკის ყბას“ ყაჩაღები იმ ნაპრალს ეძახდნენ, მატისის ციხეს შუაზე რომ ჰყოფდა.

— როგორ მოვიქცე, ეშმაკის ყბაში თუ ჩავვარდი? — იკითხა რონია.

— ამ შემთხვევაში, ველარაფერს იზამ, — უპასუხა მატისმა და ყელში მოულოდნელად მომდგარი ბურთი გადაყლაპა. გულშიც უეცარმა ტკივილმა გაუარა. გაიხედ-გამოიხედა და დაჭრილი ლომივით დაიღრიალა.

— აჰა! — თქვა რონია, როცა მატისი ღრიალს მორჩა, - ესე იგი, არავითარ შემთხვევაში, ეშმაკის ყბაში არ უნდა ჩავვარდე. კიდევ რა?

— ჯერჯერობით მეტი არაფერი, — მიუგო მატისმა, - ნელ-ნელა შენ თვითონაც მიხვდები რაღაც-რაღაცეებს! ახლა გაიქეცი!

## II

რონია გზას გაუდგა. მალევე მიხვდა, როგორი სულელი იყო, სვეტებიანი დარბაზი რომ მთელ ქვეყნიერებად მიაჩნდა. არც მამის უზარმაზარი ციხე იყო მთელი ქვეყნიერება და არც მატისის მაღალი მთა - მთელი სამყარო. ქვეყანა გაცილებით დიდი აღმოჩნდა, ისეთი უკიდევანო, რომ რონიას სუნთქვა შეეკრა. რა თქმა უნდა, ადრეც მოესმინა დედ-მამის მონათხრობი გრუხუნა მდინარეზე, მატისის ციხეს რომ ჩამოუდიოდა, მაგრამ ახლა თავისი თვალით რომ ხედავდა და მისი გრუხუნიც ესმოდა, ნათლად ხვდებოდა, თუ რას გულისხმობდა დედ-მამა. ტყის შესახებაც ბევრი რამ გაეგონა, მაგრამ ახლა თავად ხედავდა უღრანსა და ულამაზეს ტყეს, ესმოდა ფოთლების შრიალი. მიდიოდა გოგო და თავისთვის ეცინებოდა. ძალზე ბედნიერი იყო.



უხაროდა ამ ქვეყანაზე ტყეებისა და მდინარეების არსებობა. პირდაპირ საოცრებაა, ფიქრობდა რონია, ეს უზარმაზარი ხეები და

დიდი, გრუხუნა მდინარე რომ აქვე, ჩემს გვერდით არიან, ცოცხლობენ, სუნთქავენ! მოდი და ნუ გაგეცინება!

რონია უდაბურ ტყეში მიხეტიალობდა. მალე პატარა ტბას მიაღვა. ტბის იქით წასვლა მატისმა აუკრძალა. იდგა რონია ტბასთან და უყურებდა, როგორ შავად ლივლივებდა წყალი ხავსიან ნაპირებს შორის, მარტო დუმფარები ბრწყინავდნენ თეთრად. აქამდე რონიამ დუმფარებისა არა იცოდა რა, ახლა კი იდგა და თვალს არ აშორებდა, უცქეროდა და იცინოდა, უხაროდა, რომ ქვეყნად დუმფარები არსებობდნენ.

რონიამ მთელი დღე ტბის პირას გაატარა და ბევრი ისეთი რამ ნახა, რაზეც ადრე წარმოდგენაც კი არა ჰქონდა, კარგადაც გაერთო. გოგო გირჩებს წყალში ისროდა და, როგორც კი ფეხებს აატყაპუნებდა, გირჩები ჯერ იძირებოდნენ და მერე კი ისევ წამოტივტივდებოდნენ ხოლმე წყლის ზედაპირზე. ამის შემხედვარე გულიანად ხარხარებდა. ასე არასოდეს უხალისია რონიას. მისი ფეხებიც ისეთ სილა-



დეს გრძნობდნენ წყალში, ადრე რომ არასდროს განუცდია, კიდევ უფრო კარგი იყო ქვებზე ცოცვა! ტბის გარშემო უზარმაზარი ლო-

დები ეყარა, რომლებიც სწორედ რომ ზედგამოჭრილი იყო საძრო-მიალოდ. ამაზე უკეთესს კაცი ვერც ინატრებდი. ჰოდა, რონიაც და-ცოცავდა და დაძვრებოდა მანამ, სანამ მზე ხის კენწეროებს არ ჩამოსცდა. მაშინ გოგო ერთ დიდ ქვაზე ჩამოჯდა, ტყავის ჩანთიდან პური და რძე ამოაძვრინა და ერთი გემრიელად შეექცა. მერე, კარგად რომ დანაყრდა, ხავსზე გაიშოტა და თავს ზემოთ მოშრიალე ხეებს დაუწყო ყურება. იწვა რონია და იცინოდა, შეჰხაროდა ყველაფერს, რაც მის გარშემო იყო. მერე კი ჩაეძინა.

როცა გამოღვიძა, უკვე ჩამობნელებულიყო. ხის კენჭეროებს შორის ვარსკვლავები ციმციმებდნენ. რონია მიხვდა, რქვეყნიერება გაცილებით დიდი ყოფილა, ვიდრე დილით ეგონა. ცოტა დანალვლიანდა კიდევ - ვარსკვლავები ისე შორს იყვნენ, რაც არ უნდა გეცადა, ხელით მაინც ვერ მისწვდებოდი.

რონია მიხვდა, რომ ტყეში იმაზე გაცილებით დიდხანს დარჩა, ვიდრე ამის უფლება ჰქონდა. არა, ჩქარა უნდა გაიქცეს სახლში, თორემ მატისი უზომოდ განრისხებული და, კიდევ უფრო შეშინებული დახვდება!


ტბაში ვარსკვლავები ციმციმებდნენ, სხვა ყველაფერი კუნაპეტ ღამეში ჩაძირულიყო. თუმცა, რონია სიბნელეს შეჩვეული იყო და სრულებითაც არ ეშინოდა. ზამთრის ღამეებში, როცა ბუხარში ცეცხლი ქრებოდა, მატისის ციხეში უკუნეთი ჩამოწვებოდა ხოლმე! არა, სულაც არ აშინებდა რონიას ღამე. ის-ის იყო, გზას უნდა დასდგომოდა, ტყავის ჩანთა გაახსენდა. ჩანთა ისევ იქ იდო, ლოდზე, სადაც რონიამ დანაყრების მერე დატოვა. გოგონა ლოდზე აძვრა და ცას ახედა. სიბნელეში ისიც კი მოეჩვენა, თითქოს უზარმაზარი ქვა ვარსკვლავებს მიახლოებოდა. რონია თითის წვერებზე აიწია, იფიქრა, რამდენიმეს მაინც მოვწყვეტ და ტყავის ჩანთით შინ წავიღებო, მაგრამ აბა, ვარსკვლავებს როგორ შესწვდებოდა? გოგოს გული დასწყდა, პატარა ჩანთა აიღო და ძირს ჩამოცოცდა.

სწორედ იმ დროს ისეთი რამ დაინახა, შიშისაგან კინაღამ სუნთქვა შეეკრა. ხეებს შორის თვალები ელავდნენ, ერთი წყვილი მრგვალი, უზარმაზარი თვალი ქვებთან ახლოს მოპარულიყო და რონიას უთვალთვალებდა. გოგოს აქამდე არასოდეს ენახა სიბნელეში მოელვარე თვალები და ძალიან არ მოეწონა.

— რა გინდათ ჩემგან? - აყვირა რონია, მაგრამ პასუხი არავინ გასცა. სამაგიეროდ თვალები უფრო მიუახლოვდნენ. გოგონა სულ უფრო და უფრო მკაფიოდ ხედავდა მათ ელვარებას და საზიზღარი ღრჭენა და ბუტბუტიც ახლოდან ჩაესმოდა.

– აქეთ, მაჯლაჯუნებო, შეგროვდით! ადამიანია ჩვენს ტყეში! მაჯლაჯუნების ტყეში! აქეთ, მაჯლაჯუნებო, შეგროვდით! დაკბინეთ და დასცხეთ!

და სრულიად მოულოდნელად პატარა, ავი მაჯლაჯუნები რონიას ცხვირწინ წამოიძვრებოდნენ. ბრაზიანად ბურტყუნებდნენ და გოგოსკენ ხელებს იშვერდნენ, ერთი სული ჰქონდათ, მისთვის რაიმე ევნოთ. მართალია, რონია ვერ ხედავდა მათ, მაგრამ გრძნობდა, რომ იქვე



ახლოს იყვნენ მიმალულნი. იმასაც კარგად ხვდებოდა, თუ რა საშიში და საზიზღარი არსებები გამოეცხადნენ. სწორედ ამათზე ეუბნებოდა მათისი, ფრთხილად იყავი და ერიდეო, მაგრამ ახლა უკვე გვიან იყო: მაჯლაჯუნებმა ქვების, გირჩებისა და ტოტების სროლა დაუწყეს გოგოს, ესროდნენ ყველაფერს, რაც ხელთ მოხვდებოდათ., სამარისებურ სიჩუმეში მხოლოდ წკაპა-წკუპი და ტკაცა-ტკუცი ისმოდა. მაშინ რონიამ დაიყვირა. დაიყვირა შიშისაგან, რადგან უკვე დარწმუნებული იყო, რომ მაჯლაჯუნებს ველარ გადაურჩებოდა.

გოგონას ყვირილზე მაჯლაჯუნებმა ქვების სროლა კი შეწყვიტეს, მაგრამ უფრო შემზარავად აფხაჭუნდნენ. საძაგელი არსებები ქვებ-



ზე მოძვრებოდნენ და იმ უკუნეთში ყოველი მხრიდან უახლოვდებოდნენ გოგოს. რონიას მათი ფეხების ფხაჭუნი და ავი ჩურჩული ესმოდა:

— აქეთ, მაჯლაჯუნებო, შეგროვდიო! დაკბინეთ და დასცხეთ!

შეშინებული გოგონა ისევ აკივლდა და, სასოწარკვეთილმა სცა-ადა მაჯლაჯუნების მოგერიება. ჩანთას გიჟივით აქეთ-იქით იქნევდა, თუმცა დარწმუნებული იყო, სადაცაა მაჯლაჯუნები შემომესევინ, დამკბენენ და მომკლავენო. ვინ იცის, იქნებ ტყეში მისი პირველი დღე უკანასკნელიც აღმოჩენილიყო.

სწორედ ამ დროს რონიას ნაცნობი ღრიალი შემოესმა. ასე ველურად მხოლოდ მატისი თუ ხმაურობს! ოჰ! ეს მართლაც მამამისი იყო თავის ყაჩაღებთან ერთად, მათი მოელვარე ჩირაღდნები ხეებს შორის ანათებდა, ხოლო ყაჩაღთა მეთაურის ღრიალი კი მთელ ტყეს აზანზარებდა:

— აქედან მოუსვით, მაჯლაჯუნებო, ჩიბუხის კვამლს გაჰყევით! დაიკარგეთ აქედან, სანამ დაგრევივართ!

რონიამ ისიც გაიგონა, როგორ აფხაჭუნდნენ პატარა ავი არსებები, ჩირაღდნის შუქზე ისიც დაინახა, თუ როგორ გაცოცდნენ ტყის სიღრმისკენ და სიბნელეში გაუჩინარდნენ.

გოგო ტყავის ჩანთაზე ჩამოჯდა და დიდი ლოდიდან ფრთხილად ჩამოსრიალდა. მატისი იმწამსვე მასთან გაჩნდა, ხელში აიტაცა. ყაჩაღები მდუმარედ დაადგნენ ციხის გზას. მამის წვერში თავჩარგული რონია კი ჩუმად სლუკუხებდა,

— ახლა უკვე იცი, ვინც არიან მაჯლაჯუნები! უთხრა მატისმა შვილს, როცა ბუხრის პირას ჩამოსხდნენ, მამის გვერდით საიმედოდ მოკალათებულ ბავშვს, გაყინული ფეხები ცეცხლისთვის მიეფიცებინა.

— დიახ, ახლა ნამდვილად ვიცი, ვინც არიან მაჯლაჯუნები, - დაეთანხმა გოგონა.

— მაგრამ წარმოდგენაც არა გაქვს, როგორ უნდა დაამარცხო, - განაგრძო მატისმა, - როცა გეშინია, მაჯლაჯუნები შორიდანვე გრძნობენ და აი, მაშინ ხდებიან ყველაზე საშიშნი.

— სწორია, -- დაეთანხმა ლუვისი ქმარს - ამიტომ მატისის ტყეში არაფრის, არაფრის არ უნდა გეშინოდეს!

— ასეც მოვიქცევი, - დაპირდა მშობლებს გოგო. მაშინ მატისმა ამოიოხრა და შვილი გულში ჩაიკრა.

— ხომ გახსოვს, კიდეც რას უნდა უფრთხილდე?- ჰკითხა მამამ და თვალეში საოცარი სითბო ჩაუდგა. დიახ, რონიას ყველაფერი კარგად ახსოვდა. ამიტომ მომდევნო დღეების განმავლობაში გულმოდგინედ ცდილობდა, ხიფათს არ გადაჰყროდა და შიშიც როგორმე დაეძლია. მატისმა გააფრთხილა, მდინარეში არ ჩავარდე, ამიტომ, როცა ქვიდან ქვაზე მხიარულად დახტოდა, თან ფრთხილობდა კიდეც, რომ მდინარის აქაფებულ ტალღებში არ მოედინა ტყაპანი. ნეტა, ტყის სიღრმეში, მდინარისგან მოშორებით, რაღაში სჭირდებოდა სიფრთხილე?!

რონიასათვის რომ გეკითხათ, ყველაზე სახალისო გამოცდა ჩანჩქერს უკავშირდებოდა. იქ მოსახვედრად გოგო მატისის ციცაბო მთაზე უნდა ამძვრალიყო, რომელიც ზემოდან გადმოჰკიდებოდა მჩქეფარე ჩანჩქერს.

რონიას პირველი ცდა მარცხით დამთავრდა. გოგოს ისე შეეშინდა, თვალეშიც კი დახუჭა, მაგრამ თანდათანობით ისე გაიწაფა კლდეზე ცოცვაში, რომ მალე ყველა ქვასა და შვერილს სცნობდა, კარგად ახსოვდა, სად უფრო მოსახერხებელი იყო ფეხის დადგმა. სად — ხელებზე დაყრდნობა, ისიც კი ისწავლა, კლდეებზე ცოცვისას დაბლა, ჩანჩქერში რომ არ უნდა ჩაიხედო.

„არა, ნამდვილად ბედნიერი დამთხვევაა, - ფიქრობდა რონია, ერთდროულად შემძლია ფრთხილიც ვიყო, არც მდინარეში ჩავვარდე და ისიც ვისწავლო, თუ როგორ გავხდე უშიშარი,

ასე მხიარულად გარბოდა დღეები, რონია სიფრთხილეშიც ვარჯიშობდა და შიშის დაძლევაშიც იწაფებოდა, იგი გაცილებით უფრო მუყაითი გამოდგა, ეიდრე მატისი და ლუვისი მოელოდნენ, სულ მალე ყანალის ქალიშვილი ტყეში პატარა, მხიარული, ჯანმრთელი და უშიშარი მხეცივით გრძნობდა თავს, არავისი და არაფრისა არ ემი-

სოდა - არც მაჯლაჯუნების, არც ველური ვიტრების, არც გზის დაბნევისა და არც მდინარეში ჩავარდნისა, მხოლოდ ეშმაკის ყბის შიში ვერ დაეძლია გოგოს, მაგრამ თავს პირობა მისცა, ამასაც მალე მოვუხერხებ რამესო.

მატისის ციხე-კოშკის ყველა კუთხე-კუნჭული უკვე ძირ-ფესვიანად ჰქონდა შესწავლილი, რონია მისეთ მიყრუებულ ადგილებში



იძრომიალა, იქამდე რომ კაცისშვილს არ დაედგა ფეხი, მიწისქვეშა ჯურღმულებშიც ჩაძვრა და ყველა ხვრელი და სარდაფი გულდასმით გამოიკვლია. ციხე-კოშკის საიდუმლო სამალავები და უღრანი ტყის უდაბური, მიყრუებული ადგილები თავისი ხუთი თითივით იცოდა, არსად არ იკარგებოდა და სვეტებიან დარბაზამდეც მუდამ იოლად იგნებდა გზას, ყველაფერს მაინც ტყეში ყოფნა ერჩივნა გოგოს და მთელ დღეებს იქ ატარებდა. როცა სალამო ჩამოწვებოდა და სვეტებიან დარბაზში ბუხარი მხიარულ გუზგუზს იწყებდა, დაღლილი რონია შინ ბრუნდებოდა. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, მთელი დღე ფრთხილობდა და თან სულ იმის ცდაში იყო, არაფრის შეშინებოდა.

ამ დროს მატისი და მისი ყაჩაღებიც შინ ბრუნდებოდნენ, რონია მათთან ერთად მიუჯდებოდა ცეცხლს და ყაჩაღურ სიმღერებს მღეროდა, მაგრამ მამისასა და მისი მეგობრების საქმიანობისა გოგო-

ნამ არაფერი იცოდა, რონია ხედავდა, საღამოობით როგორ ბრუნდებოდნენ შინ ცხენებზე ამხედრებული ციხის ბინადარნი. იმასაც ხედავდა, უნაგირებზე გატენილი ტომრები და ტყავის ჩანთები რომ ეკიდათ, ზოგს სკივრები და დიდი ყუთებიც კი მოჰქონდა, მაგრამ საიდან შოულობდნენ ყოველივე ამას ყაჩაღები, რონიას წარმოდგენაც არ ჰქონდა. ამაზე არც არავინ ელაპარაკებოდა და თავადაც არასოდეს დაინტერესებულა. ეს ისეთივე ჩვეულებრივ ამბად მიაჩნდა, როგორც წვიმა, ქარი ან თოვლი, საგნები და მოვლენები ქვეყნად თავისთავად რომ არსებობდნენ, ამაში რონია ღრმად იყო დარწმუნებული.

ხანდახან გოგონა უფროსების ლაპარაკიდან ბორკას ყაჩაღების ამბებს იგებდა. ამ დროს ახსენდებოდა, რომ იმათაც უნდა მორიღებოდა, თუმცა ჯერჯერობით მათთვის თვალის კი არ მოეკრა.

— ბორკა რომ ასეთი ბრიყვი ძაღლი არ იყოს, ცოტა შემეცოდებოდა კიდევ, — თქვა ერთ საღამოს მატისმა, — ჯარისკაცები ბორკას წამდაუწუმ ჩხრეკენ, იქაურობას აბრუნებენ და წუთითაც არ აძლევენ მოსვენებას. ალბათ მალე გამოაძევებენ კიდევ თავისი ბუნაგიდან. სულაც არ მენაღვლება, რას უზამენ მაგ ტუტუცს, მაგრამ...

— ბორკას ყაჩაღები, თავისი მეთაურიანად, ჩლუნგები და ხეპრეები არიან, — თქვა სკალე-პერმა და მის ნათქვამს ყველა უსიტყვოდ დაეთანხმა.

— რა ბედნიერებაა, რომ მატისის ყაჩაღები ასეთი კარგები არიან, — ფიქრობდა რონია. გოგომ ყურადღებით შეათვალიერა გრძელი მაგიდის ირგვლივ შემომსხდარი ყაჩაღები.:

წვერებიანნი და მოუხეშავნი, ხმაურიანნი და ველურები, ისხდნენ და გემრიელად შეექცეოდნენ წვნიანს. ვერავინ, ვერავინ გაბედავს, რონიას თანდასწრებით, მათზე ცუდის თქმას. სკალე-პერი და თიგე, პელე და ფიოსიკი, იუსტასი და იენი, ლაბასი და კნოტოსი, ტურე და თიორმი, სტურკა და ლილ-კლიპა — ყველანი მისი მეგობრები იყვნენ და რონიას დასაცავად ქვეყნად არაფერს შეუშინდებოდნენ, მისთვის სულსაც არ დაიშურებდნენ. ამაში რონიას ეჭვიც არ ეპარებოდა.

— მაღლობა ღმერთს, ჩვენს ციხეში თავს უშიშრად ვგრძნობთ, - ამბობდა კმაყოფილი მატისი, — აქ ისე საიმედოდ ვართ დაცულნი! როგორც მელა ღრმა სოროში და - არწივი მაღალი კლდის წვერზე. აბა, ერთი გაბედონ ჯარისკაცებმა ჩვენთან შებრძოლება! ჰო, ჰო, ჰო! ჩიბუხის კვამლს გაჰყვებიან! ამაში ღრმადა ვარ დარწმუნებული.

— რა თქმა უნდა, ჩიბუხის კვამლს გაჰყვებიან, იცინოდა კმაყოფილი სკალე-პერი და ყაჩაღებიც თანხმობის ნიშნად თავს უქნევდნენ. იმის წარმოდგენაზე კი, რომ ვინმე სულელი გაბედავდა და მატისის ციხე -კომპს ასაღებად, ანდა დაუპატიუებელი სტუმარივით მიადგებოდა, სიცილით კვდებოდნენ. ციხე მაღალ მთაზე იდგა და მიუვალი იყო. კარგად დაცული ჭიშკრიდან ვიწრო საცხენოსნო გზა ეშვებოდა და ტყის სიღრმეში იკარგებოდა. ციხეს სამი მხრიდან ისეთი ციცაბო კლდეები ერტყა, რომელი ჭკუათმყოფელი გაბედავდა იქ ასვლას?! ამაში ყაჩაღები ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი.

აბა, რას წარმოიდგენდნენ, რომ სწორედ ამ ციცაბო და მიუვალ კლდეებზე ვარჯიშობდა რონია, შიში რომ დაეძლია.

— თუ საცხენოსნო გზით დააპირებენ ჩვენსკენ წამოსვლას, მგლის კართან შევაჩერებთ, — განაგრძობდა მატისი, — ზემოდან დიდ ლოდებს დავაგორებთ და აი, მაშინ ნახავენ სეირს!

— სწორედ რომ მაშინ ნახავენ სეირს! - კვერს უკრავდა სკალე-პერი და კმაყოფილი ხითხითებდა, როცა წარმოიდგენდა, თუ როგორ დასცხებდნენ მგლის კართან მოსულ მოწინააღმდეგეებს.

— ოჰო-ჰო-ჰო, რამდენი მგელი მომიკლავს მანდ ჩემს სიჭაბუკეში, - განაგრძობდა სკალე-პერი, — ახლა კი დავბერდი და საკუთარი რწყილების გარდა, ვერავის ვუმკლავდები, მაგრამ მაშინ... ჰო-ჰო!

რონიას, რასაკვირველია, ძალზე ეცოდებოდა სკალე-პერი, რომელიც ასე დაბერდა და დაჩაჩანაკდა, მაგრამ ის კი ვერ გაეგო, რატომ უნდა დასხმოდნენ თავს ჯარისკაცები ან ხიფათის მაძიებლები და რატომ უნდა აეტეხათ ბრძოლა მგლის კართან. ეს ძალზე უცნაურად ეჩვენებოდა გოგოს, მაგრამ ისე ეძინებოდა, ფიქრის თავი აღარ ჰქონდა. რონია თავის საწოლში ჩაგორდა და ნახევრად მძინარე ელოდებოდა, როდის უმღერებდა დედა მგლის სიმღერას. ლუვისი

სწორედ მაშინ იწყებდა სიმღერას, როდესაც ბუხართან გემრიელად მოკალათებული ყაჩაღები თავ-თავიანთ ოთახებში უნდა გაკრფილიყვნენ. სვეტებიან დარბაზში მხოლოდ მატისს, ლუვისსა და რონიას ეძინათ. გოგოს ძაღზე უყვარდა ძილის წინ დედის სიმღერის მოსმენა და თან იმის ყურება, თუ როგორ წითლად ღუდღუდებდა ბუხარში ნალვერდალი. რაც თავი ახსოვს, ყოველ საღამოს უმღეროდა დედა მგლის სიმღერას და რონიასათვის ეს ყოველთვის ერთსა და იმავეს ნიშნავდა: ძილის დროა! სანამ თვალები დაეხუჭებოდა, რონია ამის გაფიქრებასლა ასწრებდა: “ხვალ დილაადრიან წამოვხტები!”

და, მართლაც, ყოველ დილით უთენია იღვიძებდა და იმის მიუხედავად, კარგი ამინდი იყო თუ ცუდი, ტყეში გარბოდა, ლუვისი ტყავის ჩანთაში ბოთლით რძეს ჩაუდგამდა, პურს ჩაუდებდა და დაარიგებდა:

— ჭექა-ქუხილის ბავშვი ხარ, ვიტრების ღამის ბავშვი, ასეთები ყოველთვის ველურები კი გამოდიან, მაგრამ მაინც ფრთხილად იყავი, ვიტრებმა არ გაგიტაცონ!



რონიას ბევრჯერ ენახა ველური ვიტრები, საზარელი ყივილით რომ გადაუფრენდნენ ხოლმე ტყეს. როგორც კი თვალს მოჰკრავდა, გონა მაშინვე იმალებოდა. მატისის ტყეში ვიტრები ყველაზე საშიშნი

არიან და თუ სიცოცხლე რამედ გიღირს, ფრთხილად უნდა იყო, - ასე არიგებდა მატისი გოგოს. სწორედ ვიტრების შიშით ჰყავდა თავისი შვილი ციხე-კოშკში ამდენ ხანს გამოკეტილი. მშვენიერნი, ანცები და ბორბოტი იყვნენ ვიტრები. ცივი, ავი თვალებით დაეძებდნენ ტყეში მსხვერპლს, რომ შემდეგ თავიანთი ქვასავით ნისკარტით დაეკორტნათ და ბასრი ბრჭყალებით დაეგლიჯათ.

მაგრამ ახლა რონიას არც ვიტრები აშინებდნენ. იგი ისევ მხიარულად და ბედნიერად ცხოვრობდა ტყეში და ყველაფერს უდიდესი ინტერესით აკვირდებოდა, უთავბოლოდ დაბორილობდა და მარტოდმარტოც მშვენივრად გრძნობდა თავს. დიახ, რონია მარტო იყო, თუმცა ან ვინ უნდა მონატრებოდა?!



მხიარულმა, სიცოცხლოთ სავსე, ბედნიერმა დღეებმა სწრაფად გაირბინეს, ზაფხული დასრულდა და შემოდგომაც დადგა. ველური ვიტრები ყველაზე გიჟები და საშიშნი შემოდგომაზე არიან. ერთ მშვენიერ დღესაც რონიას დაედევნენ და გოგო მიხვდა, რომ ნამდვილ ხიფათს გადაეყარა. რონიამ ტყის ყველა სამალავი იცოდა, მაგრამ ვიტრები კვალდაკვალ მისდევდნენ და გაჰკიოდნენ:

— ჰო, ჰო, მშვენიერო ადამიანო! სისხლი ნაკადულეზად წამოვა!  
ჰო, ჰო!

რონია მწყალში ისკუპა, ჩაყვინთა და მეორე ნაპირისკენ გასცურა, მერე ფრთხილად ამოძვრა წყლიდან და უზარმაზარი ხის ტოტებქვეშ მიიმალა, ტოტები მიწას უწევდა და მშვენიერ საფარს უქმნიდა გოგოს, ვიტრები აქეთ-იქით აწყდებოდნენ და გაჰკიოდნენ

— სად არის პატარა ადამიანი, სად არის, სად არის, ახლავე გამოდი, რომ დაგკორტნოთ და დაგგლიჯოთ-სისხლი ნაკადულეზად უნდა მოედინებოდეს! ჰო-ჰო-ჰო!

რონია გატრუნული იჯდა თავის საფარში, ვიდრე ვიტრები ხეების კენწეროების იქით არ გაუჩინარდნენ. ტყეში დარჩენის სურვილი ნამდვილად აღარ ჰქონდა გოგოს, მაგრამ შინ რა უნდა ეკეთებინა?! საღამომდე დიდი დრო იყო, მგლის სიმღერამდე- კიდევ უფრო დიდი დრო. რა უნდა ექნა? რონია გადაწყვიტა, დიდი ხნის ჩანაფიქრი განეხორციელებინა-სახურავზე ამძვრალიყო და ფრთხილად ყოფილიყო, ეშმაკის ყბაში არ მოედინა ზღართან.

ასეც მოიქცა! ამაზე უკეთესს ვერ მოიფიქრებდა- რონია გადაწყვიტა, ტყეს გარიდებოდა, ვიდრე ველური ვიტრები არ მიწყნარდებოდნენ.

სახურავზე ბევრჯერ იყო ნამყოფი, მაგრამ საშიშ ნაპრალის კიდესთან ასე ახლო არასოდეს მისულა. რონია მუცელზე გაწვა, ნაპრალის კიდესთან მიხობდა და უფსკრულში ჩაიხედა. ის, რაც დაინახა, ბევრად უფრო საშიში აღმოჩნდა, ვიდრე წარმოედგინა.

რონია პატარა ქვა აიღო და ნაპრალში ჩააგდო, კარგა ხანი გავიდა, ვიდრე დაცემის ხმას გაიგებდა. ხმა ძალიან შორიდან და ყრუდ მოისმა. ეს ნაპრალი ისეთი ღრმაა, ადამიანი, მართლაც, ფრთხილად უნდა იყოს, -დაასკვნა რონია. მაგრამ ნაპრალი არც ისე განიერი იყო და ციხის ნაწილები დიდად არ დაშორებოდა ერთმანეთს. ერთი კარგი ნახტომით კი გადაფრინდებოდი მეორე მხარეს, მაგრამ ვინ იყო ისეთი სულელი, რომ გადახტომა ეცადა? იქნებ კიდევ ერთხელ წაევარჯიშა სიფრთხილესა და შიშის დაძლევაში? თან ისე, რომ უფსკრულში არ ჩაეხედა. რონია კიდევ



ერთხელ გააპარა უფსკრულისკენ თვალი.უჰ, რა ღრმაა! შემდეგ გარშემო მიმოიხედა, რომ ნახტომისათვის საუკეთესო ადგილი შეერჩია, რა თქმა უნდა, გაქანდება და გადახტება, მაგრამ, ვიდრე განზრახვას სისრულეში მოიყვანდა, ისეთი რამ დაინახა, რომ გაცლებისგან კინალამ ეშმაკის ყბაში მოადინა ზღართანი.

ნაპრაღის მეორე მხარეს ვიღაცა იჯდა, დაახლოებით ისეთივე და იმავე ზომისა, როგორც თვითონ იყო და უდარდელად აქნევდა ეშმაკის ყბაში ჩაკიდებულ ფეხებს.

რონიამ, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ მსოფლიოში ერთადერთი ბავშვი არ იყო. მხოლოდ მატისის ციხესა და მატისის ტყეში იყო იგი ერთადერთი. ლუვისი ხშირად მოუთხრობდა, ქვეყნად ორნაირი ბავშვები არსებობენო, ისეთები, რომლებიც გაიზრდებოდნენ და მატისისნაირები გახდებოდნენ და ისეთები, რომლებიც ლუვისის მსგავსნი შეიქნებოდნენ. რონიამ იცოდა, რომ თავად ლუვისისნაირი გახდებოდა, ახლა კი იმასაც მიხვდა, რომ ის, ვინც ნაპრაღის მეორე მხარეს იჯდა და ფეხებს აქნევდა, აუცილებლად მატისისნაირი გაიზრდებოდა.

უცნობი ჯერჯერობით ვერ ამჩნევდა რონიას. გოგო კი იდგა, დაკვირვებით ათვალიერებდა, თან ჩუმად იცინოდა, უხაროდა, რომ ის ამქვეყნად არსებობდა.

### III

უცნობმა რონია შეამჩნია და სიცილი აუტყდა.

—ჰეი, ვიცი, ვინცა ხარ! - დაუძახა მან, - ყაჩაღის ასული ხარ, ტყეში რომ დანავარდობ ხოლმე, ერთხელ შორიდან დაგინახე.

—შენ ვინღა ხარ? - დაინტერესდა რონია, - და აქ საიდან გაჩნდი?

— მე ბირკი ვარ, ბორკას ვაჟი და აქ ვცხოვრობ, ჩვენ ციხეში ღამით შემოვსახლდით.

რონია გაოცებული მიაშტერდა ბიჭს.

— ვინ თქვენ?

— ბორკა, უნდისი, მე და ჩვენი თორმეტი ყაჩალი.

რონიას კარგა ხანი დასჭირდა, ვიდრე გონს მოეგებოდა და ბირკის უცნაურ სიტყვებს გაიაზრებდა. ბოლოს ამოილულლულა:

— ესე იგი, შენ ამბობ, რომ ციხე-კოშკის მთელი ჩრდილო ნაწილი არამზადებითაა სავსე?

ბიჭმა გაიცინა.

— რა თქმა უნდა, არა, ჩრდილო ნაწილში ბორკას კეთილშობილი ყაჩაღები ცხოვრობენ; შენი მხარე კი გაიძვერებით და არამზადებითაა დასახლებული.

რონიამ იგრძნო, სიბრაზისგან როგორ აცახცახდა, მაგრამ ჯერ სადა ხარ, უარესის გაგონებაც მოუწევდა.

— და, სხვათა შორის, არავითარი ჩრდილო ნაწილი აღარ არსებობს - განაგრძო ბირკიმ, კეთილი ინებე და დაიმახსოვრე, რომ დღეიდან ამ მხარეს ბორკას ბუნაგი ეწოდება!

რონიას მრისხანებისგან თავბრუ დაეხვა, ბორკას ბუნაგი! ეს რა ესმის! შეიძლება, ადამიანს გული გაუსკდეს! ო, რა უსინდისო გაიძვერები არიან ბორკას ყაჩაღები და ეს პატარა არამზადა უდარდელად რომ ზის ნაპრალის პირას და იკრიჭება, ერთ-ერთი იმათთაგანია!

— რისხვა და სიკვდილი! - დაიყვირა გამხეცებულმა რონიამ. -- ჯერ დაიცადეთ! მალე მათისი გაიგებს ამ ამბავს და მერე ნახავ, შენი ძვირფასი ბორკას ყაჩაღები სულ პანტა-პუნტით გაჰყვებიან ჩიბუხის კვამლს!

— ეს შენ გგონია ასე, - წყნარად მიუგო ბირკმა, მაგრამ რონია მათისზე ფიქრობდა და სულ უფრო და უფრო ერეოდა ბრაზი. გოგოს ნანახი ჰყავდა განრისხებული მამა და იცოდა, ეს რასაც ნიშნავდა. ალბათ, ამჯერად, მათისის ციხეს კიდევ ერთხელ დაატყდება თავს

ყაჩაღთა მეთაურის რისხვა; ეს რომ გაიფიქრა, რონია მსიმწრისგან დაიყმუვლა.

— რა გჭირს? - გამოსძახა ბირკმა მეორე მხრიდან. — ცუდადა ხარ?

რონია არ უპასუხა. კმარა. ბევრი სისულელე და თავხედური პასუხი მოისმინა, არა, ახლა რაღაც უნდა მოიმოქმედოს. მატისი და მისი ყაჩაღები საცაა სახლში დაბრუნდებიან და მაშინ კი დადგება რისხვისა და სიკვდილის ჟამი! ბორკას ყველა საქულველ ყაჩაღს ისე მოისვრიან ციხე-კოშკიდან, რომ თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებენ. რონია შეტრიალდა და წასვლა დააპირა, მაგრამ უცებ თვალი მოჰკრა ბირკს, რომელიც ეშმაკის ყბაზე გადასახტომად ემზადებოდა! ბიჭი რონიას პირდაპირ იდგა, წამიც და ნაპრალისკენ გამოიქცეოდა. გაავებულმა რონიამ დაუყვირა:

— აბა, გაბედე და აქეთ გადმოხტი! ერთს ისეთს გთხლიშავ მაგ საზიზღარ სიფათში, რომ ცხვირი მოგძვრეს!

— ჰა-ჰა-ჰა! - უპასუხა ბირკმა და ეშმაკის ყბას გადმოაფრინდა, - აბა, შენც გადახტი, თუ შეგიძლია, - დაუმატა იქედნური ღიმილით.

ეს კი ნამდვილად არ უნდა ეთქვა, რადგან რონიას გული ამას უკვე ვეღარ აიტანდა, ისიც კმაროდა, რომ ბორკას ყაჩაღებმა ციხეში ბუნაგი მოიწყეს და ეხლა ეს ცინგლიანი ბიჭი ისეთი ნახტომისათვის ემზადებოდა, რომ მატისის ყაჩაღს ვერ უნდა გაემეორებინა?!

და რონია ნაპრალის თავს გადაეველო, თვითონაც არ იცოდა, როგორ, მაგრამ უცებ ისკუპა, ეშმაკის ყბას გადააფრინდა და მეორე მხარეს აღმოჩნდა.

— არც ისე უშნო ყოფილხარ-დაუძახა ბირკმა და ისევ ისკუპა მაგრამ ამჯერად რონია არ დაელოდა, როდის დახტებოდა ბირკი მის გვერდით და თვითონაც გადააფრინდა ნაპრალს. იდგეს ახლა ბირკი და უყუროს რამდენიც უნდა,

— მგონი შენ აპირებდი ჩემთვის ცხვირის მოგლეჯას, არა? - ეშმაკურად შეეკითხა ბიჭი. ერთი შეჰყვირა, - დამელოდე, მოვექრივარო, და მართლაც გადმოხტა, მაგრამ რონია ამჯერადაც არ და-

ელოდა ბირკს და თვითონაც ისკუპა, თუ საჭირო იქნება, უკანას-  
კნელ ამოსუნთქვამდე იხტუნავენ, ოღონდ ამ საზიზღარ ბიჭს თავი  
დააღწიოს!

ამის შემდეგ ხმა არცერთს აღარ ამოუღია გაცხარებულები და გა-  
ავებულები დახტოდნენ წინ და უკან ეშმაკის ყბის თავზე. აღარც სი-  
ცილის თავი ჰქონდათ, აღარც ლაპარაკისა. დროდადრო მხოლოდ  
ნაპრალის პირიდან მოწყვეტილი კენჭების ხმაური ისმოდა. ისეთი  
სამარისებური, ავისმომასწავებელი სიჩუმე ჩამოწოლილიყო, გეგო-  
ნებოდათ, მთელი მატისის ციხე-დარბაზი გატრუნულა და რაღაც  
საშინელების მოლოდინში სუნთქვა შეჰკვრიათ.

„რა თქმა უნდა, მალე ორივენი ეშმაკის ყბაში მოვადნებ  
ზღართანს-გაიფიქრა რონია. ეს, ალბათ, ერთადერთი  
გამოსავალი იქნება ამ დაძაბულობიდან

ამ ფიქრში იყო იყო გოგო, რომ ბირკი ნაპრალს გადმოაფრინდა  
და რონიაც საპასუხო ნახტომისათვის მოემზადა. უკვე აღარ იცოდა,  
მერამდენედ ხტებოდა, რა ხანია, სათვალავი არეოდა. ისეთი  
გრძნობა ჰქონდა, თითქოს მთელი ცხოვრება სხვა არაფერი  
უკეთებია, ეშმაკის ყბაზე ხტომის გარდა, ბორკას პატარა არამზადა  
ყაჩაღისაგან თავი რომ დაეხსნა.

უცებ რონია დაინახა, როგორ დახტა ბირკი ნაპრალის პირას,  
უფრო სწორად იმ ქვაზე, რომელიც ნაპრალის პირას ეგდო. ქვა მო-  
ყანყალდა, ბიჭმა წონასწორობა დაკარგა და ყვირილით გადაეშვა  
ეშმაკის ყბაში.

ირგვლივ მხოლოდ ყვავების ჩხავილი ისმოდა. რონია თვალე-  
ბი დახუჭა და ინატრა, ნეტა, ეს დღე არ გათენებულიყო, ქვეყნად  
ბირკიც არ დაბადებულიყო და არც არასოდეს ეხტუნავათ ნაპრალის  
თავზე. გოგო მუცელზე გაწვა და ფრთხილად მიხობდა ნაპრალთან,

ჩაიხედა ძირს და... ბირკი დაინახა. ბირკი პატარა შვერილზე  
იდგა, ზუსტად რონიას ქვემოთ, გახეთქილი კედლიდან ქვა, მორი თუ  
რაღაც ამდაგვარი იყო გამოშვერილი, და ბირკსაც, როგორღაც, ზედ  
ფეხი მოეკიდებინა. იდგა საზარელი ეშმაკის ყბის თავზე და, შიშისა-  
გან დაბაფრული, საყრდენს ეძებდა, თავი რომ შეემავრებინა



და საშინელ უფსკრულში არ გადაჩეხილიყო, ბავშვები კარგად ხვდებოდნენ, რომ ვინმეს დაუხმარებლად, ბირკი ეშმაკის ყბიდან

ვერ ამოძვრებოდა. იდგებოდა და იდგებოდა ქვაზე მანამ, სანამ ძალა ეყოფოდა და მერე... მერე ბორკას ძე ბირკი ამქვეყნად აღარ იქნებოდა.

— ასე იდექი... არ გაინძრე! — ჩასძახა რონიამ.

— სხვა საქმე მაინც არაფერი მაქვს! - იქედნურად უპასუხა ბირკმა. ასე კი უპასუხა, მაგრამ იგრძნობოდა, რომ ბიჭი შეშინებული იყო:

რონიამ შეიხსნა ტყავის ღვედი, რომელიც მუდამ ქამარზე ჰქონდა ჩამაგრებული და ბევრჯერაც გამოსდგომია ტყეში აქეთ-იქით ძრომიალისა თუ ფორთხვისას; ღვედის ერთ ბოლოზე დიდი ყულფი გააკეთა, მეორე ბოლო კი წელზე შემოირტყა და მაგრად ჩანასკვა. მერე ყულფიანი ბოლო ბირკს გადაუგდო.

რონიამ დაინახა, როგორ გაუბრწყინდა ბიჭს თვალები, ღვედი რომ მის თავზემოთ გაჩერდა, — ბორკის ამ ცინგლიანი ყაჩაღის ბედზე ღვედი საკმარისი სიგრძისაა, — თავისთვის თქვა რონიამ და ბირკს ჩასძახა:

— ეცადე, ყულფი წელზე შემოიჭირო! შემდეგ კი შეგიძლია, ამოცოცებაც დაიწყო, ოღონდ ჩემს დაძახებას დაელოდე! დაელოდე, გაიგე?

მეხმა, რომელიც მისი დაბადების ღამეს ჩამოვარდა, უზარმაზარი ლოდი მოგლიჯა კედელს. ეს ლოდი ნაპრალიდან ოდნავ მოშორებით ეგდო. რონია ლოდის უკან დაწვა და იყვირა:

— აბა, ჰე!- ამოძვერი.

და იმ წამსვე იგრძნო როგორ შემოეჭირა ღვედი მუცელზე. ო! როგორ სტკიოდა! ბირკი მოცოცავდა, ღვედი დაჭიმული იყო და რონია ტკივილისაგან კვნესოდა. ცოტაც და მეც მათისის ციხე-კოშკით ორად გავიხლიჩებო, ფიქრობდა გოგო.

რონია ტუჩებს იკვნეტდა, რომ ტკივილისაგან არ დაეყვირა. უცებ ღვედი მოეშვა და, თავს მომღიმარი ბირკი წაადგა.

რონია ისევ გაუნძრევლად იწვა და ამოწმებდა, სუნთქვა შეეძლო თუ არა.

— აჰა! შენ თურმე აქ წევხარ! - უთხრა ბირკმა, ისე, რომ მისთვის თვალი არ მოუშორებია.

— დიახაც, ვწევარ, - უპასუხა რონიამ. - იჯერე გული ხტუნაობით?

— არა, ერთხელ კიდევ უნდა გადავხტე, ბორკას ბუნაგში ხომ უნდა დავბრუნდე!

— ჯერ ჩემი ღვედი შეიხსენი, - უბრძანა რონიამ და ფეხზე წამოდგა, — სულაც არ მინდა, შენთან რაიმე მაკავშირებდეს!

ბირკმა ღვედი შეიხსნა.

— მშვენივრად მესმის შენი, — უპასუხა მან, - მაგრამ ყოველივე იმის შემდეგ რაც მოხდა, ღვედის გარეშეც დაკავშირებული ვარ შენთან.

— აღარ შემიძლია შენი ატანა, - აყვირდა რონია, - ჩიბუხის კვამლს გაჰყევით შენც და შენი საზიზღარი ბორკას ყაჩაღებიც და ცხვირში ერთი გემრიელი მუშტი უთავაზა ბიჭს. ბირკი წაიქცა.



— იცოდე, სხვა დროს აღარ გაბედო ასეთი რამ! — დაუყვირა ბიჭმა, მაგრამ წელან შენ კეთილი და კარგი გოგო იყავი, სიკვდილს გადამარჩინე, ამისათვის მადლობელი ვარ, - დასძინა დამშვიდებულმა.

— ჩიბუხის კვამლს გაჰყევი-მეთქი, არ გესმის? - შეუღრინა რონიამ, შეტრიალდა და უკანმოუხედავად გაიქცა, მაგრამ სწორედ მაშინ, როცა მატისის ციხეში ჩამავალ ქვის კიბეს მიადგა, ბირკის ყვირილი შემოესმა.

— ჰეი! ყაჩაღის ასულო! კიდევ შევხვდებით ერთმანეთს!

რონია მოტრიალდა და დაინახა, როგორ გაექანა ბირკი ნაპრალებზე გადასახტომად.

— იმედი მაქვს, ისევ შიგ მოადენ ზღართანს, არამზადავ!— მიაძახა რონიამ.

შინ დაბრუნებისას, მისმა მონათხრობმა გაცილებით დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია, ვიდრე გოგოს წარმოედგინა. მატისი ისე განრისხდა, რომ მისი მამაცი ყაჩაღებიც კი შიშმა აიტანა. თავიდან რონიას არავინ დაუჯერა, ხოლო მატისი პირველად, თავის სიცოცხლეში, გაუბრაზდა შვილს:

— ხანდახან ხუმრობა და პატარა ტყუილი სახალისოცაა, მაგრამ ასეთი სისულელე საიდან მოიტანე? -ყვიროდა იგი.

— ბორკას ყაჩაღები მატისის ციხეში?!— დაუჯერებელია, როგორ მოიფიქრე ასეთი უაზრო სიცრუე, —ლამის ძარღვებში სისხლი ამიდულდეს, მიუხედავად იმისა, კარგად ვიცი, ტყუი...

— არ ვტყუი— მტკიცედ მიუგო რონიამ და ისევ შეეცადა ბირკის მონაყოლი სიტყვასიტყვით გადაეცა.

— ტყუი-აყვირდა მატისი - დავიწყოთ იმით, რომ არავითარი ბიჭი არა ჰყავს. მას შვილი საერთოდ არ უჩნდება. ასე იყო აქამდე და ასეა დღესაც!

ყაჩაღები გატრუნულნი ისხდნენ და ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ. ბოლოს ფიოსიკმა შეებედა მეთაურს და ამოილუილლულა:

—მე მგონი, ბორკას მართლაც ჰყავს ბიჭი, რომელიც შიშითა და წვალებით იმ ღამეს გააჩინა, უნდისმა, როცა მეხი ჩამოვარდა. ხომ გახსოვს, ზუსტად მაშინ, როცა ჩვენი რონია დაიბადა!

გაოცებისგან თვალეზღაფეტილი მატისი ყაჩაღს მიაჩერდა:



— და დღემდე არავის შეუწუხებია თავი, რომ ეს ამბავი ჩემთვის მოეთხრო. კიდევ რას მიმალავთ, ეშმაკმა დალახვროს? გაცოფებული მატისი დარბაზის კედლებს აწყდებოდა და სიმწრისაგან ღმუ-ოდა. მერე დასტაცა ხელი ორ უზარმაზარ ლუდის კათხას და კედელს ისე მიანარცხა, რომ მთელი ოთახი მოიწუწა.

— და ახლა ბორკას გველის წიწილი მატისის ციხის სახურავზე დასეირნობს და შენ, რონია, იმას ელაპარაკე?!

— უფრო სწორად, ის მელაპარაკა! - შეუსწორა გოგონამ.

მატისმა ისევ დაიღმუვლა, გაშლილი სუფრიდან ხორციანი ლან-გარი აიტაცა და ახლა ის მიახეთქა კედელს. ხორცი იატაკზე გაიფან-ტა.

— და გველის წიწილმა გითხრა, რომ ძალღიშვილი მამამისი და მთელი არამზადების ბანდა ციხის ჩრდილო ნაწილში დასახლდნენ? რონიას მართლა ეშინოდა, მატისი მეტის მოსმენას ვერ გაუძლებს და ბოღმისაგან გული გაუსკდებაო, მაგრამ, რადგანაც მთელი ქვეყ-ნის ბოღმა და ბრაზი იყო საჭირო ბორკას ყაჩაღების ციხიდან გასაყ-რელად, გოგომ განაგრძო:

— დიახაც, და ახლა ჩრდილო ნაწილს ბორკას ბუნაგი ჰქვია, კე-თილი ინებე და დაიმახსოვრე.

მატისმა ღმუილით ახლა წვნიანით სავსე ქვაბი აიტაცა, ცეცხლის თავზე რომ ეკიდა და კედელს შეანარცხა, წვნიანი იატაკზე დაიქცა.

ლუვისი აქამდე ჩუმად იჯდა, მხოლოდ ისმენდა. ბოლოს ისიც გაბრაზდა. აიღო კვერცხებით სავსე კალათი, რომელიც ცოტა ხნის წინ საქათმიდან ამოეტანა, მატისს მიადგა და უთხრა:

—აჰა, გამომართვი, ოღონდ, იცოდე, დარბაზს თავად დაასუფ-თავებ.

მატისი თითო-თითო კვერცხს იღებდა და ველური ღმუილით კედლებს ესროდა; დარბაზი დამტვრეული კვერცხებით მოითხვარა.

—ყოველთვის ვამბობდი, საიმედოდ ვართ, როგორც მელია სო-როში და არწივი კლდის წვერზე-მეთქი, და ახლა...- დაიწყო მატის-მა.

გაშმაგებული ყაჩაღთა მეთაური იატაკზე დაენარცხა და იქამდე მოთქვამდა და ღრიალებდა, ვიდრე ლუვისს მოთმინების ფიალა არ აევსო.

— ახლა უკვე კმარა! მეტისმეტია! - შეუტია მან ქმარს, - როცა ტილები დაგესევა, ძირს გდება და მოთქმა-გოდება არაფერს გიშველის! უნდა გაიყრევიანო! ახლაც ადექი და რამე მოიფიქრე!

მშიერი ყაჩაღები მაგიდას შემოუსხდნენ. ლუვისმა იატაკიდან შემწვარი ხორცი აიღო და გაასუფთავა.

— ეს ხორცი მხოლოდ ცოტათი დარბილდა, - თქვა მანდა ყაჩაღებისთვის სქელ-სქელი ნაჭრების ჩამოთლა დაიწყო.

მატისი ფეხზე წამოდგა და მაგიდასთან თავისი ადგილი დაიკავა. იჯდა და არაფერს ჭამდა, გაბურძენული თავი ხელებში ჩაერგო და დროდადრო ისე ოხრავდა, რომ მთელ სვეტებიან დარბაზს აზანზარებდა.

მაშინ რონია მამასთან მივიდა და ლოყა ლოყაზე მიადო.

— ნუ დარდობ! - უთხრა მატისს, - მოვისროლოთ ჩვენი ციხიდან ეგ არამზადების ბანდა!

— ეს არც ისე ადვილი იქნება, - მძიმედ ამოიოხრა ყაჩაღთა მეთაურმა.

კისერზე ხელები მოხვია.

მთელი საღამო ცეცხლის წინ იჯდა მატისი და დაძაბული ფიქრობდა, თუ როგორ მოეშორებინა თავიდან ბორკა და მისი ყაჩაღები. კარგად იცოდა, როგორ იშორებენ ადამიანები ტილებს, მაგრამ როგორ გაეყარა ციხეში ასე საფუძვლიანად დამკვიდრებული მოსისხლე მტრები, ვერაფრით მოეფიქრებინა. უპირველეს ყოვლისა, მატისს ის უნდა გამოერკვია, როგორ მოახერხეს ბორკას გაიძვერა და საზიზღარმა ყაჩაღებმა მის ციხეში შეპარვა. ყველას, ვინც ფეხით ან ცხენით მატისის ციხისკენ მიდიოდა, მგლის კარზე უნდა გაეველო, სადაც დღისით და ღამით გუშაგი ფხიზლობდა. საოცარი იყო პირდაპირ, ისე როგორ შეიძურწნენ ციხეში მათი მოსისხლე მტრები, რომ ვერავინ დაინახა.

— აბა შენ რა გეგონა, მატის, არამზადები მგლის კარზე გამოივლიდნენ და მოწიწებით შეგეკითხებოდნენ, ო, დიდებულო ყაჩაღთა ბელადო, შეიძლება თქვენს ციხე-კოშკში შემოვსახლდეთო? - ჩაიხითხითა სკალე-პერმა.

— სკალე-პერ, რაკი ამქვეყნად ყველაფერი იცი, ისიც მითხარი, რომელი გზით შემოვიდნენ ციხეში, - შეუღრინა მოხუცს მატისმა. - ყოველ შემთხვევაში, არც მგლის კარით და არც დიდი ჭიშკრით, - უპასუხა სკალე-პერმა, - ალბათ ჩრდილოეთიდან შემოძვრნენ, იქ ჩვენ არასოდეს გვიყენია გუშაგი.

— ან კი რატომ უნდა გვეყენოს? - აღშფოთდა მატისი.

— იმ მხრიდან ციხეს კარები არა აქვს და კლდეც ისეთი ციცაბოა, ვერცერთი სულიერი ზედ ვერ აცოცდება! რა, ბუმბები ხომ არ არიან ის არამზადები, კედელზე სიარული დაიწყონ და მერე სათოფურებიდან შიგნით შეძვრნენ!

უცებ, თითქოს რაღაც გაახსენდაო, მატისი რონიას მიაშტერდა.

— შენ რაღას აკეთებდი სახურავზე?

— ვფრთხილობდი, რომ ეშმაკის ყბაში არ ჩავვარდნილიყავი, - უპასუხა გოგომ.

ახლა კი ნანობდა რონია, რომ ბირკს უფრო დაწვრილებით არ გამოჰკითხა ყველაფერი. იქნებ ისიც შეეტყო, თუ როგორ შემოაღწიეს ბორკას ყაჩაღებმა ციხეში ჩრდილოეთის მხრიდან. მაგრამ ახლა ამაზე ფიქრსა და სინანულს აზრი აღარა ჰქონდა.

მატისმა ლამის დარაჯები, მგლის კარის გარდა, სახურავზეც დააყენა.

— ბორკას სითავხედეს საზღვარი არა აქვს, - გამოაცხადა მან, - ასე თუ გაგრძელდა, ერთხელაც ველური ხარივით ნაპრალს გადმოაფრინდება და ჩვენი საკუთარი ციხე-კოშკიდან გაძევებას დაგვიპირებს.

მატისმა თავისი ლუდის კათხა აიღო და კედელს მიახეთქა

— ლუვის- გასძახა მატისმა ცოლს, ვერ ვიძინებ, ისე ვწვები! თავი უნდა ვიმტვირო და დილისათვის რამე მოვიფიქრო! არავინ გაბედოს ჩემი შეწუხება.

რონიაც მთელი საღამო თვალედაჭყეტილი იწვა. მოულოდნელად ყველაფერი უსამართლოდ მოეჩვენა და გული ეტკინა. რატომ უნდა ყოფილიყო ასე? ბირკი! როგორ გაუხარდა, პირველად რომ დაინახა. რა საწყენია! ძლივს შეხვდა თანატოლს, და ისიც ბორკას არამზადა ყაჩაღი აღმოჩნდა.

#### IV

მეორე დილით ადრე გაელვოდა. მატისი უკვე მაგიდას უჯდა და ფაფას მიირთმევდა. უმაღლეს ჭამდა ყაჩაღთა მეთაური, კოვზი ტუჩებთან მიჰქონდა. პირში ჩადება კი ავიწყდებოდა. ფაფიანი თეფში თითქმის ხელუხლებელი იდგა მაგიდაზე. მატისს კიდევ უფრო გაუფუჭდა ხასიათი, როდესაც ლილ-კლიპა, რომელიც სახურავზე გუშაგად იდგა სტუკასთან და თიგესთან ერთად, სვეტებიან დარბაზში შემოვარდა და აყვირდა:

— ბორკა გელოდება, მატის! ეშმაკის ყბის მეორე მხარეს დგას და დაუყოვნებლად შენთან ლაპარაკს ითხოვს!

ლილ-კლიპამ სიტყვა დაამთავრა თუ არა, მაშინვე გვერდზე გადახტა. ეს მეტად ბრძნული საქციელი იყო, რადგანაც იმავე წამს მატისის ფაფით სავსე თეფშმა ყურთან ჩაუწეილა, კედელს მიენარცხა და ფაფა აქეთ-იქეთ მიმოიფრექვა.

— შენ თვითონ დაასუფთავებ! - შეახსენა ლუვისმა, მაგრამ მატისის ცოლის სიტყვები არც კი გაუგონია.

— აჰა! ბორკას ჩემთან ლაპარაკი სურს! რისხვა და სიკვდილი! ძალიანაც კარგი, გავესაუბრები და კარგა ხნით, თუ სამუდამოდ არა, დავუკარგავ ლაპარაკის ხალისს, — დაიღრიალა მატისმა და გაცოფებულმა კბილები დააღრჭიალა.

მატისის ყაჩაღები თავ-თავიანთი საწოლი ოთახებიდან გამოცვივდნენ და სვეტებიან დარბაზში შემოიძურწნენ. ყველას აინტერებდა, რაში იყო საქმე.

— ისაუბმეთ! - ბრძანა მატისმა, - შემდეგ ველური ხარი რქებით დავითროთ და ეშმაკის ყბაში გადავუძახოთ!

რონია ჩაცმული შემოვიდა დარბაზში, ჩაცმისთვის დიდი დრო არ დასჭირვებოდა: პერანგზე ტყავის კაბა გადაეცვა და ფეხებზე წინდები ამოეცვა. თოვლის მოსვლამდე მხოლოდ წინდების ამარა დაიარებოდა და ეს, მსგავს სიტუაციებში, არც თუ ისე ცუდი ჩვევა გახლდათ. ჩექმებისა და ფეხსაცმელების ჩაცმაზე დროს არ კარგავდა, როცა, დღევანდელივით, სადღაც მიეჩქარებოდა

ჩვეულებრივი დღე რომ ყოფილიყო, რონია უმაღლეს ტყის გზას დაადგებოდა, მაგრამ ახლა ისიც სხვებთან ერთად სახურავზე აპირებდა ასვლას, რათა ყველაფერი საკუთარი თვალით ენახა.

მატისი თავის ყაჩაღებს დარიგებებს აძლევდა, თუმცა ისინი გამალებულნი მიირთმევდნენ ფაფას. შემდეგ ყველა, ლუვისისა და რონიას ჩათვლით, ქვის კიბეს სახურავისკენ აუყვავ. მხოლოდ სკალე-პერი დარჩა მაგიდასთან. იჯდა მარტოდმარტო და ჩიოდა:

— ძალიან ბევრი კიბეა ამ სახლში, ჩემი ბებერი ფეხებისათვის ეს ნამდვილად მეტისმეტია.

ცივი, ნათელი დილა იდგა. მზის პირველი სხივები მატისის ციხეს გარშემორტყმულ უღრან ტყეს დასციმციმებდნენ. რონია სახურავიდან გადაჰყურებდა არემარეს. იქ, თავის საყვარელ ტყეში უნდოდა ყოფნა, თავის მყუდრო, მწვანე სამყაროში. აბა რა მოსაწონი იყო ეშმაკის ყბასთან დგომა, სადაც მატისი და ბორკა თავიანთი ყაჩაღების თანხლებით პირისპირ იდგნენ და გაავებულნი მიშტერებოდნენ ერთმანეთს, შუაში კი ნაპრაღს ბოროტად დაელო პირი.

— აი, თურმე როგორია გაიძვერა ბორკა, - გაიფიქრა რონიამ. ჩაფსკვნილი და ძვალმსხვილი ყაჩაღი მთასავით იდგა თავისი ამფსონების წინ. არა, მატისთან შედარებით, მაღალი და ლამაზი ნამდვილად არ ეთქმოდა, მაგრამ ძლიერი კი უნდა ყოფილიყო, ამას ვერ წაართმევდი. ხუჭუჭა, წითური ბირკიც იქვე იდგა და, ეტყობოდა, ამ

წარმოდგენით ძალიან კმაყოფილი იყო. ბირკმა ჩუმად ხელიც კი დაუქნია, თითქოს ძველი მეგობრები ყოფილიყვნენ. ჰმ! ეგ ქურდბაცაცა ძალი, ეგა!

— ძალიან კარგია, მატის, რომ ასე სასწრაფოდ გამოცხდდი! - დაუძახა ბორკამ.

გაცეცხლებულმა მატისმა მრისხანედ გახედა მტერს.

— აქამდეც უნდა მოვსულიყავი, - მიუგო მან, - მაგრამ ჯერ ერთი საქმე უნდა მომეგვარებინა.

— რა საქმე? — გულწრფელად გაოცდა ბორკა.

— დილიდან ლექსს ვწერდი: „სამგლოვიარო სიმღერა დახოცილი ბორკას ყაჩაღებისათვის“, -- ასე ჰქვია ჩემს ლექსს, უნდისს, ალბათ, ხშირად მოუწევს ამის წაკითხვა, მაშინ განსაკუთრებით, როცა დაქვრივდება.

ბორკას ეგონა, მატისი გაუთავებლად ილაპარაკებს და ირატრატებს, ჩხუბს კი არ წამოიწყებსო, მაგრამ შეცდა. ამის მიხედვით და ყაჩაღის გაცეცხლება ერთი იყო.



—შენ გირჩევნია ლუვისზე იფიქრო, რომელიც შენი ავყიაობის გამო ცოტაც და, ცუდ დღეში ჩავარდება.

უნდისი და ლუვისი ეშმაკის ყბის აქეთ-იქით, ერთმანეთის პირისპირ იდგნენ გულხელდაკრეფილნი, ერთმანეთს თვალებში შესცქეროდნენ და, როგორც ჩანდა, არავის დაცვასა თუ გამოქომაგებას არ საჭიროებდნენ.

— ყური დამიგდე, მატის, - დაუძახა ბორკამ — ბორკას ტყეში დარჩენა და ცხოვრება აღარ შეიძლება. ჯარისკაცები ყოველ კუთხე-კუნჭულში აბეზარი ბუბებივით დაძვრებიან და სადმე ხომ უნდა შემეფარებინა თავი ჩემს ცოლ-შვილთან და ყაჩაღებთან ერთად?

— რა თქმა უნდა, - დაეთანხმა მატისი, - მაგრამ სხვისი საცხოვრებლის დაუკითხავად მითვისება და მიტაცება რა წესია! ამას არავინ სჩადის, ვისაც საკუთარი თავისადმი ოდნავი პატივისცემის გრძნობა მაინც შერჩენია!

— ყაჩაღისთვის მეტად მაღალფარდოვანი სიტყვა გამოგივიდა, - აღნიშნა ბორკამ, - მაგრამ მთელი შენი სიცოცხლე განა დაუკითხავად არ ითვისებდი სხვის ქონებას?

— ჰმ! - ჩაიბურტყუნა მატისმა და საპასუხო სიტყვები ვეღარ მოძებნა. რონია ვერაფრით ვერ მიხვდა მამის დუმილის მიზეზს. არა, აუცილებლად უნდა გაიგოს, რა ჰქონდა მატისს დაუკითხავად აღებული.

— მოვრჩეთ უაზრო ლაყბობას, - კარგა ხნის დუმილის შემდეგ დასძინა მატისმა. - იქნებ გამაგებინოთ, საიდან შემოძვერით ციხეში, ეს განსაკუთრებით საინტერესოა იმიტომ, რომ იმავე გზით მოგიწევთ უკან წაბრძანება!

— რა ჭკვიანურად ყბედობ! - ჩაიციხა ბორკამ. — როგორ მოხვდით შიგნით? ხედავ ჩვენს პატარა ბიჭს? ამას ყველაზე ციცაბო კლდეზეც კი მშვენივრად შეუძლია აცოცება და მსხვილი თოკის ატანა. უნდა გენახა, მაშინაც, როგორ კუდივით მისტრევედა თოკი, —ამაყად წარმოთქვა მან და შვილს ცეცხლოვან თავზე ხელი გადაუსვა. ბირკი წყნარად იდგა მამის გვერდით და ილიმებოდა.

— შემდეგ ჩემმა ვაჟმა თოკი მჭიდროდ დაამაგრა კლდეზე, რომ დანარჩენებიც ავცოცებულებოდა და ასე აღმოვჩნდი მატისის ციხეში, სადაც მაშინვე შენს მოკვლაზე დავიწყეთ ფიქრი,—დაასრულა საუბარი ბორკამ.

მატისი უსმენდა და კბილებს აღრჭიალებდა.

— ციხის ჩრდილო ნაწილში არასოდეს არ ყოფილა შემოსასვლელი, — ამის თქმაღა მოახერხა დაბოლმომმა.

— არასოდეს!.. - ჩაიცინა ბორკამ, -- უამრავი რამაა ამ ციხეში ისეთი, რაც შენ არ იცი, ან აღარ გახსოვს, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ცხოვრება აქა გაქვს გატარებული.

— დიახ, ყური დამიგდე. ადრე, როდესაც ეს ციხე უკეთესი პატრონის ხელში იყო, ქალებს ღორების დასაპურებლად გარეთ გასასვლელი კარი სჭირდებოდათ. ის მაინც თუ გახსოვს, ძველი საღორე სადაა? მე და შენ იქ ბავშვობაში ვერთხებზე ვნადირობდით, ვიდრე მამაშენმა არ დამიჭირა. მახსოვს, ისეთი წვიპურტი მითავაზა, მეგონა, თავი გამისკდებოდა.

— დიახ, მამაჩემი ბევრ სასარგებლო საქმეს აკეთებდა, - მიუგო მატისმა, - სადაც ვინმე მაწანწალას გადაეყრებოდა, განსაკუთრებით კი ბორკას ბუნაგის ბინადარს, თავის ადგილს მიუჩენდა ხოლმე.

— დიახ, დიახ, - გამოეპასუხა ბორკა, - სწორედ მამაშენისგან შევიტყე, რომ მატისის მხრიდან ყველა ყაჩაღი ჩემი მოსისხლე მტერია. მანამდე არც კი ვიცოდი, თუ მე და შენ მოქიშპე ოჯახებს ვეკუთვნოდით და ამისი შენც არაფერი გაგეგებოდა რა.

— მაგრამ ახლა ვიცი! - თქვა მატისმა, - და მალე გაისმება ბორკას მკვდარი ყაჩაღებისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო სიმღერა, თუ შენ და შენი ბანდა სასწრაფოდ არ დატოვებთ მატისის ციხეს და იმავე გზას არ დაადგებით, საიდანაც მობრძანდით.

— ვფიქრობ, სამგლოვიარო სიმღერა ორივე მხარეს გაისმება, - მშვიდად უთხრა ბორკამ, - ჩემი ბუნაგი მშვენივრად მოვაწყე და აქედან ფეხის მოცვლას არ ვაპირებ.

— მალე ვნახავთ, ვისი აჯობებს, - თქვა მატისმა და მისმა ყაჩაღებმა ყიჟინით დაუჭირეს მხარი მეთაურს. მათ მაშინვე იარაღზე იტაცეს



ხელი, მაგრამ ბორკას ამფსონებიც კარგად იყვნენ შეიარაღებული და ორივე ატამანი მიხვდა, რომ ეშმაკის ყბის პირას შეტაკება ორივე მხარისთვის ცუდად დასრულდებოდა.

მეთაურებმა ყაჩაღები დააშოშმინეს, კიდევ ერთხელ შეუღრინეს ერთმანეთს და დაშორდნენ. სვეტებიან დაბზაბში დაბრუნებული მატისი დამარცხებულს უფრო ჰგავდა, ვიდრე გამარჯვებულს, მისი ყაჩაღებიც ყურჩამოყრილნი იყვნენ. სკალე-პერმა უსიტყვოდ შეათვალიერა ყველა, შემდეგ ეშმაკურად ჩაიციინა და მატისს მიმართა:

— ველური ხარი, რომელიც რქებით უნდა გეთრიათ და ეშმაკის ყბაში გადაგეშვათ, ისეთი ბრახუნით დაენარცხა, რომ, მგონი, მთელი მატისის მთა შეაზანზარა.

— შენ შენს საჭმელს მიხედე, თუ ღეჭვის თავი კიდევა გაქვს, ველური ხარი კი მე მომანდე, - შეუღრინა მატისმა, - მე მოვუვლი, როცა დრო მოვა, -- დასძინა ბოლოს.

შინ დარჩენა რონიას არაფერს სასიამოვნოს არ უქადდა და ისიც გარეთ, თავის საყვარელ ტყეში გაიქცა. დღემ უკვე საგრძნობლად იკლო. რამდენიმე საათში მზე ჩავიდოდა, ამიტომ გოგონა მანამდე თუ მოასწრებდა თავის ტყეში ყოფნასა და ტბასთან დასვენებას. მზის სხივებში ტბა ოქროსფრად ლივლივებდა, თუმცა რონიამ იცოდა, რომ ოქრო მაცდური, ხოლო წყალი ყინულივით ცივი იყო. მიუხედავად ამისა, მაინც გაიხადა ტანსაცმელი და სწრაფად ისკუბა ტბაში.



თავიდან ისე შესცივდა, შეჰკვივლა კიდევ, მერე კი, ცოტა რომ შეეჩვია, სიამოვნებისგან სიცილი აუტყდა. გოგო ცურავდა, ყვინთავდა, სანამ სიცივისგან კანკალი არ დააწყებინა. გათოშილმა სასწრაფოდ ჩაიცვა ტანსაცმელი, მაგრამ ამანაც არ უშველა, და გასათობად სირბილსა და ხტუნვას. ხეებსა და ლოდებს შორის პატარა ტროლივით დახტოდა, ხანაც ყირაზე გადადიოდა, ვიდრე კარგად არ გახურდა, ფერიც მოუვიდა, მაგრამ გოგო მაინც დარბოდა, რათა ბოლომდე შეეგრძნო ეს სიამოვნება, ყიჟინით გაძვრა ნაძვის ხეებს შორის და უცებ, პირისპირ ბორკს არ შეეჩხება! რონია გაცეცხლდა, რადგან მტრები ტყეშიც კი არ ანებებდნენ თავს.

— ფრთხილად, ყაჩაღის ასულო! შეუძახა ბირკმა:— ნუთუ ასე ძალიან გეჩქარება?

— ეჩქარება თუ არა, შენი საქმე არ არის, — შეუღრინა რონიამ და სირბილით განაგრძო გზა, თუმცა მალევე შეჩერდა და ჩაფიქრდა. „შეუმჩნევლად უნდა დავბრუნდე უკან და ვუთვალთვალო, რას აკეთებს ბირკი ჩემს ტყეში.“

ბიჭი კუნძმე იჯდა, ზუსტად მელიების სოროს წინ, ამან გოგო კიდევ უფრო გააცეცხლა, ისინი ხომ რონიას მელიები იყვნენ. გაზაფხულიდან, პატარა მელაკუდების დაბადებიდან, აღევნებდა თვალყურს, რა პაწაწინები იყვნენ და როგორ წამოიზარდნენ, თუმცა ისევ ისეთი ხალისიანები და ცელქები დარჩნენ - სოროს წინ დახტოდნენ, ჩხუბობდნენ და შიგადაშიგ ერთმანეთს კბენდნენ. ახლა კი სოროსთან ბირკი ჩაცუცქულა და არხეინად შესცქერის.

რონიასკენ ზურგით მჯდარი ბიჭი გუმანით მიხვდა, გოგო მის უკან რომ იდგა და არც კი მობრუნებულა, ისე მიმართა:

— რა გინდა, ყაჩაღის ასულო?

— მინდა, რომ ჩემს მელაკუდებს თავი გაანებო და ჩემი ტყიდან გაქრე.

ბირკი წამოდგა და რონიასთან მივიდა:

— შენი მელაკუდები! შენი ტყე! მელაკუდები მხოლოდ თავიანთ თავს ეკუთვნიან, ნუთუ ამას ვერ ხვდები? და ისინი მელიების ტყეში ცხოვრობენ, რომელიც, ასევე, მგლების, დათვების, ღორების და ვე-

ლური ცხენების ტყეა, კიდევ არწივების, შაშვების, მტრედების, ქორების, გუგულების, ხოჭოებისა და ჭიანჭველების ტყეა!

— მე ამ ტყის ყველა ბინადარს ვიცნობ, - მიუგო რონიამ - და სულ არა მჭირდება შენი ჭკუის სწავლება.

— მაშინ, ისიც გეცოდინება, რომ ეს ველური ვიტრების, მაჯლაჯუნების, ტრაკუნებისა და სიბნელის ტროლების ტყეა.

— რამე ახალი მითხარი! - დაცინვით მიუგო რონიამ, - თუნდაც ისეთი, ჩემზე უკეთ რომ იცი, თუ არა და, ახლავე მოუსვი აქედან!

— და ეს, ასევე ჩემი ტყეა, - განაგრძო ბირკმა, თითქოს გოგონას ნათქვამი არც გაუგონიაო, - და შენიცაა, ყაჩაღის ასულს, დიას, შენი ტყეცაა! ხოლო, თუ მთელი ტყე მხოლოდ შენი გგონია, იმაზე უფრო შტერი ყოფილხარ, ვიდრე თავიდან მეგონე.

ბირკი თვალს არ აშორებდა გოგოს. ბიჭის ლურჯი თვალები სიბრაზისგან ჩამუქებულყვინენ, ხოლო სახეზე აშკარად ეტყობოდა, რომ რონია გულზე არ ეხატებოდა. თუმცა ყაჩაღის ასული ამას არად დაგიდევდათ. პირიქით, კმაყოფილიც კი იყო. - რაც უნდა, ის იფიქროს, ამის უფლება ნამდვილად აქვს, - გადაწყვიტა გოგომ და უცებ ძალიან მოუნდა შინ დაბრუნება. ამ პატარა არამზადას ყურება აღარ შეეძლო.

— მე სიამოვნებით გავიყოფ ტყეს მეღიებთან, არწივებთან და ორბებთან, შენთან კი - არავითარ შემთხვევაში! - წამოიძახა რონია და იქაურობას გაეცალა.

გოგომ მაშინვე შეამჩნია, როგორ ეფინებოდა ნისლი ტყეს. სქელი და რუხი ბოლქვები ნელა მოცოცავდნენ ხეებს შორის. რამდენიმე წუთში მზეც დაიმალა და მისი ოქროსფერი ბრწყინვალეობაც უკუნში ჩაინთქა, აღარაფერი ჩანდა: არც ქვა, არც ბუჩქი. მაგრამ რონიას სულაც არ შეშინებია.

ყველაზე საშინელ ბურუსშიც კი შეძლებს გოგო მათისის ციხისკენ გზის გაგნებას და სულ მალე შინ იქნება, მანამ, სანამ ლუვისის მგლის სიმღერის დრო დადგება.

— ნეტა ბირკი რაღას იზამს? - თავში გაუელვა გოგოს, შესაძლოა, ბორკას ტყეში ისიც ყოველ ბუჩქსა და ქვას იცნობს, მაგრამ აქ ჯერჯერ-

რობით შინაურულ ნამდვილად ვერ იგრძნობს თავს. ძალიანაც კარგი, იჯდეს მელიებთან, ვიდრე ბოლოს და ბოლოს ნისლი არ გაიფანტება და მზე არ გამოანათებს! - ამის გაფიქრება მოასწრო გოგომ, რომ ბურუსიდან ბირკის ძახილი შემოესმა:

— რონია!

აჰა! თურმე ისიც სცოდნია, რა ჰქვია გოგოს! უკვე მხოლოდ „ყაჩაღის ასული“ როდია. ძახილი განმეორდა.

— რონია!

— რა გინდა?! - ასევე ხმამაღლა გამოეპასუხა გოგონა, მაგრამ ბირკი უკვე მის გვერდით იდგა.

— ამ ბურუსმა, ცოტა არ იყოს, შემაშინა, - გამოუტყდა იგი.

— აჰა! გეშინია, რომ შინ, ქურდების ბუნაგისკენ გზას ვერ გაიგნებ? შეგიძლია მელიების სოროში შესახლდე, მაინც ხომ გიყვარს სხვისი საკუთრების მითვისება, - ირონიულად მიუგო რონიამ.

ბირკმა გაიცინა

— შენ ქვაზე უფრო მაგარი ყოფილხარ, ყაჩაღის ასულო!-მატისის ციხისკენაც ჩემზე უკეთ გაიგნებ გზას. ნებას დამრთავ, ჯიბეზე ან კალთაზე ხელი მოგკიდო, ვიდრე ტყიდან გავალთ?

— რა თავხედი ხარ, - ამოიოხრა რონიამ, მაგრამ მაინც შეიხსნა ტყავის ქამარი, რომელმაც ერთხელ უკვე იხსნა ბირკი განსაცდელისგან და მისი ბოლო ბიჭს გადაუგდო.

— აჰა! ოღონდ გიბრძანებ, ჩემთან ახლოს არ მოხვიდე.

— როგორც შენ მეტყვი, ყაჩაღის ასულო, - მორჩილად უპასუხა ბირკმა რონიას

ბავშვები გზას გაუდგნენ. ნისლი მჭიდროდ ეკვროდათ ტანზე, ორივენი ჩუმად მიდიოდნენ და, როგორც რონიამ ბრძანა, ქამრის სიგრძით იყვნენ ერთმანეთისგან დაშორებულნი

ახლა ბილიკიდან გადახვევა არ შეიძლებოდა. ასეთ ბურუსში ყოველი მცდარი ნაბიჯი, შესაძლოა, სანანებელი გახდომოდათ, - იცოდა რონიამ, მაგრამ მაინც არ ეშინდა.

ხელებისა და ფეხების შეხებით ცნობდა გოგო ქვებს, ხეებს თუ ბუ-თუ ბუჩქებს, რომლებიც ახლა გზის მაჩვენებლებად ქცეულიყვნენ.

ბავშვები ნელა მიიწევდნენ წინ, მაგრამ რონიას მაინც ჰქონდა იმედი, რომ ლუვისის მგლის სიმღერას მიუსწრებდა. შეეძლო, ამაზე არც ენერვიულა.



ასეთი უსიამოვნო შეგრძნება აქამდე არასოდეს ჰქონია. მთელი ტყე ისე გაყუჩებულიყო, თითქოს ყველა ცოცხალი არსება გაწყდაო. ამის გაფიქრება ცოტათი თრგუნავდა გოგონას სიმამაცეს. ნუთუ ეს მისი საყვარელი ტყეა?! მაშინ რატომ ჩამოწოლილა ასეთი საზარელი სიჩუმე და ყველაფერს ასეთი საშინელი ელფერი რად მისცემია?! ვინ იმალება ჩამუქებულ ნისლში? ნამდვილად ვიღაც ბოროტი, უცნობი და საშიში არსება მიმალულა სქელი ფარდის მიღმა, ოღონდ ვინ?

ეს ნამდვილად არ იცოდა გოგონამ და ეს გაურკვეველობა კიდევ უფრო მეტად გვრიდა შიშს.

— მალე სახლში ვიქნები, - თავს იმხნევებდა რონია, —ჩემს საწოლში თბილად ჩაფწვები და ლუვისის სიმღერას მოვისმენ. მაგრამ არც ამგვარი ფიქრები შველოდა, შიშმა მოიცვა მთელი მისი არსება. ასეთი შეშინებული ადრე არასდროს ყოფილა. გასამხნეველად გოგომ ბირკს დაუძახა, მაგრამ ყელიდან ისეთი საშინელი ხმა აღმოხდა, რომ უარესად დაიზაფრა.

“ნამდვილად ჭკუიდან შევიშლები, - გაიფიქრა რონიამ,- ეს იქნება ჩემი აღსასრული“!

სწორედ ამ დროს შორს, ნისლში, წყნარი ჰანგები გაისმა. არასოდეს ამის მსგავსი არაფერი სმენოდა გოგოს. ო, რა მშვენიერი სიმღერა იყო! მისი ტყე საოცარი მუსიკით ივსებოდა:

საზარელი შიში წამში გაქრა. რონია გატრუნული იდგა და ყურს უგდებდა. ო, რა საოცრება იყო! როგორ უხმობდა და იზიდავდა ეს სიმღერა!

დიახ, რონია გრძნობდა, რომ ვიღაც უხილავი არსება სთხოვდა ბილიკიდას გადახვევას და ბურუსში გაბნეული მშვენიერი ჰანგების კვალდაკვალ სიარულის.

მუსიკა გაძლიერდა. რონიას გული აუფანცქალდი და წამში გადაავიწყდა, სახლში რომ მგლის სიმღერი ელოდა. ყველაფერი დაავიწყრა გოგოს, გარდა ერთისა - ეს იყო ის ხმა, რომელიც ბურუსის სიღრმიდან მოდიოდა და თავისკენ უხმობდა.

— მოვდივარ, მოვდივარ! - დაიძახა რონიამ და ბილიკიდან გადაუხვია, მაგრამ ტყავის ქამარმა ისე მოქაჩა, რომ წაიბორძიკა და შედგა.

— სად მიდიხარ! - დაუყვირა ბირკმა. მიწისქვეშელებს თუ მოაჯადოვებინებ თავს და გაჰყვები, საბბოლოოდ დაილუპები! ამდენი არ იცი?!

მიწისქვეშელები! - დიახ, რონიას გაგონილი ჰქონდა მათი ამბავი. იცოდა, რომ ისინი თავიანთი ბნელი ხვრელებიდან. ტყეში მხოლოდ ნისლის დროს ამოძვრებიან ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ რონიას არასოდეს არცერთი მათგანი არ უნახავს, ახლა ერთი სული ჰქონდა მათ გაჰყოლოდა. ყაჩაღის ასულს მათი სიმღერებით უნდოდა ცხოვრება, თუნდაც ამიერიდან სამუდამოდ მიწისქვეშეთში დარჩენილიყო.

— ახლავე გამიშვი! - იკვილა რონიამ და გიჟივით დაიწყო ხელეზის ქნევა. მაგრამ ბირკი მთელი ძალით აკავებდა და განძრევის საშუალებას არ აძლევდა.

— გაუბედურდები, - დაბეჯითებით არწმუნებდა იგი.

მაგრამ რონიას სიმღერის გარდა არაფერი ესმოდა. ჰანგები ისეთი ძლიერი და მიმზიდველი იყო, ისეთი ჯადოსნური გრძნობით ავსებდა ტყესაც და გოგოსაც, რომ წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელი გახლდათ.

— მოვდივარ, მოვდივარ! - ისევ დაიყვირა რონიამ და ბირკს ეცა, ურტყამდა და კაწრავდა, ყვიროდა და ტიროდა, მერე მივარდა და ლოყაზე უკბინა, მაგრამ ბირკი ხელს არ უშვებდა.

კარგა ხანი აკავებდა იგი გაავებულ გოგოს. ნისლი თანდათან ასცილდა ხეების კენწეროებს და ისევე სწრაფად გაიფანტა, როგორც ჩამოწვა. სიმღერაც მაშინვე შეწყდა...

რონიამ გარშემო მიმოიხედა. გეგონებოდათ, ეს-ესაა ღრმა ძილიდან გამოერკვაო. გოგომ სახლისკენ მიმავალი ბილიკი და ხის კენწეროზე ჩამომჯდარი უზარმაზარი წითელი მზე დაინახა, თვალი მოჰკრა ბირკსაც, იგი ძალზე ახლოს, მის გვერდით ედგა.

—ქამრის სიგრძეზე გამომყევი-მეთქი, არ გითხარი? - შეახსენა რონიამ, მერე, ლოყაზე სისხლი რომ შენიშნა, ჰკითხა;

— მელიამ გიკბინა?

ბირკმა არაფერი უპასუხა, ტყავის ქამარი დაახვია და გოგოს გაუწოდა.

—დიდი მადლობა! ახლა მარტოც გავიგნებ გზას ბორკას ბუნაგისაკენ! - დასძინა მან.

რონიამ ქვეშ-ქვეშ გახედა ბიჭს და უცებ მიხვდა, რომ ბირკზე აღარ ბრავობდა, თუმცა რატომ, ამას კი ველარ მიმხვდარიყო.

— ჩიბუხის კვამლს გაჰყევი! - მაინც ჩვეული პასუხი შეაგება რონიამ და შინისაკენ გაიქცა.

## V

იმ საღამოს რონია მამასთან ერთად, ბუხრის წინ იჯდა. უცებ გა-  
ახსენდა ის, რისი გაგებაც დიდი ხანია სურდა.

— რა აიღე დაუკითხავად, ბორკა რას გეუბნებოდა? - ჰკითხა მატისს.

— ჰმ, - ჩაიბურტყუნა ყაჩაღთა მეთაურმა, - იცი, როგორ მეშინო-  
და, რომ ნისლში გზას ვერ გამოიგნებდი, ჩემო სიცოცხლე!

— მაგრამ გამოვიგენი, - ამაყად თქვა რონიამ და ისევ, ახლა უკვე  
დაჟინებით ჩაეკითხა მამას, - მითხარი, რა აიღე დაუკითხავად?

— შეხედე! - უთხრა მატისმა და ღრუბლებისაკენ გაახედა, - ეს  
ღრუბელი კაცს არ წააგავს? ნამდვილად ბორკას ჰგავს!

მაგრამ რონიას არც ღრუბელი აინტერესებდა და არც ბორკა.

— მითხარი, რა აიღე დაუკითხავად! - დაიჟინა გოგონამ. მატისმა  
კვლავ არ უპასუხა. მაშინ მის მაგივრად სკალე-პერი ალაპარაკდა.

— ძალიან ბევრი რამ, ჰო, ჰო, ძალიან ბევრი. ჩამოთვლა შორს  
წაგვიყვანდა...

— ახლავე გაჩუმდი! - განრისხდა მატისი, - შენ არავინ გეკითხება,  
ამას მე მოვუვლი!

სკალე-პერის გარდა, ყველანი თავ-თავიანთ საძინებლებში იყ-  
ვნენ გაკრეფილნი. ლუვისი ეზოში ჩასულიყო ცხვრებისა და თხების  
დასაპურებლად, ამიტომ მხოლოდ სკალე-პერმა მოისმინა მატისის  
მონათხრობი იმის შესახებ, თუ ვინ იყვნენ სინამდვილეში ყაჩაღები.  
ეს იყო ხალხი, რომელიც სხადასხვა ნივთებსა თუ საგნებს დაუკით-  
ხავად იღებდა, მატისს ამისი არასოდეს შერცხვენია. პირიქით ყო-  
ველთვის ამაყობდა თავისი საქმიანობით, თავს იწონებდა, რომ ყვე-  
ლაზე ძლევამოსილი ყაჩაღთა ბელადი იყო და ახლომახლო ტყეებ-  
სა თუ მთებში დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი. მაგრამ ახლა ცო-  
ტათი შეცბუნებული გახლდათ, რადგანაც არ იცოდა, ყოველივე ეს  
რონიასთვის როგორ აეხსნა, საბოლოოდ, რასაკვირველია, ყველა-  
ფერს უამბობდა, ოღონდ ახლა არა; უნდოდა, რამდენიმე წელი კი-  
დევ გასულიყო.



—შენთვის, ჩემო გოგონა, ჩემს საქმიანობაზე ბევრი არაფერი მითქვამს, რას ვაკეთებ, ან რას ვსაქმიანობ, - დაიწყო მორიდებით მატისმა.

—ერთი სიტყვაც არ გითქვამს, - ჩაერია საუბარში სკალე-პერი, - და ჩვენც მკაცრად გვიკრძალავდი.

— ბებერო, დასაძინებლად არ მიდიხარ? - დაინტერესდა მატისი.

მაგრამ სკალე-პერი სულაც არ აპირებდა თავის ოთახში წასვლას.

— ძალიან მაინტერესებს შენი მოსმენა, - განუცხადა ყაჩაღთა მეთაურს და უფრო მოხერხებულად მოიკალათა.

ახლა კი მიხვდა რონია, საიდან მოჰქონდათ ყაჩაღებს ცხენებზე გადაკიდებული ტომრები თუ ყუთები. ცხადია, ძვირფასეულობა, ლამაზი ნივთები, ტანსაცმელი ტყეში ხეებზე არ იზრდება, მამამისი ყველაფერ ამას თურმე უცხო ხალხს ართმევდა!

—ნუთუ არ ბრამდებიან, როცა მათი ნივთები მოგაქვთ?- გაუკვირდა რონიას.

—ბრამდებიან, და მერე როგორ! -კვერი დაუკრა გოგოს სკალე-პერმა, ერთი მოგასმენინა. რაებს გაიძახიან!

— ბებერო! - კბილები გააღრჭიალა მატისმა,- ახლა კი ნამდვილად დროა, წახვიდე და დაიძინო.

მაგრამ, სკალე-პერს არაფრის გაგონება არ სურდა.

— ზოგიერთები ტირიან კიდევ! - მიუბრუნდა რონიას.

ამ სიტყვებზე მატისი სულ მთლად გაცეცხლდა:

— ახლავე შენი ნებით თუ არ წაბრძანდები, გარეთ მოგისვრი, - დაემუქრა იგი მოხუცს, შემდეგ კი რონიასთან მივიდა და გულში ჩაიხუტა.

— შენ უნდა გამიგო, რონია, - უთხრა მან გოგოს, - ეს ყოველთვის ასე იყო, არის და იქნება. ამაში საჩხუბარს ვერაფერს ვხედავ.

— რა თქმა უნდა! - დაეთანხმა სკალე-პერი, - მაგრამ ხალხი ვერაფრით ვერ მიეჩვია ყაჩაღობას - ისე ყვირიან, ტირიან და იგინებიან, გეგონება, ამაზე დიდი სიამოვნება დედამიწის ზურგზე არაფერიაო.

გაცეცხლებულმა მატისმა მკაცრად გადახედა სკალე-პერს, შემდეგ კი ისევ რონიას მიუბრუნდა:

— მამაჩემი ყაჩაღთა ბელადი იყო, ასევე ჩემი პაპაც და პაპის პაპაც. მეც მათ გზას დავადექი და, დღესდღეობით აქაურ მთებსა თუ ტყეებში ყაჩაღთა ყველაზე დიდი და ძლევამოსილი ბელადი ვარ! ერთ მშვენიერ დღეს კი შენ შემცვლი, ჩემო გოგონა!

— არასოდეს, არავითარ შემთხვევაში! - აყვირდა რონია, -- არავითარ შემთხვევაში; მე ხალხს არც გავაბრაზებ და არც ავატირებ.

მატისმა თავი მოიქექა და ჩაფიქრდა. დარდი შემოაწვა ყაჩაღთა ბელადს. იმას უნდოდა, რომ რონიას ძველებურად ყვარებოდა და აღფრთოვანებული ყოფილიყო მისი საქციელით. ახლა კი გოგო შუა ოთახში იდგა და ყვიროდა, უარსაც კი ამბობდა ყაჩაღთა მეთაურობაზე. მატისმა უბედურად იგრძნო თავი. როგორმე უნდა დაერწმუნებინა შვილი, რომ მისი საქმიანობა კარგი და სამართლიანი იყო.

— ყური დამიგდე, რონია, მე მხოლოდ მდიდრებს ვართმევ, - სცადა თავის მართლება მატისმა. შემდეგ ცოტა ხნით ჩაფიქრდა და დასძინა: და ღარიბებს ვურიგებ, აი, რას ვაკეთებ!

სკალე-პერმა ჩაიციინა:

— აბა რა, სწორედ რომ ასეა! გახსოვს, ღარიბ ქვრივსა და მის რვა შვილს მთელი ტომარა ფქვილი რომ აჩუქე?

— მახსოვს, რა თქმეა უნდა! - სწორედ ასე მოვიქეცი!

და ყაჩაღთა ბელადმა თითებით ჩამოივარცხნა თავისი ხშირი, შავი წვერი. იმ წუთას მატისი თავისი თავის მადლიერიც იყო და სკალე-პერისაც,

ამ უკანასკნელმა ისევ ჩაიციინა და განაგრძო:

— კარგი მეხსიერება გაქვს, მატის! ამ შემთხვევის შემდეგ უკვე ათი წელი გავიდა, რასაკვირველია, ეხმარები ღარიბებს... ათ წელიწადში ერთხელ!

განრისხებული მატისი ფეხზე ჩამოვარდა:

— ახლავე თუ არ წახვალ დასაძინებლად, ნამდვილად ვიცი, ვინც დაგეხმარება დაძინებაში!

მუქარა საჭირო აღარ იყო, რადგანიც ამ დროს ლუვისი დაბრუნდა და სკალე-პერი ყოველგვარი „დახმარების“ გარეშე, გაიძურწა ოთახიდან, რონიაც თავის ლოგინში ჩაწვა. ცეცხლი თანდათან ჩაინავლა, ლუვისი მგლის სიმღერას მღეროდა. რონია უსმენდა დედას და უკვე აღარ აღარდებდა, მამამისი ყაჩაღთა ბელადი იყო, თუ არა, რაც არ უნდა ჩაედინა, მაინც მისი მატისი იყო, რონიას კი მამა მთელი არსებით უყვარდა.

ღამით ცუდად ეძინა გოგოს, მიწისქვეშელები ესიზმრებოდა და მათი სიმღერა ჩაესმოდა, მაგრამ მეორე დილით, გამოღვიძებულს, უკვე აღარაფერი ახსოვდა, ერთადერთი ბირკი ვერ ამოიგდო მესსიერებიდან, დღის განმავლობაში რამდენჯერმე გაიხსენა ბიჭი, თან ისიც აინტერესებდა, ნეტა ახლა რას აკეთებს ბორკას ბუნაგშიო, იმაზეც ფიქრობდა, თუ რამდენი დრო დასჭირდებოდა მამამისს, რომ ყაჩაღთა ბანდა ციხე-სიმაგრიდან გაეძევებინა.

მატისი ყოველდღე ახალ-ახალ გეგმებს აწყობდა ბორკას წინააღმდეგ, მაგრამ საბოლოოდ არცერთი მათგანი არ აკმაყოფილებდა.

— არა, არ მომწონს, - ყველაფერზე ასე პასუხობდა სკალე-პერი, - ბებერი მელასავით, გაიძვერობით უნდა აჯობო, სისასტიკითა და ბრძოლით არაფერი გამოვა.

მატისი არ იყო ბებერი მელასავით გაიძვერა, მაგრამ მთელი გულითა და სულით ცდილობდა, რაიმე გონიერი მოეფიქრებინა. იმ ხანებში ისა და მისი ყაჩაღები საძარცვავადაც აშვიათად დადიოდნენ. ბორკას ბანდასაც, ეტყობა, სხვა საქმე და საფიქრალი გასჩენოდა, ასე რომ, მგზავრები, რომელთაც იმ დღეებში ყაჩაღთა ჭიშკარში გავლა უწევდათ, გაკვირვებულები იყვნენ და ვერაფრით ვერ ხვდებოდნენ, სად გადაიკარგნენ ყაჩაღები. რატომ იყო ტყეში ასეთი სიმშვიდე?

ჯარისკაცებმა, რომლებიც ბორკაზე ნადირობდნენ, ის გამოქვაბული იპოვეს, სადაც ადრე ყაჩაღები ცხოვრობდნენ, მაგრამ „ბუნაგი“ ცარიელი დახვდათ. ბორკასაგან ჩამიჩუმი არ ისმოდა და ჯარის-

კაცებმაც სიხარულით დატოვეს შემოდგომის ცივი, ბნელი და წვიმიანი ტყე. მათ მშვენივრად იცოდნენ, რომ შორს, მატისის ციხეშიც ცხოვრობდნენ ყაჩაღები, მაგრამ ზედმეტად არ იტკიებდნენ თავს. მათთვის იმაზე უფრო საშინელი ადგილი, ვიდრე მატისის ციხე იყო, ქვეყნად არ არსებობდა, თავად მატისი კი - მთის არწივზე უფრო ძნელი შესაპყრობიად — ამბობდნენ. ამიტომ ჯარისკაცებმა მის დევნაზე ხელი აიღეს.

მატისი ფიქრობდა და ფიქრობდა: რას აკეთებენ ბორკას ყაჩაღები ციხის ჩრდილო ნაწილში? სად არიან, როგორ მივაგნო? ყოველდღე დაზვერვაზე დადიოდა მატისი, ყაჩაღებთან ერთად ციხეს ჩრდილოეთის მხრიდან უვლიდა და ყურადღებით ათვალიერებდა, მაგრამ კვალსაც კი ვერ მიაგნო.

ყველგან ისეთი სიჩუმე და სიწყნარე იყო გამეფებული, გეგონებოდათ, კაციშვილი არ ჭაჭანებსო, თუმცა, კლდეზე ერთგან თოკის კიბე ნახა გადმოკიდებული, რომლითაც იოლად, ყოველგვარი სიძნელეების გარეშე, შეიძლებოდა ასვლა-ჩამოსვლა. ამის დანახვაზე მატისი ისე გაცოფდა, რომ დაუფიქრებლად, გიჟივით გაქანდა ზედ ასაცოცებლად.

დანარჩენი ყაჩაღებიც უკან მიჰყვნენ. მაგრამ სწორედ ამ დროს სათოფურიდან შხუილით გამოფრინდა ისარი და ლილ-კლიპას ბარძაყში ჩაესო. ამის შემდეგ საწყალი ლილ-კლიპა ორი დღე საწოლში იყო გაშოტილი. დაზვერვამ, მართალია, დიდი შედეგები ვერ გამოიღო, მაგრამ ის კი გაირკვა, რომ თოკის კიბეს დიდი გულმოდგინებითა და ყურადღებით იცავდნენ.

მატისის ციხე შემოდგომის ბინდში იყო გახვეული. ყაჩაღები უსაქმურობისაგან თავს ცუდად გრძნობდნენ, მოწყენილები აქეთ-იქეთ დაეხეტებოდნენ და გაუთავებლად წუწუნებდნენ. ბოლოს ლუვისს მოთმინების ფიალა აევსო:

— ყურები ნუ გამომიჭედეთ თქვენი უაზრო ბუზღუნითა და წუწუნით, ჩიბუხის კვამლსაც გაჰყოლიხართ. თუკი ასეთი მარტივი საქმე ვერ მოგიგვარებიათ და ვერაფერზე შეთანხმებულხართ! - წამოიძა-

ხა მან და მაშინვე გადაწყვიტა ყაჩაღების უსაქმურობა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. ქალმა ყველა შრომაში ჩააბა – ყაჩაღებს საქათმის, საღორისა და ფარების დასუფთავება უბრძანა, რაც მათ ყველაზე მეტად ეჯავრებოდათ. მაგრამ ვერც ერთმა, სკალე-პერის გარდა, თავის დაძვრენა ვერ მოახერხა. მარტო ის გადარჩა, ვინც სწორედ იმ დროს მგლის კართან და სახურავზე ეშმაკის ყბასთან სადარაჯოზე იდგა.



მატისიც შეეცადა თავისი ყაჩაღების გამოცოცხლებას და ღორებზე სანადიროდ წაიყვანა. შეიარაღებული ყაჩაღები შემოდგომის ტყეში გაუჩინარდნენ, საღამოს კი ოთხი დიდი ღორი მოათრიეს სახლში. სკალე-პერი, რომელიც ამჯერადაც სახლში დარჩა, ნანადირევით მეტად კმაყოფილი დარჩა:

– მხოლოდ წვნიანი, ბულიონი და ფაფა გვქონდა მთელი დღეების განმავლობაში! ახლა საღვთიც გაგვიჩნდა. რა თქმა უნდა, ყველაზე რბილი ნაჭრები უკბილო მოხუცს უნდა დაუთმოთ, ამდენი ხომ გესმით? ლუვისმა ღორის ხორცის ნაწილი შეწვა, ზოგი შებოლა და ზოგიც დაამარილა. ამ ხორცით, ისევე, როგორც უკვე გამზადებული ქათმის შაშხით, ზამთარში უნდა გაეტანათ თავი.

რონია ისევ ძველებურად დაწანწალებდა ტყე-ტყე. იქ საოცარი სიწყნარე, სიმყუდროვე სუფევდა და გოგოსაც მოსწონდა ეს მშვიდი და ჩუმი ნავსაყუდელი. მიწა რბილი და ნესტიანი იყო, ჰაერში შემოდგომის მშვენიერი სურნელი ტრიალებდა, ხეების სველი ფოთლები კი ათასფრად ციმციმებდნენ. ხშირად წვიმდა კიდევ. რონიას უყვარდა წვიმის დროს ნაძვის ხის ხშირი ტოტების ქვეშ ჯდომა და წვეთების წკაპაწკუპის სმენა, ხანდახან ისეთი თქეში წამოვიდოდა, რომ მთელი ტყე სველი ფარდის ქვეშ უჩინარდებოდა.

რონიას ესეც მოსწონდა, გარეული მხეცები იშვიათად ჩანდნენ, მელიები სოროდან ცხვირსაც აღარ ყოფდნენ. ხანდახან ხარირემი გამოჩნდებოდა ხეებში, ანდა ველური ცხენები გაივლიდნენ ბალახის ძოვა-ძოვითა ბუჩქებს შორის, რონიას დიდი ხანია, უნდოდა ველური ცხენის დაჭერა, ბევრჯერ სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ველური ცხენები მეტად ფრთხილები იყვნენ და ახლოს არავის იკარებდნენ, არადა დრო იყო, რონიას საკუთარი ცხენი ჰყოლოდა, ეს განზრახვა მათისსაც გაანდო.

— როდესაც ისეთი ძლიერი გახდები, რომ ცხენის დაჭერას თვითონ შეძლებ, ცხენის ყოლის დრო მაშინ დადგება— უპასუხა მამამ.

“ ერთხელაც იქნება დავიჭერ ცხენს, — ფიქრობდა რონია, — დავიჭერ პატარა, ლამაზ ცხენს და მათისის ციხეში წავიყვან. შემდეგ გავხედნი, ისევე როგორც მათისი და მისი ყაჩაღები ხედნიან თავიანთ ცხენებს. “

ცხენებსა და ხარირემებს თუ არ ჩავთვლით, შემოდგომის ტყე თითქმის დაცარიელებულიყო. ტყის ბინადარნი სადღაც გაუჩინარებულიყვნენ. ალბათ თავ-თავიანთ ხვრელებსა თუ სოროებში ემალებოდნენ წვიმასა და სიცივეს. ხანდახან, ისიც იშვიათად, ველური ვიტრები თუ დაეშვებოდნენ მთებიდან ჭყვივლით, მაგრამ ახლა ისინიც დაწყნარებულიყვნენ და ძირითადად მაღლა მთებში, თავიანთ გამოქვაბულებში ყოფნა ერჩიათ. მაჯლაჯუნებიც მიმალულიყვნენ. მხოლოდ ერთხელ მოჰკრა რონიამ თვალი რამდენიმე მათგანს, ქვის უკნიდან რომ იჭყიტებოდნენ, მაგრამ უკვე დიდი ხანია, მაჯლაჯუნებისა აღარ ეშინოდა გოგოს.

— ჩიბუხის კვამლს გაჰყევით! შეუძახებდა იგი და მაჯლაჯუნებიც ცუხცუხით გარბოდნენ და უჩინარდებოდნენ.

ბირკი, რა ხანია, რონიას ტყეში აღარ გამოჩენილა: ეს ამბავი უხაროდა თუ სწყინდა, თვითონაც არ იცოდა.



ზამთარიც დადგა, თოვლი წამოვიდა, ყინვამ მოუჭირა და გაყინული წვეთებით მორთული რონიას ტყე ყინულის ტევრად იქცა. გოგონა თხილამურებით სრიალებდა და შინ გათოშილი ბრუნდებოდა, თმაში თოვლის ფიფქები ჰქონდა ჩაყინული, და მიუხედავად იმისა, რომ ტყავის ხელთათმანები და ჩექმები ეცვა, ხელებისა და ფეხების ფრჩხილები მაინც უსკდებოდა. მაგრამ არანაირ ყინვასა და თოვლს არ შეეძლო რონიას ტყიდან გამოძევება, მეორე დილით გოგო ისევ ტყისკენ მირბოდა. მატისი ძალიან ღელავდა, როდესაც რონიას მგლის კართან, ტყისკენ მიმავალს მოჰკრავდა თვალს. ამ დროს, როგორც ყოველთვის, ლუვისს შესჩიოდა:

— ოჰ! ნეტავ ყველაფერი კარგად იყოს! ნეტავ ჩემს სიხარულს არაფერი მოუვიდეს, თორემ ჩემს სიცოცხლეს აზრი აღარ ექნება!

— რას წუწუნებ, ერთი გამაგებინა! - ბრაზობდა ლუვისი, - ამ ბავშვს თავისი თავის მოვლა შენს ყაჩაღებზე უკეთესად შეუძლია.

რამდენჯერ უნდა გითხრა?

და, მართლაც, რონიას მშვენივრად შეეძლო თავის მოვლა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ისეთი რამ შეემთხვა, მათისს რომ გაეგო, ალბათ გადაირეოდა.

ღამე დიდი თოვლი მოვიდა და რონიას თხილამურების ნაკვალევი გააქრო. ახლა გოგოს ახლიდან უნდა გაეკვალა თოვლი, ეს კი საკმაოდ ძნელი საქმე იყო. თოვლის ზედაპირს უკვე გადაჰკვროდა ყინულის თხელი ფენა. რონიამ ბევრი იარა მუხლამდე თოვლში და ძალზე დაიღალა. ახლა კი დროა, სახლში წავიდე, — გაიფიქრა გოგონამ, გორაკს წვერზე მოექცა და ქვემოთ გადაიხედა. ფერდობი საკმაოდ დამრეცი იყო, მაგრამ რონია ოდნავადაც არ შეშინებულა. ფიქრობდა, თუ საჭირო გახდება, მშვენივრად შევძლებ დამუხრუჭებას და ფერდობზე მშვიდობიანად დავეშვებიო. გოგონა პატარა ბორცვს გადააფრინდა და უცებ ერთი თხილამური მოსძვრა. რონია დაეცა და ფეხი თოვლქვეშ ორმოში გაუჭედა. დაინახა, თუ როგორ გაუჩინარდა მისი თხილამური, ფეხი კი მუხლამდე თოვლში ჰქონდა და ადგილიდან ვერ იძვროდა.

გოგონას სიცილი აუტყდა, მაგრამ იმწამსვე მიხვდა, სასაცილოდ რომ არ ჰქონდა საქმე. რამდენიც არ ეცადა, ფეხი ვერაფრით ვერ გაითავისუფლა. უცებ რალაც ბუტბუტი შემოესმა, თავდაპირველად ვერ მიხვდა, თუ საიდან მოდიოდა ხმა, შემდეგ, როცა კარგად მიუგლო ყური, დარწმუნდა, რომ ბუტბუტი ზუსტად იმ ორმოდან ისმოდა, სადაც ფეხი ჰქონდა ჩაჭედილი.

იქვე ახლოს, თოვლიდან ტრაკუნები ამოძვრნენ. რონიას მათი ცნობა არ გასჭირვებია: სქელი, ბუთქუნა უკანალი, პატარა, ნაოჭიანი სახე და გაბურძგნული თმა სხვას ვის შეიძლებოდა, ჰქონოდა. უმეტეს შემთხვევაში, ტრაკუნები ადამიანების მიმართ მეგობრულად იყვნენ განწყობილნი და არც არაფერს უშავებდნენ. მაგრამ იმ არსებებს, რომლებიც ახლა რონიას მიშტერებოდნენ აშკარად ეტყობოდათ, რომ რალაცით ძალზე უკმაყოფილონი იყვნენ. ტრაკუნები იჯლანებოდნენ და ოხრავდნენ, ბოლოს ერთმა მათგანმა როგორც იყო ამოღერდა:





— რატომ იქცევით ასსე?

მას სხვებიც აყვნიენ:

— რატომ იქცევით ასსე? რატომ ჩაგვინგრიეთ ჭჭერი? რატომ?  
რატომ?

რონია მიხვდა, რომ ფეხით ტრაკუნებს ჭერი ჩაუნგრია. ტრაკუნები ხშირად მიწის ქვეშ იკეთებენ ბინას, თუ რაიმე უკეთესს არ წააწყდებიან.

— ჩემი ბრალი არ არის! - თავი იმართლა რონიამ, — შემთხვევით მოვხვდი აქ, მოდით, მომეხმარეთ, რომ ფეხი გავითავისუფლო!

მაგრამ ტრაკუნები ისევ ისე მიშტერებოდნენ გოგოს და ისევე ძველებურად მძიმედ ოხრავდნენ:

— ეს გოგო ჩვენს სახურავშია ჩაჭედილი, რატომ იქცევა ასსე  
რონიამ მოთმინება დაკარგა:

— მომეხმარეთ, მომეხმარეთ, რომ აქედან ამოვძვრე.

მაგრამ ტრაკუნებს ან არ ესმოდათ, ან ვერ ხვდებოდნენ, რას ყვიროდა გოგო. კიდევ ერთხელ სულელურად შეათვალიერეს რონია და თავიანთ სოროში გაუჩინარდნენ. რონიას მათი უკმაყოფილო ბუზღუნის უკვე სორიდან ესმოდა. მაგრამ, უეცრად, ტრაკუნებმა აღტაცებულები ყიჟინა დასცეს:

— რა კარგია! - გაიძახოდნენ პატარა არსებები, - მოდით, აკვანი ჩამოვკიდოთ, შევძლებთ, ნამდვილად შევძლებთ!

რონიამ იგრძნო, რომ ფეხზე რაღაც ჩამოჰკიდეს, რაღაც საშინლად დიდი და მძიმე.

— ადვილად შევძლებთ აკვნის დაკიდებას! - ხითხითებდნენ ტრაკუნები, - მშვენივრად გამოვიყენებთ ამ ფეხს, მითუმეტეს, თუ მაინც ჩვენს სახურავში უნდა იყოს გამოჩრილი!

რონიას სულაც არ უნდოდა ყინვასა და თოვლში წოლა, სულელი ტრაკუნების აკვნით ფეხზე. გოგო ისევ შეეცადა ფეხის გათავისუფლებას, მთელი ძალით გამოსწია კიდეც, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ამ დროს ისევ მოესმა ტრაკუნების ხმა:

— აი, ახლა კი ნამდვილად რიგიანად ჰკიდია, ასე კარგია!

რონიამ იცოდა, რომ მატისის ტყეში არაფრის არ უნდა შინებოდა. ბავშვობიდანვე ჰქონდა ეს აზრი ჩანერგილი, მუდამ ახსოვდა და სჯეროდა კიდეც. მაგრამ ხანდახან, ისევე, როგორც ამჯერად, შიში შეეპარებოდა ხოლმე გულში. რა მოხდება, თავი რომ ვერ გაითავისუფლოს, მთელი ღამე ორმოში ჩაჭედილი ფეხით დარჩეს და გაიყინოს?! რონიამ ხეების თავზე თოვლის ღრუბლები შენიშნა, ალბათ მალე თოვლიც წამოვა, ის კი გაზაფხულამდე ასე იწვება გაყინული, თოვლით დაფარული და ფეხზე პატარა ტრაკუნას აკვანი ეკიდება. მხოლოდ გაზაფხულზე იპოვის მატისი თავის საცოდავ ქალიშვილს, გამთარში ტყეში გაყინულსა და მკვდარს.

— არა, არა! - აყვირდა რონია, - მიშველეთ! მიშველეთ!

მაგრამ ვინ გაიგონებს მის ყვირილს ამ ვეებერთელა, უკაცრიელ ტყეში? ვინ დაეხმარება? არავინ! — ეს რონიამ კარგად იცოდა, მაგრამ მაინც განაგრძობდა ყვირილს, ვიდრე ძალა არ გამოეღია. უცებ რონიას მიწისქვეშეთიდან ტრაკუნების წუწუნი შემოესმა.

— აღარ ქანაობს აკვანი? რატომაა ასე?

ამის შემდეგ გოგონას აღარაფერი გაუგონია, იმიტომ, რომ სწორედ ამ დროს ველურ ვიტრას მოჰკრა თვალი. უზარმაზარი, შავი და მშვენიერი ვიტრა ნარნარად ტრიალებდა ხის კენწეროების თავზე შემდეგ ცოტა ქვემოთ დაეშვა და რონიასკენ გამოფრინდა. გოგონამ თვალები დახუჭა. ახლა კი ნამდვილად ველარაფერი გადაარჩენდა.

ყვილითა და ბოროტი ხარხარით დაეშვა ველური ვიტრა რონიას გვერდით.

—პატარა მშვენიერო ადამიანო! - დაიყვira მან საზარლად და გოგოს თმა მოჰქანა, — წამოწოლილხარ და ისვენებ? ჰო! ჰო! ჰო! — ისევ გადაიხარხარა ვიტრამ და ეს იყო ყველაზე საზარელი ხმა, რომელიც კი რონიას თავის სიცოცხლეში გაეგონა.

—ახლა კი გამუშავებ, ჩვენთან, მაღლა მთებში! სანამ სისხლი დაგედინება! თუ არ იმუშავებ, დაგკორტნით და დაგგლეჯთ!

ვიტრამ რონიას კორტნა და ფხაჭნა დაუწყო, თან ცდილობდა, თავისი ბასრი კლანჭებით ორმოდან ამოეთრია, მაგრამ გოგო ადგილიდანაც კი ვერ დაძრა. ამან ხომ მთლად გადარია:

—გინდა, რომ დაგკორტნო და დაგგლიჯო? ბოროტი ველური ვიტრა დაიხარა, ნახშირივით შავი, თვალები რონიას სახეში შეანათა და ისევ შეეცადა გოგოს ხვრელიდან ამოთრევას, მაგრამ ვერა გააწყო რა და თავი გაანება.

—წავალ და ჩემს დებს მოვიყვან —დაიყვილა მან, ხვალ მთებში ნაგიყვანთ, ველარასოდეს შეძლებ აქ მოსვენებით წოლას! - კიდევ უფრო ბოროტად დაიხზავლა ვიტრამ და აფრინდა, ხის კენწეროებს გადაევლო და მაღლა, მთებში გაფრინდა.



„ხვალ, როდესაც ველური ვიტრები მოფრინდებიან, ყინულის ლოლუადა დახვდებათ“, – სევდიანად გაიფიქრა რონიამ.

ტრაკუნების მიწისქვეშეთში სიწყნარი იყო. მთელი ტყე ღამის მოლოდინში გარინდულიყო. რონია უკვე აღარაფერს ელოდა, წყნარად იწვა და განძრევის თავიც აღარა ჰქონდა. მალე დაღამდება – ფიქრობდა შეშინებული, – ჩემს ცხოვრებაში კანასკნელი ცივი, შავი ღამე და აქ მარტოს ამომხდება სული.

თოვლი წამოვიდა. დიდი ფიფქები სახეზე დნებოდა – და რონიას ცრემლებს უერთდებოდა. გოგონა გულამოსკვნილი ტიროდა, მატისზე და ლუვისზე ფიქრობდა. ველარასოდეს ნახავდა თავის მშობლებს და მატისის ციხეშიც აღარასოდეს დაისადგურებდა ძველებური მხიარულება და ბედნიერება. საწყალი მატისი დარდით მოკვდებოდა, რადგან გვერდით თავისი რონია აღარ ეყოლებოდა, ამიერიდან აღარავინ გაამხნევებდა და გაამხიარულებდა. რონია ხომ ყოველთვის ართობდა მოწყენილ მამას. არა, უკვე აღარაფრის იმედი აღარა მაქვს, – ფიქრობდა გოგო, – აღარაფერი მიშველის!

და უცებ რონიამ თავისი სახელი გაიგონა, ვიღაცამ გარკვევით, წყნარად წარმოთქვა მისი სახელი. ეტყობა, მეჩვენება, – გაიფიქრა რონიამ და ისევ ატირდა. ამიერიდან აღარავინ დაუძახებს, აღარც არაფერი მოეჩვენება, ვერც ვერაფერს გაიგებს და იგრძნობს,



მწარე ფიქრებში წასულს ისევ ის ხმა შემოესმა. – რონია, აღარ არის დრო, სახლში მიდიოდე?

გოგომ თავს ძალა დაატანა და თვალები გაახილა

გვერდით ბირკი ედგა! დიახ, ბირკი, თხილამურით ხელში.

— ბუჩქებში შენი თხილამური ვიპოვე, - უთხრა ბიჭმა, — კიდევ კარგი, თორემ მთელი ღამე თოვლში მოგიწევდა წოლა.

ბირკმა თხილამური რონიას გვერდით, თოვლზე დადო.

— დახმარება გჭირდება, არა! — ჰკითხა მან და რონიამ ტირილი დაიწყო. ისე ხმამაღლა მოთქვამდი, რომ თვითონვე შერცხვა. პასუხის გაცემაც კი ვერ შეძლო, მხოლოდ ტიროდა და ტიროდა გაუთავებლად. ბირკი რონიას წამოსაყენებლად დაიხარა. გოგომ ხელები კისერზე შემოხვია და ამოისლუკუნა:

— არ წახვიდე, გეხვეწები! აღარასოდეს დამტოვო მარტო, გეხვეწები!

ბირკმა გაუღიმა.

— რა თქმა უნდა, არა! თუ ჩემგან ღვედის სიგრძით იქნები დაშორებული. გამიშვი ხელი და ნუ წუწუნებ, გამიშვი, რომ ფეხი გაგითავისუფლო!

ბირკმა თხილამურები მოიხსნა და თოვლზე გაწეა, შემდეგ კი ხელი ღრმად ჩაყო ხვრელში, რონიას ფეხი მაგრად მოქაჩა და სწორედ რომ საოცრება მოხდა! გოგომ ფეხი ამოაძვრინა! თავისუფლება! გაუმარჯოს თავისუფლებას!

ო, როგორ გაბრაზდნენ ტრაკუნები, მათი პატარა კი აჩხავლდა.

— ჩვენს მშვენიერ, საყვარელ პატარა ტრაკუნას თვალელებში მიწა ჩაეყარა, რატომ იქცევა ეს გოგო ასე?!

რონია ტიროდა და ტიროდა, ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა და ვერ ჩერდებოდა. ბირკი მოეფერა.

— კარგი, ნულარ ტირი! - უთხრა თბილად, - თორემ სახლამდე მისაღწევად ძალა აღარ გეყოფა.

რონიამ ღრმად ამოისუნთქა. ახლა უკვე ნამდვილად აღარ იყო ტირილის დრო. მერე თხილამურები გაიკეთა და შეამოწმა, შეეძლო თუ არა დგომა.

— ვეცდები, გავსრიალდე, - თქვა დაეჭვებულმა, - შენ ხომ გამომეყვები უკან?

— აუცილებლად! - მიუგო ბირკმა.

რონია ადგილს მოწყდა და ქვევით დაეშვა. ბირკიც მიჰყვა, მთელი გზა, სანამ თოვლსა და ნამქერში მიჰქროდნენ, ბირკი გოგოს უკან მისრიალებდა.

რონია წამდაუწუმ უკან იხედებოდა, უნდოდა დარწმუნებულიყო, მიჰყვებოდა თუ არა ბიჭი, სულ იმის შიში ჰქონდა, ემანდ ბირკი არ გაუჩინარდეს და ისევე მარტოდმარტო არ აღმოვჩნდე გაყინულ ტყეშიო.

მაგრამ ბირკი არსად გამქრალა და მგლის კარამდე ორივენი ერთად მისრიალდნენ, აქ კი მათი გზები იყოფოდა, ბირკი საიდუმლო შესასვლელით უნდა შეპარულიყო ბორკას ბუნაგში.

ბავშვები ცოტა ხანს გარინდებულნი იდგნენ თოვლის ქვეშ. რონია გრძნობდა, როგორ უჭირდა ბიჭთან განშორება, უნდოდა კიდევ დიდხანს ყოფილიყვნენ ერთად .

— ბირკ! - უთხრა გოგომ, -ნეტა, ჩემი ძმა იყო.

ბირკმა გაიღიმა: თუ ასე გინდა, ვიქნები, ყაჩაღის ასულო!

— ძალიან მინდა, -გაუხარდა რონიას, - ოღონდ, რონიას თუ დამიძახებ.

— რონია, ჩემო დაიკო! - ისევ გაუღიმა ბირკმა და თოვლის ფანტელებში გაუჩინარდა.

— დღეს რალაც დიდხანს იყავი ტყეში- უთხრა მატისმა რონიას, როცა გოგო ბუხრის პირას ჩამოჯდა გასათბობად, - კარგად გაერთე?

— გადასარევად! — უპასუხა რონიამ და გათოშილი ხელები ცეცხლს მიუშვირა.

## VI

იმ ღამეს მათისის ტყესა და მის შემოგარენში იმხელა თოვლი მოვიდა, სკალე-პერსაც რომ არ ახსოვდა. ოთხი ყაჩაღი მთელი ძალით მიაწვა ციხიდან გასასვლელ კარს, რომელიც თოვლსა და ნამქერს ამოექოლა. ყაჩაღებმა ძლივს დაძრეს კარი, მაგრამ იმდენზე კი გააღეს, გარეთ გამძვრალიყვნენ. სკალე-პერიც გავიდა გარეთ და თოვლით გადაპენტილი არემარე მოათვალიერა. ყველაფერი თოვლქვეშ დამალულიყო. მგლის კარიც მთლიანად თოვლით იყო შებურული.

ასე თუ გაგრძელდა, გაზაფხულის დადგომამდე გარეთ ცხვირს ვერ გავყოფთ, - ამბობდა სკალე-პერი და ამაში მტკიცედ იყო დარწმუნებული.

— ფიოსიკ! - დაიძახა მან, - თუ შენი უპირველესი მოვალეობა სახურავის გადათოვლაა, უახლოეს მომავალში ეს სიამოვნება არ მოგაკლდება.

სკალე-პერი სიმართლეს ამბობდა ხოლმე და ამ შემთხვევაშიც სწორი გამოდგა. რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში გადაბმით თოვდა. ყაჩაღები ილანძღებოდნენ და იგინებოდნენ, მაგრამ ერთი რამ მაინც კარგი მოიტანა თოვლმა: აღარც მგლის კართან და აღარც ეშმაკის ყბასთან ყაჩაღებს სადარაჯოზე დგომა აღარ სჭირდებოდათ: როგორც ვატყობ, ბორკა ღორზე უფრო უტვინოა, - იძახდა მათისი, მაგრამ არც ისე გამოუსწორებელი სულელი ჩანს, რომ წელამდე თოვლში გაბედოს ჩვენთან შებრძოლება.

სულელი არიც მათისი იყო, მაგრამ ამჯერად ბორკა ნაკლებადარდებდა. მას უფრო მნიშვნელოვანი სადარდებელი გაუჩნდა: რონია, სიცოცხლეში პირველად, გახდა ავად, ტყეში გატარებული საღამოს შემდეგ, რომელიც მისთვის კინალამ უკანასკნელიც კი აღმოჩნდა, გოგონამ მაღალი სიცხით გაიღვიძა.

რონია გაოცებულმა აღმოაჩინა, რომ ლოგინში წოლა მოსწონდა, ყველაფერი ეზარებოდა, მარტო წოლა უნდოდა.

— რა მოგივიდა, ჩემო სიხარულო? — შესძახა მატისმა და რონიას საწოლთან მუხლებზე დაიხოქა, — როგორ გრძნობ თავს? ავად ხომ არა ხარ?

მატისმა რონიას სიცხისგან გავარვარებული პატარა ხელი თავის უზარმაზარ მუჯში მოიქცია, ყაჩაღთა მეთაური ძალიან შეშინდა, რადგან ქალიშვილი ასეთ დღეში არასოდეს ენახა, მისი გოგონა, ჯანმრთელი და კაჟივით მაგარი, ახლა მისუსტებული იწვა საწოლზე და ხმას არ იღებდა.

მატისი დარწმუნებული იყო, რომ რონია, მისი სიხარული, ხელიდან ეცლებოდა, რონიასთან ერთად კი მისი გულიც მოკვდებოდა, მატისს ისეთი სევდა შემოაწვა, რომ აღარ იცოდა, რა ექნა. ამ ქვეყნად ყველაზე ძვირფასი არსების გარეშე რჩებოდა!

თავის კედელზე მირტყმა და ერთი ველურად დაღრიალება ყველფერს ერჩივნა, მაგრამ ახლა ამას ვერ იზამდა - რონიას შეეშინდებოდა! საწყალი ბავშვი ისედაც ცუდ დღეში იყო, ამიტომაც მატისი წყნარად იჯდა შვილის საწოლთან და ვეება ხელი რონიას ცხელ შუბლზე ედო.

— ეს კარგია, ცხელი რომ ხარ, ჩემო რონია, -- ჩურჩულებდა მატისი, -- ადამიანი ცხელი უნდა იყოს, როცა ავადაა.

რონია კარგად იცნობდა თავის მამას და, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ მაღალი სიცხე ჰქონდა, მაინც ცდილობდა მის დამშვიდებას.

— მატის, ნუ სულელობ! არაფერი საშინელი არა მჭირს, ყველაფერი გაცილებით უარესად შეიძლება, ყოფილიყო.

“ მთელი ზამთარი, თოვლის ქვეშ, გაყინული ვეგდებოდი ტყეში გაზაფხულის მოსვლამდე, ასეც შეიძლება მომხდარიყო“ - გაიფიქრა რონიამ.



გოგომ ისევ წარმოიდგინა დარდისგან გაუბედურებული მამამისი და თვალებზე ცრემლები მოადგა. მატისმა შვილის თვალებში ცრემლები რომ დაინახა, გული გაუსკდა,- დარწმუნებული იყო, რომ თავის უდროო სიკვდილს დასტირისო.

— არ იტირო, ჩემო პატარა, მალე გამოკეთდები!-წაილულულა მატისმა და ძლივს შეიკავა თავი, რომ არ აბღავლებულიყო.- დედაშენი სადღა დაიკარგა, -წამოიძახა და ატირებული კარებისკენ გავარდა.

— სად არის ლუვისი, თავისი სიცხის დამწვევი ბალახ-ბულახით, სად გაქრა, როცა რომის სიცოხლე ბეწვზე ჰკიდია,-ღელავდა მატისი. ჯერ ფარეხთან მივართდა, მაგრამ ცოლი იქ არ დახვდა, მშიერი ცხვრები საცოდავად ბლადნენ და აქეთ-იქით აწყდებოდნენ. მატისის დანახვაზე კიდევ უფრო ხმამაღლა აბღავდნენ, მაგრამ მალევე მიხვდნენ, რომ ეს ის არ იყო, რომელიც მათ აპურებდა ხოლმე და ნელ-ნელა მიჩუმდნენ. მატისი თავჩაქინდრული იდგა და ისე ხმამაღლა და გულამოსკვნილი მოთქვამდა, რომ ცხვრებიც კი აფორი-აქდნენ.

იდგა მატისი და მთელი ხმით ტიროდა, ვიდრე კარებში ლუვისმა არ შემოიხედა. მას თავისი საქმეები თითქმის მოეთავებინა, ქათმებისთვის საკენკი დაეყარა, თხები მოეწველა, ახლა კი ცხვრების ჯერი დამდგარიყო. გამწარებული მატისი ცოლს ეცა:

— ქალო, რატომ შენი ავადყოფი შვილის გვერდით არა ხარ?

— ჩემი გოგო ავად არის - წყნარად იკითხა ლუვისმა- ნამდვილად არ ვიცოდი. როგორც კი ცხვრებს საჭმელს დავუყერი, მაშინვე რომინას მივხედავ.

— მე დავუყერი ცხვრებს საჭმელს, - აფეთქდა მატისი,- შენ ახლავე რომინასთან გაიქეცი, - შემდეგ კი ჩუმად დაუმატა, - თუკი ცოცხალს მიუსწრებ!

მატისმა ბაგაში თივის ჩაყრა დაიწყო, თან თავის დარდს ცხვრებს უზიარებდა:

— თქვენ არ იცით, რა არის შვილი! თქვენ არ იცით, რა საშინელი გრძნობაა, როცა შენს პატარა ბატკანს საფრთხე ემუქრება.

მატისი უცებ გაჩერდა. გაახსენდა, რომ გაზაფხულზე ყველა ცხვარმა ბატკანი მოიგო. სად იყვნენ ახლა ეს ბატკნები?... თითქმის ყველა მწვადებად ქცეულიყო...

ლუვისმა რაღაც ფესვებისაგან სიცხის დამწევი წამალი დააყენა და რონიას დააღვინა.

სამი დღის შემდეგ გოგონა თავს მშვენივრად გრძნობდა. მატისიც დაწყნარდა და დამშვიდდა. რონია ისეთივე იყო, როგორც ავადმყოფობამდე. ოღონდ ცოტა უფრო დასერიოზულებული ჩანდა. ეს სამი დღე გოგო ბევრს ფიქრობდა. ახლა როგორ გაგრძელდება მისი ცხოვრება? ბირკთან ერთად?

ძმა კი გაიჩინა, მაგრამ როდის ეღირსება მისი ნახვა?! სადმე საიდუმლოდ უნდა შეხვედროდა. მატისის არაფრის დიდებით არ უნდა გაეგო, მისი ქალიშვილი ბორკას ყაჩაღს რომ დაუმეგობრდა. გინდა ეს ამბავი გაუგია და გინდაც თავში ურო ჩაურტყამთ.

არა, კიდევ უფრო უარესი, - ფიქრობდა რონია, - ნამდვილად გული გაუსკდება, ისე გადაირევა და გამხეცდება, ჯერ რომ არასოდეს გადარეულა და გამხეცებულა. რონიამ ამოიოხრა, რატომ უნდა იყოს მამამისი ყველაფერში ასეთი ველური?

უხაროდა თუ სწყინდა, ბრაზობდა, თუ მხიარულობდა, მატისი ერთნაირად ველური და გადარეული იყო. მისი დაუცხრომელი, უზომო ენერჯია თავისუფლად ეყოფოდა ყაჩაღთა მთელ ბანდას.

რონია მამას არასოდეს ატყუებდა. უბრალოდ, ცდილობდა ისეთი რამე არ ეამბნა, რაც მატისის გულს დასწყვეტდა ან გააბრაზებდა. გოგომ კარგად იცოდა, რომ მატისი განრისხდებოდა და, ამავე დროს, დადარდიანდებოდა კიდევ, რონიას ბირკთან დამეგობრების ამბავი რომ გაეგო. მაგრამ რას იზამ!

რაკი ახლა რონიას ძმა ჰყავს, გოგოს მასთან ერთად უნდა ყოფნა და თუ სხვა გამოსავალს ვერ ნახავს, ჩუმად შეხვდება ხოლმე.

მაგრამ ამხელა თოვლში სად უნდა წავიდეს? ტყეში ვერ წავიდოდა, - მგლის კარი ჩაკეტილი იყო. თანაც ზამთრის ტყისა, ცოტა არ იყოს, ეშინოდა კიდევ. საკმარისია, რაც გადახდა თავს.

ქარბუქი ძველებურად ბობოქრობდა მათისის ციხის გარშემო და დღითიდღე უფრო და უფრო საშინელი ხდებოდა. რონიას იმედი გადაეწურა. დარწმუნებული იყო, გაბაფხულამდე ბირკს ველარ ნახავდა, რა შორს იყო მისგან ბირკი! და აქვე იყო, გვერდით, ერთ ციხე-კოშკში ცხოვრობდა.

ყველაფერი თოვლის ბრალია, - ბრაზობდა რონია და დღითიდღე ნაღვლიანდებოდა, ყაჩაღებსაც ყელში ამოუვიდათ თოვლი.

ყოველ დილას ბუზღუნით არკვევდნენ, ვის უწევდა იმ დღეს გზის გაკვალვა, თოვლის გადახვეტა, სარდაფის კიბის გაწმენდა თუ წყლის მოტანა. წყლის სარდაფი ზუსტად ციხისა და მგლის კარის შუა გზაზე მდებარეობდა.

საკმაოდ ძნელი იყო კისრამდე თოვლში ჯერ იქამდე მიღწევა და მერე სარდაფიდან მძიმე, წყლით სავსე ვედროების ციხემდე მოტრევა. წყალი კი იმდენი უნდა მოეზიდათ, რომ ადამიანებსაც ყოფნოდან და ცხოველებსაც.

— ზარმაცები ხართ, ზარმაცები! - ბრაზობდა ლუვისი, - მხოლოდ ჩხუბისა და ყაჩაღობის დროსა ხართ ყოჩაღები.

ჰოდა, ეს ზარმაცი ყაჩაღები მოუთმენლად ელოდნენ გაბაფხულის მოსვლას და თავიანთი ძველი, თავისუფალი, ყაჩაღური ცხოვრების დაწყებას.

მთელი გრძელი, გაუთავებელი ზამთრის განმავლობაში, ისინი ან თოვლს ხვეტდნენ, ან წყალს დაათრევდნენ, თხილამურებს პოხავდნენ ანდა იარაღს ამოწმებდნენ, დროდადრო ცხენებსაც კამბავდნენ და მერე ისევ ოხვრით ხსნიდნენ უნაგირებს.

ო! როდის მოვა გაბაფხული! ყაჩაღები ბანქოსაც თამაშობდნენ და მხიარული, ყაჩაღური ცეკვა-სიმღერითაც ერთობოდნენ ბუხრის წინ. ცეკვა და სიმღერა ხომ მათ ძალიან უყვარდათ!

რონია მათთან ერთად თამაშობდა ბანქოს, მათთან ერთად ცეკვავდა და მღეროდა, და მათსავით მოუთმენლად ელოდა გაბაფხულის დადგომას. გოგოს ერთი სული ჰქონდა, თავის ტყეში გავარდნილიყო.



რა მშვენიერი იყო გაზაფხულის ტყე! აი, მაშინ კი ნახავდა ბირკს! დაელაპარაკებოდა და გამოარკვევდა, მართლა უნდოდა თუ არა მისი ძმობა, როგორც მაშინ შეჰპირდა, ქარბუქის დაწყებამდე.

ლოდინი აუტანელი გახდა. რონია ვერ ეგუებოდა ციხეში გამოკეტილად ჯდომას. ერთთავად მოუსვენრად იყო, დრო კი ზღაბზნით გადიოდა. ერთ დღეს რონიამ გადაწყვიტა, ციხე-კოშკის მიწისქვეშეთში ჩავალ, ცოტას გავერთობი, რა ხანია იქაურობა არ დამითვალღიერებიაო. ძველი სატუსალოს საკნების ნახვა არ უყვარდა რონიას. მიწისქვეშეთში კი მრავლად იყო ასეთი საშინელი, კლდეში ნაკვეთი საკნები. სვალე-პერი ხშირად უამბობდა გოგოს, ამ სატუსალოებში უკვე დიდი ხანია არავინ მჯდარა, შინაომების დროს კი იქ ადგილობრივი ბარონები და შემოგარენის პატარა მეფეები პატიმრებს ამწყვევდნენო. ეს ყოველივე დიდი, ძალიან დიდი ხნის წინათ ხდებოდა, მატისის ციხე ყაჩაღების ბუნაგად მოგვიანებით იქცაო. მაგრამ რონიას მაინც შიში ჰქონდა, ეგონა, უეცრად ოდესღაც დახოცილი ტუსაღების კვნესა-გოდებას გაიგებდა. არა, ძალზე ძნელი იყო მიწისქვეშეთში უშიშრად ყოფნა.

რონიამ თავისი ფანარი კუთხის საკანს მიანათა და ამოიოხრა:

აღბათ, რამდენი საწყალი ტუსალი მკდარა იქ, იმედგადაწურული რომ კიდევ ეღირსებოდა თავისუფლება და დღის სინათლეზე ყოფნა, რამდენიმე წუთი რონია გაუნძრევლად იდგა და იმ სისასტიკეზე ფიქრობდა, საუკუნეების წინ მატისის ციხეში რომ იყო გამეფებული. შემდეგ გოგომ ქურქი მჭიდროდ შემოიხვია ტანზე და გზა განაგრძო, სატუსალოებს გასცდა და სხვა დერეფანში გავიდა. მიწისქვეშა დარბაზები და დერეფნები მთელი ციხე-კოშკის ქვეშ, მთაში იყო გამოკვეთილი.

ადრე აქ სკალე-პერთან ერთად იყო ნამყოფი, სკალე-პერმა მისი დაბადების ღამეს ჩამოვარდნილი მეხის ნამოქმედარიც აჩვენა. მეხმა სახურავში ხომ ეშმაკის ყბა გააჩინა, ესეც არ იკმარა - ზუსტად ეშმაკის ყბის ქვეშ მთაც გახლიჩა. მიწისქვეშეთი ჩამოცვენილი ქვები და ლოდებით შუაზე გაიყო და ჩაიხერგა.

”სდექ! აქ აუცილებლად უნდა შეჩერდე! - უთხრა რონიამ თავის თავს, ზუსტად ისევე, როგორც ერთხელ სკალე-პერმა უთხრა მას, როცა მიწისქვეშეთში ერთად იყვნენ ჩასულნი.

რონია იქვე ქვაზე ჩამოჯდა და ჩაფიქრდა. კედლის მეორე მხარეს მიწისქვეშეთი გრძელდებოდა, ეს რონიამ მშვენივრად იცოდა და სკალე-პერმაც სწორედ ასე უთხრა. გოგოს გული სწყდებოდა, რომ იქითა მხარის დასაზვერად გაძრომას ვერ ახერხებდა. ახლა, რატომღაც, განსაკუთრებით დაღონდა: ვინ იცის, იქნებ ქვებით ჩახერგილი ამ გვირაბის მეორე მხარეს, სწორედ ამ წუთებში ბირკი დაბორიალებს!

კარგა ხანს იდგა ჩაფიქრებული რონია და ლოდების გროვას მიშტერებოდა. იფიქრა, იფიქრა და გადაწყვეტილება მიიღო.

ბოლოხანებში რონია სულ უფრო და უფრო იშვიათად ჩნდებოდა სვეტებიან დარბაზში. გოგო ყოველ დილით სადღაც უჩინარდებოდა, მისი ადგილსამყოფელი არავინ იცოდა, თუმცა არც მატისი და არც ლუვისი არ კითხულობდნენ, თუ სად ატარებდა მათი ქალიშვილი მთელ დღეებს. აღბათ სხვებთან ერთად თოვლსა ხვეტს, - ფიქრობდნენ ისინი, თანაც მშობლები შეჩვეულნი იყვნენ, რომ რონიას

როცა უნდოდა, მაშინ მიდიოდა გარეთ და შინაც, როცა მოეპრიანებოდა, მაშინ ბრუნდებოდა.

მაგრამ რონია თოვლს არ ხვეტდა. გოგო მიწისქვეშეთში ჩახერგილ ქვებს ეზიდებოდა და გვირაბის გაწმენდას ცდილობდა მიუხედავად იმისა, რომ მძიმე ქვების თრევისგან ხელები და ზურგი სტკიოდა. ყოველ საღამოს, არაქათგამოცლილი, დაღლილ-დაქანცული რონია საწოლზე რომ მიეგდებოდა, ერთ რამეში მტკიცედ იყო დარწმუნებული- ხვალიდან თითსაც არ გავანძრევ, კენტსაც კი არ გადავიტან ერთი ადგილიდან მეორეზე. რონიას ისე სძულდა ეს ლოდები, ქვები და აგურები, ისე სძულდა, ეგონა ამ სიძულვილით კედელს დავანგრევო, მაგრამ კედელი არ ინგრეოდა, იქ იდგა, სადაც ადრე, და რონია იძულებული იყო, თავად ეთრია მძიმე ქვები და იქვე გვერდით სატუსალოში დაეხვევებინა.

ერთ დღესაც სატუსალო ქვებით გაივსო, კედლის თავზე კი პატარა ღრიჭო გაჩნდა, სულ ერთი მტკავლისხელა, მაგრამ გამბედაობა თუ გეყოფოდა, ვაი-ვაგლახ გადაძრომას მოახერხებდი. რონიას კარგად უნდა აეწონ-დაეწონა, შეიძლებოდა თუ არა პირდაპირ გადაძრომა. იქ რა ელოდა? ამაზე გოგოს წარ მოდგენა არა ჰქონდა, მაგრამ სახიფათო გზას რომ ადგა, ეს კი კარგად ესმოდა. რონია მზად იყო განსაცდელისთვის, არანაირ ხიფათს არ შეუშინდებოდა, ოღონდაც ბირკი ენახა. ძალიან ენატრებოდა ბიჭი, თუმცა ასე რატომ ენატრებოდა, ვერაფრით გაეგო. ადრე ხომ სულ არა ნაღვლობდა და ბირკსაც, ბორკასაც და ყველა მათ ყაჩაღს ჩიბუხის კვამლს აყოლებდა.ახლა იგივე რონია ლოდებით ჩახერგილ გვირაბში იდგა და ერთადერთი სურვილი ჰქონდა-ქვებზე გადამძვრალიყო და ბირკი ენახა.

ამ დროს რონიას რაღაც ფხაკუნის მოესმა. ვიღაცა მეორე მხარეს მიადგა კედელს, გოგოს ნაბიჯების ხმა სულ უფრო და უფრო მკაფიოდ ესმოდა. ალბათ, ბორკას რომელიმე ყაჩაღი დაეხეტება-გაიფიქრა რონიამ და გაიტრუნა. გოგო დაზაფრული იდგა, განძრევისაც კი ეშინოდა, თან ერთი სული ქონდა, იქაურობას

დროზე გასცლოდა, ვიდრე კედლის იქითა მხარეს მყოფი აღმოაჩენდა.

უცებ ბორკას ყაჩაღმა სტვენა დაიწყო. ეს მხიარული, მარტივი მელოდია ადრეც გაეგონა. ბირკი უსტვენდა აი, მაშინ, ტრაკუნებისგან რომ ათავისუფლებდა. ნუთუ ბირკი იდგა კედლის მეორე მხარეს?! ან იქნებ, ბორკას ყველა ყაჩაღი ერთი და იგივე მელოდიას უსტვენს?

რონიას ერთი სული ჰქონდა, კედლის იქით მყოფს გამოლაპარაკებოდა, მაგრამ ვერ ბედავდა, ეშინოდა, რაიმე ხიფათს არ გადავეყარო. მაგრამ, არა, აუცილებლად უნდა გამოარკვიოს, ვინ უსტვენს. და თვითონაც სტვენა დაიწყო, გოგო იმავე მელოდიას უსტვენდა, ოღონდ უფრო ჩუმად. მეორე მხარეს დუმილმა დაისადგურა. დიდხანს ჩამიჩუმიც არ ისმოდა, რონია მზად იყო, უკანმოუხედავად მოეკურცხლა, ვინ იცის, ბორკას რომელიმე ყაჩაღი უკვე მოძვრება ქვების გროვაზე და საცაა, ხელს სტაცებს.

და უცებ რონიას ბირკის ხმა შემოესმა, განცვიფრებული, ბედნიერი სხმა.

— რონია?!

— ბირკ! - იკივლა გოგომ და ისეთმა ველურმა სიხარულმა მოიცვა, კინაღამ სუნთქვა შეეკრა.

— ბირკ, ო, ბირკ!

შემდეგ ხმის კანკალით ჰკითხა:

— მართლა გინდა, რომ ჩემი ძმა იყო?

რონიამ გაიგონა, როგორ გადაიხარხარა ბირკმა ლოდებს იქით — ჩემო დაიკო! - გამოეპასუხა ბიჭი, - ძალიან მიხარია შენი ხმის გაგონება, ერთი სული მაქვს, როდის დაგიწახავ. ისევ ისეთი შავი თვალები გაქვს, როგორც ადრე? - ჰკითხა ინტერესით.

— მოდი და ნახე! - გასძახა რონიამ. მაგრამ საუბრის გაგრძელება ვეღარ მოასწრო, რადგან ისეთი რალაც შემოესმა, რომ შიშისგან ენა ჩაუვარდა: რონიამ გაიგო, როგორ გაიღო სადღაც შორს სარდაფის კარები და მიწისქვეშეთში ვიღაც ჩამოვიდა. ახლავე უნდა იპოვოს

რალაც გამოსავალი, ყველაფერი წყალში ჩაეყრება! ბირკსაც ველარასოდეს ნახავს! ნაბიჯების ხმა ნელ-ნელა უფრო მკაფიო ხდებოდა. ვილაც ფრთხილად და დინჯად მოაბიჯებდა გრძელსა და ბნელ დერეფანში. რონიას ესმოდა ეს ხმა, ხვდებოდა, რომ ხიფათი უახლოვდებოდა, მაგრამ მაინც ადგილიდან არ იძროდა, არ იცოდა, რა მოემოქმედა. უკანასკნელ წუთს გოგო უცებ გამოერკვა, სასწრაფოდ გადაუხურჩულა ბირკს:

— ხვალ!

მერე კი იქით გაექანა, საიდანაც ნაბიჯების ხმა ისმოდა, ვინც არ უნდა იყოს, შევაჩერებ, კედლამდე რომ არ მივიდეს, თორემ ყველაფერი გამჟღავნდებაო, - ფიქრობდა გოგო.

შეშინებულ რონიას სკალე-პერი არ შერჩა ხელთ! ყანალი მის დანახვაზე სიხარულით გაიბადრა.

— ო, რამდენს გეძებდი, - უთხრა მან გოგოს, - ველური ვიტრების სახელს გაფიცებ, მითხარი ერთი, აქ რას აკეთებ?!

რონიამ ხელი მკლავში გაუყარა სკალე-პერს და ლოდების გროვისკენ ზურგი აქნევინა. ცოტაც და, დაინახავდა ჩემს ხვრელს, - გაიფიქრა შიშით.

— აბა, სულ თოვლი ხომ არ უნდა ვხვეტო? - უთხრა უდარდელად სკალე-პერს, - წავიდეთ, აღარ მინდა აქ ყოფნა, მომწყინდა ამ მიწისქვეშეთში ყურყუტი.

რონიას უნდოდა რაც შეიძლება სწრაფად გასულიყვნენ სარდაფიდან. მხოლოდ ახლა მიხვდა გოგო, რაც ჩაიღინა — ბორკას ბუნაგისკენ გზა გაათავისუფლა. ეს რომ მატისს გაეგო! მართალია, მამამისი ბებერი მელასავით გამჭრიახობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ იმას კი მშვენივრად მიხვდებოდა, რომ ბორკას ბუნაგისაკენ გზა გახსნილი იყო და ახლა საძულველი მტრის შეპყრობაში ხელს აღარაფერი შეუშლიდა. წესით, მატისი დიდი ხნის წინ უნდა მიმხვდარიყო, მიწისქვეშა გვირაბებით რომ ადვილად შეიძლებოდა ბორკას ბუნაგში მოხვედრა, მაგრამ, კიდევ კარგი, ვერ მიხვდა, — სიხარულით გაიფიქრა რონიამ.



უცნაურია, მაგრამ გოგოს აღარ უნდოდა მოწინააღმდეგე ყაჩაღების ციხე-კოშკიდან გაძევება. ბორკას როგორმე უნდა მოეხერხებინა მათისის ციხეში დარჩენა, ბირკის გულისთვის მაინც. ბირკი ციხიდან არ უნდა გაეგდოთ! რონია ყველაფერს იღონებს იმისათვის, რომ ვერავინ შეიტყოს ბორკას ბუნაგისკენ მიმავალი გზა. ამიტომ სასწრაფოდ უნდა წაიყვანოს აქედან სკალე-პერი, ვიდრე ამ უკანასკნელს თავში რაიმე საშიში იდეა არ დაბადებია.

სკალე-პერი გვერდით მიჰყვებოდა რონიას. ჭკვიანსა და სულ მუდამ რაღაცაზე ჩაფიქრებულს, ისეთი სახე ჰქონდა, გეგონებოდა, არ ირსებობს ქვეყნად საიდუმლო, რომელიც, ბებერმა ყაჩაღმა არ იცისო.

— არა, ჩემი საიდუმლო ნამდვილად არ იცის- შეშფოთებით გაიფიქრა რონიამ - ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით, მაინც.

— თოვლის გაუთავებელი ხვეტა ნამდვილად არ არის სახალისო,- ჩაესმა გოგოს სკალე-პერის ხმა, - მაგრამ ბანქო ხომ შეიძლება ითამაშოს კაცმა გაუთავებლად? შენ რას ფიქრობ?

— ბანქოს თამაში მართლაც ჩინებულია, - დაეთანხმა გოგო, - განსაკუთრებით ახლა ვითამაშებდი სიამოვნებით,- დაუმატა მან და თან სკალე-პერი ნელ-ნელა კიბის საფეხურებისკენ წაიყვანა, მერე, უცებ სახელოზე მოქაჩა:

— წამოდი, ვითამაშოთ! - და შვებით ამოისუნთქა, როდესაც სკალე-პერი საფეხურებს ზემოთ აუყვია.

რონია და სკალე-პერი ბანქოს მგლის სიმღერამდე თამაშობდნენ, თუმცა გოგო მხოლოდ ბირკზე ფიქრობდა.

ხვალ! - თავისთვის თქვა გოგონამ, ვიდრე ჩაეძინებოდა, - ხვალ.

## VII

აი, გათენდა დილა და რონია სადაცაა ბირკს შეხვდება, ოღონდ სასწრაფოდ უნდა გაიპაროს სახლიდან. როგორც კი ცოტა ხნით მარტო დარჩა სვეტებიან დარბაზში, გოგონამ წასასვლელად მზადება დაიწყო. მართალია, ყველა თავისი საქმით იყო დაკავებული, მაგრამ სკალე-პერი შეიძლება, ნებისმიერ მომენტში გამოჩენილიყო და რონიასაც ყველა ღონე უნდა ეხმარა, რომ მისი შეკითხვები თავიდან აეცილებინა. მიწისქვეშეთშიც მშვენივრად ვისაუბრებ - გაიფიქრა გოგომ და ტყავის ზურგჩანთაში პური და თხის რძით სავსე ბოთლი ჩადო.

არავის დაუნახავს, როგორ გავიდა დარბაზიდან, რამდენიმე წუთიც და... ჩამონგრეულ კედელთან იდგა.

— ბირკ! - დაიყვირა რონიამ, გული უსკდებაოდა, რომ ძმობილი იქ არ დახვდებოდა. ლოდების მიღმა არავინ გამოეპასუხა. რონიას ისე დასწყდა გული, რომ თვალებიდას ცრემლები წამოსცვივდა. რა საშინელება იქნება, ბირკი რომ საერთოდ არ გამოჩნდეს ვინ იცის, დაავიწყდა, შეხვედრა რომ ჰქონდათ დათქმული ან, კიდევ უფრო უარესი, საერთოდ გადაიფიქრა მის სანახავად მოსელა. რონია ხომ მატისის ყაჩაღი და ბორკას მტერი იყო და ვინ იცის, იქნებ ბირკს სრულებითაც აღარ უნდოდა მისი ძმობა. :

ამ დროს ვილაცამ თმა ჩამოქაჩა. რონიას შიშისგან კინაღამ გული გაუსკდა და ხმამაღლა დაიკვივლა: გოგოს იმისი უფრო შეეშინდა, ემანდ ისევ სკალე-პერი არ იყოს და ყველაფერი არ ჩაიშალოსო! მაგრამ არა, ეს სკალე-პერი არ იყო. რონიას გვერდით ბირკი იდგა და იცინოდა: მისი ქათქათა კბილები სიბნელეში თეთრად ელაზდა. თავად ბიჭი კი მიწისქვეშეთის სიბნელეში წესიერად არც კი ჩანდა.

—რა ხანია, გელოდები! - უთხრა ბირკმა. რონიას სიხარულისგან გული აუფართხალდა, რა ბედნიერებაა, გყავდეს ძმა, რომელიც შენი გულისთვის მიწისქვეშეთში ზის და მოუთმენლად გელის.

— მე კი... მე კი, იმ დღის მერე ველი შენთან შეხვედრას, ტრაკუნებისგან რომ გამათავისუფლე, - უთხრა გოგომ.

ცოტა ხანს ჩუმად იდგნენ, არც ერთმა არ იცოდა, რა ეთქვა, მაგრამ ორივე უსაზღვროდ ბედნიერი იყო ამ შეხვედრით.

ბირკმა ლამპა ასწია და რონიას სახეში მიანათა.

— თვალები ისევ ისეთი შავი გაქვს! - დაასკვნა მან, -საერთოდ, ზუსტად ისეთივე ხარ, როგორიც ადრე იყავი, ოღონდ, ოდნავ ფერი დაგიკარგავს.

სწორედ ამ დროს შეამჩნია რონიამ, რომ ბირკი სულაც არ იყო ისეთი, როგორიც ახსოვდა. ბიჭი ძალიან გამხდარიყო, ლოყები ჩაცვენოდა, თვალები კი უზარმაზარი გახდომოდა.

—ბირკ, ეს რა მოგსვლია, რა გჭირს? — გაოცდა გოგო.

— არაფერი, - უპასუხა ბირკმა, - უბრალოდ, ამ ბოლო დროს ძალიან ცოტას ვჭამ, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, ბორკას ბუნაგში ყველაზე მეტს მე მივირთმევ.

თავდაპირველად რონია ვერ მიხვდა, რა უთხრა ბირკმა, მაგრამ როცა მისი ნათქვამის აზრს ჩაწვდა, შეშფოთდა.

— რას გულისხმობ, იმას, რომ საჭმელი არა გაქვთ? ყველას სამყოფი საჭმელი? იმდენი, რომ ჭამოთ და დანაყრდეთ? - ჰკითხა ბიჭს აღელვებულმა.

— უკვე რა ხანია, არც ერთი ჩვენგანი აღარ დანაყრებულა, საცაა, სურსათის მთელი მარაგი გაგვითავდება და თუ, გაზაფხული დროზე არ მოვიდა, ყველანი ჩიბუხის კვამლს გავყვებით, სწორედ ისე, როგორც შენ გინდოდა, გახსოვს? - ბირკმა ისევ გაიცინა.

— ეს ადრე იყო! - უთხრა რონიამ, -- მაშინ ძმა არ მყავდა, ახლა კი შენ ჩემი ძმა ხარ!

გოგომ ზურგჩანთა გახსნა და პური ამოიღო:

— ჭამე, თუ გშია!

ბირკმა აღფრთოვანებისგან წამოიყვირა, თითო ხელში თითო პურის ნაჭერი დაიჭირა და ჭამას შეუდგა. ბირკი ისე გატაცებით ჭამდა, ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა, რონიასაც კი, ბიჭი მარტო იყო, ხელში გემრიელი პური ეჭირა და განცხრომით შეექცეოდა. როცა ბირკმა პური გადასანსლა, რონიამ რძიანი ბოთლი გაუწოდა. ბირკმა რძეც ბოლომდე დალია. უცბად დარცხვენით გახედა გოგონას:

— ეს ყველაფერი ხომ შენ უნდა გეჭამა?

— ჩემთან, სახლში, საჭმელი საკმარისია, - უპასუხა რონიამ, — მე არ ვშიმშილობ!

და რონიას თვალწინ დაუდგა ლუვისის ზამთრის მარაგი: გემრიელი პური, თხის ყველი და კარაქი, კვერცხები, დამარილებული ხორცი, ჭერზე ჩამოკიდებული შაშხი, ფქვილით სავსე ტომრები და სამკურნალო მცენარეები, თაფლიანი ქილები, მიწის თხილით სავსე კალათები, სხვადასხვა მწვანილეული, რომელიც ლუვისმა შეაგროვა, გაახმო და ახლა ქათმის წვნიანის შესაკაზმად ხმარობდა ხოლმე. ქათმის წვნიანი! რონიას ამის გახსენებაზე ნერწყვი მოადგა. მოაგონდა, რა გემრიელი იყო ცხელი, სურნელოვანი წვნიანი, - იმ დამარილებული და შებოლილი საჭმლისაგან განსხვავებით, რასაც ზამთარში მიირთმევდნენ ხოლმე.

ბირკთან კი ყველა შიმშილობდა! რონია ვერაფრით მიმხვდარიყო, რატომ. ბირკი შეეცადა აეხსნა:

— ჩვენ ახლა ღარიბი ყაჩაღები ვართ, -- ნაღვლიანად თქვა მან, - სანამ მატისის ციხეში გადმოვსახლდებოდით, თხებიც გვყავდა და ღორებიც. ახლა კი მარტო ცხენები გვყავს. ისინიც, სანამ ზამთარია, შორს, ბორკას ტყის საჯინბოში გვყავს დამწყვდეული. კიდევ კარგი, თორემ ამ საშინელ შიმშილობაში ნამდვილად შემოგვეჭმებოდნენ, ფქვილი, ხორცი და დამარილებული თევზი კი გვექონდა, მაგრამ უკვე გვითავდება. ოჰ! რა გრძელი და მძიმე ზამთარი დაგვიდგა!

რონიას ისეთი გრძნობა გაუჩნდა, გევონებოდათ, მისი და მატისის ბრალი იყო, რომ ბირკსა და მისიანებს ზამთარში ასე გაუჭირდათ. და აი, ახლა მის წინ იდგა ბირკი, შიმშილისგან გაღუული და დასუსტებული. სიცილით კი, ყველაფრის მიუხედავად, მაინც ძველ-

ებურად იცინოდა.

— ღარიბი ყაჩაღები ვართ, სწორედ ასეა! ვერ გრძნობ, რომ სიღარიბისა და სიდუხჭირის სუნი ამდის? - ჩაიცინა ბიჭმა, წყალიც კი ძალზე ცოტა გვაქეს, დროდადრო თოვლის გადნობა გვიწევს, როცა ტყეში ჩასვლა და თოვლის ქვეშ ჭის მოძებნა შეუძლებელი ხდება, გიცდია ოდესმე თოვლსა და ქარბუქში წყლით სავსე ვედროების თოკის კიბებზე ათრევა? ნამდვილად არა, თორემ გეცოდინებოდა, რატომ ამდის ღარიბი ყაჩაღის სუნი!

ჩვენს ყაჩაღებსაც ეგეთივე სუნი ასდით, - შეეცადა რონია ბირკის დამშვიდებას. თვითონ გოგონას კი საკმაოდ სასიამოვნო სუნი ჰქონდა. ლუვისი ყოველ შაბათს ბუხრის წინ დიდ ვარცლში აბანავებდა ხოლმე. კვირა დილაობითკი შვილსაც და ქმარსაც საგულდაგულოდ ვარცხნიდა. მართალია, მათისი სულ წუწუნებდა, თმა რომ ეწიწვნებოდა და ცდილობდა, საძულველი სავარცხლისგან თავი დაეღწია, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა.

— თორმეტი გაბურძგნული და ტილიანი ყაჩაღიც მეყოფა, - ამბობდა ლუვისი, - მათ ბელადს კი უსიკვდილოდ დავვარცხნი, სანამ ხელში სავარცხლის ჭერა შემიძლია.

რონიამ ლამპის შუქზე დაკვირვებით შეათვალიერა ბირკი. ისეთი ლამაზი სპილენძისფერი თმა ჰქონდა, რომ დავარცხნილიც კარგი იყო და დაუვარცხნელიც. ბიჭს თავი კოხტად და ამაყად ეჭირა, კისერი წვრილი ჰქონდა და მხრები - გამხდარი.

— არაფერია, თუ ღარიბი, დაუბანელი და ტილიანი ხარ, - დაამშვიდა რონიამ ბიჭი, - მაგრამ იმას კი ვერ ავიტან, მშვიერიც იყო!

ბირკმა გაიცინა.

— საიდან იცი, რომ ტილები მყავს? - ისევ გადაიხარხარა ბიჭმა, - ისე, მირჩვენია, ტილები მყავდეს, ვიდრე მშვიერი ვიყო.

ახლა ბირკი გულწრფელი იყო.

— საშინელებაა, როცა მშვიერი ხარ, მაგრამ ხომ შემეძლო, პურის ქერქი მაინც გადამენახა უნდისისათვის, - შეწუხდა იგი.

— ალბათ, შევძლებ, კიდევ ვიშოვო, - უთხრა რონიამ დაფიქრებით. მაგრამ ბირკმა თავი გააქნია:

— არა, მე ვერ შევძლებ უნდისთან, სახლში პურით მისვლას, ხომ უნდა ვუთხრა, საიდან მომაქვს. ბორკა საშინლად გაცეცხლდება, თუ გაიგო, პურს შენ გართმევ. აი, მაშინ კი გამოემშვიდობე შენს ძმა ბირკს!

რონია ამოიოხრა. გოგოს მშვენივრად ესმოდა, რომ ბორკას ზუსტად ისევე სძულდა მატისი და მისი ყაჩაღები, როგორც მამამისს-ბორკა და მისი დამქაშები. ეს საძულველი მტრობა რომ არა, რა მშვენივრად აეწყო მისი და ბირკის ურთიერთობა!

— ჩვენ საიდუმლოდ უნდა შევხვდეთ ხოლმე ერთმანეთს, — გულის ტკივილით ჩაილაპარაკა რონია. ბირკიც დაეთანხმა.

— სხვა გზა არა გვაქვს! მე კი მძულს ტყუილის თქმა და ჩემიანების ზურგსუკან რაღაცეების კეთება.

— მეც! — დასძინა მწარედ რონია, — დამარილებული ძველი თევზი და გრძელი ზამთარი საშინელებაა, მაგრამ, ჩემის აზრით, ტყუილი კიდევ უფრო უარესია, ნამდვილი სისულელეა!

— მაგრამ ცოტა ხანი, ჩემი ხათრით, მაინც ხომ გააგრძელებ შენიანების მოტყუებას? გაზაფხული რომ მოვა, ყველაფერი გაცილებით ადვილი გახდება. — მუდარით შეხედა გოგოს ბირკმა, — გაზაფხულზე ამ გაყინული სარდაფის ნაცვლად, ტყეში შევხვდებით ხოლმე ერთმანეთს.

ორივე ისე გაიყინა, რომ კბილს კბილზე აცემინებდა.

— მგონი, დროა წავიდე, თორემ, საცაა გავიყინები და მოვკვდები, — ძლივძლივობით თქვა ბოლოს რონია.

— ხვალ ხომ მოხვალ, ხომ აუცილებლად ინახულებ შენს ტილიან ძმას? — ხმა აუკანკალდა ბირკს.

— მოვალ, სავარცხლითა და სხვა საჭირო ნივთებით! — უთხრა რონია და გაიქცა.

გოგომ პირობა შეასრულა. მთელი გრძელი ზამთრის განმავლობაში, ყოველდღე, დილაადრიან გარბოდა სარდაფში და ლუვისის ზამთრის მარაგიდან ბიჭისთვის საჭმელი მიჰქონდა, რათა, თავისი ძმა შიმშილით სიკვდილისგან ეხსნა. დროდადრო ბირკს ერიდებოდა რონიასთვის საჭმლის გამორთმევა:

– ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს საჭმელს გპარავთ, –წუხდა იგი.

რონია სიცილით კვდებოდა:

– მე რა, ყაჩაღის ასული არა ვარ? მაშ, რატომ არ ვიყაჩაღო?

რონიამ მშვენივრად იცოდა, რომ ლუვისის მარაგის ნაწილი, სწორედ ნაყაჩაღარი, ტყეში მოტაცებული მდიდარი ნადავლი იყო.

“ყაჩაღი ყველაფერს დაუკითხავად და ყოველგვარი ნებართვის გარეშე იღებს”, - ეს წესი საბოლოოდ შევისწავლე, – იცინოდა გოგო, - ჰოდა, ახლა მეც ისევე ვიტყვევი, როგორც მასწავლეს! ასე რომ, არაფერზე არ იდარდო და ჭამე!

ყოველდღე რონიას პატარა ტომსიკით ფქვილი და ბარდაც მოჰქონდა ბირკისთვის. ბიჭიც, საიდუმლოდ მიღებულ ძღვენს დედის მარაგს უმატებდა.

“ყველაფერს ვაკეთებ, ბირკის ყაჩაღები რომ გადავარჩინო“, – ფიქრობდა რონია – ო, ეს რომ მატისმა იცოდეს, რა დღე დამადგებოდა?!

– ბირკმა გულუხვობისთვის დიდი მადლობა გადაუხადა რონიას:

– უნდისი ყოველ დილით განცვიფრებას ვერ მალავს, რომ ფქვილი და ბარდა ჯერ არ გასთავებია. დედაჩემი დარწმუნებულია, რომ ეს რაღაც ზამთრის საოცრება უნდა იყოს, ვიტრების ნამოქმედარი, – ჩვეული მხიარული სიცილით უყვებოდა ბირკი რონიას. ბიჭი ნელ-ნელა ძველ ბირკს დაემსგავსა, აღარც მშვიერი თვალები ჰქონდა, რის გამოც რონია ძალიან კმაყოფილი და გახარებული იყო.

– ვინ იცის, -- იცინოდა ბირკი, — იქნებ დედაჩემი მართალიცაა. შენ ხომ ძალზე გავხარ პატარა, მშვენიერ ვიტრას!

– ოღონდ კეთილი ვარ და არც კლანჭები მაქვს, – დაეთანხმა რონია.

– ძალიან, ძალიან კეთილი, – დასძინა ბიჭმა, - რამდენჯერ უნდა გადამარჩინო სიკვდილს, ჩემო დაიკო?!

– ზუსტად იმდენჯერ, რამდენჯერაც შენ გადამარჩინე- სერიოზულად უპასუხა რონიამ, – ჩვენ ძალიან ვჭირდებით ერთმანეთს. ამას კი ნამდვილად ვხვდები!

— სწორედ რომ ასეა! — დაეთანხმა ბირკი, — მატისმა და ბორკამ კი რაც უნდათ, ის იფიქრონ და რაც უნდათ, ის აკეთონ.

მატისი და ბორკა არც არაფერს ფიქრობდნენ და არც არაფერს აკეთებდნენ, უბრალოდ იმიტომ, რომ წარმოდგენაც არ ჰქონდათ მიწისქვეშეთში მათი შვილების საიდუმლო შეხვედრებზე.

— დანაყრდი? — შეეკითხა რონია ბირკს, — ახლა უნდა დაგვარცხნო!

რონიამ სავარცხელი იარაღით აღმართა და ბიჭს მიუახლოვდა. ბორკას საწყალი ყაჩაღები ისეთი ღარიბები იყვნენ, სავარცხელიც კი არა ჰქონდათ. ძალიანაც კარგი! რონიას მოსწონდა ბირკის ფაფუკი თმის ვარცხნა და იმაზე გაცილებით მეტხანს ვარცხნიდა, ვიდრე საჭირო იყო.

— იმდენს მევარცხნი, მგონი მთელი ტილები მომცილდნენ, - უთხრა ბირკმა, - მეყოფა, მეტი აღარაა საჭირო!

— აი, ნახაე, თუ კიდევ არ გეყოლება. - უპასუხა რონიამ და ახალი ძალით ჩამოუსვა თმაზე სავარცხელი.

მკაცრი ზამთარი ნელ-ნელა მიიწურა, თოვლმა დნობა დაიწყო. ერთ დღესაც ლუვისმა ყაჩაღები გარეთ გარეკა, რომ თოვლში დაეხანათ და ზამთრის ჭუჭყი ჩამოერეცხათ. ყაჩაღები წუწუნებდნენ და ცდილობდნენ, ქალისთვის წინაღმდეგობა გაეწიათ.

— ჯანმრთელობისთვის საზიანოა, — არწმუნებდა ფილოსიკი ლუვისს. მაგრამ ლუვისი მტკიცედ იდგა თავის სიტყვაზე და ზამთრის ჭუჭყის მოსაშორებლად ყაჩაღებს გარეთ ერეკებოდა. ცოტა ხანში თორმეტი შიშველი ყაჩაღი ხარხარით, ფრუტუნითა და ყიჟინით თოვლში გარბოდა მგლის კართან, თან ლუვისის შეუვალ ხასიათს ლანძღავდა, მაგრამ მაინც გულმოდგინედ იბეღდა ტანს თოვლით და გრძელი ზამთრის ჭუჭყს იცილებდა. სხვა გზა არცა ჰქონდათ!

მარტო სკალე-პერი დარჩა სახლში.

— მაინც მალე უნდა მოეკვდე, — დაიწუწუნა მან, — ჰოდა, მინდა, ჩემი ჭუჭყით გარდავიცვალო.

— კარგი, კარგი! — დაყაბულდა ლუვისი, - მაგრამ სანამ მოკვდები, კეთილი ინებე და დანარჩენ ველურებს თმა და წვერი შეკრიჭე.



სკალე-პერი სიამოვნებით დათანხმდა. მოხუცი მშვენივრად პარსავდა ხოლმე ცხვრებს და, რა თქმა უნდა, არც ველური ყაჩაღების გაკრეჭა გაუჭირდებოდა.

— თავზე ორი ღერი თმაღა შემრჩა, იმას რაღა მაკრატელი უნდა, ზედმეტი ჯაფაა, მალე მაინც მიწაში უნდა ვდურთო თავი! — გამოაცხადა მან და შემელოტებულ თავზე ფრთხილად გადაისვა ხელი.

ამ დროს მოხუცს მათისი მივარდა, ღონიერი მკლავები მოჭხვია და ჰაერში აიტაცა.

— არ გამაგონო სიკვდილზე ლაპარაკი! ამ ქვეყანაზე უშენოდ ერთი დღეც არ მიცხოვრია, ბებერო გიჟო! სიკვდილზე ფიქრიც არ გაბედო! გიკრძალავ!

— ჩემო პატარა ბიჭო, ვნახოთ, როგორ იქნება, - უთხრა გულანუყებულმა სკალე-პერმა.

ლუვისი მთელი დღე ყაჩაღების ბინძურ ტანსაცმელს რეცხავდა. ციხე-კოშკის საკუჭნაოდან ძველი, თავის დროზე მათისის ბაბუის ნაყაჩაღარი ტანსაცმელი გამოათრიეს და ყაჩაღებს დაურიგეს.

— ვინ კერავდა ან ვინ იცვამდა ასეთ ტანსაცმელს?— გაუკვირდა ფიოსიკს. ეჭვით შეათვალიერა წითელი პერანგი და თავზე ჩამოიცვა. კნოტოსი და ლილ-კლიპა უარეს დღეში იყენეს: მამაკაცის ტანსაცმელი არ ეყოთ და ქალის სამოსში გამოეწყნენ. ფარფაშა ქვედაბოლოებმა და კორსეტებმა ხომ სულ გაუფუჭეს ხასიათი. სამაგიეროდ, მათისი და რონია ხალისობდნენ კარგა ხანს.

იმ საღამოს, ყაჩაღების გულის მოსაგებად, ლუვისმა ქათმის წენიანი გააკეთა. ცხვირჩამოშვებული, მაგრამ გაკრეჭილ-გასუფთავებული ყაჩაღები გრძელი მაგიდის გარშემო ისხდნენ და ვახშამს ელოდნენ, ყველას სისუფთავის სუნი ასდიოდა.

მაგრამ, როგორც კი ლუვისის ქათმის წენიანის სურნელი იგრძნეს, წამში გამოუკეთდათ ხასიათი. ცოტა ხანში, როგორც ყოველთვის, ჭამას, სიმღერასა და ცეკვას მოჰყვნენ, თუმცა ჩვეულებისამებრ, ველურად არ იქცეოდნენ, განსაკუთრებით კი კნოტოსი და ლილ-კლიპა გამოირჩეოდნენ უჩვეულო სიწყნარით.

## VIII

ბოლოს და ბოლოს, მატისის ციხის ტყეებსა და მის შემოგარენში ზეიმით მოვიდა გაბაფხული. თოვლი დნებოდა, მატისის მთის ფერ-დობებზე ნაკადულები კისრისტეხით ჩარბოდნენ და მდინარეს უერთდებოდნენ. მდინარეც გამოცოცხლდა, ქაფიან ტალღებს მოაგორებდა და გაბაფხულის მქუხარე, მარადიულ სიმღერას მღეროდა. რონია მთელი დღეები უსმენდა ამ გოროზ სიმღერას და სიზმარშიაც გამუდმებით მდინარის ხმა ჩაესმოდა.

ზამთარი დამთავრდა! მგლის კარი, კარგა ხანია, თოვლისგან გათავისუფლდა, გამდნარი თოვლი პატარა, გადარეული მდინარესავით მირბოდა ვიწრო ხეობაში. მატისი და მისი ყაჩაღები ცხენებით შემოჯირითდნენ მგლის კარში, გამდნარი თოვლის შხეფები აქეთ-იქეთ იფრქვეოდა. მზიანი, მშვენიერი დილა იდგა. გამოცოცხლებული ყაჩაღები მხიარულად მღეროდნენ და უსტვენდნენ. როგორც იქნა, დადგა ასე ნანატრი, ყაჩაღების საყვარელი წელიწადის დრო! ხოლო რონიასთვის ტყეში გავარდნის ჟამი მოსულიყო.

ო, როგორ ენატრებოდა გოგოს თავისი ტყე. კარგა ხნის გაქცეული იქნებოდა ტყეში, არ დაუცდიდა თოვლისა და ყინულის ბოლომდე დადნობას, ყველა ნაცნობ ადგილს მოინახულებდა, მაგრამ მატისი გვერდიდან არ იცილებდა და ტყეში წასვლას მკაცრად უკრძალავდა. - გაბაფხულის ტყე ძალზე საშიში და მოულოდნელობით აღსავსეა. - უხსნიდა იგი შვილს. და ვიდრე მისი საყაჩაღოდ წასვლის დრო დადგებოდა, რონიაც სახლში ჰყავდა გამოკეტილი. როცა, ბოლოს და ბოლოს რონია ტყეში გასაქცევად მოემზადა, მატისმა გულში ჩაიკრა შვილი :

— ახლა გაიქეცი!- უთხრა მან გოგონას, ოღონდ რამე ჭუჭყიან და საზიზღარ წუმპეში არ ჩაიხრჩო.

— სწორედ რომ ჩავიხრჩობი! -- გამოუცხადა რონიამ, აი, მაშინ კი მოგეცემა მიზეზი, რაღაცაზე შენებურად იბობოქრო!

მატისმა შვილს საყვარულითა და სინაზით სავსე თვალებით შეხედა : ჩემო რონია, ჩემო საყვარელო შვილო, - ამოიოხრა მან, შე-

მდეგ უნაგირს მოახტა, სტვენით მოუხმო თავის ყანალებს და თვალს მიეფარა.

როგორც კი უკანასკნელი ცხენი მგლის კარში გაუჩინარდა, რონია მაშინვე ტყეში გაიქცა. გოგო მღეროდა, უსტვენდა და ცივ გუბებში ფეხებს მხიარულად მიატყაპუნებდა. მერე კი უცებ თავქუდმოგლეჯილმა მოკურცხლა. იქამდე ირბინა, ვიდრე ტბასთან არ აღმოჩნდა.



ბირკიც იქ იყო! რონიას ელოდებოდა, დაპირებისამებრ! ბიჭი მზით გამთბარ დიდ ლოდზე გემრიელად გამოტილიყო. რონია ვერ მიხვდა, ეძინა თუ ისე იწვა, ამიტომ კენჭი აიღო და ტბაში ისროლა, აბა, გაიგებს თუ ვერა წყლის დგაფუნსო.

ბირკმა იმწამსვე გაიგო, წამოხტა და რონიასკენ გაექანა.

— დიდი ხანია გელოდები! — უთხრა გოგოს. რონიამ ისევ ნაცნობი სიხარული იგრძნო და გული აუფანცქალდა: რა ბედნიერებაა, რომ გყავს ძმა, რომელიც დიდიხანია გელის და შენი მოსვლა უხარია. გოგონა გაზაფხულის მშვენიერ ტყეში იდგა. გარშემო, ყოველი ხის ძირში, ყოველი ბუჩქის ქვეშ უჩვეულო თავგადასავლები ელოდებოდა. რონია ისეთი უსაზღვრო სიხარულით აივსო, რომ გიჟივით,

ხმამაღლა, ველურად აყიჟინდა. კარგა ხნის მერე, სული რომ მოითქვა, ბირკს ყოველივე ასე აუხსნა:

—გაბაფხულის ყიჟინა დაცხე, თორემ სიხარულისგან გული გამისკდება! უსმინე! ხომ გესმის გაბაფხულის ხმა?!

ცოტა ხანს ორივენი გატრუნულნი იდგნენ და უსმენდნენ მათ ტყეში გამოცოცხლებულსა და გამოღვიძებულ ხმებს: ფხაჭუნსა და შრა-შუნს, შრიალსა და ფრიალს, ფხაჭა-ფხუჭს თუ შარი-შურს, ყველა ხე, ყველა ტბორი, მწვანე ხეივანი, ხევი თუ კორდი გაბაფხულის ჯანმრთელი ჰაერით სუნთქავდა და გაბაფხულის ველურ სიმღერას მღეროდა.

— აი, ახლა ვგრძნობ, როგორ გამოდის ჩემგან ზამთარი! - განაცხადა რონიამ, - მალე ისე ავმჩატდები, ფრენასაც შევძლებ!

ბირკმა იდაყვი გაჰკრა.

— იფრენ, არა! დარწმუნებული ვარ, ვიტრები მოუთმენლად ელიან, ერთად როდის ინავარდებთ. რონიამ მხიარულად გადაიკისკისა.

— უნდა ვცადო! ერთიც ვნახოთ და გამომივიდეს?!

ამ დროს ცხენების ფლოქვების თქარა-თქური შემოესმათ. სადღაც ქვემოთ, მდინარესთან, ცხენები ჭიხვინით მიჰქროდნენ. რონიამ აჩქარდა,

— ჩქარა წავიდეთ! ო, როგორ მინდა, დავიჭირო და გავხედნო!



ორივე გაიქცა. იქამდე ირბინეს, ვიდრე არ დაინახეს, ასობით ველური, ფაფარაშლილი ცხენი როგორ მიჰქროდა ტყეში. მათი ფლოქვების ქვეშ მიწა იძროდა. —ალბათ დათვმა ან

მგელმა დააფრთხო! - თქვა ბირკმა, — აბა, რატომ არიან ასე დაფეთებულები?

რონია მთავი გადააქნია:

— არა, არ არიან დაფეთებულები, უბრალოდ ზამთარს აძევებენ სხეულებიდან! როცა სირბილისგან დაიღლებიან და ძოვას დაიწყებენ, მაშინ დავიჭერ რომელიმეს და სახლში წავიყვან, მატისის ციხეში. რომ იცოდე, რა ხანია ამაზე ვოცნებობ?!

— მატისის ციხეში? -- გაცდა ბირკი, — ციხეში ცხენი რად გინდა, ცხენი ტყეში უნდა გყავდეს, რომ გაატენო. შეგვიძლია, ორი ცხენი დავიჭიროთ და ახლავე, აქვე გავატენოთ!

რონია ცოტა ჩაფიქრდა, შემდეგ გაიცინა და თქვა:

— ვატყობ, ბორკას ყაჩაღებსაც ჰქონიათ თავში ცოტაოდენი ჭკუა! წამო, დავიჭიროთ, მოდი, ახლავე ვცადოთ!

გოგომ წელიდან ტყავის ღვედი შეიხსნა. ზუსტად ასეთივე ღვედი უკვე ბირკსაც ჰქონდა. ამ ღვედს ქამანდის მაგივრობა უნდა გაეწია. ბავშვები მოემზადნენ და პატარა მდელოს პირას, დიდი ქვის უკან დაიმალნენ. ველურ ცხენებს ამ მდელოზე უყვარდათ ბალახობა.

ბირკი და რონია მშვიდად ისხდნენ და ელოდნენ ცხენების გამოჩენას და რამდენ ხანს მოუწევდათ ლოდინი, ეს არცერთს არ აწუხებდა.

— შემიძლია, ასე ვიჯდე დაუსრულებლად და გაზაფხულს მთელი სხეულით შევიგრძნობდე, — განაცხადა ბირკმა, რონია მქურდულად გადახედა და ჩაილაპარაკა:

— ამიტომაც მიყვარხარ, ბირკ ბორკას ძვე!

კარგა ხანს ორივენი ჩუმად ისხდნენ და გაზაფხულით ტკბებოდნენ. უსმენდნენ შაშვის სტვენას, გუგულის ხმას ტყეს რომ საოცარი მელოდიით ავსებდა. მელიის ახლად დაბადებული ლეკვები იქვე ახლოს, ბალახში კოტრიალებდნენ, ციყვები მხიარულად დახტოდნენ ტოტიდან ტოტზე. კურდღლები ბუჩქებიდან იჭყიტებოდნენ და გახალისებულნი, აქეთ — იქეთ დახტოდნენ, გველგესლა მზებზე თებოდა. მუცელი გაბერვოდა, მალე შვილები ეყოლება, — ფიქრობდნენ ბავშვები. გველგესლა წყნარად, თავისთვის ნებივრობდა და ბავშვებს

ყურადღებას არ აქცევდა, არც ბავშვები აწუხებდნენ გველგესლას. ყველა გაბაფხულს შეპყვხაროდა.

— შენ მართალი ხარ, ბირკი! - უთხრა რონიამ, - რატომ უნდა წავათრიო ცხენი ციხე-კოშკში, როცა მისი სახლი ტყეა და აქ მშვენივრად გრძნობს თავს! მაგრამ აქეთ-იქით ჭენება კი ძალიან მინდა და ახლა სწორედ რომ ცხენების დაჭერის დროა!

უეცრად მდელი ველური ცხენებით გაივსო. ისინი მინდორს გარს უვლიდნენ, ბალახობდნენ და ხანდახან ახალ, სურნელოვან ბალახს ცნოსავდნენ.

ბირკმა რონიას ორი ყავისფერი ცხენი დაანახა, თუმცა კვიცები უფრო იყვნენ, ვიდრე ცხენები. ისინი დანარჩენებისგან ცოტა მოშორებით ძოვდნენ ბალახს.

—ამ ცხენებზე რას იტყვი?



რონიამ დასტურის ნიშნად თავი დაუქნია. ბავშვებმა ღვედები გამზადეს და დაიძრნენ, ნელ-ნელა, ფრთხილად და უჩუმრად ზურგიდან ეპარებოდნენ ცხენებს. უცებ რონიას ფეხქვეშ ტოტმა გაიტკაცუნა. წამსვე მთელმა რემამ ყურები ცქვიტა და გასაქცევად გაემზადა.

მაგრამ, როცა ვერაფერი საშიში, ვერც დათვი, ვერც მგელი ვერ შენიშნეს, დამშვიდდნენ და ისევ ბალახში ჩარგეს თავები.

რონიას და ბირკის ამორჩეული კვიციებიც უწინდელივით წყნარად ძოვდნენ ბალახს. ბავშვები თითქმის მათ გვერდით იდგნენ. რონიამ და ბირკმა ერთმანეთს გადახედეს და ორმა ღვედმა ერთდროულად გაიშხულია ჰაერში. იმწამსვე მთელი ტყე ველური ჭიხვინით აივსო. ცხენები მიწას ფლოქვებს სცემდნენ და ყალყზე დგებოდნენ, ქამანდისგან თავის დახსნას ცდილობდნენ, დანარჩენები კი ადგილს მოსწყდნენ და ტყეს მისცეს თავი.

ორი მშვენიერი, ველური კვიცი გააფთრებით აწყდებოდა აქეთ-იქით, ფრუტუნებდა და თავის გასათავისუფლებლად იბრძოდა. რონია და ბირკი ცდილობდნენ ცხენები ხეზე მიებათ, მაგრამ ეს არცთუ ისე იოლი საქმე იყო. თუმცა, საბოლოოდ მაინც მოახერხეს ცხენების ხეზე მიბმა და სასწრაფოდ გვერდზე გახტნენ, რომ გაავებული კვიციების ფლოქვების ქვეშ არ მოხვედრილიყვნენ. დაღლილობისგან აქოშინებულნი ბავშვები იდგნენ და უყურებდნენ, როგორ ისროდნენ ტლინკებს დაბმული კვიციები და ელოდნენ, ღონე როდის გამოეცლებოდათ,

— ეს ველურები უნდა გავაჭენოთ? --იკითხა რონიამ,- არა მგონია, ამათ ჩვენი ზურგზე შესმა მოისურვონ!

ბირკიც იმასვე ფიქრობდა

— როგორმე უნდა გავაგებინოთ, რომ არაფერს დავუშავებთ! - თქვა ბირკმა,

— მე უკვე ვცადე! - გამოეპასუხა რონია, - პურის ნაჭერს ვაძლევდი და კიდევ კარგი, ხელის გამოწევა მოვასწარი, თორემ მატისთან თითებმოკვნიეტილი დავბრუნდებოდი. არა მგონია, მამაჩემს ეს ამბავი გახარებოდა.

ბირკი გაფითრდა:

— რას ამბობ! დარწმუნებული ხარ, რომ ამ არამზადას შენი თითების მოკვნიეტა უნდოდა?

— თავად მას ჰკითხე! -უპასუხა ცხვირჩამოშვებულმა რონიამ. გოგო გაუბედავად უყურებდა მზეზე მოელვარე ველურ ცხენებს, დაუ-

ღალავად რომ ყრიდნენ ტლინკებს და გაავებულები ჭიხვინებდნენ.

— არამზადა! მშენიერი სახელია ცხენისათვის! - გამოაცხადა რონიამ, - სწორედ არამზადას დავარქმევ!



ბირკმა გადაიხარხარა.

—ახლა ჩემი ცხენისთვისაც მოიფიქრე სახელი!

— შენიც ზუსტად ასეთივე გიჟია! - უთხრა რონიამ, — გიჟმაჟი შე-  
გიძლია დაარქვა.

— მისმინეთ, ველურო ცხენებო! - დაიყვირა ბირკმა, - დღეიდან  
თქვენ არამზადა და გიჟმაჟი გქვიათ! და გინდათ თუ არ გინდათ, ჩვე-  
ნი ცხენები ხართ!

არამზადას და გიჟმაჟს ეტყობოდათ, რომ სულაც არ უნდოდათ,  
მათი ცხენები ყოფილიყვნენ: აქეთ-იქით აწყდებოდნენ, ტყავის ღვე-  
დებს ღრღნიდნენ, ოფლი ღვარად ჩამოსდიოდათ, მაგრამ მაინც არ  
ჩერდებოდნენ, ტლინკებს ისროდნენ, ყალყზე დგებოდნენ, გაუთა-  
ვებლად, ველურად ჭიხვინებდნენ და ახლომახლო ცხოველებსა და  
ჩიტებს აფრთხობდნენ. დრო გადიოდა. მოსალამოვდა. ცხენები ბედს  
შეურიგდნენ, დაწყნარდნენ, ხეებთან თავჩაქინდრულნი იდგნენ



დაღლილნი და არაქათგამოცლილნი, მხოლოდ დროდადრო დარდიანად თუ წამოიჭიხვინებდნენ.

— მე მგონი, სწყურიათ, - უთხრა ბირკმა რონიას- წყალი უნდა დავაღვივინოთ!

ბავშვებმა ცხენები ახსნეს და ტბისკენ წაიყვანეს. ისინი წყნარად და მორჩილად მიჰყვებოდნენ თავიანთ ახალ პატრონებს, მერე კი დიდხანს სვამდნენ წყალს. რონიას მოეჩვენა, რომ ისინი ძალიან კმაყოფილნი იყვნენ თავიანთი ხვედრით და კეთილი თვალებით შესცქეროდნენ მასა და ბირკს.

ბირკმა შვებით ამოისუნთქა:

— მე მგონი, მოვიშინაურეთ!

რონია თავის ცხენს მოეფერა, თვალებში ჩახედა და უთხრა:

— რაკი მე ვთქვი, რომ შენ უნდა გაგაჭენო, ესე იგი, გაგაჭენებ კიდევ, გასაგებია? მან არამზადას მაგრად ჩასჭიდა ფაფარში ხელი და ზურგზე მოახტა.

— აბა, არამზადავ! — ამის თქმაღა მოასწრო რონიამ და თავით ტბაში გადაფრინდა. გოგომ სწორედ იმ დროს ამოყვინთა, როცა არამზადა და გიჟმაჟი თვალს მიეფარნენ,

ბირკმა ხელი გაუწოდა და ტბიდან ამოიყვანა რონია. ბიჭს არც ხმა ამოუღია და არც რონიასთვის შეუხედავს თვალებში. გოგოც ჩუმად ამოძვრა წყლიდან და თმა შეიფერთხა. ტანსაცმლიდან წყალი წურ-წურით ჩამოსდიოდა. რონიას მწარედ ჩაეცინა:

— ჰმ! მგონი, დღეს მეტს ველარ გავაჭენებ!

აქ კი ბირკმა თავი ველარ შეიკავა, გულიანად გადაიხარხარა და მიუგო:

— დღეს ველარც მე გავაჭენებ!

მოსალამოვდა. მზე ჩავიდა, ბინდი ჩამოწვა, მშვენიერი, გამჭვირვალე ბინდი ხეებს შორის გამეფდა. გეგონებოდათ, არასოდეს დაღამდებო. ტყეში სიჩუმემ დაისადგურა. პატარა მელაკუდები, ციყვები და ბაჭიები თავ-თავიანთ სოროებსა და ფულუროებში მიიმალნენ, გველგესლა თავისი ქვის ქვეშ შეძვრა. ყველაფერი

მიწყნარდა, მარტო ბუს ხმა ისმოდა შორიდან და მალე ისიც მიჩუმდა.

თითქოს მთელ ტყეს ჩაეძინაო, სამაგიეროდ, ახლა ბინდბუნდის სულიერებმა გაიღვიძეს, აფათურდნენ, აშარიშურდნენ. ტრაკუნები ხეებს შორის ფხაჭუნობდნენ, სასაცილო ტროლები ქვების უკნიდან იჭყიტებოდნენ, მაჭლაჯუნები თავიანთი ხვრელებიდან გამოძვრნენ და ბრაზიანად შიშინებდნენ, სხვების შეშინებას ცდილობდნენ, მთებიდან ველური ვიტრები დაეშვნენ, ყველაზე სასტიკნი და საზარელნი ტყის ბინდბუნდის სულიერთა შორის, ისინი სადამოს ნათელ ცაზე შავ ლაქებად მოჩანდნენ. რონია მ დაინახა ვიტრები და არ ესიაშვნა, არ უყვარდა ეს ველური, ბოროტი არსებები.

— ამ დროს ტყეში ბევრი საშიში არსება გამოდის გარეთ, - გამოაცხადა რონიამ, - სახლში მინდა, ნახე, რა სველი და გალურჯებული ვარ.

— სველი და გალურჯებული! — გაიცინა ბირკმა, დღეს ხომ მთელი დღე ასე დახტიხარ.

რონიამ იცოდა, რომ დიდხანს დარჩა ტყეში, ბირკს დასცილდა თუ არა, იმაზე დაიწყო ფიქრი, მატისი როგორ მოეთაფლა, როგორ დაერწმუნებინა, რომ გაზაფხულის სადამოები აუცილებლად ტყეში უნდა გაეტარებინა, გვიანობამდე გარეთ უნდა ენავარდა და გაზაფხულის მშვენიერებით დამტკვარო.

მაგრამ არც მატისს და არც სხვას არავის არ შეუმჩნევია, როგორ შეძვრა რონია სვეტებიან დარბაზში, ყველა რაღაც სერიოზული საზრუნავით იყო დაკავებული.

ბუხრის წინ დაფენილ ტყავზე გაფითრებული და თვალდახუჭული სტურკა იწვა, მის გვერდით ლუვისს ჩაემუხლა და ყელზე ჭრილობას უთვალთვლებდა. დანარჩენი ყაჩაღები გარს შემოხვეოდნენ ამხანაგს და ჩუმად უყურებდნენ, მხოლოდ მატისი გორავდა დათვივით იატაკზე და გამხეცებული ბრდღვინავდა:

— ო, ეს საზიზღარი ბორკას ყაჩაღები! ო, ეგ არამზადები, ბანდიტები! ერთმანეთის მიყოლებით დაგხოცავთ ყველას! ისე დავეუუავ, ცხოვრებაში ხელ-ფეხი ვეღარ გაანძრიონ! ო, ოო!

ცოტა ხანში მატისი მოთქმა-გოდებითა თუ ლანძღვა-გინებით დაიღალა და ახლა გამწარებული მხოლოდ ღმუოდა და ღრიალებდა, მოთმინებადაკარგულმა ლუვისმა ქმარს სტურკაზე მიუთითა, მაშინდა მიხვდა ყაჩაღთა ბელადი, რომ საწყალ დაჭრილს თავისი ღმუილით კიდევ უფრო აწუხებდა და ჩაჩუმდა.

რონია მიხვდა, რომ ახლა მატისთან დალაპარაკება ნამდვილად არ ღირდა, ჯობს სკალე-პერს ჰკითხოს, თუ რა ხდება ციხეში.

— ბორკასნაირები უნდა ჩამოახრჩონ! - მტკიცედ გამოაცხადა სკალე-პერმა და რონიას ყველაფერი უამბო.

თურმე მატისი და მისი ამფსონები ყაჩაღთა ჭიშკართან საფარში იწვნენ, გზაზე ბევრი გამვლელი მიდი-მოდიოდა: ტომრებით, ხურჯინებით, ჩანთებით, ყაჩაღებმა ერთი ვაჭარი გაძარცვეს და ტანსაცმელი, ტყავეული, საჭმელი და ფული წაართვეს.

— არ გაბრაზდა? - უკმაყოფილოდ იკითხა რონიამ,

— აბა,გამოიცანი! — ჩაიცინა სკალე-პერმა, — უნდა გენახა, როგორ ილანძღებოდა და ყვიროდა, თან თავქუდმოგლეჯილი გარბოდა! ალბათ შერიფთან მიიჩქაროდა საჩივრელად.

სკალე -პერმა ისევ ჩაიცინა, თუმცა რონია ამ ამბავში სასაცილოს ვერაფერს ხედავდა.

— ჰოდა, შემდეგ, — განაგრძო სკალე -პერმა, როცა ყველაფერი ცხენებს ავკიდეთ და შინ წამოსელას ვაპირებდით, ბორკა გამოჩნდა და ნადავლის წართმევა დაგვიპირა, ო, რა სროლა ატეხეს, მაგ არამზადებმა! სწორედ მაშინ დაიჭრა საწყალი სტურკა ისრით, კისერში, რა თქმა უნდა, ჩვენც ვესროლეთ, — განაგრძო მოხუცმა ყაჩაღმა, - ჰო, ჰო! მინდა გითხრა, ჩემო კარგო, რომ ორი-სამი იმათგანი უფრო მძიმედ იქნება დაჭრლი.

მატისი მიუახლოვდა მოხუცს და ბოლო სიტყვები რომ გაიგო, გამწარებული კბილები გააღრჭიალა:

— დაიცადეთ, ეს მხოლოდ დასაწყისია! — გამოსცრა მან — ყველას დავიჭერ! აქამდე წყნარად ვიყავი! მაგრამ დღეიდან ბორკას ყველა ყაჩაღს ბოლო მოეღება!

რონიამ იგრძნო, თანდათან როგორ მოიცვა მრისხანებამ.

– იმაზე არ ვიფიქრია, რომ შესაძლოა, მატისის ყაჩაღებსაც მოელოთ ბოლო?!

– მე ვცდილობ მაგაზე არ ვიფიქრო, -- უპასუხა მატისმა, – იმიტომ, რომ ეს არასოდეს მოხდება!

– შენ არ იცი, რა მოხდება და რა არა, – შეეპასუხა ქალიშვილი.

გოგო სტურკასთან მივიდა და გვერდით მიუჯდა. ხელი შუბლზე დაადო და იგრძნო როგორ იწვოდა სიცხით ყაჩაღი. სტურკამ თვალები გაახილა და რონიას დანახვაზე გაღიმება სცადა:

– ასე ადვილად ვერ მომერევიან! – უთხრა გოგოს, მაგრამ მის სიტყვებს დამაჯერებლობა აკლდა.

რონია მოეფერა:

– რა თქმა უნდა, სტურკა, ვერ მოგერევიან, – ჩაიჩურჩულა მან.

დიდხანს იჯდა რონია სტურკასთან და მისი ხელი ეჭირა. არცერთი ცრემლი არ გადმოვარდნია თვალებიდან გოგოს, მაგრამ გულში კი მწარედ ტიროდა.



## IX

სტურკას რამდენიმე დღის განმავლობაში მაღალი სიცხე ჰქონდა, თავს ძალიან ცუდად გრძნობდა და გაუთავებლად ბოდავდა.

ლუვისი გვერდიდან არ შორდებოდა ავადმყოფს, მან ბევრი სამკურნალო საშუალება იცოდა და ახლაც თავისი ბალახ-ბულახით და ელექსირებით ცდილობდა სტურკას გამოჯანმრთელებას. და, მართლაც, ყველას გასაოცრად, მეოთხე დღეს სტურკა ფეხზე წამოდგა. მართალია, თავს ჯერ ძალიან სუსტად გრძნობდა, მაგრამ სხვა მხრივ არაფერს უჩიოდა.

ისარმა კისრის მყესებში გაუარა ყაჩაღს. ჭრილობამ თანდათანობით პირი შეიკრა და მალე მოუშუშდა კიდეც, მაგრამ ნაიარევი ჯერ კიდევ სტკიოდა და ამიტომ თავი ოდნავ გვერდულად ეჭირა. ასე კანი არ ეჭიმებოდა და არ აწუხებდა. საბრალო შესახედი იყო კისერა, გასაცოდავებული ყაჩაღი. მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, დაჭრილი სტურკა ჩვეულებრივზე მეტად ხალისობდა და მხიარულობდა. ყაჩაღები ბედნიერები იყვნენ, მეგობარი რომ გადაურჩათ და დროდადრო ხუმრობით კისერმოღრეცილსაც კი ეძახდნენ. სტურკას ეს არ სწყინდა და თვითონაც გულიანად იცინოდა ხოლმე.

მხოლოდ რონია იყო დაღვრემილი და გულმოკლული. მატისსა და ბორკას შორის ჩამოვარდნილი მტრობა მის ცხოვრებასაც ართულებდა, აქამდე გოგოს იმედი ჰქონდა, რომ ეს მტრობა ნელ-ნელა, თავისთავად განელდებოდა და გაქრებოდა. ახლა კი ყოველ დილით მგლის კარში გამავალ ყაჩაღებს რომ უყურებდა, დარდი შემოაწვებოდა ხოლმე და ფიქრობდა, ნეტა, რამდენი მათგანი დაბრუნდება შინ უვნებელი.

გოგო მხოლოდ მაშინ იყო მშვიდად, როცა საღამოობით, გრძელ მაგიდასთან შემომსხდარ ყაჩაღებს ხედავდა.

დილით კი ისევ იწყებოდა დაძაბული მოლოდინი, ერთხელაც რონიამ ველარ მოითმინა და მამას ჰკითხა:

— როდემდე უნდა იყოთ შენ და ბორკა ერთმანეთს ასე სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადამტერებული?

— ბორკას ჰკითხე! — მიუგო მატისმა, — ეს მათ გაისროლეს პირველი ისარი, ამაში სტურკაც დამემოწმება.



ბოლოს ლუვისსაც აევსო მოთმინების ფიალა:

– ბავშვიც კი შენზე უფრო ჭკვიანია, მატის! – უთხრა მან ქმარს, – ეს მტრობა საშინელი სისხლისღვრით დამთავრდება! ვისთვისაა კარგი ეს ყველაფერი, გამაგებინე!

მატისის აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. ორივე, ლუვისიცა და რონიაც, მისი წინააღმდეგი იყვნენ!

– ვისთვისაა კარგი?! – აყვირდა იგი, – კარგი ჩვენთვის იქნება, როცა საზიზღარი ბორკა ბოლოს და ბოლოს წაეთრევა ჩემი ციხიდან! გასაგებია?!

– ნუთუ ამისთვის სისხლიღვრაა აუცილებელი, გინდათ ყველა დაიხოცოთ? – შეეპასუხა რონია, – ნუთუ სხვა გზა არ არსებობს?!

მატისი ნაწყენი შესცქეროდა შვილს. კარგი, ლუვისი მის წინააღმდეგ წავიდა, მაგრამ რონია? მისი საყვარელი ასული?! არა, ამას ნამდვილად ველარ მოითმენს!

– რაკი ასეთი ბრძენი ხარ, სხვა გზა შენ გამონახე, – შეუღრინა შვილს, – გააძევე ბორკა და მისი ყაჩაღები მატისის ციხიდან. დაე, ეყარონ ტყეში, როგორც უსახლკარო მელიები. მაშინ აღარ დავემუქრები!

შემდეგ დაფიქრდა და ბურტყუნით დაუმატა:

— ვიდრე ბორკა ჩემს ციხეშია, ყაჩაღთა სამყაროში ცხვირი არ გამომეყოფა!

რონია და ბირკი ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს ტყეში. ეს შეხვედრები ხალისს უბრუნებდა გოგოს. ტყეში მშვენიერი გაზაფხული იდგა, მაგრამ რონია და ბირკი ძველებურად უდარდელად ველარ შეჭხაროდნენ წელიწადის ულამაზეს დროს.

— გაზაფხულიც კი ჩაგვამწარეს! — ჩიოდა ბირკი, — უსინდისო ყაჩაღებმა სიხარული მოგვისპეს, მათ ხომ ქვეყანაზე არაფერი გაეგებათ!

— რა გულდასაწყვეტია, — ფიქრობდა რონია, — რომ მატისი ბებერ, უსინდისო ყაჩაღად იქცა, ისე, რომ ამას ვერც ხვდება. მისი მატისი, მისი იმედი, მისი სიძლიერე უსარგებლო, გაუგებარ ადამიანად ქცეულიყო — რონიას ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს მატისის ადგილი ბირკმა დაიჭირა. ახლა სწორედ ბირკი იყო მისი ერთადერთი იმედი.

— ძმა რომ არ მყავდეს, — თქვა რონიამ, — მე არ ვიცი, როგორ...

ბავშვები ტბის პირას ისხდნენ. გარშემო გაზაფხულის მშვენიერი ტყე ერტყათ, მაგრამ ვერაფერს ამჩნევდნენ.

რონია დაძაბული ფიქრობდა:

— შენ რომ ჩემი ძმა არ იყო, ალბათ არც ვიდარდებდი იმაზე, თუ რას უპირებს მატისი ბორკას.

გოგომ ბირკს გადახედა და უცებ მხიარულად გადაიკისკისა:

— აჰა, თურმე სულ შენი ბრალია, ამდენი სადარდებელი რომ გამიჩნდა!

— სულაც არ მინდა, რომ დარდობდე, — გამოეპასუხა ბირკი, — მაგრამ, ისე, მეც ძალიან მიჭირს!

დიდხანს ისხდნენ ბავშვები ჩუმად, ორივეს ძალზე უმძიმდა, მაგრამ ისინი ერთად იყვნენ, ერთმანეთის იმედად, თუმცა მათ დარდს ეს ოდნავადაც არ ამსუბუქებდა.

— საშინელებაა! მთელი დღე მარტო იმაზე ვფიქრობ, ვინ დაბრუნდება სახლში ცოცხალი და ვის მკვდარს მოიტანენ, — თქვა გულ-

მოკლულმა რონია. — კიდევ კარგი, ჯერ არავინ მომკვდარა, — უპასუხა ბირკმა, — მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ჯარისკაცებმა ისევ დაიწყეს ტყის ჩხრევა. მათისი და ბორკა, უბრალოდ, ვერ ჩხუბობენ. არ უნდათ, ჩხუბის დროს ჯარისკაცები გადაეყარონ, ხმაურზე ხომ ადვილად მიაგნებენ!

— ჩვენი ბედი, რომ ასეა, — დაეთანხმა რონია. ბირკმა გაიცინა:

— იფიქრებდი ოდესმე, რომ ჯარისკაცების ტყეში გამოჩენა გავვიხარდებოდა?

— მაინც გამუდმებით შიშში ვარ! — დაიჩივლა გოგომ, — და ასეთ შიშსა და უიმედობაში უნდა გავატაროთ მთელი ცხოვრება!

ბავშვები ტყეში შევიდნენ. მდელიზზე ველური ცხენები ბალახს ძოვდნენ. არამზადა და გიჟმაჟიც იქ იყვნენ. ბირკმა დაუსტვინა. ორივე ცხენმა თავი ასწია და დაკვირვებით შეათვალიერა ბავშვები. შემდეგ კი ისევ წყნარად განაგრძეს ტალახის ძოვა. ეტყობოდათ, რომ ბავშვების გამოჩენას მშვიდად შეხვდნენ.

— ნამდვილად ველურები ხართ! — დაუძახა ბირკმა, — თუმცა კაცმა რომ შემოგხედოთ, ეგონება, ბუზს არ ააფრენთ!

რონიას სახლში წასვლა მოუნდა. ორი ბებერი, უსინდისო ყაჩაღის გამო ტყეში დარჩენა არ ეხალისებოდა.

ამ დღესაც, როგორც ყოველთვის, ბავშვები მგლის კარიდან კარგა მოშორებით დასცილდნენ ერთმანეთს, ყაჩაღების სავალ ბილიკებს შორიდან შემოუარეს, რომ არავის შეემჩნია. ორივემ მშვენივრად იცოდა, რომელი გზით ბრუნდებოდნენ შინ მათისი და ბორკა, რომელ ბილიკებს არჩევდნენ, მაგრამ მაინც შიშობდნენ, ემანდ ვინმემ ერთად არ დაგვინახოსო.

ბირკი რონიას დაემშვიდობა:

— ხვალ დილით შეგხვდები, — გაულიმა ბიჭმა და ხტუნვა-ხტუნვით გაუყვა გზას.

რონია ცოტა ხნით შეეყოვნდა, ერთხანს მელიის პაწაწინა ლეკვებთან თამაშით გაერთო. ერთი ციდა მელაკუდები ბალახში ხტოდნენ და კოტრიალებდნენ. ძალიან სასაცილოები იყვნენ, მაგრამ რონიას სულ არ ეცინებოდა. ნეტა თუ დაუბრუნდება ოდესმე უწინდელი



უდარდელი ცხოვრება. ვინ იცის, იქნებ აღარასოდეს იგრძნოს თავი ძველებურად ბედნიერად.

გოგო სახლის გზას გაუყვია და მგლის კართან მივიდა. იქ ყარაულში ლილ-კლიპა და იენი იდგნენ. ყაჩაღები გახარებულნი ჩანდნენ.

— სასწრაფოდ სახლში გაიქეცი და იქ გაიგებ, რაც მოხდა, — უთხრა იენმა გოგოს.

რონია ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო.

— სახეზე გეტყობათ, რაღაც სასიხარულო მოხდა, — უპასუხა მან.

— დარწმუნებული იყავი, სასიხარულოა, — ჩაიცინა ლილკლიპამ, — შენ თვითონ ნახავ!

რონია სახლისაკენ გაიქცა. რაღაც სასიხარულო ახლა ნამდვილად სჭირდებოდა.

რამდენიმე წუთში სვეტებიანი დარბაზის კარებთან იდგა. დახურულ კარს მიღმა მატისის ხარხარი ისმოდა — მხიარული, უზრუნველი სიცილი. რონიას გული გაუთბო ამ სიცილმა, მთელი მისი სევდა და წუხილი წაშში გაქრა! ახლა კი ნამდვილად უნდოდა გაეგო, რატომ იცინოდა მამამისი ასე გულიანად.

გოგო სვეტებიან დარბაზში შევარდა. მატისმა დაინახა თუ არა შვილი, მისკენ გამოექანა, გულში ჩაიკრა და ჰაერში აიტაცა, შემდეგ კი, ველური სიხარულით ატაცებულმა ტრიალ-ტრიალით შემოუარა ოთახს.

— ჩემო რონია! მართალი იყავი! — ყიჟინებდა იგი, — არავითარი სისხლისღვრა არაა საჭირო! ბორკა და მისი ყაჩაღები ისედაც ჩიბუხის კვამლს გაჰყვებიან, მერწმუნე, ჩემო სიხარულო!

— როგორ? — დაინტერესდა გოგო.

მატისმა თითი გაიშვირა.

— შეხედე! შეხედე, ცოტა ხნის წინ ვინ ჩამივარდა ხელში!



სვეტებიანი დარბაზი მოზეიმე ყაჩაღებით იყო სავსე. ისინი გიჟებით დაქროდნენ აქეთიქით, გახარებულები დახტოდნენ და ყირაზე გადადიოდნენ. ამიტომ რონია თავიდან ვერ დაინახა, რაზე ანიშნებდა მამამისი.

— ხვდები, ჩემო საყვარელო? — განაგრძო მატისმა, — მხოლოდ ამას ვეტყვი ბორკას: წახვალ თუ არა ჩემი ციხიდან? გინდა თუ არა შენი გველის წიწილი დაგიბრუნო?

და რონია ბირკი დაინახა! შორს კუთხეში ხელფეხშეკრული ბიჭი იწვა, გატეხილი შუბლიდან სისხლი სდიოდა და ეჭვით შეჰყურებდა მის გარშემო ველურად მოხტუნავე მატისის ყაჩაღებს.

გახარებული ყაჩაღები გაჰყვიროდნენ:

— ჰეი! შენ, ბორკას ნაშიერო, როდის უნდა წაბრძანდე მამასთან სახლში?

რონია შეჰკვივლა, თვალებიდან ცრემლები წამოსცვივდა და გაავებული ეცა მამას:

— არ გაბედო, არ გაბედო, გესმის! — შეჰყვირა მან და მატისს მუშტები დაუშინა, — მხეცო! მხეცო! არ გაბედო-მეთქი, გესმის!

მატისს სიცილი პირზე შეაცივდა, რონია ძირს დასვა და ბრაზისგან გაფითრებული მიაჩერდა.

— რას ამბობს ჩემი ასული, რა არ უნდა გავბედო?! — სიავეშეპარული ხმით იკითხა მან.

— ახლავე მოგახსენებ! — იყვირა რონია, — შენ შეგიძლია მოიტაცო ფული, ნივთები და ყველაფერი, რაც გინდა, მაგრამ არა ადამიანები! მაშინ აღარ ვიქნები შენი შვილი!

— ვინ ლაპარაკობს ადამიანებზე? — თქვა მატისმა. გააფთრებისაგან ხმა ისე შეცვლოდა, ვერ იცნობდით. — მე გველის წიწილი შევიპყარი, პატარა, უსახური ქურდბაცაცა ძალლი და ახლა მამაჩემის ციხეკოშკს საბოლოოდ გაგწმენდ ბორკას არამზადების ბანდისგან. შემდეგ კი შენი ნებაა, გინდ იყავი ჩემი შვილი, გინდ არა!

— ფუი, შენ! — იყვირა რონია.

სკალე-პერი მამაშვილს შორის ჩადგა. მოხუცი ყაჩაღი შეშფოთდა, რადგან არასოდეს ენახა ასე გაცეცხლებული მატისი. მისმა საშინელმა, დაღრეჯილმა სახემ გვარიანად შეაშინა იგი.

— შეიძლება, მამას ასე ელაპარაკო? — ჰკითხა სკალე-პერმა რონიას და მკლავში ხელი მოჰკიდა. მაგრამ გოგო ხელიდან დაუსხლტა.

— ფუი, შენ! — იყვირა ისევ.

მატისს თითქოს არც კი ესმოდა რონიას ხმა. გეგონებოდათ გოგო მისთვის აღარ არსებობსო.

— ფიოსიკ! — მიმართა მან ყაჩაღს ისევ იმ საშინელი ხმით, — ადი ეშმაკის ყბასთან და ბორკას შეუთვალე, რომ ხვალ დილით, მზის ამოსვლისას მისი ნახვა მსურს. მისთვისვე უკეთესი იქნება, თუ მოვა, ასე გადაეცი!

ლუვისი ჩუმად იდგა და ყოველივეს ისმენდა. ქმრის ნათქვამის გაგონებაზე წარბი ასწია, მაგრამ არაფერი უთქვამს. მერე კი კუთხეში მივიდა ბირკთან და შეათვალიერა, ბიჭის გატეხილი შუბლი რომ დაინახა, თავისი სამკურნალო ბალახები მოიტანა და ჭრილობის მობანას შეუდგა.

— ხელი არ ახლო მაგ გველის წიწილას! — იღრიალა მატისმა.

— გველის წიწილია თუ არა, ეს ჭრილობა უნდა გასუფთავდეს, — წყნარად მიუგო ლუვისმა. და ჭრილობა რა თქმა უნდა გასუფთავდა. მატისი ცოლს მივარდა, მკლავში ხელი სტაცა და გვერდით მოისროლა. ბედად კნოტოსმა მოასწრო ლუვისის დაჭერა, თორემ ქალი საწოლის კიდეს ჩამოართყავდა თავს.

— აბა, ყველამ მოუსვით აქედან, — იყვირა ლუვისმა, — სულ ერთია, თქვენგან კარგი არაფერია მოსალოდნელი, მხოლოდ ბორკეებსა და სიავეს თესავთ გარშემო, თვალით არ დამენახოთ, გესმის, მატის? დაიკარგე აქედან!

მატისმა ბოროტად გახედა ცოლს. მისი მზერა ნებისმიერს დაზავრავდა. ლუვისი კი, დონიჭშემოყრილი, ვითომც არაფერიყო, ჩუმად

უყურებდა, როგორ მიიძურწებოდნენ ყაჩაღები სვეტებიანი დარბაზიდან. მატისი წინ მიდიოდა და მხარზე გადაკიდებული ბირკი თან მიჰყავდა. სპილენძისფერი თმა თვალებში სცემდა ბიჭს.

— ფუი შენ, მატის! — მიაძახა რონიამ და მძიმე კარები მიაჯახუნა.

ის ღამე მატისს თავის ლოგინში, ლუვისის გვერდით არ გაუტარებია. ლუვისმა არც ის იცოდა, თუ სად ეძინა მის ქმარს.

— სულაც არ მადარდებს, სად სძინავს, გამოაცხადა მან, — ახლა მინდა, სიგრძეზე დავწვები, მინდა სიგანეზე.

მაგრამ ლუვისს ძილი არ ეკარებოდა, ესმოდა, როგორ გულამოსკვნილი ტიროდა მისი ბავშვი. გოგო დედას ახლოს არ იკარებდა. უნდოდა ეს ღამე თავის სიმართოვეში გაეტარებინა. იწვა სიბნელეში და მამისადმი ისეთ სიძულვილს გრძნობდა, გული ეწურებოდა. ძალიან ძნელია იმ ადამიანის სიძულვილი, რომელიც მუდამ სულითა და გულით გიყვარდა! ამიტომაც იყო ეს ღამე რონიასათვის ყველაზე საშინელი და მძიმე.

საბოლოოდ გოგოს ჩაეძინა, მაგრამ ირიჟრაჟა თუ არა, მაშინვე თვალები დააჭყიტა. მალე მზეც ამოვიდოდა, რონიას უნდა მოესწრო ეშმაკის ყბასთან მისვლა, რათა თავისი თვალით ენახა, რა მოხდებოდა. ლუვისი შეეცადა, გადაეთქმევილებინა შვილისთვის სახურავზე ასვლა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. რონია გაიქცა და ლუვისიც ჩუმად უკან გაჰყვა.

და როგორც ამას წინათ, ახლაც ეშმაკის ყბის აქეთ იქით თავთავიანი ყაჩაღებით გარშემორტყმული მატისი და ბორკა იდგნენ. უნდისიც სახურავზე იყო. რონიას შორიდანაც მშვენივრად ესმოდა მისი ტირილი და მოთქმა. მატისი მაშინვე საქმეზე გადავიდა.

— გააჩუმე ქალი, ბორკა! — დაუძახა მატისმა, — კარგი იქნება, თუ გაჩუმდება და გაიგებ, რის თქმასაც ვაპირებ.

რონია ზუსტად მატისის უკან იდგა, რომ მამამისს შემთხვევით თვალი არ მოეკრა მისთვის. გოგო იმაზე მეტს ხედავდა ვიდრე საჭირო იყო და იმაზე მეტი ესმოდა, ვიდრე ატანა შეეძლო. მატისის გვერ-

დით ბირკი იდგა. ბიჭისთვის ხელფეხი გაეხსნათ, სამაგიეროდ, კისერზე ჰქონდა შებმული ქამარი, რომლის ბოლოც მატისს ეჭირა ხელში. ზუსტად ისე, როგორც ძაღლის საყელური.

— შენ მაგარი კაცი ხარ, მატის! — დაუძახა ბორკამ, — ამავე დროს, მეტად სასტიკი. ჩემი ციხიდან გაძევება რომ გინდა, მესმის. მაგრამ შენი მიზნის მისაღწევად ჩემი შვილის მოტაცება და გამოყენება, შენი მხრიდან, დიდი სისასტიკეა, ნამდვილი სისასტიკე!

— მე შენთვის არ მითხოვია ჩემზე აზრი გამოთქვი-მეთქი! — გამოეპასუხა ცივად მატისი, — მე მხოლოდ ის მაინტერესებს, ჩემი ციხიდან როდის წაეთრევით!

ბორკა ჩუმად იდგა, ეტყობოდა, სიტყვები ყელში ეჩხირებოდა. კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ ძლივს ამოლერღა:

— ჯერ საცხოვრებელი ადგილი უნდა მოვძებნო, უსაფრთხო ადგილი. ეს საკმაოდ ძნელია. მაგრამ ჩემს შვილს თუ დამიბრუნებ, სიტყვას გაძლევ, რომ ზაფხულის ბოლომდე აქედან გაგეცლებით!

— ძალიან კარგი! — უპასუხა მატისმა, — მეც სიტყვას გაძლევ, რომ ზაფხულის ბოლომდე შვილს დაგიბრუნებ!

— მე ვგულისხმობდი, ბიჭს ახლავე დამიბრუნებ-მეთქი, — უთხრა ბორკამ.

— მე კი ვგულისხმობდი, არ დავუბრუნებ-მეთქი, — ბოროტად ჩაიციხნა მატისმა, — მაგრამ არ იდარდო, მატისის ციხეში ბევრი სატუსალო გვაქვს და წვიმიანი ზაფხულის შემთხვევაში შენს შვილს თავზე ჭერი ნამდვილად ექნება.


რონია ჩუმად სლუკუნებდა: — ეს რა საშინელება მოიფიქრა მატისმა! არა, ბირკი ახლავე უნდა გათავისუფლდეს, ახლავე! თორემ ზაფხულის ბოლომდე მიწისქვეშა სატუსალოში მოუწევს ჯდომა. რონია დარწმუნებული იყო, იმ ჯურღმულში ბირკი დიდხანს ვერ იცოცხლებსო. ის მოკვდება და რონიას ძმა აღარ ეყოლება! არც საყვარელი მამა ეყოლება გოგოს.

რონიამ საშინელი ტკივილი იგრძნო. ასეთი საქციელისთვის მატისი უნდა დაისაჯოს, აღარც მისი შვილობა უნდოდა. ო, როგორ უნდოდა, მამამისიც ისევე გაეტანჯა, როგორც თვითონ იტანჯებოდა. იმ

წუთას რონიას ყველაზე დიდი სურვილი იყო, მამისთვის ჩანაფიქრი ჩაეშალა და და მისთვის ყველაფერი უკუღმა შემოეტრიალებინა.

და უცებ გოგო მიხვდა! მიხვდა, რაც უნდა გაეკეთებინა! ერთხელ დიდი ხნის წინ, გამხეცებულმა იგივე ჩაიდინა, მაგრამ მისი მაშინდელი რისხვა ახლანდელთან ახლოს ვერ მოვიდოდა! და აი, ისე, თითქოს სიზმარშიაო, რონია გაექანა და ეშმაკის ყბას გადააფრინდა. მატისმა ეს რომ დაინახა, გულიდან ისეთი ხმა აღმოხდა, რომელიც სასიკვდილოდ დაჭრილი ნადირის ღმუილს უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანისას.

მატისის ყაჩაღებს ძარღვებში სისხლი გაეყინათ: ასეთი საშინელი ხმა არასოდეს გაეგონათ, და იმავე წამს რონია, მათი რონია ნაპრალის მეორე მხარეს, მტრებს შორის დაინახეს. ამაზე საშინელსა და საზარელს ვერაფერს დაინახავდნენ.



ბორკაც სხვებზე არანაკლებ განცვიფრებული იდგა, მაგრამ მალევე მოვიდა გონს. ყველაფერი წამში რომ შეიცვალა, ამას ყაჩაღი ნამდვილად მიხვდა, მაგრამ ის კი ვერ გაეგო, თუ რატომ იხსნა განსაცდელისგან მატისის ველურმა ვიტრამ, მისი მოსისხლე მტრის

საყვარელმა შვილმა. თუმცა, ბორკას ამაზე ბევრი არ უფიქრია, სასწრაფოდ მიიჭრა რონიასთან და კისერზე ქამარი შეაბა, თან, ერთობ ნასიამოვნები, ჩუმად იცინოდა, შემდეგ მატისს გასძახა:

— ჩვენცა გვაქვს აქეთა მხარეს მიწისქვეშა საპყრობილები. შენს ქალიშვილსაც ექნება თავზე ჭერი წვიმიანი ზაფხულის შემთხვევაში. მეც შენ მოგბაძავ, მატის!

მატისი უღონოდ, ფრთებჩამოყრილი იდგა მეორე მხარეს. ძლიერი სხეული ისე მოსდუნებოდა, გეგონებოდათ მხრებზე ერთი ტონა ტვირთი დააწვა და გასრესას უპირებსო. რონიამ მამას შეხედა და ტირილი დაიწყო. მატისს ქამრის ბოლო, რომლითაც ბირკი ეჭირა, ხელიდან გაუცურდა. მაგრამ ბირკი ადგილიდან არ იძვროდა. იდგა გაფითრებული და ეშმაკის ყბის მეორე მხარეს გულამოსკვნით მტირალ რონიას მიშტერებოდა.

უნდისი რონიასთან მივიდა და მუჯლუგუნი ჰკრა:

— იტირე, იტირე, შენს ადგილზე მეც ვიტირებდი, ასეთი მხეცი მამა რომ მყავდეს!

ბორკამ უნდისს შეუღრინა,— ჩიბუხის კვამლს გაჰყევი და ჩემს საქმეში ცხვირს ნუ ჰყოფო.

სხვა დროს რონია თავადაც მხეცს დაუძახებდა მამამისს, მაგრამ ახლა გულით ეწადა, გაემხნევებინა მატისი, ენუგეშებინა და ის სატკივარი შეემსუბუქებინა მისთვის, თვითონვე რომ გაუჩინა.

ლუვისსაც ქმრის გამხნევება უნდოდა. ისევე როგორც ყოველთვის, ახლაც გაჭირვებაში მყოფ მატისს გვერდში ამოუდგა, მაგრამ მატისმა ცოლი ვერც კი შეამჩნია. საერთოდ, ირგვლივ ვერაფერს ხედავდა და ამ წუთებში მარტოდმარტო იყო ამ ვეებერთელა სამყაროში.

ბორკამ მოუთმენლად გამოსძახა მას:

—მატის, გესმის? დამიბრუნებ ჩემს ბიჭს თუ არა?!

მატისი გამოფხიზლდა.

—რა თქმა უნდა! — უპასუხა ჩავარდნილი ხმით, — როცა გინდა!

— მე ახლა მინდა! — ისევ დაუყვირა ბორკამ, ზაფხულის ბოლოს კი არა, ახლავე!



მატისმა თავი დაუქნია:

— ხომ გითხარი, როცა გინდ-მეთქი!

გეგონებოდათ, მთელი ეს არეულ-დარეულობა მას აღარ ეხებოდა. ბორკამ დაცინვით გამოსძახა:

— იმავე წუთს შენი შვილიც უკან დაგიბრუნდება. გაცვლა გაცვლაა, იმედია, ამდენს მაინც ხვდები, ვირთხავ!

— მე შვილი არა მყავს! — ჩუმად თქვა მატისმა.

ბორკას ღიმილი სახეზე შეაცივდა.

— ეს რას ნიშნავს? რა გამოიგონე? ახალ ოინს მიწყობ?

— მოდი და წაიყვანე შენი ბიჭი! — მიუგო მატისმა, — ჩემი კი შეგიძლია დაიტოვო, მე შვილი აღარა მყავს!

— სამაგიეროდ მე მყავს! — ისე იყვირა ლუვისმა, რომ ციხის კედლიდან დამფრთხალი ყვავები ჩამოფრინდნენ, — და ჩემი შვილი უკან უნდა დამიბრუნო! გესმის, ბორკა?!

ამ სიტყვებთან ერთად მან მატისს გამანადგურებელი მზერა სტყორცნა:

— თავს ვერ მოვიკლავ, თუ ბავშვის მამა საბოლოოდ გაგიჟდა!

მატისი შეტრიალდა და მძიმე ნაბიჯებით იქაურობას გაეცალა.

## X

გავიდა რამდენიმე დღე. მატისი არც სვეტებიან დარბაზში გამოჩენილა და არც მგლის კართან მისულა ბავშვების გასაცვლელად. მხოლოდ ლუვისი მივიდა თავისი გოგონას წამოსაყვანად. ფიოსიკი და იენი გაყვნენ ქალს და თან ბირკი გაიყოლეს. ბორკა, უნდისი და მისი ყაჩაღები უკვე მგლის კართან ელოდებოდნენ. უნდისმა დანახვისთანავე მიახალა ლუვისს:

— სულაც არ მიკვირს, რომ ბავშვების გამტაცებელ მატისს გარეთ ცხვირის გამოყოფისაც კი რცხვენია!

ლუვისმა თავი შეიკავა და ხმა არ ამოუღია. რონია გულში ჩაიკრა და უნდოდა, რაც შეიძლება მალე, ყოველგვარი კამათის გარეშე შვილიანად გასცლოდა იქაურობას. ამ ამბავმა ლუვისი ძალიან დააფიქრა. ნეტა რატომ ისკუპა რონიამ ეშმაკის ყბაზე და რატომ ჩაბარდა ბორკას? და მხოლოდ ახლა, მგლის კართან მისულს გაუნათდა გონება. რონია და ბირკი ერთმანეთს ისე შეჰყურებდნენ, გეგონებოდათ, გარშემო მათ გარდა არავინ არისო, ბავშვები ვერავის ამჩნევდნენ, მართო იყვნენ ამ ქვეყანაზე და ამ საოცარ კავშირს ირგვლივ ყველა გრძნობდა.

უნდისმაც იგრძნო ეს ყოველივე და ძალიან არ ესიამოვნა, ქალი ბირკს მიუბრუნდა და მკაცრად ჰკითხა:

—რა გინდა ამ გოგოსთან?

— რონია ჩემი დაა! — მშვიდად უპასუხა ბირკმა, — რონიამ სიკვდილს გადამარჩინა!

რონია ლუვისს ჩაეკრა და ატირდა:

— ბირკმა კი მე გადამარჩინა სიკვდილს, — ამოილულლულა მან. ბორკა სიბრაზისგან ჭარხალივით გაწითლდა.

— ჩემს ზურგს უკან ჩვენს მოსისხლე მტერს ემეგობრები? — მრისხანედ ჰკითხა შვილს.

— რონია ჩემი დაა! — გაიმეორა ბირკმა და გოგოს გახედა.

— და არა ისა!.. — იწივლა უნდისმა, — ჰო,ჰო! ვიცი,ერთ-ორ წელიწადში, მაგ და-ძმობისგან რაც გამოვა!

მერე ბირკს ხელი ჩასჭიდა და იქიდან წაყვანას შეეცადა.

— ხელი გამიშვი!

— შესძახა ბირკმა და დედას ხელიდან გაუსხლტა, — მე თვითონაც მშვენივრად წავალ, არ მჭირდება შენი ხელის მოკიდება!

ბიჭი შეტრიალდა და წავიდა. რონიამ უნებურად იკივლა:

— ბირკ!

მაგრამ ბირკს უკან აღარ მოუხედავს.

ლუვისი შვილთან მართო რომ დარჩა, გამოლაპარაკება სცადა. იმდენი კითხვა უტრიალებდა თავში, იქნებ რამე გავიგოო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

— თავი დამანებე! — ამოისლუკუნა რონია.

ლუვისმა გოგოს აღარაფერი ჰკითხა და გულდამძიმებულმა სახლისკენ გასწია.

სკალე-პერი ისეთი ამბით შეეგება რონიას სვეტებიან დარბაზში, გეგონებოდათ, გოგო სასიკვდილო ხიფათს დაუსხლტა ხელიდანო.

— რა ბედნიერებაა, ცოცხალს რომ გხედავ! — აჩიფრიფდა მოხუცი, — ჩემო პატარა სიხარულო ნერვიულობისაგან კინაღამ გული გამისკდა.

რონია ჩუმად მივიდა თავის საწოლთან და დაწვა. ვერავინ გაბედა გოგოსთან გამოლაპარაკება, თვითონ კი იწვა ასე წარბშეკრული და ხმას არ იღებდა.

— მე მგონი, მატისის ციხე მოჯადოებულია — დაიჩვილა სკალე-პერმა, მერე ლუვისს გადაუჩურჩულა:

— მატისი ჩემს საძინებელშია. წევს თვალედაჭყეტილი, ერთ ადგილს მიშტერებია და ხმას არ იღებს. არცა დგება, არცა ჭამს და არცა სვამს. არ ვიცი რა ვქნა, რა მოვუხერხო.

— რომ მოშივდება, ადგება და ჩამოვა, — მტკიცედ კი თქვა ლუვისმა, მაგრამ ძალიან წუხდა. ითმინა და ითმინა და მეოთხე დღეს ქმარს სკალეპერის საძინებელში მიაკითხა:

— მატის, გეყოფა! ადექი და გამომყევი, ყველანი მაგიდასთან სხედან და შენ გელიან!

მატისი გაჰყვა. ისეთი საცოდავი სახე ჰქონდა, გული მოგიკვდებოდათ. ხმის ამოუღებლად მიუჯდა მაგიდას და ჭამას შეუდგა. მისი ყაჩაღებიც უგემურად იღეჭებოდნენ. სვეტებიან დარბაზს ასეთი სინუჟე არ ახსოვდა. რონია თავის ჩვეულ ადგილას იჯდა, მაგრამ მატისი თითქოს ვერ ამჩნევდა გოგოს. რონიაც ცდილობდა, მამისკენ არ გაეხედა, თუმცა ერთხელ მაინც გააპარა თვალი მატისისკენ და... მამა ძლივს იცნო! მატისი თავის თავს არა ჰგავდა, საშინელი შესახედავი იყო! რონია დაითრგუნა, უნდოდა, წამომხტარიყო და იქაურობას მოშორებოდა, მატისსაც მოშორებოდა და თავისთვის, მართო ყოფილიყო. მაგრამ მაინც გაუნძრევლად იჯდა და არ იცოდა, რა ექნა, თავისი დიდი მწუხარებისთვის რა მოეხერხებინა.

— დანაყრდით, ჩემო მხიარულო ყაჩაღებო? — ავისმომასწავებლად იკითხა ლუვისმა, რომელსაც გარშემო გამეფებული სიჩუმის ატანა აღარ შეეძლო. ყაჩაღები წამოიშალნენ და ბუზღუნ-ბურტყუნით თავთავიანთ ცხენებს მიაშურეს, რომლებიც აგერ უკვე ოთხი დღეა შეუკაზმავად იდგნენ თავლაში. აბა, სხვა რა უნდა ექნათ? მათი ბელადი სკალე-პერის საძინებელში თვალეგამტერებული იწვა, უიმისოდ კი საყაჩაღოდ როგორ უნდა წასულიყვნენ?!

— აფსუს, აფსუს, — სინანულით ამბობდნენ ყაჩაღები, — რა დროს გვიწევს სახლში ჯდომა, როცა ტყეში ყველაზე მეტი მგზავრი მიდი-მოდის.

მატისი სვეტებიანი დარბაზიდან ხმაამოუღებლად გაუჩინარდა და იმ დღეს არ გამოჩენილა.

რონია კი ტყეში გაიჭრა. მეოთხე დღე იყო, რაც გოგო დილიდან ტყეში გარბოდა და ბირკს ელოდა, მაგრამ ამოდ. იქნებ ახლა მაინც გამოჩენილიყო ბიჭი? გოგონას ვერაფერი გაეგო, სად დაიკარგა ბირკი? ვინ იცის, ეგებ მშობლები გარეთ აღარ უშვებდენ, ემანდ რონიას არ შეხვდესო! ძალიან ძნელი იყო ასეთ ეჭვებში ყოფნა და ლოდინი.

დიდხანს იდგა რონია ტბის პირას. გაზაფხულის მშვენიერი ტყე წყნარად შრიალებდა, მაგრამ ბირკის გარეშე გოგოს გულს არაფერი ახარებდა, იგი იხსენებდა იმ დროს, როცა ტყეში მარტოდმარტო ერთობოდა, თითქოს საუკუნეების წინ იყო ეს ყველაფერი. ახლა კი, თავისი ყველა სიხარულისა და დარდის თანამოზიარედ ბირკი სჭირდებოდა. ალბათ დღესაც არ მოვა! ლოდინისგან დაღლილი რონია ჩამოდგა და უცებ ბირკი არ დაინახა! ბიჭი სტვენასტვენით მოდიოდა ხეებს შორის. რონიამ იგრძნო, რომ უზომო სიხარულით აევსო გული და მაშინვე ძმობილისკენ გაექანა. მისკენ მომავალი ნამდვილად ბირკი იყო, გურგზე უზარმაზარი ფუთა მოეგდო და მოდიოდა.

— ტყეში უნდა გადმოვსახლდე, გამოაცხადა მან, ბორკას ბუნაგში გაძლება აღარ შემიძლია.

რონიამ გაოცებისაგან პირი დაალო და ბიჭს მიაშტერდა.

— რატომ?

— აღარ შემიძლია მათი ჩხუბისა და ლანძღვის ატანა! სამი დღე ძლივს გავძელი! მორჩა, საკმარისია! მატისის სიჩუმე ჩხუბსა და ყვირილზე უარესია, გაიფიქრა რონია, და უცებ მიხვდა, რაც უნდა გვეკეთებინა: ციხეში აუტანელ, გაუსაძლის ყოფას ამით ბოლო მოვლევთ! თუკი ბირკი წამოვიდა სახლიდან, რონიაც წამოვა! რატომაც არა?!

— მეც მინდა მატისის ციხიდან წამოსვლა, მტკიცედ თქვა გოგომ, — დიხაც მინდა! ძალიან მინდა!

— მე გამოქვაბულში ვარ დაბადებული, უთხრა ბირკმა, — და იოლად შევეგუები გამოქვაბულში ცხოვრებას, მაგრამ შენ რა გეშველება?

— შენთან ერთად, სადაც გინდა, იქ ვიცხოვრებ, — უპასუხა რონია, — განსაკუთრებით დათვის მღვიმეში იქნებოდა კარგი!

გარშემო კლდეებსა თუ მთებში ბევრი გამოქვაბული იყო, მაგრამ დათვის მღვიმეს არცერთი არ შეედრებოდა, რონია თავიდანვე შეიყვარა ეს გამოქვაბული. პირველად მატისმა აჩვენა შვილს დათვის მღვიმე, თავად მატისსაც თურმე ბავშვობაში, ზაფხულობით იქ ხშირად უთამაშია. ზამთრობით მღვიმეში დათვებს სძინავთ, — აფრთხილებდა ხოლმე სკალეპერი პატარა მატისს, ამიტომაც შეარქვა მატისმა იქაურობას დათვის მღვიმე, ახლა გამოქვაბულს ყველა ამ სახელით მოიხსენიებდა.

დათვის მღვიმე მდინარის თავზე გადმოკიდებულ კლდეებში იყო მიმაღული. იქ მისასვლელად მთის წვერზე გამავალ ციცაბო ბილიკს უნდა გაჰყოლოდით, რომელიც, ცოტა არ იყოს, სახიფათო იყო. გამოქვაბულთან ბილიკი მკვეთრად უხვევდა და ფართოვდებოდა. აი, სწორედ აქ იყო დათვის მღვიმე, რომლის ქვემოთ მქუხარე მდინარე მოედინებოდა. გამოქვაბულიდან მშვენიერი სანახაობა იშლებოდა, შეგეძლოთ, დიდებული განთიადისთვის გეცქირათ. რამდენჯერ უნახავს აქ მზის ამოსვლა რონიას! ამ გამოქვაბულში ცხოვრება ნამდვილად არ გაუჭირდება!

— ამაღამ დათვის მღვიმესთან მოვალ, — უთხრა რონია ბირკს, — შენ იქ დამხვდები?

— აბა რა! სხვაგან სად ვიქნები! — მიუგო ბირკმა, — იქ ვიქნები და შენ დაგელოდები!

ლუვისმა, ჩვეულებისამებრ, ძილის წინ მგლის სიმღერა უმღერა რონიას.

— ამ საღამოს უკანასკნელად ვისმენ მგლის სიმღერას, — გაიფიქრა გოგომ და სევდამ გული შეუკუმშა. ძალიან ძნელი იყო დედის მიტოვება, მაგრამ კიდევ უფრო გაუსაძლისი გახლდათ იმის ატანა, რომ იგი მათისის შვილი აღარ იყო. ამიტომაც მიდიოდა რონია ტყეში და ველარასოდეს მოისმენდა მგლის სიმღერას.

როგორც კი ლუვისს ჩაეძინება, მაშინვე ტყისკენ მოვკურცხლავ, — მტკიცედ გადაწყვიტა რონიამ. გოგო გაუნძრევლად იწვა თავის საწოლში, ცეცხლს მიშტერებოდა და მოუთმენლად ელოდა ლუვისის დაძინებას. დედამისი კი მოუსვენრად ტრიალებდა საწოლში და ძილი არ ეკარებოდა.

მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ძილმა მაინც დარია ხელი, რონიამ დედის სუნთქვას ყური მიუგდო და, როცა დარწმუნდა, ღრმად სძინავსო, ლოგინიდან გამოძვრა და ლუვისის საწოლთან მივიდა. ცეცხლის შუქზე კარგა ხანს დაჰყურებდა დედას.

„ჩემო საყვარელო, ძვირფასო ლუვის, — ფიქრობდა გოგო, — შევხვდებით კი ოდესმე ერთმანეთს?“ ლუვისის გაშლილი თმა ბალიშიდან ჩამოცურებულებოდა. რონიამ დედის წაბლისფერ თმას ხელი გადაუსვა. მძინარე ლუვისი პატარა გოგოს ჰგავდა. ნუთუ ეს მართლა მისი დედა იყო? ლუვისს დაღლილი სახე პქონდა და მათისის გარეშე საწოლში საოცრად ეულად მოჩანდა. ახლა კი რონიასაც, მის საკუთარ ბავშვსაც, უნდა მიეტოვებინა. — მაპატიე! — ჩაიჩურჩულა რონიამ, — მაგრამ აუცილებლად უნდა წავიდე!

რონია სვეტებიანი დარბაზიდან უჩუმრად გამოძვრა და საკუჭნაოში შეიპარა. იქ ჯერ კიდევ დღისით შეინახა საჭირო ნივთებით სავსე ფუთა, ფუთა ისეთი მძიმე აღმოჩნდა, რომ გოგონამ ძლივს გაათრია გარეთ, მგლის კართან მისული, ლამის ცხვირით დაეჯახა სადარაჯოზე მდგარ თიგესა და თიორმს, ამ ღამეს ყარაულში დგომა მათ ევალებოდათ. მართალია, მათისს ეს ამბავი აღარ აღელვებდა,

მაგრამ სკალე-პერი მორიგეობას მაინც მკაცრად აკონტროლებდა, რათა ყველაფერი წესისა და რიგის მიხედვით ყოფილიყო.

თიგე რონიას მიაშტერდა.

— ყველა ველური ვიტრას სახელს გაფიცებ, კეთილი ინებე და ამიხსენი, ამ შუალამისას სად მიბრძანდები, — ცოტა არ იყოს მკაცრად ჰკითხა გოგოს.

— ტყეში გადავდივარ საცხოვრებლად, — უპასუხა რონიამ, — გეხვეწები, დილით ლუვისს შეატყობინე!

— რატომ თავად არ ეუბნები? — გაოცდა თიგე.

— იმიტომ რომ არ გამიშვებს! მე კი არ მინდა, ვინმემ დამაკავოს! — აუხსნა რონიამ.

— იმაზე თუ გიფიქრია, მამაშენი რა აზრისაა? — ჰკითხა თიორმმა.

— მამაჩემი? — დაფიქრებით გაიმეორა გოგომ. — მყავს კია მამა? — იკითხა ცრემლნარევი ხმით.

რონიამ ყაჩაღებს დასამშვიდობებლად ხელი გაუწოდა და დასძინა:

— ყველა მომიკითხეთ! სკალე-პერი — განსაკუთრებით! დროდადრო სიმღერისა და ცეკვის დროს მეც გამიხსენეთ ხოლმე!

თიორმმა და თიგემ ამ მძიმე სცენას ვერ გაუძლეს და თვალთაგან ცრემლები გადმოყარეს. რონიამაც ცოტა წაუტირა.

— მე მგონი, მატისის ციხეში ბოლო ცეკვა უკვე ვიცეკვეთ, — სევდიანად თქვა თიგემ.

რონიამ თავისი ფუთა ასწია და მხარზე შემოიგდო:

— ლუვისს გადაეცით, ბევრი არ იტიროს და არც იდარდოს. თუ ძალიან მოვენატრები და ჩემი ნახვა მოუნდება, აქვე ვარ, ტყეში!

— მატისს რა გადავცეთ? — ჰკითხა თიორმმა.

— არაფერი! — ამოიოხრა გოგონამ.

და გზას გაუყვა. გულაჩუყებული თიორმი და თიგე გასცქეროდნენ ტყისკენ მიმავალ რონიას, ვიდრე გოგო თვალს არ მიეფარა.

მთვარე არემარეს ვერცხლისფრად ანათებდა. რონია ტბის ნაპირას შეჩერდა დასასვენებლად, ქვაზე ჩამოჯდა და იგრძნო, როგორი

სიჩუმე სუფევდა მის ტყეში, ნიავი რა არის, ნიავიც არ იძვროდა. რონია აყურადებდა, ცდილობდა, რაიმე ხმა მაინც გაეგონა, მაგრამ არა, გარშემო სრული სიჩუმე გამეფებულიყო. გაზაფხულის ამ ღამეში ტყე იდუმალებით, ჯადოქრობით, უცნაური და უჩვეულო საოცრებებით ავსებულიყო. საშიშია ასეთ ღამეში ტყეში ყოფნა, მაგრამ რონიას არ ეშინოდა.

ოღონდ ველური ვიტრები ნუ გამოჩნდებიან და თავს ისევე მშვენივრად ვიგრძნობ, როგორც მატისის ციხეში, — გაიფიქრა რონიამ. — ტყე ჩემი სახლია, ყოველთვის ჩემი იყო და ახლა კიდევ უფრო ჩემი გახდება, რადგანაც სხვა სახლი აღარ გამაჩნია.

სიბნელეში ტბა შავად ლივლივებდა. მთვარის შუქი ლამაზად ირეკლებოდა კრიალა ზედაპირზე. მთვარის სხივებში აციმციმებული ტბა ისეთი მშვენიერი იყო, რონიას გული სიხარულით აევსო. რა უცნაურია, რომ ერთდროულად შეიძლება მხიარულიც იყო და ნაღვლიანიც, — გაიფიქრა გოგომ. მას მხოლოდ მატისისა და ლუვისის დარდი აწუხებდა, მაგრამ ამავე დროს გაზაფხულის ჯადოსნური, მშვიდი ტყე სიხარულით ავსებდა. ამიერიდან აქ, ამ მშვენიერ ტყეში იცხოვრებს ბირკთან ერთად. რონიას უცებ გაახსენდა, რომ ბიჭი დათვის მღვიმეში ელოდებოდა! თვითონ კი აქ არხეინად ჩამომჯდარა და ფიქრებსა და ოცნებებს მისცემია!

რონია ფეხზე წამოხტა და ბურგზე თავისი ფუთა მოიკიდა. გრძელი გზა ჰქონდა გასავლელი გოგოს. ტყიდან დათვის მღვიმისკენ ბილიკი არ მიდიოდა, მაგრამ რონიამ ისედაც მშვენივრად იცოდა გზა. სწორედ ისევე, როგორც ცხოველებმა — თავიანთი ბუნაგისკენ მიმავალი გზა, და როგორც ტყის ბინადრებმა — ტრაკუნამ, ტროლმა თუ მაჯლაჯუნამ — თავიანთი თავშესაფარი.

რონია მთვარის შუქით განათებულ ტყეში მიდიოდა. აყვავებული ბუჩქები საოცარ სურნელებას აფრქვევდნენ. გოგო ისე გადადიოდა დიდტანიან ხეების კოჭრებიან ფესვებზე, ისე ფრთხილად უვლიდა გვერდს უძირო ორმოებს, ისე ახტებოდა პატარა ნაკადულებს და დათვის მღვიმის გადასახვევს ისე მიაღწია, რომ ტყეში გზა ერთხელაც არ აბნევია.



რონიამ დაინახა უზარმაზარ ლოდზე მოცეკვავე ტროლები და ცოტა ხანს შეჩერდა. სკალეპერისგან იცოდა, რომ ტროლები საცეკვაოდ მხოლოდ მთვარიან ღამეებში გამოდიან ხოლმე. პატარა არსებებმა გოგო ვერ შენიშნეს. რონია კი მოხიბლული შესცქეროდა მათ საოცარ ცეკვას. ტროლები ტრიალებდნენ, ბუქნავდნენ, ყირაზე გადადიოდნენ, ხტოდნენ და თან დაბალ ხმაზე მღეროდნენ. სკალეპერმა ისიც უთხრა გოგოს, რომ ეს მათი გაბაფხულის სიმღერა იყო.



მოხუცი ყაჩაღი შეეცადა კიდევ, მათსავით წაემღერა, მაგრამ სკალეპერის მაშინდელი სიმღერა არაფრით ჰგავდა ტროლების უცნაურ, მომაჯადოებელსა და ცოტა ნაღვლიან ღიღინს, ახლა რომ ისმენდა გოგონა.

სკალეპერზე ფიქრისას რონიას მათისი და ლუვისი გაახსენდა და ნაღვლიანად ამოიოხრა.

მაგრამ, როგორც კი გამოქვაბულს მიუახლოვდა და მოგიზგიზე ცეცხლს მოჰკრა თვალი, მაშინვე ყველაფერი გადაავიწყდა. გაბაფხულის ცივ ღამეს რომ არ გაყინულიყვნენ, ბირკს დიდი კოცონი დაენტო. ცეცხლი იქაურობას ანათებდა და ტკაცატკუცი გაუდიოდა. რონიამ კოცონი რომ დაინახა, მათისის სიტყვები გაახსენდა:

– სადაც სახლია, იქ ყოველთვის ცეცხლიც ანთია.

– აქ ცეცხლი გიზგიზებს, ასე რომ, შეიძლება, სახლადაც იქცეს, გაიფიქრა რონიამ, – დათვის მღვიმე აუცილებლად გახდება ჩვენი სახლი.

კოცონთან ბირკი იჯდა და წყნარად მიირთმევდა შემწვარ ხორცს, ბიჭმა ხორცის ნაჭერი ჯოხზე წამოაცვა და რონიას გაუწოდა.

– რა ხანია გელი! – უთხრა გოგოს, – აჰა, ჭამე და მერე მგლის სიმღერა მიმღერე!



## XII

ბავშვები დასაძინებლად დაწვნენ და რონიამ მგლის სიმღერა დაიწყო, მაგრამ მაშინვე ხმა ჩაუწყდა და თვალებზე ცრემლები მოადგა, გაახსენდა, როგორ უმღეროდა ხოლმე ლუვისი მასა და მატისს, როცა მატისის ციხეში ცხოვრება ჩვეულებრივად მიედინებოდა. რონიას დარდი შემოაწვა და ღრმად ამოიოხრა, უკვე ენატრებო-

და სახლი. აღელვებულმა სიმღერა ველარ გააგრძელა. ბირკს ჩას-  
ძინებოდა. რონიას მოლოდინში ბიჭი მთელი დღე საქმიანობდა. ჯერ  
იყო და, გაასუფთავა გამოქვაბული, რომელიც დათვების ზამთრის  
ძილის შემდეგ ნამდვილად მოსავლელი იყო, კოცონისთვის ხმელი  
ფიჩხი მოაგროვა და ხის ტოტებისაგან სახელდახელო საწოლებიც  
გამართა. მთელი დღე, რაც სახლიდან წამოვიდა და ტყეში გადმო-  
სახლდა, ბირკი სულ საქმიანობდა და ძალიან დაიღალა. ამიტომაც  
იყო, დაღლილდაქანცულს ასე მალე რომ ჩაეძინა.

რონიას არ ეძინა. გამოქვაბულში ბნელოდა და ციოდა, მაგრამ  
გოგოს სიცივე არ აწუხებდა. ბირკმა ხის ტოტების საწოლზე გადასა-  
ფარებლად თავისი თხის ტყავი ათხოვა; ზემოდან ციყვის ტყავის სა-  
ბანი დაიფარა, რომელიც სახლიდან წამოეღო და ახლა, რბილ ტყა-  
ვებში გახვეული, თბილად იწვა. სიცივით არ სციოდა რონიას, მაგ-  
რამ მოუსვენრად იყო და ვერ იძინებდა.



დიდხანს იწვა ასე თვალეზღაპყეტილი. სულაც არ იყო ბედნიერი,  
როგორც წარმოედგინა. გამოქვაბულის შესასვლელში გაზაფხუ-  
ლის ღამის ნათელი ცა მოჩანდა, სადღაც შორს, ქვემოთ, მდინარე  
ხმაურობდა. ეს ცა და წყლის ხმაური რონიას დარდს უმსუბუქებდა.

ეს ცა მატისის ციხესაც დაჰყურებს, — გაიფიქრა რონია, — და მდინარის ხმაური სახლშიც ასევე ისმის. ამ ფიქრებში გართულ რონიას ჩაეძინა.

მზის ამოსვლისას ორივეს ერთდროულად გაეღვიძა, მდინარის გაღმა წითელი ბურთი ხის კენწეროებს ასცდა, დილის ნისლი გაფანტა და ტყეს ოქროსფერი სხივები მოჰფინა. გამოქვაბულიდან მზე ისე ახლოს ჩანდა, გეგონებოდათ, რომ მოვინდომო, ხელით შევწვდებო, თუმცა ბავშვებმა მშვენივრად იცოდნენ, რომ მზე მათგან ძალიან შორს იყო.

— გავიყინე, — კბილებში გამოსცრა სიცივისგან გალურჯებულმა ბირკმა, — დილაობით ყოველთვის ცივა, მერე და მერე ნელ-ნელა ჰაერი მზისგან თბება და თბება, კარგია და საჭირო ამის ცოდნა!

— ცეცხლი უფრო კარგია და საჭირო! — გამოეპასუხა რონია, რომელიც სიცივისგან ერთიანად კანკალებდა და ცხვირს აქუსტუნებდა. ბირკმა ნაცარი გაქექა და ნაკვერჩხლების გაღვივებას შეუდგა. მალე კოცონი მხიარულად აბრიალდა. ბავშვები ცეცხლთან ისხდნენ, გემრიელად ილუკმებოდნენ და პურს ბოთლში ჩარჩენილ თხის რძეს აყოლებდნენ. როცა რძე ბოლომდე დალიეს, რონია გამოაცხადა:

— ამიერიდან სასმელად მხოლოდ მდინარის წყალიღა გვექნება.

— წყალი ნამდვილად არ გაგვასუქებს, — დაასვენა ბირკმა, — მაგრამ არც დავიხოცებით!

ბავშვებმა ერთმანეთს გადახედეს და სიცილი აუტყდათ. მიხვდნენ, რომ დათვის მღვიმეში ცხოვრება იოლი არ იქნებოდა, მაგრამ ამის გამო ყურები არ ჩამოუყრიათ. რონიას აღარც კი ახსოვდა წუხანდელი ღამე, აფორიაქებულმა ძლივს რომ დაიძინა. ბავშვები გათბნენ და დანაყრდნენ. მზიანი დილა იდგა და ისინი ჩიტებივით თავისუფალნი იყვნენ მათ თითქოს მხოლოდ ახლა შეიგრძნეს, თუ რას ნიშნავდა ეს თავისუფლება. ყველაფერი ცუდი უკან დარჩა. არც ერთს არ უნდოდა იმ დღეების გახსენება, ის კი არა და, ცდილობდნენ, ყველაფერი მალე დაევიწყებინათ.

— რონია! — უთხრა ბირკმა, — ხვდები, რომ სრულიად თავისუფლები ვართ?! ეს რომ მახსენდება, მინდა ვიხარხარო და ვიხარხარო!

— დიახაც, თავისუფლები ვართ! დაეთანხმა რონია, —აქ ჩვენი სამეფოა, რომელსაც ვერავინ წაგვართმევს და ვერც ვერავინ გაგვაძევებს აქედან.

ბავშვები კარგა ხანს ისხდნენ ცეცხლთან. მშემ ახლა ხმაურიანი მდინარის თავზე გადაინაცვლა. ტყემ გამოიღვიძა. ნელი სიოს ქვეშ ხეები წყნარად ირხეოდნენ, შორიდან გუგულის ხმა ისმოდა, იქვე ახლოს კი კოდალა გულმოდგინედ უკაკუნებდა ხეს თავის მაგარ ნისკარტს. მდინარის მეორე მხარეს, ტყიდან ხარირეში გამოვიდა თავისი ოჯახით. რონია და ბირკი ყველაფერ ამას უყურებდნენ და შეჭხაროდნენ, ისეთი გრძნობა ჰქონდათ, რომ ეს მდინარე, ტყე და ტყის ბინადარნი, საერთოდ, ყველა სულიერ და მათ შორის თვითონაც, ერთ განუყოფელ, მშვენიერ მთლიანობას შეადგენდნენ.

— ყურებში თითები დაიცე, გაზაფხულის ყიჟინა უნდა დავცე! — უთხრა რონიამ ბირკს და ისეთი დაჰკვივლა, რომ ახლომახლო მთებმა ექო გამოსცა.

— იმედია, ჩემი მშვილდისრის მოტანას მოვასწრებ, — წარბი ასწია ბირკმა, — სანამ შენს კვილს ყველა ველური ვიტრა ჩვენსკენ არ მოუზიდავს.

— მოიტან?! კი მაგრამ საიდან? ბორკას ბუნაგიდან? — ჰკითხა რონიამ.

— არა, აქვე ტყეში მაქვს გადამალული, — უპასუხა ბირკმა, — ყველაფრის ერთად წამოღება ვერ შეეძელი, ამიტომ ერთ დიდ ფულუროში სამალავი გავაკეთე და ბევრი საჭირო ნივთი იქ შევიწახე.

— მათისი მიშლიდა მშვილდისრის ხმარებას, ჯერ ადრეაო, მეუბნებოდა, — თქვა რონიამ, — მაგრამ დანის ხმარება ვიცი, თუ მათხოვებ, თავადაც მშვენივრად გამოვთლი.

— რა თქმა უნდა გათხოვებ, ოღონდ იცოდე, ეს ჩვენი ყველაზე ძვირფასი ნივთია და თვალის ჩინივით გაუფრთხილდი, დანის გარეშე ტყეში ყოფნა ძალიან გაგვიჭირდება.

— დანის გარდა უამრავი რამ გვჭირდება, — ამოიოხრა რონიამ, — მაგალითად ვედრო წყლისთვის, ამაზე გიფიქრია?

ბირკმა გაიცინა:

— შენ წარმოიდგინე, მიფიქრია, მაგრამ მარტო ფიქრი საქმეს არ შველის!

— მე ვიცი, სადაც არის ვედრო! — უცებ გაახსენდა რონიას.

—სად?

— ლუვისის მჟავე წყაროსთან, ტყეში, მგლის ჭიშკრის ახლოს, გუ- შინ სკალეპერს მუცელი აწუხებდა და ლუვისმა სტურკა გააგზავნა მჟავე წყალზე. სტურკას თურმე ველური ვიტრები დასხმიან თავს და ისეთი კისრისტეხით გამოვარდნილა, უკან აღარც მოუხედავს, ვედ- რო კი წყაროსთან დარჩა. დარწმუნებული ვარ, ლუვისი დღეს ისევ გააგზავნის სტურკას ვედროს მოსატანად, მაგრამ თუ ვიჩქარებთ, ჩვენ დავასწრებთ!

რონიამ და ბირკმა მჟავე წყლებისკენ მოკურცხლეს. სწრაფად გაირბინეს ტყე და მალე წყაროს მიადგნენ. ვედრო იქვე ეგდო. უკანა გზაზე ბავშვებმა ბირკის სამალავი მოინახულეს და იქიდან ყველა- ფერი წამოიღეს. გამოქვაბულში დატვირთულები დაბრუნდნენ: რო- ნია ვედროს მოათრევდა, ბირკი — მშვილდისარს და თავის ფუთას. ბიჭმა ფუთა გამოქვაბულის წინ გახსნა და რონიას სახლიდან წამო- დებული ნივთები აჩვენა: ნაჯახი, სალესავი, პატარა ქვაბი, ანკესი, მახე ჩიტების დასაჭერად, ისრები მშვილდისათვის, მოკლე შუბი — ეს ყველაფერი მეტად საჭირო და გამოსადეგი იყო ტყეში ცხოვრები- სათვის.

— ახლა კი ვხედავ, მშვენივრად გცოდნია, ტყის ხალხს რა სჭირ- დება და რისი კეთება უნდა იცოდეს, — შეაქო რონიამ, — ყველაზე მთავარი მაინც საჭმლის მოპოვება და ველური ვიტრებისა თუ სხვა მხეცებისგან თავის დაცვაა.

— ნამდვილად ასეა, ვიცი, — უთხრა ბირკმა, — მე მგონი, ჩვენ...

ბიჭმა სიტყვა ველარ გააგრძელა, რადგან რონია ეცა, მკლავზე ხელი მოუჭირა და ჩასჩურჩულა:

— ჩუმად! გამოქვაბულში ვილაცაა!



პირ წყალში მოადინა ტყაპანი. მდინარემ თავის ტალღებზე ააბურთავა ბოროტი მაჯლაჯუნები, თუმცა, საბოლოოდ მაინც მშვიდობიანად გავიდნენ ნაპირზე.

— ნახე ერთი, რა კარგად ცურავენ ეს საზიზღრები, — გაუკვირდა რონიას.

— თურმე პურსაც გადასარევედ ჭამენ, — თქვა ბირკმა როცა ბავშვები გამოქვაბულში შევიდნენ და ნახეს, რომ მაჯლაჯუნებს მათი მარაგიდან ერთი დიდი პური გადაესანსლათ. გაფუტებით კი ვერაფრის გაფუტება ვერ მოესწროთ, თუმცა ისიც საკმარისი იყო, დათვის მღვიმეში რომ ბრძანდებოდნენ.

— ძალიან ცუდი! — გამოაცხადა ბირკმა, ახლა მთელ ტყეს გააყრუებენ თავისი თავისი სისინითა და ბუზღუნით და მალე ყველა ველური ვიტრა შეიტყობს, სადაც ვცხოვრობთ.

მაგრამ მათისის ტყეში არაფრისა რომ არ უნდა შინებოდათ, ეს რონიას ბავშვობიდანვე ჰქონდა ჩანერგილი. ისიც იცოდა, რომ არც წინასწარ წუხილი და შიში იყო საჭირო ბავშვებმა წყნარად და მშვიდად მიაღაგეს გამოქვაბული, ნივთებს, საჭმელსა და იარაღს თავთავისი ადგილი მიუჩინეს. შემდეგ წყაროდან წყალი მოიტანეს და მდინარეში ბადე ჩააგდეს; დიდი, ბრტყელი ქვები შეაგროვეს და მშვენიერი კერა გამართეს. მერე კარგა ხანს იბორიალეს ტყეში რონიას მშვილდისრისთვის შესაფერისი ტოტის შესარჩევად. ველური ცხენები ჩვეულ ადგილას ბალახობდნენ. რონია და ბირკი შეეცადნენ, გიჟმაჟსა და არამზადას მიახლოვებოდნენ, ალერსიანად დალაპარაკებოდნენ, მაგრამ ცხენებმა ახლოსაც არ გაიკარეს. ეტყობოდათ, მათთან დამეგობრების არავითარი სურვილი არა ჰქონდათ. ის კი არა და, სულაც ტყის სიღრმეში გაუჩინარდნენ, აბეზარი ბავშვებისგან თავი რომ დაეღწიათ და წყნარად ებალახათ.

დანარჩენი დღე რონიამ გამოქვაბულის წინ გაატარა, მშვილდისა და ისრებისთვის ჯოხებს თლიდა. მშვილდის სიმისთვის თავისი ტყავის ჩამონატყერი გაიღო მსხვერპლად. საბოლოოდ, მშვილდისარი მზად იყო. გოგომ სიმი თითით მოსინჯა და გადაწყვიტა, გამოეცა-



და კიდევ. ორჯერ გასტყორცნა და ორივეჯერ ისრები შხუილით გაფრინდნენ ხეებს შორის. რონია შებინდებამდე დაეძებდა ისრებს, მაგრამ ვერ იპოვა და იძულებული იყო თავი მიენებებინა.



— ხვალ ახლებს გამოვთლი! — უდარდელად განაცხადა მან.

— დანას მოუფრთხილდი, — შეახსენა ბირკმა.

— ვიცი, ვიცი, რომ დანა ჩვენი ყველაზე ძვირფასი ნივთია. დანა და ნაჯახი, — დაეთანხმა გოგო.

მოსალამოვდა. ბავშვებმა უცებ აღმოაჩინეს. რომ დილიდან არაფერი ეჭამათ და ძალიან შიოდათ. დღემ სწრაფად გაირბინა. ხან სად დაჭქროდნენ, ხან — სად, ხან რას საქმიანობდნენ, ხან — რას, რაღაცეებს მოათრევდნენ, ალაგებდნენ, აწყობდნენ... იმდენი საქმე

ჰქონდათ, საჭმელი არც კი გახსენებიათ. სამაგიეროდ, ახლა, მგლებივით მოშეებულნი, გემრიელად შეეცეოდნენ პურს, ცხვრის ყველს, შაშხს და ზედ წყაროს ცივ, ანკარა წყალს აყოლებდნენ: სწორედ ისე როგორც რონიამ იწინასწარმეტყველა.

წელიწადის ამ დროს ადრე არ ბნელდებოდა, მაგრამ მოქანცული ბავშვები გრძნობდნენ, რომ უკვე ძილის დრო დამდგარიყო. გამოქვაბულის ბინდბუნდში რონიამ ბირკს მგლის სიმღერა უმღერა და ამჯერად მშვენივრად გამოუვიდა. თუმცა, გოგოს ისევ სევდით აევსო გული და ბირკს ჰკითხა:

— როგორ ფიქრობ, მატისის ციხეში ვახსოვართ? ნეტა ჩვენი მშობლები თუ ფიქრობენ ჩვენზე?

— რა თქმა უნდა, — გამოეპასუხა ბირკი, — სხვანაირად ვერც კი წარმომიდგენია!

რონიამ ყელში მომდგარი ბურთი გადაყლაპა და ისევ იკითხა:

— ვინ იცის, იქნებ დარდობენ კიდეც?

ბირკი ჩაფიქრდა.

— ჩემი მშობლები სხვადასხვანაირები არიან. უნდისი დარდობს, მაგრამ, ალბათ, უფრო განრისხებული იქნება, ვიდრე სევდიანი. ბორკა კი, პირიქით: რასაკვირველია, ისიც გაბრაზებული იქნება, მაგრამ უფრო დანაღვლიანებული, ვიდრე დედაჩემი.

— ლუვისი რომ ნამდვილად დარდობს, ვიცის! — ამოიოხრა რონიამ.

— მატისი? — შეეკითხა ბირკი.

რონია კარგა ხანს ჩუმად იყო. ბოლოს უპასუხა.

— მატისი არა, ალბათ, უხარია კიდეც, რომ მოვშორდი და შეუძლია, დამივიწყოს!

რონია ცდილობდა, ნათქვამის სიმართლეში თავისი თავიც დაერწმუნებინა, თუმცა გულში იმასაც გრძნობდა, რომ ცდებოდა, ძალიან ცდებოდა.

იმ ღამეს გოგონას მატისი ესიზმრა: მარტო იჯდა ბნელ, უღრან ტყეში და ისე ტიროდა, რომ მის ფეხებთან ცრემლები ნაკადულად

მოედინებოდა. თვითონ რონია იქვე, ნაკადულთან იჯდა, სულ პატარა იყო და მატისის მოტანილი გირჩებითა და ქვებით თამაშობდა.

## XII

მეორე დღეს, დილაადრიანად ბავშვები მდინარისკენ გაეშურნენ ბადის შესამოწმებლად.

— ბადე გუგულის დაძახებამდე უნდა ამოვიდოთ, — გამოაცხადა რონიამ.

გოგო ხტუნვ-ახტუნვით მიდიოდა ბირკის წინ ვიწრო ბილიკზე. პატარა ბილიკი მთის ფერდობს მიუყვებოდა; გარშემო ახალგაზრდა მუხნარი შრიალებდა. რონია გრძნობდა მუხის კვირტების სუნს და საერთოდ გაზაფხულის მშვენიერ სურნელს, რაც გოგოს უსაზღვრო სიხარულით ავსებდა და გზაზე ხტუნვითა და კუნტრუშით მიაქროლებდა.

რონიას უკან ბირკი მიჰყვებოდა, რომელიც ბოლომდე ჯერ კიდევ ვერ გამოფხიზლებულიყო.

— რა თქმა უნდა, ბადე უნდა ამოვიდოთ, თუკი შიგ თევზია გაბმული, ბუბღუნებდა ბირკი, — შენ, ალბათ, დარწმუნებული ხარ, რომ ბადე თევზებითაა სავსე!

— ამ მდინარეში უამრავი ორაგულია, — გამოეპასუხა რონია, — საკვირველი იქნება, თუ ჩვენს ბადეში არცერთი არ გაეზმება.

— საკვირველი ის იქნება, შენ თუ მდინარეში არ მოადენ ტყაპანს, ჩემო საყვარელო დაივო! — ჩაიცინა ბირკმა.

— ეს ჩემი საგაზაფხულო ხტუნვაა, — აუხსნა რონიამ.

ბირკმა გადაიხარხარა.

– საგაზაფხულო ხტუნვა! ეს ბილიკი ხომ სწორედ ამისთვისაა ზედგამოჭრილი? როგორ ფიქრობ, ვისი გაკვალულია ეს გზა?

– ალბათ მატისის, \_ უპასუხა რონიამ, – როცა დათვის ბუნაგში ცხოვრობდა. მამანემს ყოველთვის უყვარდა ორაგული და ახლაც ძალიან უყვარს.

რონია გაჩუმდა და ამოიოხრა. სულაც არ უნდოდა იმაზე ფიქრი, თუ რა უყვარდა, ან რა არ უყვარდა მატისს. მერე თავისი სიზმარი გაახსენდა და ახლა ამან ააფორიაქა. ფიქრები აბეზარი ბუზებივით ეხვეოდნენ და თავს არ ანებებდნენ. უცებ რონიამ ბადეში გაბმული ორაგული დაინახა და ყველაფერი გადაავიწყდა. უზარმაზარი თევზი მზის სხივებში ელვარებდა და აქეთიქეთ აწყდებოდა. იმხელა იყო, კარგა ხანს ეყოფოდათ საკვებად. ბირკმა წყლიდან ბადე ამოსწია და კმაყოფილმა გამოაცხადა:



– ჩემო დაიკო, შიმშილით ნამდვილად არ მოვკვდებით, ამის პირობას გაძლევ!

– ზამთრამდე გავატანთ! – დაეთანხმა რონია.

ზამთრამდე ჯერ კიდევ დიდი დრო იყო, თუმცა გოგონას სრულებითაც არ ადარდებდა შორეული ზამთარი, და საერთოდ, უსიამოვნო რამეზე ფიქრი არ უნდოდა.

ბავშვებმა თევზს მსხვილი ტოტი გაუყარეს, ტოტი მხარზე გაიდეს და გამოქვაბულისკენ გასწიეს, თან ქარისგან წაქცეულ მუხას მიათრევდნენ, რომელიც ქამრებზე თოკით გამოებათ. ბავშვები ძლივ-ძლივობით ექაჩებოდნენ ხეს და. ნელა, ტვირთის მზიდავი ცხენებივით ფრთხილად მიუყვებოდნენ ვიწრო ბილიკს. ხე ძალიან სჭირდებოდათ — მისგან ჯამების და სხვა საჭირო ნივთების გამოთლას აპირებდნენ. ბირკმა ხეს ტოტები ჩამოაჭრა, მაგრამ მუშაობისას ცული ხეზე აუსხლტა და ფეხი გაიჭრა, ახლაც, სიარულისას, სისხლი სდიოდა და ბილიკზე სისხლიან ნაკვალევს ტოვებდა, თუმცა ბიჭი ამას დიდ ყურადღებას არ აქცევდა.

— დიდი ამბავი, თუ ჭრილობიდან სისხლი მდის, რა მოხდა მერე,— გაიძახოდა იგი.

— ნუ ხარ ასე თავდაჯერებული, — შეუტია რონია. — ერთიც ვნახოთ და, დათვმა აღმოაჩინოს შენი ნაკვალევი, დაყნოსოს და დაინტერესდეს, ნეტავ ასეთი გემრიელი სისხლი ვისა აქვსო?!

ბირკმა გადაიხარხარა.

— თუ დაინტერესდება, მეც აქ დავხვდები ჩემი შუბით ხელში.

— ლუვისი, — ჩაფიქრდა რონია, — ჭრილობაზე გამხმარ თეთრ ხავსს გვადებდა ხოლმე. მეც აუცილებლად უნდა შევაგროვო ხავსი, კაცმა არ იცის, კიდევ როდის და რამდენჯერ გაიჭრი ხელფეხს!

რონია მსიცივე შეასრულა, ტყიდან ხავსი მოზიდა და გამოქვაბულის წინ, მზებზე გასაშრობად გაფინა. ბირკმა შემწვარი ორაგული დაახვედრა სახლში დაბრუნებულ დობილს. ისხდნენ ბავშვები და შემწვარ თევზს შეექცეოდნენ. შემდეგ ხის ტანის პატარ-პატარა ნაჭრებად დაყოფას შეუდგნენ, რათა შემდეგ ჯამები გამოეთალათ. ბავშვები ისე ყოჩაღად მუშაობდნენ, თითიც კი არ გაუკაწრავთ. მალე ხუთი ხის ნაჭერი ჰქონდათ გამზადებული. ზუსტად ამდენი ჯამი გვჭირდებაო, თქვეს. მაგრამ სამი დღის შემდეგ რონია იკითხა:

— ბირკ! როგორ ფიქრობ, რა უფრო უარესია, ორაგულის ჭამა თუ დაბებრებული ხელები?

ბირკმა ვერაფერი უპასუხა, რადგან ერთიცა და მეორეც ერთნაირად ამოუვიდა ყელში.

— ეს კი ნამდვილად ვიცი, სხვა სამუშაო იარაღები რომ გვექონდეს, ასე არ გაგვიჭირდებოდა გამოთლა, მაგრამ ჩვენ მხოლოდ დანა გვაქვს! — დასძინა ბიჭმა.

ბავშვები რიგრიგობით ხმარობდნენ დანას, თლიდნენ და გულს უღებდნენ ხის ნაჭერს, ვიდრე მართლა ჯამს არ დაამსგავსეს.

— ჩემს სიცოცხლეში აღარ გამოვთლი ხის ჯამს! — გამოაცხადა ბირკმა. — ახლა დანას გავლესავ და მორჩა! მომაწოდე რა, დანა!

— დანა? — ჩაფიქრდა რონია, — დანა შენა გაქვს!

ბირკმა თავი გააქნია.

— ბოლოს შენ გქონდა, მომეცი, რა?!

— მე არავითარი დანა არა მაქვს! — გაიმეორა რონიამ.

— არ გესმის, რას გეუბნები? რა უყავი, სად წაიღე?! — გაბრაზდა ბირკი.

— შენ თვითონ რა უყავი, ბოლოს შენ არ გეჭირა? — აყვირდა რონიაც.

— ტყუი! — შეუღრინა ბირკმა.

გაავებული ბავშვები ჩუმად შეუდგნენ დანის ძებნას. ეძებდნენ ყველგან, გამოქვაბულშიც და გარეთაც, მაგრამ დანა არსად იყო.

ბირკმა ცივად შეხედა რონიას.

— მე მგონი, კარგად აგიხსენი, რომ დანის გარეშე ტყეში თავს ვერ გავიტანთ — მეთქი!

— მაშინ უკეთესად უნდა მიგეხედა, — უპასუხა რონიამ, — უსინდისო, არამზადა! სხვას ეჩხუბები, როცა თვითონა ხარ დამნაშავე!

ბირკი სიშმაგისაგან გაფითრდა:

— აჰა! ყაჩაღის ასულო, დაიბრუნე არა შენი ძველი სახე? ზუსტად ისეთი ხარ, როგორიც ადრე იყავი! და მე შენთან ერთად მიწევს ცხოვრება!

რონიას წყენისა და სიბრაზისგან სუნთქვა შეეკრა:

— ნუ გეშინია, არ მოგიწევს, ბორკას ყაჩაღო! — დაუყვირა გოგომ, — იცხოვრე შენს დანასთან ერთად, თუკი იპოვი და, საერთოდ, ჩიბუხის კვამლსაც გაჰყოლიხარ!

აცრემლებულმა რონიამ ბირკს ზურგი შეაქცია და გამოქვაბულიდან გავარდა. წავა და გადაიკარგება ტყეში, ბირკს თავს გაანებებს, აღარასოდეს ნახავს და აღარასოდეს გასცემს ხმას!

ბირკმა დაინახა, როგორ გარბოდა რონია ხეებს შორის, სულ მთლად გაცოფდა და მიაძახა:

— იქნებ ველურმა ვიტრებმა მოგიტაცონ. შენც ხომ მათი ჯიშისა ხარ! ერთად მშვენივრად იქნებოდით!

ამ დროს ბირკმა იქვე გაფენილი ხავსი შენიშნა, რონიას სულელური ხავსი! გააფებული ბიჭი მივარდა და ფეხით აქეთ-იქით მიფანტმოფანტა.

ხავსის ქვეშ, მიწაზე, დანა იდო. ბირკი დიდხანს მიშტერებოდა დანას, ბოლოს ფრთხილად აიღო ხელში. რამდენჯერ გადაჩხრიკეს აქაურობა, აქ საიდან გაჩნდა დანა? ვისი ბრალი იყო? ხავსქვეშ ვინ ამოდო?

ხავსი ხომ ნამდვილად რონიამ მოიტანა და დაფინა, დამნაშავეც ისაა. ამაში ბირკი დარწმუნებული იყო. თანაც რონია ჯიუტი და შტერი გოგოა, არ ღირს მასთან ერთად ცხოვრება. ასე რომ არ იყოს, ბირკი აუცილებლად გამოეკიდებოდა, დაეწეოდა და დანის ამბავსაც ეტყოდა. ძალიანაც კარგი, იყოს ტყეში, სანამ არ მორჯულდება და ნორმალური ადამიანი არ გახდება.

ბირკმა დანა საგულდაგულოდ გალესა, მერე კი ხელისგულზე დაიდო. იჯდა, უყურებდა და ტკბებოდა. მშვენიერი დანაა. რა ბედნიერებაა, რომ არ დაკარგა.

სანამ დანას ლესავდა და აპრიალებდა, ბირკს სიბრაზე თანდათან გაუნელდა. სრულიად გადაუარა მრისხანებამ. ახლა, წესით, კმაყოფილი უნდა ყოფილიყო — თავისი საყვარელი დანა იპოვა, მაგრამ რონია იქ აღარ იყო, რონია მასთან ერთად არ იყო. ნუთუ ამიტომ სტკიოდა გული?

„იცხოვრე შენს დანასთან ერთად!“ — სწორედ ასე მიაძახა რონიამ. ბირკი ისევ გაბრაზდა. თვითონ როგორღა უნდა იცხოვროს, ქალბატონმა? რა თქმა უნდა, ეს ბირკის საქმე სულაც არ არის, რაც უნდა, ის აკეთოს. უკან თუ არ დაბრუნდება, თავის თავს დააბრალოს,

რაც მოუვა. დათვის მღვიმის კარი მისთვის სამუდამოდ დაიკეტება, ამას ახლავე სიამოვნებით ეტყოდა რონიას, თუმცა ბიჭი სულაც არ აპირებდა ამის სათქმელად ტყეში სირბილს და ყაჩაღის ასულის ძებნას. რონია თავად დაბუნდება და ბირკს ხვეწნა-მუდარას დაუწყებს, უკან შემომიშვიო. აი, მაშინ მიახლის პირში ყველაფერს. დროზე უნდა დაბრუნებულიყავი, ახლა უკვე გვიანია! — ბირკმა ეს სიტყვები ხმამაღლა წარმოთქვა, უნდოდა თავად მოესმინა, როგორ ჟღერდა. ბიჭს შეაჟრჟოლა, რა საშინელი სიტყვებია იმ ადამიანისთვის, რომელიც შენ დად მიგაჩნია! მაგრამ რონია თვითონ წავიდა. დათვის მღვიმიდან ის ბირკს არ გაუგდია.

რონიას მოლოდინში ბირკმა ცოტა ორაგული შეჭამა. თავიდან ბავშვები თევზს ძალიან გემრიელად მიირთმევდნენ, ახლა კი, როცა უკვე მეთედ ჭამდა, ბიჭს გადაყლაპვაც კი უჭირდა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ყელში ამოსული თევზიანი ლუკმა ენაზე ეწებებოდა.

მაგრამ ასე თუ ისე, რალაც მაინც ჭამა და მშვიერი არ იჯდა. ნეტავ ის, ტყეში რომ გაიჭრა, რას ჭამს? ალბათ ფესვებს და ბალახ-ბულახს, ისიც თუ რაიმე საჭმელად ვარგისი იპოვა. მაგრამ ეს რა ბირკის საქმეა?! იმდენ ხანს იწანწალოს ტყეში, ვიდრე შიმშილისგან გული არ წაუვა! რონიას თავად უნდოდა, ყველაფერი ასე რომ ყოფილიყო, ამიტომაც აღარ დაბრუნდა უკან.

დრო გადიოდა და ბირკი რონიას გარეშე საოცარ სიცარიელეს გრძნობდა. არ იცოდა, რა ეკეთებინა. გული სულ უფრო და უფრო ეკუმშებოდა.

ბირკი ხედავდა, როგორ ეფარებოდა ნისლი მდინარეს და გაახსენდა ის დრო, როცა რონია მიწისქვეშელებისგან იხსნა. მას შემდეგ ბირკს არასდროს უამბნია გოგოსთვის, რა მოხდა სინამდვილეში, რონია ერთერთი იმათაგანია, ვინც ძალიან იოლად ექცევა მიწისქვეშელების ჯადოს ქვეშ. ო, როგორი ავი იყო მაშინ რონია, რა მწარედ უკბინა ლოყაზე ბირკს. ნაკბენი ახლაც კი ემჩნევა. მაგრამ ბირკს ყოველთვის მოსწონდა რონია და უხაროდა გოგოსთან ერთად ყოფნა. პირველი შეხვედრისთანავე მოეწონა, თუმცა ეს რონიამ არ იცოდა. ბირკს არც ეს უამბნია გოგოსთვის. ახლა კი ძალიან



გვიან იყო. ამიერიდან გამოქვაბულში მარტოდმარტო ცხოვრება მოუწევს... თავის დანასთან ერთად... როგორ უთხრა რონია მასეთი რამ? ბირკი სიამოვნებით მოისვრიდა დანას მდინარეში, თუკი ეს რონიას უკან დაუბრუნებდა, ნამდვილად გადააგდებდა, — ახლა ეს დანამდვილებით იცოდა ბიჭმა.

მდინარეს საღამოობით ხშირად ნისლი ფარავს ხოლმე, ამაში უჩვეულო არაფერია. მაგრამ ხომ შეიძლება, რომ სწორედ ამ საღამოს ნისლი ტყეშიც ჩამოწოლილიყო? მაშინ კი, ალბათ, მიწისქვეშელებიც ამოძვრებოდნენ თავიანთი ღრმა ხვრელებიდან. ვინ დაიცავს რონიას მათი ჯადოსგან? მართალია, ეს უკვე ბირკის საქმე აღარ არის, მაგრამ მაინც: ასე გაგრძელება უკვე აღარ შეიძლება. არა, ბირკი აუცილებლად უნდა გავიდეს ტყეში, აუცილებლად უნდა მოძებნოს რონია.

ბირკი იმდენ ხანს დაჰქროდა ტყეში, ვიდრე დაღლილობისგან სუნთქვა არ შეეკრა. ყველგან დაეძებდა გოგოს. ყველა ის ადგილი მოინახულა, სადაც, მისი აზრით, რონია უნდა ყოფილიყო. ბირკი იქამდე გაჰყვიროდა რონიას სახელს, სანამ საკუთარმა ხმამ თავადვე არ შეაშინა. მერე იმისიც შეეშინდა, ემანდ ჩემი ყვირილი ცნობის-მოყვარე, ბოროტმა, ველურმა ვიტრებმა არ გაიგონ და ტყეში არ ჩამოეშვნენო.

“ნეტავ ვიტრებმა მოგიტაცონ,” — ასე მიაძახა რონიას; ახლა ამის გახსენებაზე სირცხვილისგან იწვოდა. ვინ იცის, იქნებ რონია მართლა გაიტაცეს ვიტრებმა და იმიტომაც არსად არა ჩანს? იქნებ მამასთან დაბრუნდა? იქნებ სწორედ ახლა მუხლიჩოქა ეხვეწებოდა მატისს, სახლში შემიშვი, ისევ შენი შვილი ვიქნებიო? დათვის მღვიმეში დასაბრუნებლად ხვეწნამუდარას არავის დაუწყებს, რონიას მხოლოდ მატისი ენატრებოდა, მხოლოდ იმასთან უნდოდა ყოფნა. ამას ბირკი, მშვენივრად ხვდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ რონია ცდილობდა, ბიჭს არაფერი შეემჩნია. ახლა ალბათ როგორი გახარებულია, მიზეზი რომ მიეცა და დათვის მღვიმიდან გაიქცა. გაიქცა და მიატოვა ის, ვინც მისი ძმა უნდა ყოფილიყო!

ბირკმა აღარ იცოდა, სად მოექცებნა რონია. სხვა გზა არა ჰქონდა, დათვის მღვიმეში, თავის სიმართოვეში უნდა დაბრუნებულიყო. ძალიან გულსატკენი იყო, მაგრამ რა ექნა!

საოცრად ლამაზი გაზაფხულის საღამო იყო, ღმერთის მზრუნველი ხელი ეტყობოდა ირგვლივ ყველაფერს, მაგრამ ბირკი ვერაფერს ამჩნევდა. ბიჭი ვერც მშვენიერ სურნელებას გრძნობდა და აღარც ჩიტების გალობა ესმოდა, ვერც ხასხასა მწვანე ბალახს ხედავდა და ვერც აყვავებულ ყვავილებს. ერთადერთი, რასაც ბირკი გრძნობდა, იყო უსაშველო, უდიდესი, ყოვლისმომცველი და გაუსაძლისი სევდა.

უცებ შორიდან ცხენის სასოწარკვეთილი ჭიხვინი შემოესმა. ბირკი იქით გაექანა. რაც უფრო უახლოვდებოდა, მით უფრო გარკვევით ესმოდა ველური, შიშით აღსავსე ჭიხვინი, მალე ხეებს მორის ცხენი დაინახა, რომელსაც სისხლი თქრიალით სდიოდა. მკერდზე დიდი ჭრილობა ჰქონდა. ბირკის დანახვაზე ცხენი დაფრთხა, მაგრამ მაინც არ გაიქცა, კიდევ უფრო საწყალობელი ჭიხვინი ატეხა, თითქოს ეხვეწებოდა, მოდი, დამეხმარე და დამიფარეო.

— შე საწყალო! — შეეცოდა ბირკს, — ვინ დაგტორა ასე საშინლად? იმავე წამს ბიჭმა რონია დაინახა, გოგო ხეებში მობოდა, ტოტე-ბი სახეში სცემდა და ცრემლიან ლოყებს უკაწრავდა.

— დაინახე დათვი? — იყვირა მან, — ო, ბირკ, დათვმა ამისი კვიცი მოიტაცა და მოკლა!

რონია გულამოსკვნილი ტიროდა, ბირკი კი ამ დროს მხოლოდ ენითაუწერელ სიხარულსა და ბედნიერებას გრძნობდა. რონია ცოცხალი იყო! გოგო არც დათვს დაუგლიჯავს, არც ველურ ვიტრებს გაუტაციათ და არც მათისთან დაბრუნებულა ციხე-კოშკში! რონია ისევ მასთან იყო! რა ბედნიერებაა, რა ბედნიერება!

რონია ცხენის გვერდით იდგა, უყურებდა, როგორ იცლებოდა ფაშატი სისხლისგან და გული უკვდებოდა. უცებ, თითქოს ყურში ლუვისის ხმა ჩაესმაო, მიხვდა, რაც უნდა გაეკეთებინა.

— ჩქარა, ჩქარა, თეთრი ხავსი მოიტანე! დროზე, თორემ ცხენი სისხლისგან დაიცლება! — დაუყვირა მან ბირკს.

— კი მაგრამ, შენ? — შეშფოთდა ბირკი, აქ როგორ უნდა დარჩე, როცა აქვე, ახლოს, გამძვინვარებული დათვი დაეხეტება?

— გაიქეცი! — ისევ დაიყვირა რონიამ, — მე ცხენთან დავრჩები, მარტო ამისი დატოვება არ შეიძლება! გაიქეცი, ჩქარა და ხავსი მოიტანე!

და ბირკი გაიქცა. სანამ ბიჭი დაბრუნდებოდა, რონია ცხენთან იდგა, ეფერებოდა და თან გამამხნეველ სიტყვებს ეჩურჩულებოდა. ცხენი გაუნძრევლად იდგა, თითქოს ესმოდა, რას ეუბნებოდა გოგო. აღარ ჭიხვინებდა, შეიძლება ამის თავიც აღარ ჰქონდა. დროდადრო საშინელი ჟრუანტელი დაუვლიდა ხოლმე მთელ ტანში. დათვს საშინელი ჭრილობები მიეყენებინა მისთვის. საწყალი ცხენი თავის კვიცს იცავდა! ახლა იმისი კვიცი მკვდარი იყო. ვინ იცის, იქნებ, ცხენი იმასაც გრძნობდა, თუ ნელ-ნელა, წვეთ-წვეთად მის სხეულსაც როგორ ტოვებდა სიცოცხლე. უკვე საღამო იყო. მალე ღამე ჩამოწვება და თუ ბირკი დროზე არ მოვა, ამ ფაშატს აღარასოდეს გაუთენდება დილა.

მაგრამ ბირკი დაბრუნდა. ხელები ხავსით ჰქონდა სავსე. ასეთი გულისამაჩუყებელი სურათი რონიას არასდროს უნახავს. ოდესმე ამას უსათუოდ ეტყვის ბირკს, მაგრამ ახლა არა, ახლა ამის დრო ნამდვილად არ იყო, მაგრამ ახლა არა,

ბავშვები ჭრილობაზე ხავსს ადებდნენ ცხენს, მაგრამ ხავსი წამში იჟლინებოდა სისხლით. მაშინ ბავშვებმა უფრო მეტი და მეტი ხავსი დააფინეს, ბოლოს ტყავის ღვედები მკერდზე ჯვარედინად გადაუჭირეს და ხავსი ჭრილობაზე დაუმაგრეს. ცხენი წყნარად იდგა და ბავშვებს ხელს არ უშლიდა, თითქოს ხვდებოდა, რომ ისინი მის გადარჩენას ცდილობდნენ. ამ დროს, იქვე ახლოს, ნაძვის ხიდან ტრაკუნა გამოძვრა, მიუახლოვდა ბავშვებს და ცნობისმოყვარეობით აღსავსემ ჰკითხა:

— რრატომ აკეთებთ ასსე?

რონიას და ბირკს ძალიან გაუხარდათ ტრაკუნას დანახვა. ეს იმას ნიშნავდა, რომ დათვი ახლომახლო არ იყო. დათვები და მგლე-

ბი ბინდბუნდის სულიერებს ახლოს არ ეკარებოდნენ არც ტრაკუნებს, არც ტროლებს, არც მაჯლაჯუნებსა თუ ველურ ვიტრებს ტყის ნადირისა არ ეშინოდათ. მაგრამ საკმარისი იყო ბინდბუნდის არსებების სუნი სცემოდათ, რომ დათვი თუ მგელი იმწამსვე გაუჩინარდებოდნენ ხოლმე.

— ამისი კვიცი მეტი აღარ არსებობს, — გამოაცხადა ტრაკუნამ, — დამთავრდა! სულ აღარ დარბის!

— ვიცით, ვიცით! — სევდიანად მიუგო რონიამ.

ბავშვებმა ღამე ცხენის გვერდით გაატარეს, ყარაულობდნენ, უვლიდნენ, ეფერებოდნენ. თავად გაითოშნენ და გაიყინენ, მაგრამ ამას არაფრად აგდებდნენ, დიდი ნაძვის ხის ქვეშ ისხდნენ და საუბრობდნენ. ბევრ რამეზე ილაპარაკეს, მაგრამ ჩხუბზე არცერთს კრინტი არ დაუძრავს. რონია შეეცადა ეამბნა, დათვმა როგორ მოკლა კვიცი, მაგრამ ვერ შეძლო და გაჩუმება არჩია. მძიმე იყო ამის გახსენება.

— ეს ყოველთვის ასეა, მატისის ტყეშიც და სხვა ტყეებშიც, — უთხრა ბირკმა.

შუალამისას ბავშვებმა ცხენს ხავსი გამოუცვალეს, ახალი ხავსი დაადეს ჭრილობაზე. მერე ცოტა ხნით ჩათვლიმეს და გამთენიისას უკვე ფეხზე იყვნენ.

— შეხედე, სისხლი აღარ სდის, — გაუხარდა რონიას, — ხავსი მშრალია!

ბავშვებმა თავიანთი გამოქვაბულისკენ გასწიეს, ცხენიც თან წაიყვანეს. მისი მართო დატოვება არაფრით არ შეიძლებოდა. ცხენს სიარული ძალიან უჭირდა, ეტყობოდა, ჭრილობა სტკიოდა, მაგრამ მაინც მორჩილად მიჰყვებოდა ბავშვებს.

— მთაზე აცოცებას ნამდვილად ვერ შეძლებს. არაფერი რომ არ სტკიოდეს, მაშინაც ვერ შეძლებდა, — ჩაფიქრდა ბირკი, — სად უნდა დავაბინავოთ?

გამოქვაბულის შორიახლოს, ხეებს შორის ნაკადული მორაკრაკებდა. ბავშვებმა ცხენი იქითკენ წაიყვანეს.

— დალიე! სისხლი მოგემატება, — უთხრა რონიამ ცხენს.

ცხენი დიდხანს სვამდა წყალს. შემდეგ ბირკმა მუხაზე მიაბა და რონიას უთხრა:



– აქ დარჩეს, სანამ ჭრილობა შეუხორცდება. დარწმუნებული ვარ, დათვი აქ არ მოვა!

რონია ცხენს მიეფერა.

– ძალიან არ იდარდო! – უთხრა გოგომ, – გაისად ახალი კვიცი გეყოლება!

უცებ რონიამ შენიშნა, რომ ცხენის ჯიქნიდან რძე წვეთავდა.

– ეს რძე პატარა კვიცს უნდა დაეღვია, – თქვა რონიამ, ახლა შეგიძლია, ჩვენ მოგვცე!

რონია გაიქცა და გამოქვავებულიდან ხის ჯამი მოარბენინა. აი, ახლა კი ნამდვილად გამოადგებათ ეს წვალეებით გამოთლილი ჯამი. გოგომ ფაშატი მოწველა და ჯამი რძით გაავსო. ცხენისთვის დიდი

შვება იყო, ჯიქანი რომ დაუცარიელდა. ბირკი აღფრთოვანებული დარჩა რძით.

— ჩვენ ცხენი მოვიშინაურეთ! — აყიჟინდა იგი, — აუცილებლად სახელიც უნდა დავარქვათ, როგორ ფიქრობ, რა სახელი აჯობებს? რონიას დიდხანს ფიქრი არ დასჭირვებია.

მე მგონი ლეა უნდა დავარქვათ. პატარაობისას მატისს ჰყავდა ფაშატი, რომელსაც ლეა ერქვა.

ბავშვები შეთანხმდნენ, რომ ლეა ცხენისთვის შესაფერისი სახელი იყო, განსაკუთრებით კი იმ ცხენისთვის, რომელიც არ უნდა მომკვდარიყო. ლეა აუცილებლად იცოცხლებს, ამაში ეჭვი აღარ ეპარებოდათ. ბავშვებმა ბალახი მოაგროვეს და ლეას დაუყარეს. ცხენმა სიამოვნებით შეჭამა. რონიას და ბირკსაც საშინლად მოშიებოდათ და გამოქვაბულისკენ გაიქცნენ, რომ რაიმე გადაესანსლათ. ლეამ თავი ასწია და შემოფოთებულმა გახედა ბავშვებს.

— ნუ გეშინია, — დაამშვიდა რონიამ, — ჩვენ მალე დავბრუნდებით. ჰო, მართლა, დიდი მადლობა რძისთვის!

რა ბედნიერებაა, რომ რძე გვაქვს! ახალთახალი, სურნელოვანი, ნაკადულში ჩაციებული რძე! ო, როგორ გაუმართლათ!

ბავშვები გამოქვაბულის წინ ისხდნენ, სიამოვნებით შეექცეოდნენ პურს და ზედ რძეს აყოლებდნენ. ხეების თავზე მზე ამოიწვერა, ახალი დღე იწყებოდა!

— რა გულდასაწყვეტია, რომ დანა დაიკარგა, — თქვა რონიამ.

ბირკმა დანა ჯიბიდან ამოიღო და რონიას ხელზე დაუდო.

— და, რა ძალიან კარგია, რომ ისევ დაგვიბრუნდა! დანა, უბრალოდ, ხავსის ქვეშ იდო და გველოდა, სანამ ჩვენ ჩხუბსა და კამათს მოვრჩებოდით!

რონია კარგა ხანს ჩუმად იჯდა, შემდეგ ბირკს მიუბრუნდა და უთხრა:

— იცი, ახლა რაზე ვფიქრობ? თურმე რა ადვილი ყოფილა, სულ ტყუილუბრალოდ გაანაწყენო ან დაკარგო ამქვეყნად შენთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანი.

— ამიტომ, ამიერიდან ერთმანეთს უნდა გავუფრთხილდეთ და უმიზეზოდ გული არ ვატკინოთ, — ხმა ამოიღო ბირკმა, — მაგრამ იცი, ახლა რაზე ვფიქრობ? შენ ათას დანასაც კი მირჩევნიხარ!

რონიაშ შეხედა და გაუღიმა.

— შენ კი ამ წუთას ჩემთვის ყველაზე უფრო საყვარელი, ყველაზე უფრო გიჟი და გადარეული ხარ!

ასე ხანდახან ლუვისი ეუბნებოდა ხოლმე მატისს.

## XIII

დღეები გადიოდა. გაზაფხული მიიწურა, ზაფხული მოვიდა და დაცხა. შემდეგ წვიმები დაიწყო. დღე და ღამე წვიმის სქელი ფარდა ჩამოშვებულიყო ტყეზე. ჰაერი. დანესტიანდა, ყველაფერი გადახასხასდა. ხოლო როცა წვიმებმა გადაიარა, ისევ მზემ გამოანათა და სიცხეები დაიჭირა. რონიაშ იგრძნო, რომ დრო იყო ეკითხა ბირკისთვის, ასეთი მშვენიერი სურნელება დედამიწაზე სხვა ტყეებშიც იყო თუ არა. ბირკი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ სურნელებით ყველა ტყეს მატისისა ჯობდა.

ლუვას ჭრილობა, კარგა ხანია, შეუხორცდა. ბავშვებმა ფაშატი გაუშვეს და ახლა ისიც სხვა ველურ ცხენებთან ერთად ცხოვრობდა. მაგრამ რძეს ისევ აძლევდა ბავშვებს. საღამოობით ლუვას რემა გამოქვაბულის მიდამოებში ბალახობდა. ყოველ საღამოს რონია და

ბირკი ტყეში გადიოდნენ და ლეას ეძახდნენ, ცხენიც ჭიხვინით ამცნობდა თავის ადგილსამყოფელს, და, რასაკვირველია, თანახმა იყო, ბავშვებს რომ მოეწველათ.

სხვა ცხენებსაც აღარ ეშინოდათ მათი. ხანდახან ისინი ახლოსაც მოდიოდნენ და უყურებდნენ, როგორ წველიდნენ ბავშვები ლეას. ასეთი საოცრება ცხენებს არასოდეს ენახათ. გიჟმაჟი და არამზადაც იქ იყვნენ და რამდენჯერმე ისე ახლოს მივიდნენ, რომ ლეამ ყურები გადასხიპა და ბრაზიანად დაიფრუტუნა, მაგრამ იმათ აინუნშიც არ ჩაუგდიათ ცხენის ეჭვიანობა. მხიარულად თამაშობდნენ, აქეთიქით დაქროდნენ, ერთმანეთს ახტებოდნენ და ველურად ეჯახებოდნენ.

ისინი ხომ ჯერ კვიცები იყვნენ, პატარებს კი თამაში მოსწონთ. ამის შემდეგ ჭენებჭენებითა და კუნტრუმ-კუნტრუმით ტყის სიღრმეში უჩინარდებოდნენ, რათა მომდევნო საღამოს ისევ გამოჩენილიყვნენ. ბოლო ხანებში ცხენებმა მოფერების ნებაც კი მისცეს ბავშვებს. რონია და ბირკიც სიამოვნებით ეფერებოდნენ და საალერსო სიტყვებს ეუბნებოდნენ. კვიცებს, მართალია, მოსწონდათ ბავშვების ალერსი, მაგრამ ბოლომდე მაინც არ ენდობოდნენ. ჩვენ ვერ გავგაცურებთ! — კითხულობდნენ კვიცების თვალეში რონია და ბირკი.

და მაინც ერთ საღამოს რონიამ მტკიცედ გამოაცხადა:

— მე ვთქვი, რომ ცხენს გავაჭენებ! ჰოდა გავაჭენებ კიდევ!

ამჯერად ბირკი წველიდა ლეას. გიჟმაჟი და არამზადა იქვე შორიახლოს იდგნენ და ინტერესით შესცქეროდნენ ბიჭის საქმიანობას.

— გაიგე, რა ვთქვი? — მიუბრუნდა რონია არამზადას. თვალის დახამხამებაში ფაფარში სწვდა ცხენს და ზურგზე მოახტა. არამზადამ იუკადრისა, შეეცადა რონიას გადმოგდებას, მაგრამ ისე იოლად ვერ გამოუვიდა, როგორც ადრე. გოგომ იცოდა, რაც მოელოდა და ამისთვის მომზადებული იყო, დიდხანს დახტოდა გამხეცებული არამზადა, ხან ყალყზე დადგებოდა და, საბოლოოდ, მაინც ჩამოაგდო რონია. გოგო ზურგზე დაეცა და ტკივილისაგან გამწარებულმა წამოიყვირა. მერე წამოდგა და ნატკენი იდაყვები მოისრისა; თუმცა, კიდევ კარგი, სერიოზულად არაფერი ჰქონდა დაშავებული.



— ისევ ისეთი არამზადა ხარ! — უთხრა ცხენს, — მაგრამ დამაცადე, ცოტა ხანში მაინც გაგაჭენებ!

რონიამ შეასრულა თავისი სიტყვა. ყოველ საღამოს, ლეას მოწველის შემდეგ, ისა და ბირკი ცდილობდნენ, გიჟმაჟისა და არამზადასთვის „უკეთ მოქცევა“ ესწავლებინათ. მაგრამ ამ გადარეულ ცხენებთან არაფერი გამოსდიოდათ. რონიამ უკვე იმდენჯერ მოადინა მიწაზე ზღართანი, რომ ბოლოს დაიჩივლა:

— მთელი სხეული დაბეჭილი მაქვს, მტკაველისოდენა ადგილიც კი არ დამრჩა, რომ არ მტკიოდეს! — ამ სიტყვებით მუჯლუგუნი უთავაზა არამზადას:

— ყველაფერი შენი ბრალია, უსინდისო! არც კი გრცხვენია! არამზადა კი წყნარად იდგა და აინუნშიაც არ აგდებდა გოგოს საყვედურებს. ეტყობოდა, საკუთარი თავით კმაყოფილი იყო. რონიამ ბირკს გახედა, რომელიც ჯერ კიდევ ებრძოდა გიჟმაჟს. ბირკის ცხენიც არამზადასავით გადარეული იყო, მაგრამ ბიჭი რონიამზე ძლიერი აღმოჩნდა და გიჟმაჟის ზურგზე თავის შემაგრება მაინც შეძლო. და, ჰოი, საოცრებავ! ბიჭი მყარად, მაგრად იჯდა ცხენზე... გიჟმაჟი დაილაღა და დანებდა.

— რონია, შემხედე! — სიხარულისგან აღარ იყო ბიჭი, — ცხენი წყნარად დგას!

გიჟმაჟმა მოუსვენრად დაიჭიხვინა, თუმცა კვლავ წყნარად იდგა. ბირკი ეფერებოდა ცხენს და ისე აქებდა, რომ რონიამ ვეღარ მოითმინა და ბიჭს უთხრა:

— სინამდვილეში ეგეც უსინდისოა და ეს შენც მშვენივრად იცი!

რა თქმა უნდა, გოგოს არ მოეწონა, ბირკმა რომ გიჟმაჟის გახედნა შეძლო, მან კი არამზადა ვერაფრით ვერ დაიმორჩილა. რონია გიჟდებოდა, როცა საღამოობით მარტო თვითონ წველიდა ლეას. გიჟმაჟზე ამხედრებული ბირკი კმაყოფილი უვლიდა გარშემო, მაშინ, როცა დაჩოქილი რონია ლეას წველიდა! ბიჭი თავს იწონებდა, შეხედეთ ერთი, რა სამაგალითო მხედარი ვარო!

— დავიჟუჟები თუ დავიბეჟები, არ მენაღვლება, — გამოაცხადა ბოლოს რონიამ, — დაიცადე, დავამთავრებ წველას და მერე ნახე.

ასეც მოიქცა. არამზადა იქვე მიდი-მოდოდა და ეჭვი არაფრისა ჰქონდა, როცა მოულოდნელად რონია ზურგზე მოახტა. ცხენს, რა თქმა უნდა, ეს ამბავი სრულებით არ მოეწონა და ადგილს მოწყდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მიჰქროდა და რონიას ჩამოგდებას ცდილობდა. არამზადა გაცოფდა, როცა შეატყო, რომ არაფერი გამოსდიოდა. „არა, ამჯერად ვერ ჩამომგდება!“ — იმეორებდა რონია. გოგო ორივე ხელით ფაფარში ჩაფრენოდა ცხენს, ფეხები კი მუცელზე სალტესავით შემოეჭდო და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, უჭერდა. უცებ ცხენი ტყისკენ გავარდა. გოგოს ტოტები სახეში სცემდა, არამზადა კი ტყის შუაგულისკენ მიჰქროდა, გულგახეთქილმა რონიამ დაიყვირა:

— ბირკ, მიშველე! საცაა ჩიბუხის კვამლს გავყვები! მიშველე!

არამზადა, ვითომც აქ არაფერიაო, გიჟივით მიჰქროდა ხეებს შორის, შეშინებული რონია კი ფაფარში ჩაფრენოდა და ყოველ წამს მოელოდა, რომ აი, ახლა კი გადმოვვარდები და კისერს მოვიტეხავო.

გიჟმაჟზე ამხედრებული ბირკი გოგოს დაედევნა. მისი ცხენი ქარივით მიჰქროდა და მალე წამოეწია კიდეც არამზადას, მერე გაუსწრო და გზა გადაუღობა. არამზადა მოწყვეტით შედგა. რონიამ ძლივს შეიკავა თავი, ცხენიდან რომ არ გადმოფრენილიყო. კიდეც კარგი, არამზადას მაგრად ჩასჭიდა ხელი ფაფარში, თორემ ცხვირით მიწაში ჩაერჭობოდა. გოგო ცხენის ზურგზე გასწორდა, თავად ცხენიც წყნარად იდგა და არ ინძრეოდა, ეტყობოდა, რომ დაღლილიყო, თავი ბრძოლაში დამარცხებულად ეცნო და ბედს დამორჩილებოდა. ცხენს ტანზე ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა და ყველა კუნთი უთრთოდა. რონია მოეფერა და შეაქო კიდეც. არამზადა ნელნელა წყნარდებოდა.

— წესით, ერთი კარგად უნდა გამეწკეპლე, — განაცხადა რონიამ, — პირდაპირ გასაოცარია, რომ ცოცხალი ვარ!

— უფრო გასაოცარი კი ის არის, რომ ცხენებს დავაჭენებთ, — გამოეპასუხა ბირკი, — შეხედე, ბოლოს და ბოლოს ამ ორმა ველურმა შეიგნო, როგორ უნდა მოიქცეს და ვის დაემორჩილოს.

ბავშვებმა წყნარი ჩორთით მიიყვანეს ცხენები უკან, ლეასთან. აიღეს თავიანთი რძის ჯამი, გიჟმაჟი და არამზადა იქვე დატოვეს და გამოქვაბულისკენ გასწიეს.



— ბირკ! — მიუბრუნდა რონია ბიჭს, — თუ ამჩნევ, რომ ლეა სულ ცოტას და ცოტას იწველის?

— ხო, მე მგონი ისევ მაკედ არის, — დაეთანხმა ბირკი.

— და თუ მართლა ახალი კვიცი უნდა გაუჩნდეს, მალე რძე საერთოდ გაუშრება.

— ისევ წყაროს წყალზე გადასვლა მოგვიჩვენს, — ამოიოხრა რონია, — მალე პურიც აღარ გვექნება.

ფქვილი, რომელიც რონიამ სახლიდან წამოიღო, მალევე გაუთავდათ. ბავშვებმა გავარვარებულ ქვებზე ბოლო ხმიადები გამოაცხეს. ჯერჯერობით გამოქვაბულში კიდევ ჰქონდათ გადანახული ცოტაოდენი პური, მაგრამ მალე ესეც გაუთავდებოდათ. შიმშილით, რა თქმა უნდა, არ დაიხოცებოდნენ. ტყეში თევზებით სავსე უამრავი პატარა ტბა იყო, ტყის ჩიტებსაც საკმაოდ გემრიელი ხორცი ჰქონდათ და თუ შიმშილი ძალიან შეაწუხებდათ, მათ მახეს დაუგებდნენ. რონია სხვადასხვა მცენარეებსაც შეაგროვებდა, ლუვისისგან იცოდა, რომელი გამოდგებოდა საჭმელად და რომელი არა, მაგრამ ძველებურად გემრიელად კი ვეღარ დანაყრდებოდნენ.

— შიმშილით, რა თქმა უნდა, არ ვიშიმშილებთ, — ამოიოხრა რონიამ, — მაგრამ პურისა და რძის გარეშე ყოფნა ძალიან ცუდია.

ეს დღე უფრო სწრაფად დადგა, ვიდრე ბავშვები მოელოდნენ. სალამობით ლეა ძველებურად მოდიოდა მათთან, მაგრამ აშკარა იყო, აღარ სიამოვნებდა, რომ წველიდნენ. საბოლოოდ, რონიამ რამდენიმე წვეთი რძე ძლივს ჩამოწურა ჭიქნიდან და ლეამაც თითქოს აგრძნობინა, მეტს აღარ მოვიწველიო.

რონია ცხენს მოეხვია და თვალეში ჩახედა.

— დიდი მადლობა, ლეა, ამდენ ხანს რძეს რომ გვაძლევდი! რა კარგია, რომ მომავალ ზაფხულს ისევ გეყოლება კვიცი! მაშინ რძეც ისევ გექნება და შენს პატარა კვიცს გამოზრდი.

რონიამ დრუნჩზე ხელი მოუსვა ცხენს. გოგოს სჯეროდა, რომ ლეამ ყველაფერი კარგად გაიგო. მერე ბირკს მიუბრუნდა.

— შენც გადაუხადე მადლობა!

ბირკმაც გადაუხადა მადლობა ცხენს. ბავშვები დიდხანს დარჩნენ ლეასთან და როცა ბოლოს გამოქვაბულისკენ წავიდნენ, ცხენი კარგა ხანს მისდევდა უკან. ზაფხულის ნათელი საღამო იდგა, ლეა თითქოს ხვდებოდა, რომ დამთავრდა მისი — ველური ცხენის — ესოდენ უჩვეულო და უცნაური მისია — პატარა ადამიანების რძით გამოკვება. ბავშვები ნელ-ნელა შორდებოდნენ ცხენს, ის კი იდგა და უყურებდა, როგორ ეფარებოდნენ თვალს ნაძვებში მიმავალი ბავშვები. შემდეგ შეტრიალდა და წავიდა, თავის რემას დაუბრუნდა. ხანდახან, სალამობით, როცა ცხენები გამოქვაბულის მახლობლად საბალახოდ მიდიოდნენ, ბავშვები ისევ ნახულობდნენ ლეას. როგორც კი დაუძახებდნენ, ცხენი მაშინვე ჭიხვინით გამოეპასუხებოდა ხოლმე, მაგრამ მათთან არ მიდიოდა, თავის რემას აღარ ტოვებდა.

სამაგიეროდ, გიჟმაჟი და არამზადა იყვნენ ხშირად ბავშვებთან, საკმარისი იყო თვალი მოეკრათ მათთვის, რომ მაშინვე ჭენებ-ჭენებით გამოქანდებოდნენ ხოლმე. ახლა უკვე ორივეს მოსწონდა თავიანთი პატარა მხედრების ზურგით ტარება, ბირკი და რონიაც ხომ

უსაზღვრო სიამოვნებას განიცდიდნენ ტყეში ცხენების აღმა-დაღმა ჭენებით.

მაგრამ ერთ საღამოს ველური ვიტრა დაედევნათ. ცხენები ისე დაფრთხნენ, რომ ბავშვები ველარ იმორჩილებდნენ, ბირკსა და რონიას ისლა დარჩენოდათ, გადმომხტარიყვნენ და ცხენები თავის ნებაზე მიეშვათ. მხედრებისგან რომ გათავისუფლდნენ, ცხენებმა გაქუსლეს, თუმცა მათ მათ ისედაც არაფერი ემუქრებოდათ. ველური ვიტრები მხოლოდ ადამიანებს ერჩიან, ადამიანები სძულთ და მათი შეპყრობა სურთ, თორემ ტყის ცხოველებს არაფერს უშავებენ.

რონია და ბირკი ცუდ დღეში ჩაცვივდნენ. ბავშვები სხვადასხვა მხარეს გაიქცნენ. ერთი ვიტრა ორივეს ვერ დაიჭერდა, მაგრამ ბავშვებმა იცოდნენ, რომ ვიტრები მეტად გაუმაძღარნი და, ამავე დროს, სულელები იყვნენ, ამიტომ მათი ამჟამინდელი მტერიც უთუოდ ორივეს ხელში ჩაგდებას შეეცდებოდა. ბავშვები სწორედ ვიტრების სისულელის იმედზეა იყვნენ და ეს თუ გადაგვარჩენსო, ფიქრობდნენ, სანამ ვიტრა ბირკს მისდევდა, რონიამ თავს უშველა და მიიმალა. ბიჭი შავ დღეში იყო, მაგრამ როცა გაშმაგებული ველური ვიტრა ახლა რონიასკენ მიტრიალდა, ბირკი მაშინვე მიივიწყა. ბიჭმაც დრო იხელთა და უზარმაზარ ლოდებქვეშ შეძვრა. კარგა ხანს იჯდა გატრუნული, ეგონა, ველური ვიტრა საცაა აღმომაჩენს და თავს დამესხმებაო, მაგრამ ტყის ამ ბოროტი სულებისთვის ის, რაც არ ჩანდა, არც არსებობდა. და რადგან ახლაც ახლომახლო ადამიანის მსგავსიც კი არა ჩანდა, რომ თვალები ამოეკორტნა და დაეგლიჯა, გაშმაგებული ვიტრა ზემოთ, კლდეების კენწეროებისკენ გაფრინდა, რათა თავისი სასტიკი და ბოროტი თემისთვის ეს ამბავი შეეტყობინებინა.

ბირკმა დაინახა, როგორ გაუჩინარდა ვიტრა და როცა დარწმუნდა, უკან აღარ მობრუნდებოა, რონიას დაუძახა. რონია თავისი სამალავიდან გამოძვრა, გოგო დიდი ნაძვის ქვეშ შემძვრალიყო. ბავშვები სიხარულით ფეხზე აღარ იდგნენ, ცეკვავდნენ და გადარჩენას ზეიმობდნენ. რა ბედნიერებაა, რომ ორივე გადარჩა, რა ბედნიერებაა, რომ ორივე საღსალამათია, არც ერთი დაკორტნა ვიტრამ და არც

მეორე, არც ერთი გაიტაცა მთებში და არც მეორე, რათა იქ სამუდამო ტყვეობაში გაეტარებინათ სიცოცხლის დარჩენილი დღეები.

— მატისის ტყეში არაფრის არ უნდა გეშინოდეს, — გამოაცხადა რონიამ, — მაგრამ ეს საკმაოდ ძნელია, როცა ყურებთან ველური ვიტრები გიწვიან.

გიჟმაჟი და არამზადა არსად ჩანდნენ. ამიტომ ბავშვებს გამოქვაბულამდე კარგა გრძელი გზა ფეხით უნდა გაევიდნენ.

— ოღონდ ველური ვიტრები არ დავინახო და მთელ ღამეს ფეხით ვივლი. — თქვა ბირკმა.

ბავშვები დათვის მღვიმისკენ ტყე-ტყე წავიდნენ. ხელიხელ ხელჩაკიდებულები მიდიოდნენ და მხიარულად საუბრობდნენ. ორივენი აღტკინებულნი იყვნენ, ბუნებრივიცაა, მათ ხომ ცოტა ხნის წინ დიდი შიში ჭამეს. ნელნელა ბინდი ჩამოწვა. ზაფხულის მშვენიერი საღამო იდგა. ბავშვებმა დაასკვნეს, რომ მიუხედავად ველური ვიტრებისა, ზაფხულის საღამო მაინც უსაზღვროდ წარმტაცი იყო. მაგრამ მათთვის ყველაზე დიდი ბედნიერება ტყეში ცხოვრება გახლდათ. დღისით თუ ღამით, დარში თუ ავდარში, თავისუფლად დანავარდობდნენ. ხან მზის ქვეშ იყვნენ, ხანაც — მთვარისა და ვარსკვლავების. წელიწადის დროები ნელა, თანმიმდევრულად ცვლიდნენ ერთმანეთს. გაზაფხულს ცხელი ზაფხული მოჰყვა, მალე შემოდგომაც მოვიდოდა, ბავშვები თვალყურს ადევნებდნენ წელიწადის დროთა ცვალებადობას და ბუნების ამ ზეიმს შეჰხაროდნენ.

— მაგრამ ზამთარი!... — თქვა რონიამ და ამოიოხრა.

ბავშვებმა დაინახეს, როგორ დაძვრებოდნენ აქეთიქით ტრაკუნები, ტროლები და მაჭლაჯუნები და ცნობისმოყვარედ იჭყიტებოდნენ ხეებისა და ქვების უკნიდან.

— ბინდის არსებანი, — თქვა რონიამ, — ესენი ზამთარშიც მშვენივრად გრძნობენ თავს, — და ისევ ამოიოხრა.

— ჩემო დაიკო, ჯერ ხომ ზაფხულია! — გაოცებით გადახედა ბირკმა გოგოს.

რა თქმა უნდა, ჯერ ისე ზაფხული იდგა, მშვენიერი, თბილი ზაფხული.

— წლევანდელი ზაფხული არასოდეს დამავიწყდება, მთელი სიცოცხლე მემახსოვრება, — თქვა რონიამ.

ბირკმა ბინდბუნდში ჩაძირულ ტყეს გახედა და უცნაური ძალის მოზღვავება იგრძნო; რა ხდებოდა მის თავს, ვერ გაერკვია. გულზე თითქოს სევდა შემოაწვა. ბიჭმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ასე ჯადოსნურად მასზე სწორედ ზაფხულის მშვენიერი ღამე და სიმშვიდე მოქმედებდა.

— ეს ზაფხული! — თქვა მან და რონიას გადახედა, — სანამ ცოცხალი ვარ, ამ ზაფხულს რა დამავიწყებს! მეც მუდამ მემახსოვრება!

ბავშვები დათვის მღვიმესთან მივიდნენ. შესასვლელთან, მდელოზე ლილ-კლიპა იჯდა და მათ ელოდებოდა.

## XIV

ლილ-კლიპა იქვე იჯდა, თავისი ბრტყელი ცხვირით, გაბურძენული თმითა და წვერებით. სულ ასეთი იყო ლილ-კლიპა და ასეთი ახსოვდა რონიასაც. გოგოს ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ ამანვე მშვენიერი სურათი ცხოვრებაში არ ენახა. იგი კვილით გაექანა ყაჩაღისკენ და კისერზე ჩამოეკიდა.

— ლილ-კლიპა!... ო, ეს შენა ხარ... შენ? ეს შენ მოხვედი ჩემთან? რონია სიხარულისგან ბრწყინავდა.

— მშვენიერი ხედია აქედან, — თქვა ლილ-კლიპამ, — მდინარეც ჩანს და ტყეც!

რონიამ გადაიკისკისა.

— რა თქმა უნდა, მდინარეც ჩანს და ტყეც! შენ რა, ამ ხედის სანახავად მოხვედი?

– არა, ლუვისმა გამომგზავნა, პური გამომატანა თქვენთვის, –  
უთხრა ლილ-კლიპამ. მერე გუდას თავი მოხსნა და დიდი, მრგვალი,  
სურნელოვანი პურები ამოალაგა.

რონია ისევ აკვილდა.

– ბირკ, შეხედე, პური! პური მოგვევიდა! რონია პურს ხელი სტა-  
ცა და ზემოთ ასწია, სურნელება შეისუნთქა და ცრემლები წამოს-  
ცვივდა.

– ლუვისის პური! დამავიწყდა, რომ ქვეყნად ასეთი გადასარევი  
რაღაცეები არსებობს!

გოგომ პურს მოზრდილი ლუკმა მოაგლიჯა და პირში ჩაიტენა.  
უნდოდა, ბირკისთვისაც მიეცა პური, მაგრამ ბიჭი ხმას არ იღებდა  
და მოლუშული იდგა თავისთვის. არც პური გამოართვა და გამოქვა-  
ბულში გაუჩინარდა.

– ლუვისმა იანგარიშა და თქვა, პური გაუთავდებოდათო, – აც-  
ნობა ლილ-კლიპამ რონიას.





გოგო გამალებით ჭამდა. პურის გემო უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა. ამ ნაცნობმა გემომ კიდევ უფრო მონანატრა ლუვისი. თავი ვერ შეიკავა და ლილკლიპას ჰკითხა:

— საიდან იცის ლუვისმა, მე რომ დათვის მღვიმეში ვცხოვრობ? ლილ-კლიპამ ჩაიციხა:

— იმედია, დედაშენი სულელი არ გგონია? სხვაგან სად უნდა ყოფილიყავი?

ყჩაღმა გოგო ყურადღებით შეათვალიერა. აი, იჯდა აქ რონია, მათი რონია, მათი მშვენიერი, პატარა რონია და ისე გამალებული ჭამდა პურს, თითქოს ცხოვრებაში ამის მეტი სხვა არაფერი უნატრიყო. ახლა კი თავისი დავალება უნდა შეესრულებინა ლილკლიპას. ლუვისმა დაარჩია, ძალიან ფრთხილად იყავიო და ისიც ძალიან ცდილობდა, არაფერი შეშლოდა, თუმცა დიდი გამჭრიახობით ვერ დაიკვებინდა.

— რონია! — ფრთხილად მიმართა გოგოს, — შინ მალე დაბრუნდები?

გამოქვაბულიდან ფრუტუნი მოისმა. ვიღაც ყურადღებით უსმენდა მათ საუბარს და იმ ვიღაცას უნდოდა, ეს რონიასაც სცოდნოდა.

მაგრამ ამ წუთებში რონია მხოლოდ ლილ-კლიპას ხედავდა. ო, რამდენი რამის კითხვა უნდოდა, რამდენი რამ აინტერესებდა და რამდენი რამის გაგება სურდა. ლილ-კლიპა მის გვერდით იჯდა, და როცა ჯერი კითხვების დასმამზე მიდგა, რონიამ სახეში ველარ შეხედა ყჩაღს. გოგო შორს სივრცეში მდინარისა და ტყის მიღმა იყურებოდა, ბოლოს კი ისე დაიხურჩულა, რომ ლილ-კლიპამ ძლივს გაიგონა:

— რა ხდება მატისის ციხეში, როგორა ხართ?

— მატისის ციხეში სევდა და მოწყენილობაა! შინ დაბრუნდი რონია! — გულწრფელად უთხრა ყჩაღმა.

რონია ისევ მდინარესა და ტყეს გასცქეროდა.

— ლუვისმა ამის სათქმელად გამოგგზავნა?

ლილ-კლიპამ თავი დაუქნია.

— ჰო! ძალიან ძნელია უშენოდ! ყველა მოუთმენლად ელის შენს დაბრუნებას, რონია!

რონიამ მდინარეს და ტყეს გახედა და ჩუმად ჰკითხა:

— მათისი? მათისიც ელის ჩემს დაბრუნებას?

ლილკლიპამ ერთი გემრიელად შეიკურთხა.

— ეგ ეშმაკის მოციქული, ეგა! ვინ იცის, რას ფიქრობს ან რას ელოდება?!

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა, შემდეგ ისევ რონიამ იკითხა:

— ჩემზე თუ ლაპარაკობს?

ლილ-კლიპა შეტრიალდა. აი, ახლა უნდა გამოეყენებინა მთელი თავისი გამჭრიახობა, ამიტომაც პასუხი ცოტა შეაყოვნა.

— მითხარი, როგორც არის, — გაიმეორა რონიამ, — ჩემს სახელს არასოდეს ახსენებს?

— არა, — თავისი ნების საწინააღმდეგოდ უპასუხა ლილ-კლიპამ, — და არავისა გვაქვს უფლება, მათისის გასაგონად შენი სახელი ვახსენოთ.

ოჰ! ეშმაკმაც წაიღოს, ახლა ზუსტად ის წამოაყრანტალა, რისი ხსენებაც ლუვისმა კატეგორიულად აუკრძალა, ესეც შენი გამჭრიახობა!

ყაჩაღმა რონიას მუდარით შეხედა:

— ყველაფერი კარგად იქნება, ჩემო პატარავ, ოღონდ შენ დაბრუნდი სახლში!

რონიამ თავი გააქნია.

— მე არასოდეს დავბრუნდები, — თქვა მან მტკიცედ, — მე ხომ მათისის შვილი აღარა ვარ, ჰოდა, მანამ არ დავბრუნდები, სანამ ასე გაგრძელდება! შეგიძლია, სიტყვასიტყვით გადასცე მათისს!

— დიდი მადლობა! — გამოეპასუხა ლილ-კლიპა, — ამის გადაცემას სკალე-პერიც კი ვერ გაბედავს. ჰო, მართლა, მოხუცი ყაჩაღი ბოლო ხანებში ცოტა არ იყოს, მოტყდა, არცაა გასაკვირი, როცა გარშემო ყველაფერი ასე გასაცოდავებული და გაუბედურებულია. მათისი ყველაფერზე იღრინება და ბუზღუნებს. არაფერი მოსწონს და

არაფერი აკმაყოფილებს. ყაჩაღური საქმიანობაც ძალზე ცუდად მიუდის. ტყე ჯარისკაცებითაა სავსე. პელე შეიპყრეს, საპყრობილეში ჩააგდეს და პურსა და წყალზე ამყოფებენ. ბორკას ორი ყაჩაღიც ციხეში ზის. ხმები დადის, შერიფი იმუქრება, წლის განმავლობაში მატისის ყველა ყაჩაღს შევიპყრობ და სამაგალითოდ დავსჯიო, ნეტავ რას გულისხმობს სამაგალითოდ დასჯაში, — შეეკითხა ბოლოს ლილ—კლიპა რონიას, — სიკვდილით დასჯას?

— იცინის ხოლმე? — ჰკითხა უცებ რონიამ.

ლილ—კლიპამ გაოცებისგან პირი დაალო.

— ვინ, შერიფი?

— მე მატისზე გელაპარაკები, — უპასუხა რონიამ.

ლილკლიპამ დაარწმუნა გოგო, რომ იმ დილის შემდეგ, როცა რონია მამის თვალწინ ეშმაკის ყბას გადაახტა, გაცინებული მატისი არავის უნახავსო.

ლილ—კლიპა დაღამებამდე გზას უნდა გასდგომოდა, რომ შინ დროზე დაბრუნებულიყო და უკვე იმაზე დარდობდა, ლუვისს რა პასუხი გავცეო ამიტომაც კიდევ ერთხელ შეეცადა გოგონას დარწმუნებას:

— რონია, წამოდი სახლში! წამოდი, გეხვეწები!

რონიამ თავი გააქნია და პასუხად ესლა მიუგო:

— ლუვისი მომიკითხე და გადაეცი პურისთვის უზარმაზარი მადლობა!

უცებ ლილ—კლიპამ თავის ტყავის გუდას სტაცა ხელი.

— ო, რამ გამომაშტერა! მე ხომ შენთვის ერთი ტოპრაკი მარილიც მაქვს! დიდი ბრძნული საქციელი ნამდვილად არ იქნებოდა, ისევ უკან რომ წამელო!

რონიამ ტოპრაკი ჩამოართვა.

— მე ისეთი დედა მყავს, რომელიც ყველა წვრილმანზე ფიქრობს! ზუსტად იცის, რა სჭირდება ადამიანს საარსებოდ. მაგრამ საიდან იცოდა, რომ სულ ერთი ციცქნა მარილიღა გვქონდა დარჩენილი?

— ეტყობა, დედები გრძნობენ ხოლმე ასეთ რაღაცეებს.

— დაასკვნა ლილ-კლიპამ — ყოველთვის გრძნობენ, როცა მათ შვილებს რაღაცა სჭირდებათ!

— მარტო ლუვისისნაირი დედები გრძნობენ, — ამაყად გამოაცხადა გოგომ.

რონია იდგა და უყურებდა როგორ მიუყვებოდა ლილ-კლიპა ვიწრო ბილიკს მთის ფერდობზე. რონია კარგა ხანს იდგა ასე და მხოლოდ მაშინ შევიდა გამოქვაბულში, როცა ყაჩაღი თვალს მიეფარა.

— აჰა! არ გაჰყევი სახლში, მამასთან? — ჰკითხა ბირკმა. იგი უკვე იწვა ნაძვის ტოტების საწოლზე. რონია სიბნელეში ბიჭს ვერ ხედავდა, მაგრამ სიტყვები კი მშვენივრად გაიგო და გაცეცხლდა.

— მე მამა არა მყავს! — შეუტია ბირკს, — და თუ ფრთხილად არ იქნები, ძმაც აღარ მეყოლება!

— მაპატიე, ჩემო დაიკო, თუ უმიზეზოდ გაწყენინე, — შეწუხდა ბირკი, — მაგრამ მე ხომ ვიცი, ხანდახან რა ამრებიც გიტრიალებს თავში.

— დიახაც! — გამოეპასუხა რონია სიბნელიდან, — ხანდახან დავდივარ და ვფიქრობ, თერთმეტი ზამთარი მიცოცხლია, მეთორმეტეს ვერ გავუძლებ და ფეხებს გავფშვიკავ-მეთქი! მე კი მთელი გულით და სულით მინდა დედამიწაზე დარჩენა! შეგიძლია, ეს შეიგნო?

— დაივიწყე ეგ შენი ზამთრები, — უდარდელად ჩაილაპარაკა ბირკმა, — ახლა ხომ ზაფხულია!

რა თქმა უნდა, ახლა ჯერ ისევ ზაფხული იყო. წელიწადის ეს უმშვენიერესი დრო დღითიდღე იკრებდა ძალებს. ჰაერი უფრო კრიალა გახდა და სიცხემაც დააჭირა. ასეთი ცხელი ზაფხული არავის ახსოვდა. შუადღისას, როცა განსაკუთრებით ჩამოცხებოდა, ბავშვები მდინარის ცივ წყალში ბანაობდნენ. ისინი პატარა თახვებივით დაცურავდნენ, ყვინთავდნენ და სიამოვნებით მიჰყვებოდნენ მდინარის დინებას, ვიდრე ჩანჩქერის მქუხარე ხმა ძალიან არ მოახლოვდებოდა. საეჭვო იყო, ვინმეს უვნებლად გადაელახა ეს მძლავრი, მგრგვინავი ჩანჩქერი, რომელიც წყლის უზარმაზარი ფარდასავით უფსკრულში ეშვებოდა.

რონიამ და ბირკმა ზუსტად იცოდნენ, სად იწყებოდა საფრთხე.

— როგორც კი ჩანჩქერის შხეფების სვეტი გამოჩნდება, უნდა შეეჩერდეთ, — გამოაცხადა რონიამ. — უფრო შორს გაცურვა სახიფათოა, ნამდვილად ვიცი!

ზუსტად მდინარის შუაგულში, ჩანჩქერიდან ცოტა მოშორებით წყლიდან უზარმაზარი ლოდი ამოშვერილიყო. რონიასა და ბირკისათვის ეს ლოდი გამაფრთხილებელი ნიშანი იყო — ნაპირზე უნდა ამძვრალიყვნენ, რაც არცთუ ისე ადვილი გახლდათ. შემდეგ კი დაღლილ დაქანცული და ცივი წყლისგან გალურჯებული ბავშვები კარგა ხანს იწვნენ ხოლმე და ცხელ მზეს ეფიცებოდნენ, გარშემო კი ერთი ციდა მხიარული თახვები დარბოდნენ და ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ პატარა ადამიანებს.

სალამობით რონია და ბირკი ტყეში მიდიოდნენ ცხენების საჭენებლად. გიჟმაჟი და არამზადა ერთხანს ახლოს არ ეკარებოდნენ ბავშვებს, ველურმა ვიტრებმა ისე დააშინეს, რომ ბავშვების დანახვაზეც კი ფრთხილდნენ, თითქოს ახსოვდათ, რომ თავდასხმის დროს ზურგზე სწორედ რონია და ბირკი უსხდნენ, მაგრამ ეს მხოლოდ რამდენიმე დღე გაგრძელდა, მერე შიში გადაავიწყდათ და, როგორც კი ბავშვებს დაინახავდნენ, მხიარულად მიჰქროდნენ მათკენ. რონია და ბირკი ზურგზე მოექცეოდნენ ცხენებს და საათობით წყნარად და მშვიდად დასეირნობდნენ თავიანთ ტყეში.

— ზაფხულის ეს მშვენიერი სალამოები სწორედ ცხენების საჭენებლად არის ზედგამოჭრილი, — თქვა რონიამ და გაიფიქრა, — რატომ არ შეიძლება, ტყეში სულ ზაფხული იდგეს, რატომ არ შეიძლება, სულ მხიარული და ბედნიერი ვიყო?

გოგოს უყვარდა თავისი ტყე. ყველაფერი ხიბლავდა აქ: ხეები და პატარა ტბა, ბუჩქები, ხავსით დაფარული უზარმაზარი ლოდები, ყვავილები, ცხოველები და ჩიტები. მაშ, რატომ ევსებოდა დროდადრო გული სევდით? რატომ უნდა დამდგარიყო ისევ ზამთარი?

— რაზე ფიქრობ, ჩემო დაიკო? — ჰკითხა ბირკმა.

— მე ვფიქრობ... მე ვფიქრობ... იცი, ამ დიდი ლოდის ქვეშ ტროლები ცხოვრობენ, — უთხრა ბოლოს რონიამ, — გაზაფხულზე ვნახე,

როგორ ცეკვავდნენ. ტროლები და ტრაკუნები ძალიან მიყვარს. მაჯლაჯუნები და ველური ვიტრები კი მეჯავრებიან, თუმცა ეს ხომ ისედაც იცი!

— ისინი ვის არ ეჯავრებიან, — დაუდასტურა ბირკმაც.

დღეები ნელნელა მოკლდებოდა. ნათელმა ღამეებმაც ჩაიარა. საღამოობით ბავშვები კოცონთან ისხდნენ და შესცქეროდნენ, როგორ იკრეფდნენ ძალას ფერმკრთალი ვარსკვლავები. რაც უფრო ბნელდებოდა, მით უფრო მკაფიოდ კაშკაშებდნენ მნათობები ტყის თავზე, თუმცა ჯერ ისევ ზაფხულის ცა დაჰნათოდათ თავზე, მაგრამ რონია იცოდა, რას ეუბნებოდნენ ვარსკვლავები, — მალე შემოდგომა დადგება!

— მძულს ველური ვიტრები! — გამოაცხადა ერთხელ რონია, — გასაოცარია, რომ ამდენ ხანს ვერ მოგვაგნეს, ნამდვილად არ იციან, რომ დათვის მღვიმეში ვცხოვრობთ.

— ალბათ იმიტომ, რომ მათი გამოქვაბულები ტყის მეორე მხარესაა, ამიტომ მდინარის აქეთა ნაპირზე იშვიათად დაფრინავენ, — უთხრა ბირკმა, — მაჯლაჯუნებმა კი, რატომღაც, მთელ ქვეყნიერებას არ მოსდეს, ჩვენ რომ დათვის მღვიმეში ვცხოვრობთ, თორემ მერწმუნე, ვიტრები ნამდვილად არ მოგვასვენებდნენ.

რონიას შეაჟრჟოლა:

— მე მგონი, ცუდია ვიტრებზე რომ ვლაპარაკობთ, — თქვა მან, — ემანდ ჩვენსკენ არ მოვიზიდოთ!

დაღამდა. მეორე დღეს ისევ მზე ამოვიდა. ზაფხულისათვის ჩვეული ცხელი დილა გათენდა ტყეში და ბავშვებმა, როგორც ყოველთვის, საბანაოდ გასწიეს.

უცებ ველური ვიტრები გამოჩნდნენ: არა ერთი ან ორი, არამედ დიდი გუნდი და მთელი ცა დაიფარა; ვიტრები მდინარის თავზე დაეშვნენ, შემზარავად ყიოდნენ და ხორხოცებდნენ.

— ჰო, ჰო! წყალში მშვენიერ პატარა ადამიანებს ვხედავთ! ჰო, ჰო! სისხლი ნიაღვრებად წამოვა! ჰო, ჰო! ჰო, ჰო!

— ჩაყვინთე, რონია! — იყვირა ბირკმა. ბავშვებმა ჩაყვინთეს და წყალქვეშ მიცურავდნენ, ვიდრე ჰაერი ეყოთ, ხოლო როცა ჰაერის

ჩასასუნთქად წყლიდან თავები ისევ ამოყვეს, დაინახეს, რომ ველურ ვიტრებს კიდევ ახალახალი გუნდები ემატებოდათ. ახლა კინადვილად ველარაფერი უშველიდათ, ორივე მიხვდა, რომ დადგა მათი აღსასრულის დღე, რომ ამჯერად ვიტრებს ვერაფრით დააღწევდნენ თავს.

— აღარასოდეს ვიფიქრებ და ვიდარდებ ზამთარზე, ვიტრები დამკორტნიან და მომკლავენ, — მწარედ გაიფიქრა რონიამ, როცა სულ ახლოს, ზედ თავთან გუნდის შემზარავი, ავისმომასწავებელი ყივილი მოესმა.

— წყალში პატარა მშვენიერი ადამიანები არიან, დავკორტნოთ, დავკორტნოთ! სისხლი ღვარად წამოვიდეს! ჰო, ჰო! — ხორხოცებდნენ ვიტრები.

ვიტრებს ჩვევად ჰქონდათ, სანამ მსხვერპლს თავს დაესხმებოდნენ გასტანჯავდნენ და გააწამებდნენ ხოლმე. ეს მათი საყვარელი გართობა იყო. მართალია, მათთვის დიდი სიამოვნება იყო ადამიანის დაკორტნა და დაფლეთა, მაგრამ არანაკლებ უყვარდათ მსხვერპლის გარშემო ფრენა, ყივილი და მისთვის თავზარის დაცემა. ვიტრები წინამძღოლის ნიშანს ელოდნენ, რაც იმის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო, რომ თავდასხმისთვის ხელსაყრელი დრო დადგა. წინამძღოლი კი, ყველაზე სასტიკი და საზარელი ვიტრა, არ ჩქარობდა, ნელნელა დასტრიალებდა თავს მდინარეს და ყიოდა:

— ჰო, ჰო, ჰო!



ცოტაც და იგი პირველი ჩაასობდა კლანჭებს წყალში მოფართხალე ერთერთ პატარა არსებას. თუმცა ჯერ ვერ გადაეწყვიტა, რომელი აერჩია — შავთმიანი? წითური ჯერჯერობით არ ჩანდა, მაგრამ მალე ისიც ამოყოფდა თავს წყლიდან! და ჰო, ჰო! რამდენი ბასრი ბრტყალი ჩაესობოდა ერთბაშად! ჰო, ჰო!

რონიამ ჩაყვინთა და ცოტა ხანში ისევ ამოყო თავი ჰაერის ჩასასუნთქად... გოგო თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა და ბირკს ეძებდა. ბირკი კი არსად ჩანდა, თითქოს გაქრაო. აფორიაქებულმა გოგომ აღარ იცოდა, რა ეფიქრა: სად არის ბირკი, სად?! დაიხრჩო? და ამ საზარელ ვიტრებთან მართო დატოვა?

— ბირკ! — იყვირა სასოწარკვეთილმა, — ბირკ, სადა ხარ?

ამ დროს ვიტრების წინამძღოლი ყივილით დაეშვა მისკენ და რონიამ თვალეები დახუჭა...

— ბირკ, ჩემო ძამიკო! სადა ხარ? რატომ დამტოვე მართო?

— ჰო, ჰო! — დაიწივლა ვიტრამ, — სისხლი ღვრად წამოვა! — მაგრამ სულ ბოლო წამს გადაწყვიტა, ცოტა დაეცადა, სულ ცოტა ხანს კიდევ გაეწამებინა თავისი მსხვერპლი აღსასრულის საშინელი მოლოდინით, და შემდეგ კი... ჰო, ჰო! ვიტრების წინამძღოლმა კიდევ ერთი კამარა შეკრა მდინარის თავზე და უცებ რონიას ბირკის ხმა შემოესმა:

— რონია, ჩქარა, ჩქარა!

ქარიშხალს ახალგაზრდა მუხის ხე წაეყცია და ახლა მდინარეს მოჰქონდა. ხეს ტოტები და ფოთლები საკმაოდ შერჩენოდა. რონიამ ძლივს გაარჩია ფოთლებს შორის წითელი ქოჩორი; გოგოს სიხარულისგან კინაღამ სუნთქვა შეეკრა. ბირკი მასთან იყო, ბირკმა გასაჭირში არ მიატოვა. ოჰ, როგორ მოეშვა გულზე!

გოგო აღარ ჩქარობდა, მალე დინება სულ ახლოს ჩამოატარებდა ხელს და რონიას ზედმეტი ჯათა არ დაადგებოდა, უფრო იოლად მიცურდებოდა ხესთან. რონიამ ჩაყვინთა და გაცურა. ხემდე მიღწევა სიცოცხლის გადარჩენის ტოლფასი იყო... და აი, გოგო უკვე სულ



ახლოს იყო ბირკთან. ბიჭმა ხელი გაუწოდა, მაგრად ჩასჭიდა და თავისკენ მიიზიდა. ცოტაც და რონიაც მწვანე ფოთლებში იყო ჩამალული და მუხის მძლავრ ტოტებზე საიმედოდ მოჭიდებული.

— ო, ბირკ! ამოილულლულა გოგონამ, — მე მეგონა, უკვე დაიხრჩე!

— ჯერ, არა, გამოეპასუხა ბირკი, — მაგრამ მალე დავიხრჩობით! გესმის ჩანჩქერის ხმა?



და რონიას ყრუ გუგუნი შემოესმა, წყლის უზარმაზარი მასების ღრიალი, — ეს ჩანჩქერი იყო, მდინარის ტალღები ბავშვებს უფსკრულისკენ მიაქანებდა; ჩანჩქერი ყველაფერს თავისკენ იზიდავდა და იწოვდა. ცოტაც და ორივე წყლის თქეშში გადაეშვებოდა. ამაზე მეტს ბავშვები თავიანთ სიცოცხლეში უკვე ვერაფერს გააკეთებდნენ. ასეთი რამ ადამიანს მხოლოდ ერთხელ შეიძლება გადახედეს თავს და მერე კი ყველაფერი დამთავრდება...

რონიას ბირკთან ახლოს უნდოდა ყოფნა. მთელი ძალით ჩაეხუტა ბიჭს და იგრძნო, რომ ბირკიც ასევე ფიქრობდა: ჯობს ჩანჩქერი, ვიდრე ველური ვიტრები!

ბირკმა მხრებზე შემოხვია ხელი გოგოს. რაც არ უნდა მოხდეს, ერთად იქნებიან, და და ძმა, ახლა უკვე სამარადისოდ; ამიერიდან მათ ვერაფერი დააშორებს!

გაათრებული ვიტრები კი აქეთიქით აწყდებოდნენ, ვერ მიმხვდარიყვნენ, სად გაქრნენ პატარა ადამიანები. უკვე ღრო იყო, ის არამზადები დაეკორტნათ და დაეგლიჯათ, ბავშვები კი არსად ჩანდნენ? რატომ?

წყალში მხოლოდ გადატეხილი ხე მიცურავდა, მაგრამ ვინ იყო მიმალული ხის ტოტებში, ამას ვიტრები ვერ ხედავდნენ. გაავეებული ყვილით დაფრინავდნენ მდინარის თავზე და ბავშვებს დაეძებდნენ.

რონია და ბირკი უკვე შორს იყვნენ და მათი ყვილი აღარ ესმოდათ. მათ ყურთასმენას მხოლოდ შემზარავი გრუხუნი სწვდებოდა, რომელიც ყოველ წამს უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

— ჩემო დაიკო! — თქვა ბირკმა.

მაგრამ რონია ბიჭის ხმა ვერ გაიგონა, მხოლოდ მის ტუნებზე ამოიკითხა ეს სიტყვები. და, მიუხედავად ამისა, რომ არცერთს არაფერი ესმოდა, ბავშვებმა ერთმანეთთან საუბარი დაიწყეს. ო, რამდენი რამ ჰქონდათ სათქმელი, ვიდრე მათი აღსასრული დადგებოდა! რა კარგია, როცა ვინმე ისე ძლიერ გიყვარს, რომ მასთან ერთად ყველაზე მძიმე განსაცდელშიც კი არ გეშინია. აი, ამას ეუბნებოდნენ ბავშვები ერთმანეთს, თუმცა ვერცერთი მათგანი მეორის ნათქვამს ვერ არჩევდა.

შემდეგ ორივე გაჩუმდა. ერთი კია, უფრო მაგრად ჩაეხუტნენ ერთმანეთს და თვალები დახუჭეს.

უცებ რაღაცა ძალამ ხე შეაჩერა. ბავშვები წამში გამოფხიზლდნენ. მუხა მდინარის შუაგულში ამოშვერილ დიდ ლოდს გამოსდებოდა. დინებამ ხე ლოდთან მიაგდო, გარშემო შემოატარა, მიმართულება შეუცვალა და სანამ ტალღები ისევ აიტაცებდნენ, მუხამ დინების საწინააღმდეგოდ საკმაო მანძილი გასცურა.

— რონია, უნდა ვეცადოთ! — იყვირა ბირკმა.

ბიჭი გოგონას მიეხმარა, ტოტებიდან რომ გამომძვრალიყო და ორივენი აქაფებულ წყალში გადაეშვნენ.

ახლა მათ ცალ-ცალკე უნდა ებრძოლათ სიცოცხლისათვის, მთელი ძალით გამკლავებოდნენ ტალღებისა და საზარელი ჩანჩქერის ძალას. ბავშვები ხედავდნენ, რა მდორედ და წყნარად მიედინებოდა მდინარე ნაპირთან. ნაპირი ისე ახლოს, და ამავე დროს, შორს, ძალიან შორს იყო!

— ჩანჩქერი საბოლოოდ მაინც გაიმარჯვებს, — გაიფიქრა რონიამ. გოგოს ძალღონე ეცლებოდა, — არა, მეტი აღარ შემიძლია! — ყვიროდა მთელი მისი არსება, — ახლა მხოლოდ ერთი სურვილია დარჩენოდა — ტალღებთან ეს უთანასწორო ბრძოლა შეეწყვიტა, დინებას გაჰყოლოდა და ჩანჩქერში ჩაკარგულიყო.

მაგრამ მის წინ ბირკი მიცურავდა. ბიჭმა თავი მოატრიალა და რონიას შეხედა. ბირკი გამუდმებით იხედებოდა უკან და ამოწმებდა, გოგონა თუ მომყვებაო. რონიაც უკანასკნელ ძალას იკრებდა და შეუპოვრად მიაპობდა ტალღებს, ვიდრე საბოლოოდ არ გამოეცალა ძალა.

მაგრამ ამ დროს უკვე სამშვიდობოს იყო გასული და ბირკმაც ნაპირზე აათრია, შემდეგ თვითონაც არაქათგამოცლილი დაეცა ქვიშაზე.

— ჩვენ უნდა... შენ უნდა... — ლულულულებდა ბიჭი.

ბავშვებმა უკანასკნელი ძალა მოიკრიფეს, ცოტა მალლა, მდინარისგან მოშორებით, ნაპირზე ავიდნენ და დაეყარნენ მზის მცხუნვარე სხივებით გამთბარ მიწაზე. ორივეს ღრმად ჩაეძინა, თუმცა ვერცერთს ვერ გაეცნობიერებინა, რომ გ ა დ ა რ ჩ ნ ე ნ!

მზე უკვე ჩადიოდა, როცა დათვის მღვიმეს მიუახლოვდნენ. იქ, გამოქვაბულის შესასვლელთან, ლოდზე ჩამომჯდარი ლუვისი ელოდებოდათ.

## XV

— ჩემი შვილი! — თქვა ლუვისმა, — ო, რა სველი გაქვს თმა, საცურაოდ იყავი?

რონია გაქვავებულივით იდგა და დედას მისჩერებოდა. აი, აქვე იჯდა დედამისი და ზურგით კლდეს მიყრდნობოდა, თავადაც ამ კლდესავით საიმედო და მტკიცე. რონიამ სიყვარულით შეხედა დედას, გულში კი ინატრა, ნეტავ დღეს არ მოსულიყო. ნებისმიერ სხვა დღეს გაუხარდებოდა მისი ნახვა, ოღონდ არა ახლა. ამ წუთებში გოგოს ბირკთან მარტო უნდოდა დარჩენა. იგი ჯერ კიდევ კანკალებდა დღევანდელი საზარელი და სახიფათო თავგადასავლის შემდეგ. რა იქნებოდა, ახლა წყნარად და მშვიდად მხოლოდ ბირკთან ერთად ყოფილიყო, მხოლოდ მასთან ესაუბრა! მხოლოდ მასთან ერთად განეცადა ის ბედნიერება, რომ ცოცხლები და საღსალამათნი გადარჩნენ.



მაგრამ ახლა მის წინ ლუვისი იჯდა: მისი საყვარელი, დიდი ხნის უნახავი დედა, და მართალია, რონიას სხვა დროს გაცილებით უფრო გაუხარდებოდა მისი დანახვა, მაგრამ ამას დედას როგორ აგრძობინებდა!

რონიამ დედას გაუღიმა.

— ჰო, მე და ბირკმა ცოტა ვიბანავით და ვიცურავით!

ბირკი! სწორედ ამ წუთებში გოგომ დაინახა, რომ ბიჭი მღვიმისკენ მიდიოდა. არა, ეს არ უნდოდა რონიას! არავითარ შემთხვევაში არ უნდოდა. რონია ბიჭს გამოენთო და ჩუმად ჰკითხა:

— არ უნდა მოხვიდე და დედაჩემს არ უნდა მიესალმო?

ბირკმა ცივად გადახედა გოგოს.

— დაუპატიჟებელ სტუმრებს არ ესაღმებიან, დედაჩემმა ეს ჯერ კიდევ მაშინ მასწავლა, ძუძუს რომ მაწოვებდა.

რონიამ ამოიოხრა, საოცრად ეტკინა გული, აი, დგას მის წინაშე ბირკი და გაყინული თვალებით შეჰყურებს, ბირკი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ასე ახლობელი იყო მისთვის და იმდენად ძვირფასი, რომ მასთან ერთად საზარელ ჩანჩქერში გადაშვებისაც კი არ ეშინოდა, ახლა კი ისევ ის ბირკი მისთვის უცხო და შორეული გახდა. ო, როგორ ეჯავრებოდა რონიას ამ წუთას ბიჭი! ასეთი განრისხებული არასოდეს ყოფილა, მხოლოდ ბირკი როდი ეჯავრებოდა, სძულდა ყველაფერი, რაც კი მის გარშემო იყო, ყველა და ყველაფერი! ეჯავრებოდა ყველა, ვინც მის ცხოვრებას ასეთ აუტანელსა და მძიმეს ხდიდა: ბირკი, ლუვისი და მათისი, ვიტრები და დათვის მღვიმე, ტყე, ზაფხული და ზამთარი და ის ვიღაც უნდისიც, ბირკს სისულელეებს რომ ასწავლიდა... და საზიზღარი ვიტრები, თუმცა ისინი ხომ უკვე ჩამოთვალა! და ყველა დანარჩენიც ისე ეზიზღებოდა გოგოს, რომ კივილი უნდოდა. მართალია, ამ წუთას ზუსტად არ ახსოვდა, რა იყო ეს „ყველა დანარჩენი“, მაგრამ კივილი მაინც უნდოდა, ისეთი კივილი, რომ კლდეები ჩამოქცეულიყო.

არა, რონიამ არ იკივლა, მხოლოდ ბირკს შეუღრინა, ვიდრე ეს უკანასკნელი გამოქვაბულში გაუჩინარდებოდა:

— რა გულდასაწყვეტია, რომ დედაშენმა ნორმალური მოქცევა არ გასწავლა!

გოგო ლუვისთან მიბრუნდა და შეეცადა, ბიჭის უცნაური ქცევის მიზეზები აეხსნა:

— ბირკი ძალიან დაღლილია, — თქვა მან და შეჩერდა, აღარ იცოდა, მეტი რა ეთქვა. მერე კი დედის გვერდით დიდ ლოდზე ჩამოჯდა, თავი ლუვისის კალთაში ჩარგო და მწარედ ატირდა, რონია ტიროდა, არა ხმამაღლა და მოთქმით, ისე რომ მთებს ექო გამოეცათ, არამედ ჩუმად, ისე ჩუმად, რომ მისი სლუკუნიც კი არ ისმოდა.

— შენ იცი, რატომაც მოვედი, — უთხრა ლუვისმა და რონიამ აკანკალებული ხმით ამოილულულა:

— არა იმიტომ, რომ პური მოგეტანა, არა?

— არა, — დაეთანხმა ლუვისი და თმაზე ხელი გადაუსვა, — პურს მაშინ მიიღებ, როცა შინ დაბრუნდები.

რონიამ ამოისლუკუნა:

— მე არასოდეს დავბრუნდები შინ!

— დაბრუნდები, თუ არადა მატისი მდინარეში გადავარდება, თავს დაიხრჩობს და ასე დამთავრდება ყველაფერი! — წყნარად უპასუხა ლუვისმა.

რონიამ თავი ასწია და დედას ცრემლიანი თვალებით შეხედა:

— ჩემი გულისთვის გადახტება მდინარეში? ის ხომ ჩემს სახელსაც კი არ ახსენებს?

— არ ახსენებს, როცა ღვიძავს, — უთხრა ლუვისმა, — მაგრამ ყოველ ღამე ძილში მოთქვამს და შენ გიხმობს!

— შენ საიდან იცი? — დაინტერესდა რონია, — ნება მიეცი, ისევ შენს საწოლში დაეძინა? სკალე-პერის ოთახში აღარ იძინებს?

— არა! — უპასუხა ლუვისმა, — სკალე-პერმა ვერ გაუძლო მის მოთქმას, მეც ძლივს ვუძლებ, მაგრამ ვიღაცამ ხომ უნდა მიხედოს, მითუმეტეს ახლა, როცა ასეთ საშინელ დღეშია.

ლუვისი კარგა ხანს დუმდა, მერე შვილს უთხრა:

— იცი, რონია, რა ძნელია ასეთ არაადამიანურ ტანჯვას უყურო?

და რონია მ იგრძნო, რომ სადაცაა სწორედ ის ტირილი წასკდებოდა კლდეებს რომ შეაზანზარებდა და მთებში ექოდ გავარდებოდა. გოგომ კბილი კბილს მაგრად დააჭირა და დედას წყნარად ჰკითხა:

— ლუვის, შენ რომ ბავშვი იყო და გყავდეს მამა, რომელიც შენს სახელსაც კი არ ახსენებს და შვილად არა გთვლის, დაბრუნდებოდი მასთან? დაბრუნდებოდი თუ არ მოგაკითხავდა და შინ დაბრუნებას არ გთხოვდა?

ლუვისი ცოტა ხნით ჩაფიქრდა:

— არა, არ დავბრუნდებოდი! მატისი უნდა მოვიდეს და შინ დაბრუნდება გთხოვოს, აუცილებლად უნდა მოვიდეს!

მატისი ამას არასოდეს იზამს! ნაღვლიანად დაასკვნა რონია.

გოგომ სახე ისევ დედის კალთაში ჩარგო და სქელი შალის ქვედაბოლო ცრემლებით დაუსველა.

მოსალამოვდა და ბინდი ჩამოწვა. იწურებოდა კიდევ ერთი ძნელი და მშფოთვარე დღე.

— წადი და დაწეი, რონია, — უთხრა ლუვისმა, — მე აქ დავრჩები, დროდადრო ჩავთვლემ ხოლმე, როგორც კი ინათებს, შინისკენ გავუდგები გზას.

— მე მინდა, რომ შენს მუხლებზე დამეძინოს, — უთხრა რონიამ, — შენ კი მგლის სიმღერა მიმღერე.

გოგოს გაახსენდა, როგორ ცდილობდა ბირკისთვის მგლის სიმღერა ემღერა. მაგრამ ეს საქმიანობა მალე მობეზრდა და თავი მიანება. ამიერიდან არც ერთ სიმღერას არ უმღერებს ბირკს, არასოდეს, ამაში მტკიცედ იყო დარწმუნებული.

ლუვისი მღეროდა და ქვეყნიერებაზე ყველაფერი თანდათან თავთავის ადგილზე დგებოდა. რონიამ ნაცნობი სიმშვიდე იგრძნო და, ლუვისის მუხლებზე თავდადებულს, მალე ტკბილად ჩაეძინა. უკვე გათენებული იყო, რომ გამოეღვიძა.

ლუვისი წასულიყო, მაგრამ თავისი თბილი ნაცრისფერი შალი იქვე დაეტოვებინა. შალი გოგოს ეფარა და გამოიღვიძა თუ არა, მაშინვე მისი სითბო შეიგრძნო. რონიამ შალის სურნელება შეისუნთქა:

ლუვისის სუნი აქვს, — გაიფიქრა გოგომ, — თანაც ცოტა იმ ბაჭისაც, დიდი ხნის წინ რომ მყავდა.

შორიახლოს კოცონთან მუხლებში თავჩარგული ბიჭი იჯდა, წითელი თმა სახეს უფარავდა. იჯდა ბირკი და ისე საცოდავი და უიმედო ჩანდა, რონიას გული მოუკვდა. გოგოს ყველა წყენა გადაავიწყდა და მისკენ გაექანა, უკან შალი მისთრევდა, ახლოს რომ მივიდა, შეჩერდა, ორჭოფობდა, იქნებ მართო ყოფნა უნდაო. ბოლოს მაინც ჰკითხა:

— ბირკ, რა მოხდა?

ბირკმა ქვემოდან ახედა და გაუღიმა:

— აი, ვზივარ და ვდარდობ, ჩემო დაიკო!

— რატომ? — ჩაეკითხა რონია.

— იმიტომ ვდარდობ, რომ ჩემი ნამდვილი და მხოლოდ ჩანჩქერის ღრიალში იყავი, სხვა დროს თითქოს ვერც კი მცნობ. როცა მამაშენი შიკრიკებს გიგზავნის, ისე იცვლები, რომ ჩემი ნამდვილი დისგან აღარაფერი რჩება. აი, ამიტომ ვდარდობ და ვწუხვარ, — უპასუხა ბიჭმა.

— ვინ არ დარდობს, — გაიფიქრა რონიამ, — განა მე არ ვდარდობ, ჩემი ადგილი რომ ვერ მიპოვნია?!

— მაგრამ მე ვიცი, რომ ასეც უნდა იყოს, — განაგრძო ბირკმა, — და უსამართლობა იქნება შენთვის დამებრალეობინა.

რონიამ ირიბად გადახედა:

— მაინც გინდა, ჩემი ძმა რომ იყო?

— რა თქმა უნდა, მინდა, — გამოუცხადა ბირკმა, — მე შენი ძმა ვარ და მუდამ შენი ძმა ვიქნები! ეს კარგად გახსოვდეს! მაგრამ ბარემ იმასაც გეტყვი, თუ რატომ მინდა, ამ ზაფხულს ყველამ თავი გაგვანებოს, მათისის ციხიდანაც არავინ გვაკითხავდეს და არც მოსალოდნელ ზამთარზე ფიქრითა და ლაპარაკით მღლიდეს ვინმე!



— რაც მართალია, მართალია, რონიასაც ძალიან უნდოდა ყველაფრის გაგება. განსაკუთრებით კი ის აინტერესებდა, თუ რატომ არ ადარდებდა ბირკს ზამთრის მოახლოება.

ახლა ჯერ ზაფხულია, ჩემო დაიკო! — წყნარად პასუხობდა ხოლმე იგი რონიას, თითქოს ზამთარი არასოდეს დადგებოდა..

— მე და შენ მხოლოდ ამ ზაფხულს ვიქნებით ერთად, — თქვა ბირკმა, — შენთან დაშორების შემდეგ ჩემთვის მნიშვნელობა აღარ ექნება, მოვკვდები თუ ვიცოცხლებ. ამიტომაც არ მინდა ზამთარზე ფიქრი, რადგან დარწმუნებული ვარ, ზამთარი რომ დადგება, შენ მატისის ციხეში დაბრუნდები.

— შენ? — ჰკითხა რონიამ, — შენ სადღა იქნები?

— აქ, — უპასუხა ბირკმა, — რა თემა უნდა, შემიძლია, ბორკას ბუნაგში დავბრუნდე და შევვხვეწო, უკან მიმიღე-მეთქი, ვიცი, ნამდვილად შემიშვებენ, მაგრამ ეს რას შეცვლის? შეხ ხომ მაინც არ იქნები ჩემთან? არც შენი ნახვის უფლება მექნება. ამიტომაც მირჩევნია, დათვის მღვიმეში დავრჩე.

— და სამუდამოდ გაიყინო, — დაუმატა რონიამ. ბირკმა გაიცინა.

— შეიძლება გავიყინო და შეიძლება არა! მე ისიც გავითვალისწინე, რომ დროდადრო შენ თხილამურებით მომავითხავ და პურსა და მარილს მომიტან. იქნებ ბორკას ბუნაგიდან ჩემი მგლის ტყავის ქურთუკის გამოტანაც შეძლო.

რონიამ თავი გადააქნია.

— თუ ისეთივე ზამთარი იქნება, როგორც შარშან იყო, მაშინ ვერ მოვახერხებ. მე დიდი ვერაფერი მოთხილამურე ვარ და დიდ თოვლში მგლის კარსაც ვერ გავცდები. თუ შარშანდელისნაირი ზამთარი დადგა და შენ დათვის მღვიმეში მოგიწია ცხოვრება, მაშინ შენი საქმე წასულია, ბირკ ბორკას ძევ!

— რას იზამ, რაც იქნება, იქნება, — თქვა ბირკმა, — მაგრამ ჯერ ზაფხულია, ჩემო დაიკო! — დასძინა სიცილით.

რონიამ სერიოზული სახით შეათვალა იგი.

— ზაფხულია თუ ზამთარი... ვინ თქვა, რომ მე მატისის ციხეში დავბრუნდები?

— მე ვამბობ! — უპასუხა ბირკმა, — შენი ძალით წათრევაც რომ დამჭირდეს, მხარზე გადებული წაყვანა რომ დამჭირდეს მაინც მიგვიყვან მატისის ციხემდე. თუ მაინცადამაინც უნდა გავიყინო, მარტო გავიყინები! მაგრამ, როგორც ვთქვი, ჯერ ზაფხულია!



მაგრამ ზაფხული უსასრულო არ იყო, ეს ორივემ კარგად იცოდა. მიუხედავად ამისა, ბავშვებმა ისე განაგრძეს ცხოვრება, თითქოს ზაფხული არასოდეს მიიწურებოდა და როგორც შეეძლოთ, მოსალოდნელ ზამთარზე არასასიამოვნო ფიქრებს თავს არიდებდნენ. განთიადიდან დაბინდებამდე ყოველი წუთით ტკბებოდნენ. დღეები დღეებს მისდევდა, ბავშვები კი ზაფხულის უდარდელ ცხოვრებას აგრძელებდნენ. არაფერზე წუხდნენ და არაფერზე დარდობდნენ. ცოტა დრო კიდევ ჰქონდათ.

— ზაფხულის დარჩენილ დღეებს ვერავინ და ვერაფერი ჩამამწარებს, — გამოაცხადა ბირკმა.

რონიაც იმავე აზრისა იყო.

— მე ზაფხულს ისევე ვისრუტავ, როგორც ველური ფუტკარი ნექტარს, — თქვა გოგომ, — ზაფხულის ნატეხებს ვაგროვებ და ამით ვიცხოვრებ, როცა... როცა ზაფხული აღარ იქნება. გაინტერესებს, რა მაქვს შეგროვებული?

და რონია მოუთხრო ბირკს თავისი ჯადოსნური ნატეხების შესახებ:

— ყველა მზის ამოსვლა ერთადა მაქვს თავმოყრილი, ველური მოცხარის ბუნქები მოცხარით გადაპენტილი, ჭორფლი შენს მკლავებზე და ლამლამობით მდინარეზე მოციმციმე მთვარის ბილიკი, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა და ტყე შუადღის მცხუნვარებაში, სალამოს ჟუჟუნა წვიმა, და ასევე, ზღარბები და მელიები, კურდღლები და ხარირმები, ყველა ველური ცხენი, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, მდინარეში ცურვა და ტყეში ცხენების ტენება. ხომ ხედავ, მთელი გუდა ზაფხულით მაქვს სახსე!

— შენ ზაფხულის საუკეთესო შემგროვებელი ხარ! — სიცილით შეაქო ბირკმა, — ასევე განაგრძე!

ბავშვები დილიდან საღამომდე თავიანთ ტყეში იყვნენ გავარდნილნი. თევზაობდნენ და ნადირობდნენ, რათა თავი გამოეკვებათ. სხვა მხრივ კი გარე სამყაროსადმი მეგობრულად და მშვიდობიანად იყვნენ განწყობილნი. გრძელი ბილიკებით იმ იშვიათ ადგილებამდე მიდიოდნენ, სადაც ცხოველებისა და ფრინველებისთვის თვალის დევნება შეუძლოთ. დაცოცავდნენ კლდეებსა და ხეებზე, დაატენებდნენ ცხენებს და ტყის პატარა ტბებში ცურავდნენ: აქ ვიტრები არ აწუხებდნენ. ასე მიდიოდა ზაფხულის დღეები.

ნელნელა ჰაერი უფრო გამჭვირვალე გახდა და სუსხი შეეპარა. რამდენიმე ცივი ღამე ერთმანეთს წაეწყო და მალე მდინარის პირას მდგომ მუხას კენწეროში ფოთლები გაუყვითლდა. ბავშვებმა ეს ერთ დილას შეამჩნიეს, როცა გამოქვაბულთან კოცონს უსხდნენ, მაგრამ არცერთმა არაფერი არ თქვა.

მომდევნო დღეები უფრო და უფრო სუსხიანი გახდა. ჰაერიც კიდევ უფრო გამჭვირვალე შეიქნა. მწვანე ტყეების მიღმა რამდენიმე მილის სიშორეზე გზას თავისუფლად გაარჩევდი. ტყის სიმწვანეს უკვე საკმაოდ შეერია წითელი და ყვითელი ფერები. მალე მდინარის მთელი ხეობა ოქროსა და წითელ ფერებში ჩაეფლო. ბავშვები ცეც-

ხლთან ისხდნენ, შემოდგომის ფერებში აციმციმებულ ტყეს გასცქეროდნენ და გრძნობდნენ მის სიმშვენიერეს, მაგრამ ამის შესახებ არცერთი ხმას არ იღებდა.

მდინარის თავზე ნისლი ჩვეულებრივზე ადრე ჩამოწვა. და ერთ საღამოს, როცა წყაროზე წყლის ამოსატანად ჩავიდნენ, ბურუსმა მთელი ტყე დაფარა. უეცრად ბავშვები სქელი ნისლის შუაგულში აღმოჩნდნენ. ბირკმა ვედროები ძირს დადგა და რონიას მაგრად ჩასჭიდა მკლავში ხელი.

— რა მოხდა? — გაოცდა რონია, — ბურუსის გეშინია? შენ გგონია, სახლის გზას ვერ გავაგნებთ?

ბირკს არ დაუწყია იმის ახსნა, თუ რისი ეშინოდა, მაგრამ გაყუჩდა რალაცის მოლოდინში. და მალე შორიდან, ტყის სიღრმიდან, მისთვის ასე კარგად ნაცნობი ნაღვლიანი სიმღერა გაისმა.

რონიაც გატრუნული იდგა და უსმენდა.

— გესმის? მიწისქვეშელები მღერიან! ო, მაინც გამიმართლა და მათი სიმღერის გაგონება მეღირსა!

— ადრე არასოდეს მოგისმენია? — ჩაეკითხა ბირკი.

— არა, არასოდეს! — უპასუხა რონიამ, — იცი, მათ უნდათ, რომ მიწისქვეშეთში ჩაგიტყუონ.

— ვიცი, — უთხრა ბირკმა, — რამე რომ იყოს, გაჰყვებოდი?

რონიამ გადაიკისკისა.

— გიჟი კი არა ვარ! მაგრამ სკალე-პერი ამბობს...

გოგო უცებ გაჩერდა.

— რას ამბობს სკალე-პერი? — ჰკითხა ბირკმა.

— უჰ! რა მნიშვნელობა აქვს! — თქვა რონიამ წყნარად,

და სანამ ბავშვები იდგნენ და ნისლის გაფანტვას ელოდნენ, რომ შინ დაბრუნებულყვნენ. რონიამ სკალეპერის ნათქვამი გაისენა:

— როცა ტყეში მიწისქვეშელები ამოძვრებიან და სიმღერას იწყებენ, ეს იმას ნიშნავს, რომ შემოდგომა მოვიდაო, მერე კი ზამთრამდეც რალა რჩება, ჰო, ჰო, ჰო!

## XVI

სკალე-პერი მართალი გამოდგა. როცა ტყეში მიწისქვეშელები ამოძვრნენ და მათი სევდიანი ხმა გაისმა, შემოდგომაც დადგა. შემოდგომამ მშვიდობიანად შეცვალა ზაფხული. რონია და ბირკი ცდილობდნენ, შემოდგომის დადგომა არაფრად ჩაეგდოთ, მაგრამ, როცა ზაფხული ნელ-ნელა ჩათავდა და გაუთავებელი წვიმები დაიწყო, ბოლოს და ბოლოს რონიასაც კი ყელში ამოუვიდა, თუმცა წვიმა ძალიან უყვარდა.

ბავშვები მთელი დღის განმავლობაში გამოქვაბულის შესასვლელთან ისხდნენ და წვიმის ხმაურს უსმენდნენ. ასეთ ამინდში ცეცხლსაც ვერ ანთებდნენ და ისე იყინებოდნენ, რომ გასათბობად ისევ ტყეში დარბოდნენ. ტყეში სირბილით ცოტას კი მართლა თებობდნენ, მაგრამ, სამაგიეროდ, თავიდან ფეხებამდე სველდებოდნენ. გალუმპული ბავშვები გამოქვაბულში ბრუნდებოდნენ, სველ ტანსაცმელს იხდიდნენ და თბილ ტყავებში ეხვეოდნენ. შემდეგ ისევ გამოქვაბულის შესასვლელთან ისხდნენ და ღრუბლიან ცას შესცქეროდნენ, იქნებ გამოიდაროსო. მაგრამ მღვიმის თავზე შემოდგომის მოქუფრული ცა ჩამოწოლილიყო.

— წვიმიანი ზაფხული დაგვიდგა, — ამბობდა ბირკი, — მაგრამ ამინდები უსათუოდ გამოკეთდება.

წვიმამ ბოლოს და ბოლოს გადაიღო, მაგრამ ახლა ქარიშხალი დაატყდათ თავს. ქარიშხალი ტყის თავზე მძვინვარებდა, ფიჭვებსა და ნაძვებს ძირფესვიანად გლეჯდა, მუხებს ძირს აწვენდა და ტოტებს ულენწავდა. ტყეში ოქროსფერი გაქრა. მდინარის პირას შიშველი, გაძარცვული ხეები იდგა და მძვინვარე ქარი მათ ფესვებიანად მოგლეჯით ემუქრებოდა,

— ძალიან ქარიანი ზაფხული დაგვიდგა, — ამბობდა ბირკი, — მაგრამ ამინდები უსათუოდ გამოკეთდება.

მაგრამ ამინდის გამოკეთებას პირი არ უჩანდა. პირიქით, დღითიდღე უარესდებოდა. აცივდა და ყოველი ახალი დღის დადგომასთან ერთად სიცივე უფრო და უფრო მატულობდა. უკვე აღარ შეიძლებოდა ზამთარზე არ გეფიქრა. ყოველ შემთხვევაში, რონიას ნამდვილად აღარ შეეძლო უდარდელად ყოფნა. გოგოს ღამლამობით კოშმარები ესიზმრებოდა. ერთ ღამეს სიზმრად თოვლში ჩაფლული ბირკი ნახა, რომელსაც წითურ თმაზე ყინულის ლოლოები ეკიდა. რონიამ ყვირილით გამოიღვიძა. უკვე გათენებულიყო. ბირკი ამდგარიყო და კოცონის გარშემო ფაციფუცობდა. გოგო იქით გაექანა და შვებით ამოისუნთქა, როცა ბირკის თმა ყოველგვარი ყინულის ლოლოების გარეშე დაინახა.

იმ ღამეს პირველ თრთვილს მდინარის გაღმა უკვე გადაეთეთრებინა ტყე.

— თრთვილიანი ზაფხული დაგვიდგა, — ჩაიცინა ბირკმა.

გაბრაზებულმა რონიამ ბიჭს გახედა. როგორ შეუძლია, ასე წყნარად იყოს?! როგორ შეუძლია, ასე აგდებულად ილაპარაკოს?! ნუთუ ვერაფერს ხვდება? ნუთუ თავისი საცოდავი სიცოცხლე არაფრად უღირს? მატისის ტყეში რომ არაფრისა არ უნდა გეშინოდეს, — ეს რონიამაც კარგად იცოდა, მაგრამ ახლა უკვე შიშმა მოიცვა, ველური შიში დაეუფლა: რა ეშველებათ, როცა ზამთარი დადგება?

— ჩემი დაიკო დღეს მოწყენილია, — გამოაცხადა ბირკმა, — მე მგონი დროა, რომ აქედან სხვაგან წავიდეს და სხვა კოცონთან გათბეს.

რონია უსიტყვოდ შებრუნდა გამოქვაბულში და კვლავ თავის საწოლზე წამოწვა. სამწუხაროდ, წასასვლელი არსად ჰქონდა. ბირკი, რა თქმა უნდა, სვეტებიანი დარბაზის ბუხარს გულისხმობდა. ეგონა, ამ ყინვაში რონიას იქაური სითბოსკენ მიუწევდა გული. ო, როგორ უნდოდა გოგოს ერთხელ კიდევ გემრიელად გამთბარიყო, მაგრამ მატისის ციხეში არ მიესვლებოდა, ის ხომ მატისის შვილი აღარ იყო, სვეტებიანი დარბაზის ბუხარი აღარასოდეს გაათბობდა მას, — ეს კარგად იცოდა რონიამ. — რაც მოსახდენია, მოხდეს, — გაიფიქრა

ბოლოს. — წუწუნი და ოხვრა რას მიშველის, როცა სხვა გამოსავალი არა მაქვს და აღარც გადარჩენის შანსი მრჩება!

რონია დაინახა, რომ ვედროები ცარიელი იდგა. დაავლო ხელი და წყალზე წავიდა.

— როგორც კი ცეცხლს დავანთებ, ჩამოვალ და მოგეხმარები, — მიაძახა ბირკმა, გამოქვაბულში წყლის ამოთრევა ძალიან ძნელი იყო, და ამიტომ თითო ვედრო ორივეს ერთად ამოჭქონდა ხოლმე

რონია საცალფეხო ბილიკს ჩაუყვავა, დიდი სიფრთხილედ იყო საჭირო, რომ კლდიდან უფსკრულში არ ჩაჩეხილიყავი, ტყეში რომ ჩავიდა, მუხეებსა და ნაძვებს შორის ხტუნვა-ხტუნვით გაიქროლა და პატარა მდელოსკენ გაემართა, სადაც წყარო ჩამოდიოდა. გოგო წყაროს მიუახლოვდა და ადგილზე გაქვავდა: იქ, დიდ ლოდზე ვილაც იჯდა. თუმცა ვილაც კი არა, მატისი იყო, სწორედ მატისი და სხვა არავინ! ეს შავი, გაბურძგნული თმა მხოლოდ მამამისისა შეიძლება ყოფილიყო. რონიას სიხარულისაგან გული კინაღამ ბუდიდან ამოუვარდა და ცრემლები წასკდა, იდგა მუხეებს შორის და ჩუმად ტიროდა. რონია შეამჩნია, რომ მატისიც ტიროდა, ზუსტად ისევე, როგორც დიდი ხნის წინ ნანახ სიზმარში: იჯდა ქვაზე მარტოდმარტო, დარდობდა და ტიროდა. მატისს გოგო ჯერ არ შეემჩნია. უცებ თავი ასწია და რონია დაინახა, და დაინახა თუ არა, სასწრაფოდ აიფარა ხელები სახეზე, რომ რონიას მისი ცრემლები არ შეემჩნია. ამ წუთებში ისე საწყალი და უმწეო იყო, რომ გოგონას გული მოუკვდა. ერთი შეჰკვივლა, მამისკენ გაიქცა და გულში ჩაეკრა.

— ჩემი შვილი, — ჩაიჩურჩულა მატისმა, — ჩემი შვილი!

მერე კი მთელს ხმაზე დაიღრიალა:

— ჩემი შვილი ვიპოვე!

რონია მამის წვერებში მოთქვამდა და სლუკუნით ეკითხებოდა:

— ახლა ხომ შენი შვილი ვარ, მატის? ნამდვილად შენი შვილი ვარ?

მატისიც ტირილით პასუხობდა:

— ჩემი ხარ, ჩემი და ყოველთვის ჩემი იყავი, რონია! ჩემო შვილო, ო, როგორ განვიცდიდი უშენობას, მთელ დღეებს. ტირილში ვატარებდი! ღმერთო ჩემო, როგორ დავიტანჯე!

მატისმა შვილი ყურადღებით შეათვალიერა და რბილად ჰკითხა:

— მართალია, რასაც ლუვისი ამბობს? შენ სახლში მხოლოდ იმ შემთხვევაში დაბრუნდები, თუ მე გთხოვ?

რონიამ პასუხი შეაყოვნა. და სწორედ ამ დროს ბირკი დაინახა. ბიჭი მუხებს შორის იდგა, სახე გაფითრებოდა და თვალებში უსამღვრო მწუხარება ჩასდგომოდა. არაფრით არ შეიძლება ბირკი ასეთი უბედური იყოს: ნეტავ რაზე ფიქრობს როცა ასეთი საცოდავი სახე აქვს?

— რონია, მართალია, რომ ახლა სახლში გამომყვები? — კვლავ შეეკითხა მატისი გოგონას.

რონია ისევ ჩუმად იდგა და ბირკს შეჰყურებდა: ბირკ, ჩემო ძმაო, გახსოვს ჩანჩქერი? — ყვიროდა მთელი მისი არსება.

— რონია, წავიდეთ! — დაუძახა მატისმა.

და ბირკმა იგრძნო, რომ რონიასთან დამშვიდობების დრო მოსულიყო. მას მადლობა უნდა გადაეხადა მატისისთვის, რადგან დროებით შვილი ათხოვა და გოგო ისევ მამისთვის უნდა დაებრუნებინა, ბიჭს ხომ თავადაც ასე სურდა და ისიც დიდი ხანია იცოდა, რომ ყველაფერს ამგვარი დასასრული ექნებოდა. მაშ რატომ სტკიოდა გული? „რონია, — გაიფიქრა თავისთვის, — შენ ვერ ხვდები, რასაც განვიცდი ახლა, გემუდარები, მიხვდი და წადი, წადი დროზე, დამტოვე!“

— მაგრამ მე ხომ ჯერ არ მითხოვია შენთვის შინ დაბრუნება, — ნაგრძობდა მატისი, — ახლა გთხოვ, გეხვეწები, გემუდარები, რონია, ჩემთან ერთად წამოდი, შინ დაბრუნდი!

„ასეთი მძიმე წუთები არასოდეს დამდგომია,“ — ფიქრობდა რონია, სწორედ ახლა უნდა წარმოეთქვა ის სიტყვები, რომელიც მატისს გულს გაუხეთქავდა, მაგრამ დრო არ იცდიდა. უნდა აეხსნა მამისთვის, რომ ბირკთან უნდოდა დარჩენა, რომ არაფრით არ შეეძლო გაყინულ ტყეში მისი მართლ დატოვება.



– ბირკ, ჩემო ძმაო, ჩვენ ვერავინ ვერ დაგვაშორებს: ნუთუ ამას ვერ ხვდები? – თავისთვის გაიფიქრა რონიამ.

მატისმა პირველად ახლა დაინახა ბირკი, მძიმედ ამოიოხრა და შემდეგ დაუყვირა:

– ბირკ, ბორკას ძევ, აქ მოდი, შენთვის რაღაცა მაქვს სათქმელი! ბირკი მიუახლოვდა. შორიახლოს დადგა, მატისს ეჭვით შეხედა და ჰკითხა:

– რა გნებავს?

– სიმართლე თუ გინდა, შენი გემრიელად მიტყეპვა, – უპასუხა მატისმა, – მაგრამ ამას არ ვიზამ. გულწრფელად გთხოვ, სახლში, მატისის ციხეში გამომყევ. ვერ გეტყვი, დიდად გულზე მეხატები--მეთქი, ნამდვილად არა! მაგრამ, როგორც მიხვდები ჩემი ასულისთვის ძვირფასი ადამიანი ხარ და, როგორმე იქნებ მეც შეგიყვარო. ო, რომ იცოდე, ამ ბოლო დროს რამდენ რამეზე ვიფიქრე!



როცა რონია მამის ნათქვამს ჩასწვდა, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. იგრძნო, როგორ გაულღვა მკერდში, ის საშინელი ყინულის ნატეხი, გულსა და გონებას რომ უმღვრევდა. როგორ შეძლო მამამისმა მხოლოდ რამდენიმე სიტყვით ამხელა წუხილის გაზაფხულის თოვლივით გადნობა? ნუთუ ამიერიდან მატისსა და ბირკს შორის არჩევანის გაკეთება აღარ მოუხდებოდა? ო, როგორ უყვარდა

ორივე! ახლა არცერთთან აღარ მოუწევდა დაშორება. საოცრება. მოხდა, წარმოდგენელი, ნამდვილი საოცრება! სიხარულითა და მადლიერების გრძნობით აღსავსე რონიამ ჯერ მატისს შეხედა და შემდეგ ბირკს. და მაშინვე შენიშნა, რომ ბიჭი სულაც არ იყო მასავით აღფრთოვანებული. იგი წარბშეჭმუნხილი იდგა და მატისს ეჭვის თვალით შეჰყურებდა. რონია შიშმა შეიპყრო. გოგომ მშვენივრად იცოდა, რა ჯიუტი და თავისნათქვამა იყო ბირკი. ბიჭი ვერ ხვდება, რომ ყველაფერი მის სასიკეთოდ წყდება; მაშინ რა ეშველება, ბირკი რომ გაჯიქდეს და მატისს ციხეში არ გაჰყვეს?!

— მატის! — წყნარად თქვა რონიამ, — მინდა, რომ ბირკს მარტო ველაპარაკო.

— რატომ? — გაოცდა მატისი, თუმცა უმალ დაეთანხმა, — კარგი, წავალ და ჩემს საყვარელ დათვის მღვიმეს ვინახულებ, ოღონდ ბევრი არ გააგრძელოთ, შინ დროზე უნდა წავიდეთ!

— შინ დროზე უნდა წავიდეთ, — გამოაჯავრა ბირკმა, როცა მატისი თვალს მიეფარა, — რომელ სახლში? რა ჰგონია მატისს, თან გავყვები და მის ყაჩაღებს მოსამსახურედ დავუდგები?! არასოდეს!

— მოსამსახურედ არა! რა სულელი ხარ! — აღშფოთდა რონია, — გირჩევნია, დათვის მღვიმეში გაიყინო და მოკვდეს, არა?

ბირკი ცოტა ხანს ჩუმად იდგა, მერე თქვა:

— დიახ, ასე მირჩევნია!

რონია აღშფოთდა:

— ადამიანი სიცოცხლეს უნდა გაუფრთხილდეს, ნუთუ ვერ ხვდები ამას? შენ კი, თუ ზამთარში დათვის მღვიმეში აპირებ დარჩენას, ტყუილუბრალოდ გასწირავ როგორც საკუთარ სიცოცხლეს, ისე ჩემსასაც.

— ასე რატომ ლაპარაკობ? — ჩაეკითხა ბირკი, — შენ სიცოცხლეს გავწირავ?

რონიამ ველარ მოითმინა და გაცეცხლებული აყვირა:

— იმიტომ, რომ მეც აქ დავრჩები შენთან ერთად, გამოსტერებულ! იმის მიუხედავად, გინდა ეს შენ, თუ არა!

ბირკი კარგა ხანს ჩუმად იდგა და რონიას შეჰყურებდა, ბოლოს წყნარად ჰკითხა:

— უფიქრდები, რას ამბობ, რონია?

— მშვენივრად ვიცი, რასაც ვამბობ, — ისევ აყვირდა გოგო, — ჩვენ ვერავინ და ვერაფერი დაგვაშორებს და ეს შენც მშვენივრად იცი, სულელო!

ბირკმა გაიღიმა და ამ ღიმილმა მთელი სახე გაუცისკროვნა. ბიჭს ძალიან უხდებოდა ღიმილი.

— არა, არ მინდა, რომ შენი სიცოცხლე შევიწირო, ჩემო დაიკო! არავითარ შემთხვევაში არ მინდა. წამოგყვები ყველგან, სადაც კი წახვალ, თუნდაც მატისის ყაჩაღებთან მომიწიოს მთელი სიცოცხლის გატარება!

მატისმა და ბავშვებმა ცეცხლი ჩააქრეს და ბარგი ჩაალაგეს. დადგა დრო, გამოქვაბული დაეტოვებინათ. ეს არც ისე ადვილი იყო, მაგრამ რონიამ მატისის უჩუმრად გადაუჩურჩულა ბირკს:

— მომავალ ზაფხულს ისევ აქ დავბრუნდებით!

— რა თქმა უნდა, ჩვენ ხომ ცოცხლები ვიქნებით! — ბირკს ეტყობოდა, რომ ეს ამბავი ძალიან ახარებდა.

— მატისიც გახარებული იყო. ბავშვებს წინ მიუძღოდა და მთელ ხმაზე მღეროდა. მისი სიმღერით დამფრთხალი ველური ცხენები ხეებს შორის დაჰქროდნენ. მხოლოდ გიჟმაჟი და არამზადა იდგნენ წყნარად და ელოდნენ, სადაცაა ბავშვები მოვლენ და გაგვაჭენებენო.

— დღეს არა! — უთხრა რონიამ თავის ცხენს და ნაზად მიეფერა, — იქნებ ამ დღეებში ამოვიდე, თუ დიდი თოვლი არ მოვიდა.

ბირკიც მიეფერა გიჟმაჟს.

— ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით! ეცადეთ, ხიფათს არ გადაეყაროთ!

ბავშვებმა შეამჩნიეს, რომ ცხენებს ახალი ბალანი ამოსვლოდათ. მალე მთლად გაიბანჯგვლებოდნენ და სიცივეც აღარ შეაწუხებდათ. მომავალ ზაფხულს გიჟმაჟი და არამზადა ცოცხლები და საღსალამათნი იქნებიან.

მატისი სიმღერ-სიმღერით საკმაოდ შორს წასულიყო. ბავშვები სირბილით დაედევნენ. როცა მგლის კარს მიუახლოვდნენ, ბირკი შეჩერდა.

— მატის, — თქვა მან, — მინდა, რომ ჯერ ბორკას ბუნაგში მივიდე და უნდისი და ბორკა მოვინახულო. შენი დიდი მადლობელი ვარ, რომ თქვენთან მოსვლისა და რონიასთან შეხვედრის უფლება მომეცა.— ჰო, ჰო! ჩაიჩურჩულა მატისმა, — ეს არც ისე ადვილი ასატანი იქნება ჩემთვის, მაგრამ მოდი, აუცილებლად მოდი!

შემდეგ კი გადაიხარხარა.

— იცით, სკალე-პერი რას ამბობს? ეგ ბებრუცუნა დარწმუნებულია, რომ თუ ფრთხილად არ ვიქნებით, შერიფი და მისი ჯარისკაცები ჩვენზე საბოლოოდ გაიმარჯვებენ. ამიტომაც, მისი აზრით, ძალზე გონივრული ნაბიჯი იქნებოდა, ყაჩაღების ორივე ბანდის გაერთიანება. აი, რა გამოიგონა, მაგ ბებერმა მონადირე ძაღლმა!

მატისმა თანაგრძნობით გახედა ბირკს:

— რა გულდასაწყვეტია, რომ ასეთი თაღლითი მამა გყავს, თორემ შესაძლოა სკალე-პერის სიტყვებზე ღირდეს კიდევ დაფიქრება.

— თავად ხარ თაღლითი! — ხუმრობანარევი კილოთი უპასუხა ბირკმა და მატისმაც გაუღიმა.

ბირკმა რონიას ხელი გაუწოდა. როგორც წესი, ბავშვები ამჯერადაც მგლის კართან დაემშვიდობნენ ერთმანეთს.

— ნახვამდის ყაჩაღის ასულო! ყოველდღე შევხვდებით ერთმანეთს! სიტყვას გაძღვე, ჩემო დაიკო! — მიაძახა ბიჭმა.

რონიამ თავი დაუქნია და პასუხად მიუგო:

— ყოველდღე, ბირკ ბორკას ძევ!

როგორც კი მატისი და რონია სვეტებიან დარბაზში შევიდნენ, ირგვლივ სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა. ვერავინ გაბედა სიხარულის ყიჟინა დაეცა. კარგა ხანია, ყაჩაღებს მკაცრად ჰქონდათ აკრძალული ყოველგვარი ხორხოცი და ჟივილ-ხივილი. მხოლოდ სკალეპერს აღმოხდა თავისი ასაკისთვის ყოვლად შეუფერებელი აღტაცების შეძახილი, თუმცა სასწრაფოდ ისიც ჩაჩუმდა. მატისმა წყნარად მიმოიხედა და შემდეგ ასევე წყნარად თქვა:

— ვგონებ, შინ დაბრუნებულებს ერთი კარგი „გაუმარჯოს“ გვეკუთვნის! — და ისევ ძველებურად გადაიხარხარა, ხმამაღლა და მხიარულად. ყაჩაღებს, რომლებსაც ბელადის სიცილი უკვე თვეების მანძილზე აღარ სმენოდათ, თვალეებზე სიხარულის ცრემლები მოადგათ. ეს მატისის პირველი გაცინება იყო ეშმაკის ყბასთან იმ საშინელი დილის შემდეგ. ყაჩაღებმა სასწრაფოდ მხარი აუბეს: ყველა იცინოდა, იცინოდა რონიაც, სვეტებიან დარბაზს მათი ხარხარი აზანზარებდა. ამ დროს ფარეხიდან ლუვისიც დაბრუნდა და დარბაზში კვლავ სიჩუმემ დაისადგურა. არავინ დარჩენილა გულგრილი, ყველას გული აუჩუყდა, როცა დედაშვილი ერთმანეთს გადაეხვია. ამ სცენის შემყურე ყაჩაღებმა ქსუტუნით მოიწმინდეს თვალეებზე მომდგარი ცრემლები.

— ლუვის, შეგიძლია დიდი ვარცლი გამიმზადო? — შეეკითხა რონია დედას.

ლუვისმა თავი დაუქნია.

— უკვე წყალსაც ვაცხელებ!

— რა კარგია! — რონიამ აღფრთოვანებით შეხედა დედას, — შენ ისეთი დედა ხარ, რომელიც ყოველთვის ყველაფერზე ფიქრობს! და რომელსაც ასეთი ჭუჭყიანი და ტილიანი შვილი არასოდეს ჰყოლია!

— არა, არასოდეს! — ღიმილით დაეთანხმა ლუვისიც.

გოგომ ლუვისის გამომცხვარი პური შეჭამა და დიდი ფინჯანით რძე დააყოლა. შემდეგ ლუვისმა დიდ ვარცლში აბანავა და იმდენი ხეხა, სანამ სულ არ დაუწითლა კანი. რონია თავის თბილ საწოლში იწვა, მაძლარი და გაწკრიალებული. ისე ეძინებოდა თვალეებს ძლივს ახელდა, უყურებდა როგორ ბჟუტავდნენ ბუხარში ნაკვერჩხლები. რა ნაცნობი და საყვარელი იყო ირგვლივ ყველაფერი. ლუვისმა გოგოსა და მატისს მგლის სიმღერა უმღერა. უკვე ძილის დრო მოსულიყო და რონიას ძალიან ეძინებოდა, მაგრამ აბეზარი ფიქრები მოსვენებას არ აძლევდნენ.

— ახლა, ალბათ, როგორ ცივა დათვის მღვიმეში! — ფიქრობდა გოგო, — მე კი ვწევარ გემრიელად ჩათბუნებული, ხანდახან პატარა რამეც კმარა, რომ ადამიანი უსაზღვროდ ბედნიერი იყოს, — შემდეგ

მან ბირკზე დაიწყო ფიქრი. — ნეტავ რას აკეთებს ჩემი ძმა ბორკას ბუნაგში? ალბათ ისიც ჩათბუნებულია და მაძღარს სძინავს. გოგომ თვალები დახუჭა, — ხვალ აუცილებლად ვკითხავ, — გაიფიქრა ბოლოს.

სვეტებიან დარბაზში სიჩუმე იდგა, როცა მოულოდნელად მატისის ხმამაღალი ყვირილი გაისმა:

— რონია!

— რა მოხდა?! — ამოილულულა ნახევრად მძინარე, დამფრთხალმა გოგომ.

— მინდოდა, დავრწმუნებულიყავი, რომ ნამდვილად აქა ხარ, — გამოეპასუხა მატისი.

— აქა ვარ, რა თქმა უნდა, აქა ვარ, — ჩაიბუტბუტა რონიამ და ღრმა ძილს მიეცა.

## XVII

ტყე რონიას ძალიან უყვარდა, შემოდგომისა იქნებოდა თუ ზამთრის, ტყე მუდამ მისი მეგობარი იყო. დათვის მღვიმეში გატარებული ბოლო დღეებმა გოგოს კინაღამ შეაძულა ტყე. ახლა კი, ბირკთან ერთად დათრთვილულ ტყეში ცხენს რომ დააჭენებდა, აღტაცებული იყო. რონიამ სცადა, თავისი გრძნობები ბირკისთვის აეხსნა:

— ნებისმიერ ამინდში სახალისოა ტყეში სირბილი, როცა იცი, რომ შინ დაბრუნებული თავით ფეხებამდე გათბები, მაგრამ, თუ გაყინულ გამოქვაბულში მოგიწევს ყოფნა, მაშინ არც ისე სასიამოვნოა. ბირკიც, რომელსაც ზამთრის გატარება დათვის ბუნაგში ჰქონდა გადაწყვეტილი, ძალიან კმაყოფილი იყო, შინ რომ დაბრუნდა.

ბიჭი სიამოვნებით თბებოდა ხოლმე ბორკას ბუნაგის ბუხართან.

ბავშვები მიხვდნენ, რომ ბირკს აუცილებლად ბორკას ბუნაგში უნდა ეცხოვრა, სხვა შემთხვევაში მატისის ციხეში კიდევ უფრო დიდი მტრობა და სიძულვილი ჩამოვარდებოდა.

— იცი, როგორ გაუხარდათ უნდისსა და ბორკას ჩემი დანახვა?! ამბობდა გაკვირვებული ბირკი, — ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ მშობლებს ასე ვუყვარდი!

— კარგი, კარგი, ნებას გაძლევ, მათთან იცხოვრო, — კისკისებდა რონია, — ოღონდ მხოლოდ გაზაფხულამდე!

მატისიც კმაყოფილი იყო, რომ ბირკი ძირითადად ბორკას ყაჩაღებში ტრიალებდა.

— რა თქმა უნდა, — უთხრა მატისმა ლუვისს, — მაგ მაწანწალა ლეკვს შეუძლია, როცა უნდა, მაშინ გვესტუმროს. მე თავად დავპატიჟე და ვთხოვე, სახლში წამომყოლოდა. მაგრამ რა ვქნა, რომ ნერვებს მიშლის მისი წითური თმის დანახვა!

მატისის ციხეში ცხოვრება ძველებურად მიედინებოდა. ისევ დაბრუნდა მხიარული დღეები. რონია მღეროდა და ცეკვადა, ხოლო მატისი უწინდელივით მხიარულად ხარხარებდა.

მაგრამ ყაჩაღურ ცხოვრებას კვლავ გასაჭირი ადგა. ჯარისკაცები ტყის ყოველ კუთხე-კუნჭულს ჩხრეკდნენ. მატისმა იცოდა, რომ შერიფი მის შეპყრობაზე ოცნებობდა. ერთხელაც რონიას მოუხმო და ყველაფერი უამბო.

— ერთ ბნელ ღამეს პელე გამოვაპარეთ ციხიდან, — უყვებოდა ბელადი შვილს, — და მასთან ერთად ბორკას ორი ქურდბაცაცა ძაღლიც!

— ლილ-კლიპა დარწმუნებული იყო, რომ პელეს ჩამოახრჩობდნენ, — უთხრა რონიამ მამას.

— ჩემი ყაჩაღების ჩამოხრჩობას ვერავინ შეძლებს, — ავად დაიქუხა მატისმა, — პელეს შემთხვევამ შერიფს ისიც ასწავლა, რომ, შესაძლოა, ციხეში ყაჩაღი ყოველთვის იმ ადგილზე არ დახვდეს, სადაც დატოვა!

სკალეპერი იქვე იჯდა და ჩაფიქრებული აქნევდა მელოტ თავს.

— ტყე ჯარისკაცებით არის სავსე, მატის, და საბოლოოდ მაინც შერიფი გაიმარჯვებს! რამდენჯერ უნდა გითხრა ეს!

და სკალეპერი ისევ მოჰყვა წუწუნს, რომ დრო იყო ბორკასა და მატისს ჭკუა ეხმარათ და გაერთიანებულიყვნენ, ვიდრე ძალიან არ

დაგვიანდებოდა. შესაძლოა, ყაჩაღთა ძლიერ ბანდას კიდევ მო-  
ეხერხებინა შერიფსა და მის ჯარისკაცებთან გამკლავება, — ამბობ-  
და მოხუცი ყაჩაღი, — მაგრამ ორი პატარა ჯგუფი, რომელიც მთელ  
დროს ერთმანეთთან კინკლაობაში ატარებს, უსათუოდ დამარცხე-  
ბისთვის არის განწირული:

— ისე ძიძგილაობთ, როგორც მშიერი მგლები ხორცის ნაჭრის-  
თვის, — ბრაზობდა სკალე-პერი.

მატისს არ სიამოვნებდა ამ სიტყვების მოსმენა. ისიც საკმარისი  
იყო, დროდადრო რომ თავადაც ეჩნჯინდა სინდისი.

— ისე ლაპარაკობ, ჩემო მეგობარო, გეგონება ყველაფერი გაან-  
გარიშებული გქონდეს, — უთხრა მოხუცს მატისმა, — იმაზე თუ გიფიქ-  
რია, ვინ იქნება ბელადი? გიფიქრია?

მატისმა ბრაზიანად ჩაიციხა.

— იქნებ ბორკა, ჰა? მე, მატისი, მთელ ახლომახლო ტყეებსა და  
მთებში ყაჩაღთა ყველაზე ძლევამოსილი და მრისხანე ბელადი ვარ  
და ასეთად ვაპირებ დარჩენას, მაგრამ დარწმუნებული არა ვარ,  
რომ „საყვარელი“ ბორკა ამას ხვდებოდეს!

— შენც ადექი და დაუმტკიცე! — შესთავაზა სკალეპერმა, — ორ-  
თაბრძოლა ხომ შეგიძლია მოუგო? ჰა! შე უზარმაზარო კამეჩო, შენა!

აი, თურმე რაზე ფიქრობდა და რა გეგმებს აწყობდა სკალეპერი,  
როცა თავისთვის განმარტოვდებოდა ხოლმე. მას ყაჩაღთა ორ ბე-  
ლადს შორის ორთაბრძოლა სწყუროდა, რომელიც ბორკას თავის  
ადგილს მიუჩენდა, ხოლო მატისის ციხეს ერთიანი და მძლავრი ყა-  
ჩაღთა გუნდის თავშესაფრად აქცევდა. მაშინ კი ნამდვილად შეძ-  
ლებდნენ ჯარისკაცებთან გამკლავებას და შერიფსაც მეტი რა გზა  
ეჩნებოდა, თუ არა ტყე-ტყე სირბილი, ვიდრე ეს სირბილიც არ მო-  
ბებრდებოდა! სკალეპერს თავისი იდეა ძალზე მოსწონდა და გულით  
უნდოდა მისი განხორციელება.

— ჩემი აზრით, ყველაზე კარგი გამოსავალი ყაჩაღობის შეწყვე-  
ტაა, — ჩაერია საუბარში რონია, — მე ყოველთვის ახე ვფიქრობდი.

სკალე-პერმა გოგოს თავისი უკბილო პირით გაუღიმა.



— სწორი ხარ, ჩემო საყვარელო რონია, ჩემო ჭკვიანო გოგო, მაგრამ მე უკვე ძალიან ბებერი ვარ იმისთვის, რომ მატისისნაირ ჯიუტ ადამიანს ეს შევაგნებინო!

მატისმა წარბი ასწია და სკალეპერს გახედა.

— და ამას შენ ამბობ? შენ, რომელიც მამაჩემთან და ჩემთან ერთად ყაჩაღობდი!? კარგი, ვთქვათ შევწყვიტეთ ყაჩაღობა! შემდეგ როგორღა უნდა ვიცხოვროთ, ამაზე თუ გიფიქრია?

— თუ დაკვირვებისხარ, შეამჩნევდი, რო ყველა ადამიანი ყაჩაღი არ არის, მაგრამ მაინც მშვენივრად ახერხებს ცხოვრებას? — დაინტერესდა სკალე-პერი.

მაგრამ როგორ? — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა მატისმა.

— საარსებოდ ბევრი გზა არსებობს, — აუხსნა მას სკალეპერმა, — მე შემძლია, ერთ-ერთი გასწავლო, მაგრამ ვიცი, რომ აზრი არა აქვს, შენ მაინც ყაჩაღად დარჩები, ვიდრე არ ჩამოგახრჩობენ. რონიას კი თავის დროზე აუცილებლად ვუამბობ ჩემს საიდუმლოს.

— რა საიდუმლოზე ლაპარაკობ? — ჩაეკითხა მატისი.

— როგორც უკვე გითხარით, — ამაყად გამოაცხადა სკალეპერმა, — თავის დროზე ყველაფერს რონიას ვუამბობ, რომ მშიერი და შიმველ-ტიტველი არ დარჩეს შენი ჩამოხრჩობის შემთხვევაში.

— ჩამოგახრჩობენ, ჩამოგახრჩობენ, ჩამოგახრჩობენ! — დაიღრიალა მატისმა, — რა გინდა, რას დამჩხავი, ბებერო ყვავო?!

დღეები გადიოდა და მატისი სკალე-პერის რჩევას ყურს არ უგდებდა. მაგრამ ერთ დილას, ვიდრე მატისის ყაჩაღები ცხენებს შეკაზმავდნენ, მგლის კარში ბორკამ გახვითქული ბედაური შემოაგელვა და მატისის ნახვა მინდაო, თქვა. ბორკამ ცუდი ამბები მოიტანა: თავის დროზე მისმა მოსისხლე მტერმა, მატისმა, ბორკას ყაჩაღები ციხიდან იხსნა, ახლა ბორკასაც უნდოდა სიკეთეზე სიკეთით ეპასუხა. ამიტომაც იყო, რომ მატისის ყაჩაღები გააფრთხილა, ტყეში ცხვირიც კი არ გაყოთ, შერიფის ჯარისკაცები გზაზე არიან ჩასაფრებულნი და ხელსაყრელ დროს უცდიან ყაჩაღების დასაჭერად, ჩემი ორი ყაჩაღი შეიპყრეს კიდევ, მესამე კი გაქცევისას ისრით მძიმედ დაგვიჭრესო.

— ეგ არამზადები, მალე, არათუ ლუკმაპურის შოვნის, გარეთ გასვლის საშუალებასაც აღარ მოგცემენ, — მწარედ ჩაილაპარაკა ბორკამ.

მატისმა წარბი ასწია.

— არა, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, ჩვენ თავად უნდა ვუჩვენოთ სერიი მაგ არამზადებს!

უცებ ენაზე იკბინა, მიხვდა, რომ თავისდაუნებურად „ჩვენ“ წამოსცდა და მძიმედ ამოიოხრა. მისი მამა, პაპა, დიდი პაპა და დიდი პაპის პაპა ალბათ საფლავში გადაბრუნდებოდნენ ეს რომ გაეგოთ.

ბორკას თითქოს გულზე მოეშვა.

— ძლივს რაღაც ჭკვიანური არა თქვი, მატის! ერთიანი და ძლიერი ყაჩაღთა ბანდა მართლაც რომ გადასარევი იქნებოდა! თანაც ერთი ძლევამოსილი ბელადის წინამძღოლობით, და მე ზუსტად ვიცი, ბელადად როგორი ადამიანი გამოგვადგება! — და ბორკამ თითი მკერდში იტაკა, — ძლიერი და ბრძენი, სწორედ ისეთი, როგორიც მე ვარ.

მატისმა ველურად გადაიხარხარა.

მოდი და გიჩვენებ, ვინ უნდა იყოს ბელადი! — დაიღრიალა მან.

ასრულდა სკალე-პერის ოცნება! ორთაბრძოლა შედგებოდა! მატისი და ბორკა, როგორც იქნა, ამ გადაწყვეტილებამდე მივიდნენ და დაასკვნეს, რომ ეს ჩინებული იდეა იყო.

ახალმა ამბავმა ყაჩაღთა შორის დიდი ალიაქოთი გამოიწვია. სვეტებიან დარბაზში ერთი ყაყანი და აურზაური იდგა ვიდრე ლუვისმა ყველა გარეთ არ გაისტუმრა.

— მომწყდით თავიდან! — დაუცაცხანა ქალმა ყაჩაღებს, თქვენი ხმა არ გავიგონო!

ლუვისს მატისიც ეყოფოდა. ყაჩაღთა ბელადი ბოლთას სცემდა სვეტებიან დარბაზში, კბილებს აღრჭიალებდა და იმუქრებოდა: ისე "გავალამაზებ" ბორკას, რომ უნდისიც კი ვეღარ იცნობსო.

სკალეპერმა ჩაიციინა.

— დედაჩემი ყოველთვის ასე მარიგებდა: შინ მომავალმა იტრაბახეო, — მშვიდად თქვა მან.

რონიამ ნაღვლიანად შეხედა ბრძოლის ჟინით ანთებულ მამას.

— არ მინდა გიყურო, როგორ იჩხუბებ! — უთხრა მან მატისს.

— ვერც მიყურებ! უპასუხა მამამ, — ქალები და ბავშვები საბრძოლო მოედანზე არ დაიშვებიან.

მართლაც, ქალებისთვის მუშტი-კრივი სასიამოვნო სანახაობა ნამდვილად არ გახლდათ. ორთაბრძოლებს „ველური შეხვედრები“ ეწოდებოდა და სანახაობა თავის სახელს ნამდვილად ამართლებდა.

— შენ კი, სკალეპერ, აუცილებლად უნდა დაესწრო, — უთხრა მატისმა მოხუც ყაჩაღს. სწორედ შენ უნდა იყო „ველური შეხვედრის“ წარმმართველი. მოდი, ჩემს ცხენზე შეგსვამ, უკვე დროა, გზას გავუდგეთ.

შემოდგომის მზიანი, ცივი დღე იდგა. ბალახს თრთვილი შეჰყინვოდა. მგლის კართან თავიანთი ბელადების გასამხნეველად მატისისა და ბორკას ყაჩაღები შეგროვილიყვნენ. აი, ახლა გამოჩნდება, თუ ვინ არის ყაჩაღთა ღირსეული წინამძღოლი!

ცოტა მოშორებით, კლდის ქიმზე ტყავებში გახვეული სკალე-პერი იჯდა. იგი ბებერ, გაბურძგნულ ყვავს წააგავდა, მაგრამ დიდი ამბების მოლოდინში თვალები ახალგაზრდულად უციმციმებდა და გულმოდგინედ აკვირდებოდა ყველას და ყველაფერს, რაც ქვემოთ, კლდის ძირში ხდებოდა.

მოწინააღმდეგეები, პერანგისამარა და ფეხშიშველნი, გარშემო უვლიდნენ ჩხუბისთვის გამოყოფილ პატარა მოედანს. დროდადრო მხრებისა და მკლავების კუნთებს შეათამაშებდნენ ან ჩაბუქნავდნენ ხოლმე, რათა ფეხებიც გაეფარჯიშებინათ და მზადყოფნაში მოეყვანათ.

— სიცივისგან ცხვირი გაგლურჯებია, ბორკა, — დაუძახა მატისმა, — მაგრამ პირობას გაძლევ, ძალიან მალე დაგცხება.

— მეც სწორედ იმავეს გპირდები! — თავის მხრივ შეუღრინა ბორკამ.

„ველური შეხვედრებისას“ ყველა ტრიუკისა და ფანდის გამოყენება იყო დასაშვები: მუშტისა თუ გაშლილი ხელის დარტყმა, წიხლების ჩაბეჭვა, დაკაწვრა, დაფხაჭნა და კბენაც კი, მხოლოდ ლაჯებში ფეხის ამორტყმა იყო სასტიკად აკრძალული, ეს უსამართლო ილეთად ითვლებოდა და ის, ვინც გამოიყენებდა, წაგებულად ცხადდებოდა.

ფილოსოფია ბრძოლის დაწყების ნიშანი მისცა და ყაჩაღების ყიჟინის ქვეშ მათისი და ბორკა ერთმანეთს ეძგერნენ.

— ჩემთვის ძალიან სამწუხაროა, — უთხრა მათისმა ბორკას და თავისი უბარმაზარი მკლავები შემოაჭდო, — რომ ასეთი ყალთაბანდი და არამზადა ხარ! — და კიდევ უფრო მაგრად მოუჭირა თავისი მარწუხები. ბორკას შუბლი ოფლით დაეცვარა, — ასე რომ არ იყოს, უკვე კარგა ხნის წინ დაგნიშნავდი ჩემს თანაშემწედ! — მათისმა საშინელი ძალა ჩააქსოვა თავის მკლავებში, მოუჭირა და ბორკას ავისმომასწავებლად ჩასჩურჩულა, — არც შენი თირკმლების შენივე პირიდან ამოცრა დამჭირდებოდა!

ბორკას ყელში რაღაც აუბუყბუყდა. არც აცია, არც აცხელა და თავი პირდაპირ ცხვირში ატაკა მათისს, რომელსაც იმწამსვე სისხლი წასკდა.

— ძალიან სამწუხაროა, — ჩაისისინა ბორკამ, — ცხვირი რომ უნდა მოგიღრიცო! — და კიდევ ერთხელ ჩასცხო თავი, — აქამდეც უსამველოდ მახინჯი იყავი, ახლა კი... — ახლა მათისის ყურს მისწვდა და კინალამ მოაჭამა. — ეს ცალი ყური სულ აღარ გჭირდება, — ბორკა ახლა მეორე ყურში სწვდა მათისს და ცოტათი ჩამოახნია. მაგრამ ამ მომენტში მათისმა სახეში თავისი რკინის მუშტები ჩააბილა ბორკას და ისიც იძულებული გახდა, ხელი გაეშვა. ამ დარტყმის შემდეგ ბორკას ისეთი ბრტყელი სახე გაუხდა, გეგონებოდათ, ტაფააო.

— მეცოდები, — დაიბრდღვინა მათისმა, — მაგრამ ისე უნდა მიგბეგვო, უნდისს შენს დანახვაზე ცრემლები წასკდეს!

— და ისევ ამოსცხო ყბაში, მაგრამ ამჯერად ბორკამ დაასწრო და მათისის მკლავს კბილებით ჩააფრინდა. მათისმა არაადამიანური ხმა ამოუშვა და მკლავის გამოგლეჯა სცადა, მაგრამ ვერ შეძლო.

როცა ბოლოს და ბოლოს ბორკამ კრიჭა გახსნა, პირიდან მატისის კანის ნაფლეთები გადმოაფურთხა და თან დამცინავად მიმართა მოწინააღმდეგეს:

— აჰა, კატას წაუღე!

— ბორკას კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ ველარ შეძლო, რადგან მატისი მთელი თავისი უზარმაზარი ტანით ზედ გადააწვა. მალე ყველასათვის აშკარა გახდა ერთი რამ: მართალია ბორკას მაგარი კბილები აქვს, მაგრამ ძალღონით მატის ნამდვილად ვერ შეედრებაო.

ბრძოლა დამთავრდა და მატისი ერთხმად აღიარეს ბელადად. იდგა გამარჯვებული და ამაყი, მთლიანად სისხლში მოთხვრილი ყაჩაღთა მეთაური და ქარი თეთრი პერანგის ნაგლეჯებს უფრიალებდა. ბორკამაც აღიარა მატისი ბელადად, მიუხედავად იმისა, რომ ბოლმისაგან გულზე იყო გასიებული და თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე.

მატისმა ბორკას გამხნელება სცადა:

— ჩვენ ძმები ვართ, ბორკა, დღეიდან ნამდვილი ძმები ვართ! — უთხრა ყაჩაღს, — ბელადის სახელი და დიდება მთელი სიცოცხლის მანძილზე გაგყვება და შენი ყაჩაღები შენს ბრძანებას დაემორჩილებიან. მაგრამ არ დაივიწყო, რომ მატისი ყველა მთასა და ტყეში ყველაზე ძლევამოსილი ბელადია და მის სიტყვას შენც უნდა დაემორჩილო! ეს არ დაივიწყო!

მოლუშულმა ბორკამ თავი დაუქნია, თუმცა საპასუხო სიტყვით გამოსვლის ხასიათზე ნამდვილად არ იყო.

იმავე საღამოს მატისმა სვეტებიან დარბაზში ყველა ყაჩაღისთვის დიდი ნადიმი გამართა. იმდენი საჭმელი და ლუდი იყო, მაგიდები იზნიქებოდა.

მატისი და ბორკა კიდევ უფრო დამეგობრდნენ. მთელი საღამო ერთ მაგიდას უსხდნენ და ველური სიცილ-ტირილით ბავშვობას იხსენებდნენ: ყვებოდნენ, თუ როგორ დასდევდნენ ვირთხებს ძველ სალორეში და ბევრ სხვა რამესაც იგონებდნენ, რაც რომ მეხსიერებას შემოენახა. ახლა თავისუფლად შეეძლოთ წარსულ მეგობრობაზე

ლაპარაკი დანარჩენების გასაგონად. ყაჩაღები ყურადღებით უსმენდნენ, დროდადრო სვეტებიან დარბაზს მათი ხორხოცი აზანზარებდა. რონია და ბირკი მაგიდის ბოლოში ისხდნენ.

ისინიც ჩინებულად მხიარულობდნენ. მათი წკრიალა სიცილი ყაჩაღების ხორხოცს ფარავდა. მატისსა და ბორკას შვილების სიცილი სალამურის ტკბილი ჰანგებივით ჩაესმოდათ და სიყვარულით სავსე მზერას მათკენ აპარებდნენ. დიდი ხანია მატისის ციხეში ბავშვების სიცილი აღარ გაუგონიათ.

ნუთუ მატისისა და ბორკას შვილები ისევ სახლში არიან და ასე უდარდელად და ხალისიანად იცინიან? მატისსა და ბორკას შვილების სიცილი ციურ ჰანგებად ჩაესმოდათ და ცდილობდნენ, კიდევ და კიდევ ეამბნათ თავიანთი ბავშვობის ოინები, რათა კიდევ დიდხანს ეწკრიალა რონიასა და ბირკის ხმას დარბაზის თაღებში.

მატისი ბორკას მიუბრუნდა.

— გული არ გაიტეხო, დღეს რომ საქმე კარგად არ წაგივიდა! აუცილებლად დაგიდგება უკეთესი დღეები. როცა მე და შენ ამქვეყნად აღარ ვიქნებით, ვფიქრობ, შენი ვაჟი გახდება ყაჩაღთა ბელადი, რადგან ჩემს ასულს ამ საქმის გაგრძელება არ სურს, ხოლო თუ რონია რამეს იტყვის, იმას წყალი აღარ გაუვა. ამით დედამისსა გავს.

ამ სიტყვების გაგონებაზე ბორკას სახეზე კმაყოფილება გამოეხატა. მაგრამ ამ დროს მაგიდის ბოლოდან რონიამ დაიყვირა:

— რატომ გგონია, რომ ბირკს ყაჩაღთა ბელადობა უნდა?

— რასაკვირველია, უნდა! — მტკიცედ გამოაცხადა ბორკამ.

მაშინ ბირკი ადგა, დარბაზის შუაგულში გამოვიდა და ისე გაჩერდა, რომ ყველას შეძლებოდა მისი დანახვა. ბიჭმა მარჯვენა ხელი მაღლა აღმართა და დაიფიცა, არავითარ შემთხვევაში ყაჩაღთა წინამძღოლი არ გავხდებიო.

სვეტებიან დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ბორკა თავჩაქინდრული იჯდა: მისმა შვილმა საჯაროდ გამოაცხადა, რომ მამის კვალს არ გაჰყვებოდა! მატისი მის გამხნევებას შეეცადა:

— მე უკვე შევეგუე ამ აზრს! — დაიჩივლა მან, — შენც შევეგუები. ჩვენს დროში ბავშვებისგან მეტს რას უნდა მოელოდე! სხვა გზა არა

გაქვს, შენც ამ აზრს უნდა შეურიგდე, მაგრამ მერწმუნე, გამოცდილებით ვიცი, ადვილი ნამდვილად არ არის!

ორივე ბელადი კარგა ხანს იჯდა სევდიანი და თავჩაქინდრული, მომავალში მატისისა და ბორკას ყაჩაღების ამაყ ბანდებს მხოლოდ ზღაპრებსა და ლეგენდებში თუ მოიხსენიებდნენ.

ნელ-ნელა ყაჩაღთა ბელადები ისევ წარსულის მოგონებებს, განსაკუთრებით კი საღორეში ვირთხების დევნის ამბებს დაუბრუნდნენ და მტკიცედ გადაწყვიტეს, ყაჩაღური ცხოვრება გაეგრძელებინათ, მიუხედავად იმისა, თუ რას ფიქრობდნენ ამაზე მათი თავნება შვილები. ყაჩაღებიც ბელადების გასამხნევლებლად წამოიშალნენ, მხიარული სიმღერა დასცხეს და ველურ ფერხულში ჩაებნენ. იატაკი ზანზარებდა. ბირკი და რონია ხტუნვახტუნვით აედევნენ უფროსებს, გზადაგზა რონია ბირკს ყაჩაღური ცეკვის ველურ ილეთებს ასწავლიდა.



მთელი ამ დროის მანძილზე ლუვისი და უნდისი თავისთვის ცალკე ისხდნენ: ჭამდნენ, სვამდნენ და წყნარად საუბრობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ქალები ერთმანეთისგან მეტად განსხვავდებოდნენ, მათი აზრი ერთ საკითხში ნამდვილად ემთხვეოდა: ბედნიერება იყო, რომ დროებით მათი ყურები დაისვენებდნენ კაცების ყაყანისგან.

სვეტებიან დარბაზში ნადიმი გრძელდებოდა. უცებ სკალეპერი დაღლილობისგან იატაკზე ჩაიკეცა. ბედნიერი დღე ჰქონდა მოხუც ყაჩაღს და მთელი საღამო მისი ასაკისთვის შეუფერებელ ცეკვათამაშში გაატარა. ახლა კი უცბად ძალა გამოეცალა. რონიამ მოხუცი ოთახამდე მიაცილა. დასუსტებული, მაგრამ ძალიან კმაყოფილი სკალეპერი თავის საწოლზე დაწვა. რონიამ ტყავებისგან შეკერილი საბანი გადააფარა მოხუცს და მიუალერსა.

ბებერი გული სიხარულით მევსება და ვწყნარდები, — უთხრა ყაჩაღმა გოგოს, — რომ არც შენ და არც ბირკს ყაჩაღობა არ გინდათ. ადრე უდარდელად შეგეძლო გეყაჩაღა, — ახლა კი თვალის დახამხამებას ვერ მოასწრებ და უკვე ჩამოხრჩობილი ხარ!

— და კიდევ ხალხი კვივის და ტირის, როცა ძარცვავ და მონაგებს ართმევ! — გამოეპასუხა რონია, — მე ამის ყურებას ვერ შევძლებ! — დასძინა მან.

— არა, ჩემო საყვარელო ბავშვო, შენ არასოდეს მოგიწევს ამის ყურება, — დაარწმუნა სკალეპერმა, — ახლა კი, თუ პირობას მომცემ, რომ დედამიწის ზურგზე არცერთ სულიერს არაფერს ეტყვი, ჩემს საიდუმლოს გაგანდობ.

რონიამ მტკიცე პირობა მისცა.

სკალეპერმა რონიას პატარა, ცხელი ხელები თავის უზარმაზარ გაყინულ მუშტში მოიქცია და დაიწყო:

— ჩემო სიცოცხლე და სიხარულო, როცა ბავშვი ვიყავი და შენსავით ტყე-ტყე დავეხეტებოდი, ერთხელ შემთხვევით პატარა მაჯლაჯუნა გადავარჩინე, რომელსაც ვიტრები დაკორტნასა და დაგლეჯას უპირებდნენ. ხომ იცი, მაჯლაჯუნები რა უჩემურებიც არიან, მაგრამ



ჩემი გადარჩენილი არსება სულ სხვაგვარი გამოდგა. ისეთი მადლობელი იყო, ძლივს მოვიშორე. დაიჩემა, გინდა თუ არა, უნდა მოგცე... აჰა, მატისიც მოვიდა!

მატისი ზღურბლზე იდგა. მან რონიას მოაკითხა. აინტერესებდა, სად იყო გოგო, სად გადაიკარგა. ნადიმი დამთავრდა და მგლის ძილისპირულის დრო დამდგარიყო.

— დამაცადე, ჯერ ზღაპარი ბოლომდე უნდა მოვისმინო, — უთხრა რონიამ მამას, მაგრამ მატისი ჯიუტად იდგა კარებში და ელოდა. სკალეპერმა გოგოს დანარჩენი ყურში ჩასჩურჩულა.

— ო, რა გადასარევი! — აღფრთოვანდა რონია, როცა სკალე-პერის მონათხრობი ბოლომდე მოისმინა.

დაღამდა. ეძინა მატისის ციხეს თავისი ხმაურიანი და შფოთიანი ყაჩაღებით. მხოლოდ მატისი ხვნეშოდა და წრიალებდა. დილანდელი ნაიარევები აწუხებდა. მართალია, ლუვისმა ყველა ჩალურჯებულ ადგილსა თუ ნაკბენზე მალამო წაუსვა და სალბუნი დაადო, მაგრამ მაინც სტკიოდა. ახლა ღამის სიწყნარეში გაცილებით ძლიერ გრძნობდა ტკივილს და თითის განძრევაც არ შეეძლო. ყაჩაღს თვალზე რული არ ეკარებოდა, მის გვერდით კი ლუვისს მშვიდად და უშფოთველად ეძინა. ეს უფრო აგიჟებდა ყაჩაღთა ბელადს. ბოლოს ველარ მოითმინა და ცოლი გააღვიძა.

— ყველაფერი მტკივა! — შესჩივლა ქალს, — ერთადერთი ის მამ-შვიდებს, რომ ალბათ არამზადა ბორკა ჩემზე უარეს დღეშია!

ლუვისი კედლისკენ გადატრიალდა.

— კაცებო... — ჩაილაპარაკა მან და ისევ ძილს მისცა თავი.

## XVIII

— მოხუცები ქარსა და წვიმაში ღია ცის ქვეშ არ უნდა ისხდნენ და „ველურ შეხვედრებს“ არ უნდა უყურებდნენ, — მკაცრად უთხრა ლუვისმა სკალე-პერს. მოხუცი ყაჩაღი გაციებულები, ცხვირს აქსუტუ-

ნებდა და ტანში ამტვრევდა. სკალე-პერი ლოგინიდან ვერ დგებოდა. გაციებამ რომ გადაუარა, მაშინაც კი ერთხანს ლოგინში ყოფნა ამჯობინა.

— რა განსხვავებაა, დაწოლილი ვიქნები რამეს მიშტერებული, თუ დამჯდარი დავითვლი ბუზებს, — გამოაცხადა მან.

მატისი ყოველდღე აკითხავდა სკალე-პერს ოთახში და ახალი ყაჩაღური ცხოვრების ცხელცხელ ამბებს უამბობდა. მატისი ძალიან კმაყოფილი იყო.

— ბორკა წესიერად იქცევა, — ეუბნებოდა იგი მოხუც ყაჩაღს, — ჩემ წინ გაძრომას არ ცდილობს.

ბორკა, მართლაც, ჭკვიანი კაცი გამოდგა და მატისთან ერთად ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა. გაერთიანებული ძალით შერიფის ჯარისკაცებსაც მშვენიერად უმკლავდებოდნენ ყაჩაღები. ამის ყურება ერთი სიამოვნება იყო.

— მალე მატისის ტყეში არცერთი ჯარისკაცი აღარ დარჩება, — დარწმუნებით გაიძახოდა ყაჩაღთა ამაცი მეთაური.

— შინ მომავალმა იტრაბახე! — ბურტყუნებდა სკალე-პერი, მაგრამ მატისი ყურს არ უგდებდა. ბევრი დრო არცა ჰქონდა მოხუცთან დასარჩენად და, მით უმეტეს, საკამათოდ.

— ჩემო გაძვალტყავებულ ბებრუხუნა, — ალერსიანად უთხრა წასვლისას მეთაურმა და მოხუცს მიეფერა, — შეეცადე, ძვლებზე ცოტა ხორცი შეისხა, რომ ფეხზე დადგომა შეძლო!

ლუვისი გადაყოლილი იყო, ისე უვლიდა სკალე-პერს, ცივ ნიავს არ აკარებდა. ხან ცხელი წვნიანი მიჰქონდა მოხუცისთვის, ხან სურნელოვანი ფაფა და, საერთოდ, მისთვის საყვარელ საჭმელებს ამზადებდა.

— შეჭამე წვნიანი, გაგათბობს, — ეუბნებოდა ქალი. მაგრამ ქაფ-ქაფა წვნიანიც კი ვერ ათბობდა მოხუც ყაჩაღს, რის გამოც ლუვისი ძალიან წუხდა.

— სვეტებიან დარბაზში უნდა ჩამოვიყვანოთ, აქ უფრო თბილად იქნება, — უთხრა ერთ საღამოს მატისს.

სკალე-პერი მეთაურმა ხელში აიტაცა და ისე ჩაიყვანა ძირს. მატისსა და მოხუც ყაჩაღს ერთ საწოლში ეძინათ. ლუვისმა თავისი ადგილი დაუთმო მოხუცს და თვითონ რონიასთან დაიძინა.

— როგორ მანებივრებთ ამ საწყალ მოხუცს, კმაყოფილი დუდღუნებდა სკალეპერი.



მატისი ბუხარით ათბობდა საწოლს თავისი უზარმაზარი, მხურვალე სხეულით. სკალე-პერი ისე ეხუტებოდა თავის გაზრდილ მეთაურს, როგორც პატარა ბავშვი.

— წყნარად იწექი და ნუ მეწებები! — ბუზღუნებდა მატისი. მაგრამ ეს არ შველოდა, სკალე-პერი მაინც მისი თბილი სხეულისკენ მიიწევდა. დილით მოხუცმა თავის ოთახში დაბრუნება აღარ ისურვა.

— ამ საწოლში უფრო კარგია და აქვე დავრჩები, — გამოაცხადა მან.

აქ მას მართლაც შეეძლო, მშვიდად წოლილიყო და მთელი დღე ლუვისის საქმიანობისთვის ეცქირა. აქვე გროვდებოდნენ საღამობით ყაჩაღები, შემოსხდებოდნენ მისი საწოლის გარშემო და განვლილი დღის ამბებს უყვებოდნენ. რონიაც ჩამოუჯდებოდა ხოლმე

საწოლზე სკალე-პერს და უამბობდა როგორ ერთობოდა ტყეში ბირ-  
კთან ერთად.

სკალეპერიც კმაყოფილი იყო.

— აი, სწორედ ასე მინდა ვიყო, ვიდრე ველოდები! — თქვა მან.

— რას ელოდები? — დაინტერესდა მათისი.

— შენ როგორ გგონია? — ჩაიცინა სკალე-პერმა.

მათისმა ვერ გამოიცნო, თუმცა ატყობდა, ნელნელა როგორ დნე-  
ბოდა მოხუცი.

— როგორ ფიქრობ, რა სჭირს? — ჰკითხა მან ლუვისს.

— სიბერე! — გამოეპასუხა ქალი.

მათისმა სერიოზულად შეხედა ცოლს.

— მაგრამ, ხომ არ მოკვდება?

— ალბათ მოკვდება, — წყნარად დასძინა ქალმა,

მათისს ცრემლები წასკდა.

— არა, არავითარ შემთხვევაში! — აყვირდა იგი, — მე ამის უფლე-  
ბას არ მივცემ!

ლუვისმა თავი გადააქნია:

— შენ ბევრი რამის გადაწყვეტა შეგიძლია, მათის, მაგრამ ამისი  
კი — არა!

რონიასაც ძლიერ ადარდებდა სკალე-პერის ავადმყოფობა. რაც  
უფრო სუსტდებოდა მოხუცი, მით უფრო მეტ დროს ატარებდა გოგო  
მის საწოლთან. სკალეპერიც მეტწილად თვალეზიანებული იწვა,  
მხოლოდ დროდადრო თუ გამოიხედავდა, რონიას გაულიმებდა და  
ამოილულლულდებდა:

— ჩემო სიცოცხლე და სიხარულო, ხომ არ დაგავიწყდა, რაც მო-  
გიყევი?

— არავითარ შემთხვევაში! ოღონდ თუ ვიპოვნე! — პასუხობდა  
რონია.

— აუცილებლად იპოვი! — ამშვიდებდა სკალეპერი, — როცა დრო  
მოვა აუცილებლად ვიპოვი! — ეთანხმებოდა რონიაც.

დრო გადიოდა. სკალე-პერი სულ უფრო და უფრო სუსტდებოდა. ბოლოს, ერთ ღამეს ყველა მისი საწოლის გარშემო შეიკრიბა: მათისი, ლუვისი, რონია და ყაჩაღები, ისინი ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს მოხუცის სუნთქვას, სკალეპერიც თვალდახუჭული გაუნძრევლად იწვა, მათისი გაფაციცებით შეჰყურებდა, რომ სიცოცხლის რაიმე ნიშანწყალი მაინც შეემჩნია. საწოლის გარშემო ბინდს დაესადგურებინა. ვერც ბუხრის ალი და ვერც ლუვისის მიერ ანთებული სანთლების შუქი ვერ ფანტავდა წყვილიადს. მოხუცს სიცოცხლის არაფერი ეტყობოდა. მაშინ მათისმა შემზარავად დაიღრიალა:



— მოკვდა, გათავდა!

უცტრად სკალე-პერმა თვალეზი გაახილა და მკაცრად შეხედა მათისს.

— არა, არ მოვმკვდარვარ! როგორ ფიქრობ, ისე მოვკვდებოდი, რომ ჩემს ახლობლებს არ დაგემშვიდობებოდი? ისე გავუდგებოდი საიქიოს გზას?

შემდეგ სკალე-პერმა ისევ კარგა ხნით დახუჭა თვალეზი. ყველა ჩუმად იდგა და მის მძიმე სუნთქვას ყურს უგდებდა.

— ახლა კი, — და მოხუცმა ყაჩაღმა ისევ გაახილა თვალები, — ჩემო ძვირფასებო, ყველას გემშვიდობებით, რადგანაც ვკვდები! და სკალე-პერი მოკვდა.

რონიას მიცვალებული არასოდეს ენახა. გოგომ ჯერ იტირა, მერე კი გაიფიქრა, საწყალი სკალე-პერი ბოლოს ისეთი დაღლილი და დაქანცული იყო, რომ იმ შორეულ სამყაროში, რომლის შესახებ წარმოდგენაც კი არა მაქვს, ნამდვილად მოისვენებს და ბედნიერი იქნებაო.

მატისი ტირილით აწყდებოდა სვეტებიანი დარბაზის კედლებს და მოთქვამდა:

— ის ხომ ყოველთვის არსებობდა! ახლა კი აღარ არის! და ისევ იმავეს გაჰყვიროდა.

— ის ხომ ყოველთვის, ყოველთვის არსებობდა! ახლა აღარ არის!

ბოლოს ლუვისმა მიმართა:

— მატის, შენ ხომ იცი, რომ ამქვეყნად ყველა მოკვდავია, ჩვენ ვიბადებით და ვკვდებით. ეს ყოველთვის ასე იყო, და მომავალშიც ასე იქნება, რას მოთქვამ და გოდებ?

— მაგრამ ძალიან რომ მაკლია! — აყვირდა მატისი, — ისე მაკლია, რომ გული მტკივა!

— გინდა, რომ დროებით მარტო დაგტოვოთ? — ჰკითხა ლუვისმა.

— ჰო, მარტო დამტოვეთ, — დაიღრიალა მატისმა.

და მატისი მარტო დასტიროდა სკალე-პერს, რომელიც ყოველთვის არსებობდა მის ცხოვრებაში, ახლა კი აღარ იყო.

მეორე დღეს სკალე-პერი მდინარის ნაპირას დაასაფლავეს. ზამთარი მოახლოვდა. პირველი თოვლი მოვიდა, რბილი სველი ფიფქები სკალე-პერის კუბოს ეცემოდა, როცა მატისსა და ყაჩაღებს მისი ნეშტი საფლავისკენ მიჰქონდათ. კუბო თავად სკალე-პერს გამოეთალა წლების წინ, როცა ძალღონე შესწევდა და მთელი ამ დროის მანძილზე საკუჭნაოში ჰქონდა შენახული.

— ყაჩაღს კუბო სწორედ მაშინ დასჭირდება, როცა ყველაზე ნაკლებად ელის. — ამბობდა ხოლმე სკალე-პერი. უკანასკნელ ხანს კი სულ უკვირდა, თავად რომ ამდენ ხანს მოუწია ლოდინი.

მაგრამ ადრე თუ გვიან, ის დრო მაინც დადგება, — ამბობდა ხოლმე და ის დროც დადგა.

სკალე-პერი ძალიან დააკლდა მატისის ციხე-სიმაგრეს. მთელი ზამთარი გლოვობდა მატისი, ყაჩაღებიც ცხვირჩამოშვებულნი დაიარებოდნენ, ბელადის განწყობა მათაც გადასდებოდათ. როცა ბელადი მხიარულობდა, ყაჩაღებიც შშვენიერ ხასიათზე იყვნენ, ხოლო თუ ყაჩაღთა მეთაური დარდობდა, მთელ ციხესაც სევდა მოიცავდა ხოლმე.

რონია ბირკთან ერთად ტყეში დადიოდა. ზამთარი იდგა და როგორც კი გოგო თხილამურებზე შედგებოდა და ციხის კარს გაიხურავდა, ყველა დარდი და სევდა ავიწყდებოდა. მაგრამ შინ დაბრუნებული, ბუხრის წინ მჯდომარე თავჩაქინდრულ მატისს რომ დაინახავდა, ყველაფერი წაშში ახსენდებოდა.

— გამამხნევე, რონია, — შეევედრა ერთხელ მატისი, — დამეხმარე და ჩემი დარდი გადამავიწყებინე.

— მალე გაზაფხული დადგება და ყველაფერი გაგიადვილდება, — უთხრა რონიამ მამას. მაგრამ მატისი ასე არ ფიქრობდა,

— სკალე-პერი გაზაფხულს ველარ ნახავს! — ამოიოხრა მან. ამაზე რონიამ ვერაფერი უპასუხა.

ზამთარი გავიდა და გაზაფხული დადგა. გაზაფხული ყოველთვის მოდის, იმისდა მიუხედავად, თუ ვინ არის ცოცხალი და ვინ სამუდამოდ დატოვა ეს დედამიწა. მატისი გამხიარულდა, ყოველ გაზაფხულზე ასე ხდებოდა. იგი სტვენითა და სიმღერით, ჭენებ-ჭენებით გაემართა მგლის კარისკენ თავის ყაჩაღებთან ერთად. იქ უკვე ბორკა და მისი ამფსონები ელოდნენ. ოჰ, რა ბედნიერებაა, გრძელი და გაუთავებელი ზამთრის შემდეგ ისევ ყაჩაღური ცხოვრების დაწყება. მატისი და ბორკა ყაჩაღებად იყვნენ დაბადებულნი. და თავისუფლად თარეში ბედნიერებას ანიჭებდათ.

მათი შვილები გაცილებით ჭკუადაძვადარნი აღმოჩნდნენ. მათ ცხოვრებაში სულ სხვა რამ ახარებდათ და მოსწონდათ. თოვლი დადნა და ისევ შეიძლებოდა ცხენების ჭენება, მალე დათვის მღვიმეშიც გადასახლდებოდნენ.

— რა ბედნიერებაა, ბირკ, ყაჩაღი არასოდეს რომ არ იქნები! — გამოაცხადა რონიამ.

ბირკმა გაიცინა.

— რათქმა უნდა, არა, მე ხომ ფიცი დავდე, მაგრამ ძალიან მაინტერესებს, როგორ უნდა ვიცხოვროთ? რა უნდა ვაკეთოთ მე და შენ?

— მე ვიცი! — უთხრა რონიამ, — მთის კაცები გავხდებით, რას ფიქრობ, ჰა?

და გოგომ ბირკს სკალე-პერის ზღაპარი უამბო, ვერცხლის მთის ზღაპარი. ეს მთა დიდი ხნის წინ პატარა მაჯლაჯუნამ სკალე-პერს აჩვენა მადლობის ნიშნად, როცა მან ველური ვიტრასგან იხსნა.

— იქ უზარმაზარი ვერცხლის ქვები ყრია, — უთხრა რონიამ ბიჭს, — ვინ იცის, იქნებ არც იყოს ზღაპარი. სკალე-პერმა დაიფიცა, სიმართლეს გეუბნებიო. შეგვიძლია, ერთ დღეს ცხენებით წავიდეთ და ვნახოთ, მისი მონათხრობი სიმართლეა თუ არა. მე ვიცი, სადაც არის ის ადგილი.

— რა გვეჩქარება, — გამოეპასუხა ბირკი, — ოღონდ შენ არავის უამბო, თორემ ყველა ყაჩაღი იქით გაექანება და ვერცხლის შეგროვებას დაიწყებს.

რონიამ გადაიკისკისა.

— შენც სკალე-პერივით ბრძენი ხარ. ყაჩაღები ყოველთვის ყაჩაღებად რჩებიან, მითხრა მან და დამაფიცა, რომ შენს გარდა არავის არაფერს ვეტყოდი.

— მაგრამ ჯერჯერობით ვერცხლის გარეშეც მშვენივრად ვგრძნობთ თავს, ჩემო დაიკო! — გაულიმა ბირკმა, — დათვის მღვიმეში სხვა რაღაცეები გვჭირდება.



გაზაფხული ძალას იკრებდა. რონია შინაგანად ემზადებოდა იმ წუთისთვის, როცა მატისს ეტყოდა, კვლავ დათვის მღვიმეში ვაპირებ გადასახლებასო. მაგრამ მატისი გასაოცარი ადამიანი იყო, არაფერი იცოდა, როდის რას გამოაცხადებდა ან მოიმოქმედებდა.

— ჩემი ძველი გამოქვაბული მშვენიერი ადგილია, — თქვა მან, — წელიწადის ამ დროს რა სჯობს იქ ცხოვრებას, შენ როგორ ფიქრობ, ლუვის?

ლუვისი ქმრის ხასიათის ცვალებადობას მიჩვეული იყო და არ გაოცებულა.

— გაიქეცი, ჩემო გოგო, თუ მამაშენს მიაჩნია, რომ იქ ცხოვრება ძალზე სასიამოვნოა, დაე, აღსრულდეს მისი ნება, მაგრამ მე კი ძალიან მომენატრები.

— შემოდგომაზე ხომ აუცილებლად დაბრუნდები, ნამდვილად უნდა დაბრუნდე, სულ ასე არ იქცეოდი? — ისე იკითხა მატისმა, გეგონებოდათ, რონია წლების მანძილზე გადადიოდა გაზაფხულობით დათვის მღვიმეში და შემოდგომაზე კი ისევ შინ ბრუნდებოდა ხოლმე.

— აბა რა, ისე მოვიქცევი, როგორც აქამდე, — დაეთანხმა რონია. იგი კმაყოფილი და ბედნიერი იყო, რომ ამჯერადაც ყველაფერმა ასე მშვენივრად ჩაიარა. გოგო ყვირილსა და ცრემლებს ელოდა, მის წინ კი კმაყოფილი და სახეგაბრწყინებული მატისი იჯდა, ისეთივე ბედნიერი, როგორც მაშინ, როცა საღორეში ვირთხების დევნის ამბავს იხსენებდა.

— როცა მე დათვის მღვიმეში ვცხოვრობდი, სრულიადაც არ იყო ადვილი, — გამოაცხადა მატისმა, — და, საერთოდ, არ დაგავიწყდეს, რომ ეგ ჩემი გამოქვაბულია, ალბათ დროდადრო მოვალ და მოგინახულებ ხოლმე.

როცა რონიამ ყველაფერი ეს ბირკს უამბო, ბიჭმა თქვა: — მოვიდეს, არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, მაგრამ, არც ის იქნება ურიგო, თუ ყოველდღე არ მოგვიჩვენებს მისი გაბურძგნული თავის დანახვა.

ადრიაანი დილა იდგა. დედამიწის პირველი დილასავით მშვენიერი. რონია და ბირკი ტყეტყე მიდიოდნენ, გარშემო კი გაზაფხული

ეხვიათ თავისი დიდებულებით. აყვავებული ხეები მოჩუხჩუხე წყალი და ახლადაფეთქებული სიმწვანე თან მოჰყვებოდათ. მთელი ტყე ტკაცუნებდა, ხმაურობდა, წკაპუნებდა, იღვიძებდა და გაზაფხულის ველურ სიმღერას მთელ ხმაზე მღეროდა. ბავშვები გამოქვაბულს, თავიანთ ველურ სახლს მიუახლოვდნენ. ყველაფერი ძალზე ნაცნობი, მშობლიური და საყვარელი იყო. კლდის ძირში მდინარე ძველებურად ღრიალებდა, ტყეც ახლადამოსულ მზის სხივებში ათასფრად ელავდა. ეს გაზაფხული სრულიად ახალი იყო, მაგრამ, რა თქმა უნდა, ისეთივე ჯადოსნური, როგორც ყველა ადრინდელი.

— არ შეგეშინდეს, ბირკ! — უთხრა რონიამ ბიჭს, — ახლა გაზაფხულის ყიჟინა უნდა დავცე!

და გოგო ველურად აკივლდა, როგორც ტყის ფრინველი. მისმა



გამარჯვებულმა ყიჟინამ მთელი ტყე აახშიანა